



2017/6

ცდელთვიუტი ლიცეტაცუტულ –  
საჯღგადტუბტივი ქუტნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
ბლათერ არაბული  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

---

გარეკანზე –  
ზურაბ ნიჟარაძის  
ფერწერული ნამუშევრები:  
ანა ნიჟარაძის პორტრეტი და  
რომი. ქუჩის სცენა

---

ქუტნალი გამდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსუტი მსატდაქუტით


მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

<b>მასტარალასი</b> საუბარი საქართველოს სახალხო მხატვარ <b>ზურაბ ნიყარაძესთან</b>	3	<b>პროზა</b> გიორგი სოსიაშვილი <i>მოთხრობები</i>	53
<b>პრიბია. ასეისტიან</b> მიმოზა კვირკვია „როცა მე მივალ ჩემივე თავთან“	10	<b>პოეზია</b> გია კობახიძე <i>ლექსები</i>	73
<b>მანანა ჩიტიშვილი</b> სიტყვა მეგობარ პოეტზე	15	<b>პროზა</b> გიორგი შერვაშიძე ტეხნიკა ი ნაუკა <i>მოთხრობა</i>	76
<b>ლევან ბრეგაძე</b> მუხრან მაჭავარიანის ხიაზმებიანი მინიატურები	19	<b>ხაჰასიური მოზაიკა</b> ლარისა ტუფნაყო <i>ჩერქეზული პოეზია</i> <i>თარგმნა ელგუჯა მარლიამ</i>	83
<b>ნუგზარ ზაზანაშვილი</b> ბორის პასტერნაკი და რუსული იმპერიალიზმი	25	<b>თარგმანი</b> ვალერი ბრიუსოვი <i>ნოველები</i> <i>თარგმნა ნინო ციმაკურიძემ</i>	91
<b>პოეზია</b> მანანა ჩიტიშვილი <i>ლექსები</i>	31	ტიან ჰე <i>ჩინური პოეზია</i> <i>თარგმნა ბექა ბარქაიამ</i>	106
<b>პროზა</b> ანდრო ბუაჩიძე დამქანცველი ზღვა	41		
<b>პოეზია</b> ილია ერქვანია <i>ლექსები</i>	50	<b>არბრაჰიუ</b> ალინა ქადაგიშვილი ქეთევან მატაბელი – „ვეფხისტყაოსნის“ ვარიაციები	115

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.



## საუბარი საქართველოს სახალხო მხატვარ ზურაბ ნიჟარაძესთან

საუბარი ზურაბ ნიჟარაძესთან 2010 წელს არის ჩანერილი და დღემდე არსად გამოქვეყნებულა. ხელნაწერის სახით არსებული დედანი ზურაბ ნიჟარაძის ხელოვნების დიდმა თაყვანისმცემელმა გია ბერულავამ მოგვანოდა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ. საუბარს წარმართავს რუსი ხელოვნებათმცოდნე, სანქტ-პეტერბურგის გალერეა „გრემის“ დამფუძნებელი დიმიტრი ბერკუტოვი. სწორედ მის მაპროვოცირებელ შეკითხვებს უნდა ვუმაღლოდეთ იმ ფაქტს, რომ ეს საუბარი, არსებითად, არის დიდი ხელოვანის თეორიული მასტერკლასი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ჟურნალის მკითხველს დააინტერესებს, არამედ ხელოვნების ურთულეს გზაზე შემდგარ ახალგაზრდა მხატვრებსაც.

**დიმიტრი ბერკუტოვი** – რას იტყვით ფერწერის პეტერბურგული და ქართული სკოლების შესახებ?

**ზურაბ ნიჟარაძე** – ბევრი საერთოა, მაგრამ არსებობს განსხვავებაც.

**დ.ბ.** – რა მხრივ?

**ზ.ნ.** – სამხრეთით უფრო იკლებს „აკადემიურობის“ ხარისხი.

**დ.ბ.** – რას გულისხმობთ ეგრეთ წოდებულ აკადემიურობაში?

**ზ.ნ.** – საჭიროა გარკვეული ჩვევების გადალახვა.

**დ.ბ.** – მაგალითად?

**ზ.ნ.** – ნაწილ-ნაწილ გამოსახვის ჩვევა, თითქოს საგანს ან მოვლენას პროტოკოლურად აღწერდე.

**დ.ბ.** – და, თქვენი აზრით, ეს როგორ უნდა შეიცვალოს?

**ზ.ნ.** – ეს უნდა შეიცვალოს მთავარი,

არსებითი, დომინანტი ნიშნის გამოკვეთით.

**დ.ბ.** – როგორ ხდება ამ არსებითის ხაზგასმა, გამოყოფა?

**ზ.ნ.** – აქცენტებით. ანუ მასალის მაქსიმუმი უნდა გაიხარჯოს მთავარზე, მეორეხარისხოვანზე – ნაკლები, მესამეხარისხოვანზე – კიდევ უფრო ცოტა და ასე შემდეგ. ეს მხატვარმა უნდა გააკეთოს, ესე იგი, უნდა აირჩიოს, რა არის მთავარი და რა მეორეხარისხოვანი. განათება, რომელიც საგანს გამოკვეთს, ხშირად სწორედ მეორეხარისხოვან დეტალებზე აკეთებს აქცენტს, მთავარს კი ხაზს არ უსვამს, შეუმჩნევლად ტოვებს. უსულგულო გადახატვას აღწერილობამდე მივყავართ.

**დ.ბ.** – ასეთი გადახატვის მაგალითს ხომ არ მოგვიყვანდით?

**ზ.ნ.** – აქ შესაძლებელია, მოვიხმოთ

ჩისტიაკოვის მაგალითი, რომელიც ამბობდა: „ტინის ქყლეტის გარეშე ხატეთ ის, რაც ჩანს“, თუმცა შემდგომში სულ სხვა რამეს მოითხოვდა. ერთხელ მასთან სტუდენტი გოგონა მივიდა და უჩვენა თავისი ნახატი, სადაც თითქოს ყველაფერი თავის ადგილას იყო: თვლებიც, ნარბებიც, ნესტოებიც და ასე შემდეგ. ჩისტიაკოვმა ნახატი დაინუნა და უთხრა: ეს ნახატი იმიტომ არ ვარგა, რომ ყოველი ნაწილი ისეთი სიძლიერით არის დახატული, თითქოს მხოლოდ მას აღიქვამ. არადა, იმ ძალით უნდა დახატო, როგორც ისინი (დეტალები) ჩანს მაშინ, როდესაც მთელს უყურებ. მთელის (მაგალითად, თავის აღქმისას) დეტალებიც ჩანს, მაგრამ ისინი გაცილებით სუსტად აღიქმება, ვიდრე იგივე დეტალები მაშინ, როცა მზერა მიმართულია მათზე იმ მიზნით, რომ გვსურს, გადმოვცეთ მთლიანის შთაბეჭდილება, ხოლო, როცა ყველა ნაწილს ერთნაირი სიძლიერით ვაკეთებთ, ვკარგავთ შესაძლებლობას, გამოვკვეთოთ ეს მთავარი. ასეთი შეცდომა რომ ავირიდოთ, მთავარი უფრო ძლიერი, უფრო გამომსახველობითი, მნიშვნელოვანი უნდა იყოს თავისსავე დეტალებზე. ძალიან ხშირად სინათლე დეტალს უფრო უსვამს ხაზს, მაგალითად, ნესტოებს. ეს სახის ისეთი ნაწილია, სადაც სინათლე ძალიან იშვიათად თუ ეცემა, ამიტომ ნესტოზე ედება ძლიერი ჩრდილი. პირდაპირ რომ გამოვსახავთ ამ ჩრდილს იმ ძალით, როგორც ის ჩანს, ხოლო თავის მთელ მოცულობაზე კი ასეთი ძლიერ მოდელირებული ჩრდილი არ არის, შესაბამისად, მთლიანობაზე<sup>1</sup> არ გვაქვს ძლიერი აქცენტი, ჰოდა, გამოდის, რომ ნაწილი (ნესტოები) უფრო ძლიერია, უფრო გამომსახველობითი, ვიდრე მთელი (თავი).

**დ.ბ.** – და თუკი სწორედ დეტალი

მაინტერესებს, მაგალითად, თვლები? ფაიუმის პორტრეტებში<sup>1</sup> ხომ სწორედ თვლებია გამოკვეთილი და ხაზგასმული, როგორც თქვენ ამბობთ, მთელის, ანუ თავის ნაწილს რომ წარმოადგენს. თქვენი ლოგიკის თანახმად, ისინი მთელს უნდა ექვემდებარებოდნენ, ანუ გამოკვეთილი არ უნდა იყოს, ფაიუმის პორტრეტებში კი პირიქითაა – უფრო გამომსახველობითი სწორედ თვლებია, ანუ დეტალი.

**ზ.ნ.** – სავსებით სწორია! ფაიუმის პორტრეტებში და, საერთოდ, პორტრეტის ჟანრში თვლებს დომინირებული ადგილი უკავია. ისინი გაცილებით მეტყველია და ერთგვარად ჩვენი დაინტერესების მთავარ საგანს წარმოადგენს, ის კი, რაც ჩვენი ინტერესის მთავარი საგანია, არის მთელი, მთავარი, მნიშვნელოვანი და ასე შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ყოველივე დანარჩენი მეორეხარისხოვნად იქცევა, ასრულებს დამატების ფუნქციას და დანიშნულებას. მეტი სიცხადისთვის: მე მთელს ვუნოდებ ჩემი ინტერესის საგანს. თუ სახლი მაინტერესებს, მაშინ მთლიანი – ეს არის სახლი; ფანჯარა, კარი, კარნიზები – ყოველივე ეს დეტალებია. თუ ფანჯარა მაინტერესებს, მაშინ ფანჯარა იქცევა უმთავრესად, სხვა დანარჩენი კი ერთგვარი დამატებაა. ხოლო, როცა ყველაფერს ერთმანეთის მიყოლებით აღწერენ, ეს უკვე აღარ არის ხელოვნების ენა. ის, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, ერთგვარი ანბანია, გიმნაზიაში ამას დაბალ კლასებში ასწავლიდნენ. პუშკინის ნახატებში ზოგი პროფილი უფრო ძლიერია, ვიდრე პიკასოსთან. სამწუხაროდ, გვინევს დიდი ხნიდან ცნობილი ამბების შესვენება. ნაწილ-ნაწილ აღწერა ერთია, ხოლო სახის, ხატის აღქმა – ეს არის ხელოვნების ენა და იმ მოვლენის დანახვის უნარი, რო-

<sup>1</sup> მიცვალებულთა პორტრეტები, რომლებსაც ძველ ეგვიპტეში სამარხებში ატანდნენ.

მელიც აინტერესებს ხელოვნებას. ეს ხშირად ერევათ და უმეტეს შემთხვევაში ცალკეულ ნაწილებად ხატავენ. შედეგად, მიიღება საგნის აღწერა, რომელიც სიმართლე, რასაკვირველია, მოცემულია, მაგრამ ეს არ გახლავთ ხელოვნების სიმართლე, ეს სინამდვილის სიმართლეა. ჩვენ ვიღებთ ცნობებს ამ საგანზე, მაგრამ არ იქმნება სახეობრიობა, არ იქმნება ხატი. სახე იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა დეტალები მთავარს ექვემდებარება, ანუ, როცა მთელი უფრო გამომსახველობითია, ვიდრე მისივე დეტალი.

უძველესი ადამიანების კლდეზე ამოკვეთილი ნახატები, იმ ადამიანებისა, რომლებსაც არც ანატომია შეუსწავლიათ და არც არანაირ მეცნიერებას არ დაუფლებიან, მშვენიერი ნახატებია, გამომსახველობითი, შთამბეჭდავი. დღემდე ვერაფერს შეძლო, მათზე უკეთესი რამ შეექმნა. რატომ? იმიტომ, რომ ისინი მათ ქმნიდნენ გაუცნობიერებლად, შთაბეჭდილების, დაკვირვების შედეგად და არა საგნის ნაწილ-ნაწილ შესწავლით, თითქოს ამ საგანს აანალიზებდნენ. რასაკვირველია, ბერძნებიც სწავლობდნენ ამ საკითხს, ისინი მოდულებსაც ქმნიდნენ და კანონებსაც და ამის მიუხედავად, მათ არასოდეს არსად არ ჰქონიათ აღწერილობითი რამ, მათი ქმნილებები სახეობრივია. მათი სკოლა, მეთოდოლოგია თავისთავად გულისხმობდა ყოველივეს, ყველა ამ მოდულის გამოყენებას. ანტიკური მსოფლმეგობრება სამყაროს აღიქვამს, როგორც სხეულს. ყოველივე სხეულია – ადამიანიც, კოლონაც, მთაც, მთვარეც. ამიტომაც ესთეტიკაში წამყვანი იყო სკულპტურა, ესე იგი, სწორედ სხეულებრიობა, სხეულის მრავალფეროვნება – აი, ეს გახლავთ ბუნების სახე და მისი შინაარსი.

ახალმა დროებამ ინტერესი გადაიტანა შინაგან სამყაროზე, რომელიც თითქოს ადამიანის სულიერებისა და

ფშვინვიერების ძიების ცენტრად იქცა. როდენმა, მაგალითად, ქანდაკება თითქოს რაღაც უსხეულო გამოსახულებად აქცია, მისმა მიმდევრებმა კი, თითქმის, საერთოდ უარი თქვეს სკულპტურულობისა და სკულპტურის ანტიკურ გაგებაზე. რუსეთში იყო მისი მონაფე გოლუბკინა. მის ნამუშევრებში სხეულებრიობა მინიმუმამდეა დაყვანილი, გაცილებით მეტია ოცნებები, სიზმრები – სამყარო, რომელიც ხელიდან გისხლტება, მიცურავს; ყოველივე საგნობრივი ითქვიფება სივრცეში; ინგრევა სხეულებრივი, რათა გამოიხატოს სულიერება. ყოველივე ამის გადმოცემა გამორჩეულ ნიჭიერებასა და ვირტუოზულ ტექნიკას მოითხოვს.

ყოველივე ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს, რომ როდენი ისეთივე გენიალური არ არის, როგორც მიქელანჯელო. აქ ლაპარაკი არ არის ერთისა თუ მეორის ნიჭიერების ხარისხზე. ჩვენ გვინდა გავიგოთ, რისგან რა გამოვიდა. იმ ხალხს რომ უყურებდა, ვინც მისი ფრესკების კოპირებას ახდენდა, მიქელანჯელომ თქვა: „ვინ იცის, რამდენ ადამიანს აქცევს რეგვენად ეს ჩემი ხელოვნება“. ის გრძნობდა, რომ მისი მიმდევრებისა და ეპიგონების გზა ჩიხით დამთავრდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მიქელანჯელო გვევლინება, ერთი მხრივ, აკადემიზმისა და მეორე მხრივ, მანერიზმის მამამთავრად. ეს გაორება როგორღაც თავიდანვე არსებობს მის ქმნილებებში. იქნებ, სწორედ ეს იქცა მისი მასშტაბურობისა და ტიტანიზმის უძლიერეს იმპულსად და იმავდროულად – დასტურად. იგივე როდენი, ავტორი გენიალური „მოსიარულე ადამიანისა“ და „ბრინჯაოს საუკუნისა“, რომელიც არათუ არ ჩამოუვარდება, არამედ აჭარბებს კიდევ ანტიკურ სახეებს, შემდგომში მიესწრაფვის სხვა სფეროებს – მისი „მშვენიერი ოლმეირი“, მოხუცი, რომელიც ახალგაზრდობაში ულამაზე-

სი იყო, ახლა კი მახინჯად ქცეულა. ეს კია, იქვეა შემოთავაზება – წარმოვიდგინოთ (და შესაბამისად, განვიცადოთ), როგორი ლამაზი იყო ის ახალგაზრდობაში და რალაც ჯადოქრული ძალით ჩვენ თვალწინ ჩნდება მშვენიერი ოლმირი. ანუ ქანდაკების საზღვრები თითქოს ფართოვდება. მნახველი ხედავს არა მარტო იმას, რასაც უყურებს, არამედ იმასაც, რასაც ვერ ხედავს, მაგრამ წარმოიდგენს. შეიძლება, მაგალითად, იმის წარმოდგენა, რომ ის მოქანდაკის სატრფო იყო, რომ ბედნიერი სიყვარული ჰქონდათ ან, პირიქით – რალაც გარემოებათა გამო ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ამაზე რომანის ან მოთხრობის დაწერა შეიძლება. სკულპტურა კი, რითაც ჩვენ დავინწყეთ, თითქოს სადღაც, მეორე რიგში გადადის, ანუ ხდება შეცვლა, უფრო სწორად, ჩანაცვლება ერთი შთაბეჭდილება-განცდისა მეორეთი. განა როდესაც დიდებული მთის ან ლამაზი ბუნების ყურებით ვტკბებით, არ გვიჩნდება სურვილი, წარმოვიდგინოთ, რომ, აი, აქ ოდესღაც ოკეანე იყო და მთელი ეს სილამაზე წყალს ჰქონდა დაფარული, როგორ გამოიყურებოდა ყოველივე წყლის საფარქვეშ და ასე შემდეგ, რა თევზები დაცურავდნენ... რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ყოველივე ეს წარმოიდგინო, მაგრამ ეს უკვე სხვა ოპერედანაა, როგორც ამბობენ, ეს უფრო სამეცნიერო-შემეცნებითი სურათია. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ როდენის შემდეგ მაიოლი და ბურდელი ანტიკურობაში დაბრუნებას შეეცადნენ. ეს იყო სკულპტურის განადგურების ტენდენციაზე გამოვლენილი რეაქცია. ახლა იგივე დაემართა ფერწერასაც და პლასტიკისადმი ისეთი დამოკიდებულება შეიქმნა, თითქოს ყველაფერი უკვე ცნობილია. იმპრესიონისტების შემდეგ, რომლებმაც ადამიანი სივრცეში ფერად ლაქებად განაბნინეს, სეზანი შეეცადა, დაბრუნებოდა

კლასიკას. დროისა და სივრცის არსებობა უკვე ლეონარდოსთან შეიმჩნევა. მისი ზოგიერთი პერსონაჟი როგორღაც ქრება სივრცეში (მისი ცნობილი „სფუმატო“). სულიერების ხაზგასასმელად თითქოს მიმქრალია სხეულებრივი. ანტიკურობაში ყოველივე მშვენიერია, ესთეტიკურია – ამფორაც, თასიც, ლარნაკიც და ქოთნებიც. „ქოთნები ღმერთებს არ გამოუწვავთ“ – ეს არის მოცულობისა და რიტმების იდეალური შეხამება, რომლებიც გვაზიარებენ იდეალურის, სრულყოფილის გაგებას.

**დ.ბ.** – როგორ გადმოსცემდით მოკლედ ფერწერის სპეციფიკას.

**ზ.ნ.** – განმსაზღვრელი, ჩემი აზრით, აქ მასალაა. ზეთის საღებავების შექმნამდე გამოსახატი ნივთის საზღვრები სულ სხვაგვარი იყო, შემდგომში იწყება პლასტიკური გამომსახველობის შესაძლებლობების ზრდა. თუ მოზაიკაში ერთგვარი სქემატურობის არსებობა მასალის თვისებებით არის განპირობებული, ზეთის საღებავებით ფერწერისას თავად საღებავი, ზეთში გაზავებული, გაცილებით პლასტიკურია. აქვს უნარი, შეზავდეს, შეერიოს (რაც არ არის მოზაიკაში) და, შესაბამისად, მივიღოთ ტონების, ნახევარტონების, ვალიორების და სხვათა დიდი ნაირსახეობა. გაჩნდა გაცილებით ზუსტი ნიუანსობრივი ფერწერის შექმნის შესაძლებლობა (ველასკესი), განვითარდა პორტრეტის ჟანრი, ნიუ, ჩნდება ინტერიერი ჰაეროვანი პერსპექტივით (ვერმეერი). „ველასკესი ხატავს ჰაერს“ (ორტეგა ი გასეტი). ეს სიტყვები, თითქოსდა საქებრად ნათქვამი, სიფრთხილისკენ გვიბიძგებს. შემდგომში იმპრესიონისტებმა ჰაერის ხატვის ეს ტენდენცია თითქმის სრულ ხელშესახებობამდე აიყვანეს და თუ ჰაერი ნამდვილია ან ნამდვილს ჰგავს, მაშინ გინდა, რომ ყოველივე დანარჩენიც ნამდვილს ჰგავდეს. აი, ნამდვილისადმი ეს მსგავსება დროთა განმავლობაში იქცა შეფასების

კრიტიკრიუმად, როგორც ამბობენ, მთელი თავისი შედეგებითურთ და სწორედ ეს გახლავთ პლასტიკის სამყარო.

**დ.ბ.** – მაინც რას გულისხმობთ „პლასტიკის სამყაროს“ ცნებაში?

**ზ.ნ.** – პლასტიკის სამყარო – ეს არის ბუნებისა და სინამდვილის ისე აღქმა, როგორც სხეულისა. პლასტიკაა ყველაფერი, რაშიც სიცოცხლე არსებობს. ყველაფერი, რაც ბუნებას შეუქმნია, პლასტიკურია ყოველივე, რაშიც კი სიცოცხლის წვენი გაედინება, სიცოცხლის წვენი კი მიჩქეფს სწორედ ასეთ მილაკებში, არტერიებში, ღეროებში და ასე შემდეგ. ყველა ეს ღერო, მასში რამემ რომ გაიაროს, გარკვეული მოცულობის მქონეა, ანუ ეს ცხოველმყოფელი სიცოცხლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანია. ბრტყელ საგნებში არაფერი მიედინება, არაფერი არ ფეთქავს. ფანერა ან დაფა, ან ფანჯრის მინა ჩემში არანაირ ემოციას არ იწვევს, მაშინ როცა ხის ტანს შეუძლია აგაღელვოს, იქნებ, იმით, რომ მშვენიერი ქალის სხეულს გაგონებს.

**დ.ბ.** – აბა, მატისი? სიბრტყითი ფერწერა? განა ეს მაღალი ხელოვნება არ არის?

**ზ.ნ.** – რასაკვირველია! მაღალი, გენიალური, გასაოცარი, ოღონდ, ჯერ ერთი, ის სულაც არ არის ყოველთვის ასეთი ბრტყელზედაპირიანი, მეორეც – სიცოცხლის პულსაცია ასახულია რიტმების პულსაციაში, ფერთა შეხამებაში, შთამბეჭდავი კონტურით. ყოველივე ეს, გენიალური შესრულებით, გვიქმნის ყოფიერების სრულყოფის განცდას, თუმცა მე პომპეის ფრესკები, სხვათა შორის, საკმაოდ ფერადოვანნი, გაცილებით მეტად მომწონს, როგორღაც ბევრად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, უფრო ზუსტად, პერსონაჟები უფრო საინტერესო, უფრო ღრმაა. მატისთან შედარებით მკვეთრად გამოისახება ლაქებისა და რიტმების ენერგია, პომპეის ნახატებში კი მოცულობისა და მასის ენერგიაა

თავისი მფეთქავი, ცხელი სისხლით. აი, ასეთი სხვაობა გვაქვს.

**დ.ბ.** – თქვენი დამოკიდებულება აბსტრაქტული ფერწერისადმი.

**ზ.ნ.** – უპირველესად, ეს არის რეაქცია, დაპირისპირება აკადემიურისადმი, ყოველგვარი ფსევდოხელოვნების რუტინულობისადმი; ჭეშმარიტებად კი გვევლინება არა მოვლენა, როგორსაც ჩვენ თვალთ აღვიქვამთ, არამედ ამ მოვლენათა სტრუქტურა. თმა კი არ არის რაიმე განსაზღვრული ფერისა, არამედ თავისთავად ფერი ყოველგვარი თმის გარეშე; არა მორბენალი ადამიანი, არამედ ამ სირბილის დინამიკა; არა ჭაბუკი, რომელიც გოგონას ეხვევა, არამედ ლაქების, რიტმების, ფაქტურების ურთიერთშეხამება; ელემენტების ურთიერთდაპირისპირება ან პირიქით – ელემენტების შერწყმა; ანუ აბსტრაქციონისტს სულაც არ სჭირდება არც გოგონა, არც ვაჟი და საერთოდ, არაფერი სჭირდება, თავისუფლებისა და მასალის გარდა (მხედველობაში მაქვს საღებავები, ტილოები და სხვა). ეს არის თავისუფლება ყოველივე ერთგვარად გაფორმებულისგან, ანუ არა შავი შლაპა, არამედ სიშავე; არა კაკადუს ჭრელი ბუმბული, არამედ სიჭრელი.

იგივეა თეატრშიც – არა ბოროტი რიჩარდ III ან ცეზარ ბორჯია, არამედ თავად ბოროტმოქმედება, მისი შენადედი კვინტესენცია, აბსოლუტური ბოროტება. არსებობს ნიღბების ხელოვნება, გროტესკის ხელოვნება, კარიკატურის, პლაკატის და ასე შემდეგ. ყოველივე ეს ერთპლანიანია, ანუ სიბრტყითია. ბრტყელი საგნები, როგორც გითხარით, პირადად ჩემში ძლიერ ემოციებს არ იწვევს. ხოლო, როცა ჩნდება მრავალპლანიანობა, ანუ როდესაც შეიძლება ბოროტმოქმედი ფლობდეს მიმზიდველ თვისებებს, როგორებიცაა: გაბედულება, სიმტკიცე, ხელგამლილობა („ნახევარი სამეფო – ცხენში“), ვნებიანობა – ასეთი ხელოვნების ზე-

მოქმედება, ჩემი აზრით, უფრო ძლიერია, ვიდრე პლაკატისა. პრობლემები არ არის ერთპლანიანობაში, მაგრამ, თუ საქმე გვაქვს რალაცასთან, რაც ასე მარტივი არაა, გაცილებით რთულია, საინტერესო, ღრმა, მაშინ არჩევანი, რომელიც გმირმა უნდა გააკეთოს, სულაც არ გახლავთ იოლი.

**დ.ბ.** – რა შეგიძლიათ გვითხრათ ხელოვანის მიერ თავისი სტილის ძიებაზე?

**ზ.ნ.** – სტილი გამომუშავდება. ის ფიქრის შედეგი არ არის, თავში არ მოგდის. გამოგონილი, მოფიქრებული, კომპილირებული, უკეთეს შემთხვევაში, როგორც ნესი, შობს სტილიზაციას.

ახალი უნდა აღმოცენდეს, როგორც ხარისხი, საუკეთესო ხარისხი, უმაღლესი ხარისხი და არა როგორც რალაც მოფიქრებული, თავში დალაგებული.

სურვილი – არ ჰგავდეს არავის და არაფერს, ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ეგრეთ წოდებული თანამედროვე ხელოვნებისა.

ჩემთან უფრო ახლოსაა ტრადიციულისა და სიახლის შერწყმა. როცა ხეზე ახალი ტოტი გამოდის, ახალი, მაგრამ საკუთარი, საერთო ფესვიდან და არა ისე, რომ, აქაოდა ახალიაო, უკვე რტო კი აღარ არის, არამედ, ვთქვათ, წყალგაყვანილობის მილი. თუმცა, შესაძლოა, ეს ხელსაყრელიც კია – თავის თავს თავადვე მორწყავს.

**დ.ბ.** – თქვენი აზრით, რა როლი და დანიშნულება აკისრია ხელოვნებას?

**ზ.ნ.** – დაახლოებით ისეთივე, რაც მორალს, ოღონდ იქ გამოიმუშავებენ ეთიკურ ორიენტირებს, ხელოვნებაში კი ესთეტიკურს. იქ გვაქვს პასუხი კითხვაზე, რა არის ზნეობრივი და რა უზნეო, აქ კი – რა არის მშვენიერი, ჰარმონიული, სრულყოფილი და რა – უგვანი.

**დ.ბ.** – მაგრამ თითოეულ ადამიანს ხომ სილამაზეზე საკუთარი წარმოდგენა აქვს?

**ზ.ნ.** – თუ აბსოლუტურად საკუთარი წარმოდგენა აქვს და სხვისას არ იზიარებს, ასევე მეორე, მესამეც და ასე შემდეგ ვერ თანხმდებიან, მაშინ ეს რალაც აზრთა აბურდულობაა.

**დ.ბ.** – რითი განსხვავდება მხატვრული აღქმა ჩვეულებრივისგან?

**ზ.ნ.** – რას ეძახით ჩვეულებრივს? კომფორმიზმს? მომხმარებლურ დამოკიდებულებას? სურვილს, მიიღოთ, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება, გამოჩენა და ასე შემდეგ? თუ სწრაფვას სრულყოფილების, იდეალურისკენ? ხელოვანი ან ეგრეთ წოდებული ხელოვნებისკენ მიდრეკილი ნატურები, მოვლენებში მათ ესთეტიკურ მხარეს რომ აღიქვამენ, როგორღაც უფრო მგრძობიარენი, ემოციურები არიან თავიანთ შთაბეჭდილებებში, ესე იგი ეს არჩევანის საკითხია – ერთი ირჩევს ტკბილ ცხოვრებას, მეორე – მარადიულობის პერსპექტივას. ბროდსკიმ, მაგალითად, ეს უკანასკნელი აირჩია, ფიროსმანმაც, გალაკტიონმაც, მანდელშტამმაც, ცვეტაევამაც და მერაბ მამარდაშვილმაც.

ხელოვნება – ის ყველასია და ყველას სჭირდება, მაგრამ ცივილიზაციის განვითარებისდა კვალად – სწორედ ცივილიზაციისა და არა კულტურისა – მოხდა ჩანაცვლება, გაყალბება. გაფართოვდა სამომხმარებლო საქონლის წარმოება, თანაც, რაც მეტად, მით უფრო მაღალია მათი წარმოების დონე და ჩვეულებრივი ადამიანისთვის ეს სრულიად საკმარისია. ამიტომ იდეალურისკენ, მშვენიერებისკენ სწრაფვის ნაცვლად მნიშვნელოვანი ხდება სამომხმარებლო ფასეულობები. საით მიისწრაფვის თანამედროვე ხელოვნება? მალევიჩმა – თანამედროვე ხელოვნების იდეოლოგთა ამ კატეხიზმომ – დასვა წერტილი, უფრო ზუსტად, კვადრატი, თანაც შავი, როცა განაცხადა, რომ ხელოვნებაში არ დევს არანაირი განვითარება. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს ასეც არის. ერთობ გაძლიერდა

შეგრძნება, რომ ადამიანი ყოფიერებაშია მიგდებული და რომ იგი სასრულია და ის, რომ ადამიანი მოკვდავია, მის მსოფლშეგრძნებას ასვამს ანაბეჭდს, დაღს, ანუ უჩინს არყოფნის შიშს. სანამ რელიგიურობის განცდა არსებობდა, იყო რწმენაც ამ „არაფრისგან“ თავდახსნისა. დროთა განმავლობაში ბევრი მცნება იცვლება რაციონალური, ფილოსოფიური წარმოდგენებით, მაგრამ თავად ეს შიში, ეს შფოთვა – რა გველის ბოლოს და ბოლოს – რჩება და, როგორც შედეგი, ჩნდება მუნკის „ყვირილი“, ყვირილი მარტოხელა ადამიანისა, რომელსაც საყრდენი ვერ მოუძებნია. ყველა ამ ყვირილს, გმინვას, მათ შორის ვიდოპლიასოვის გმინვას, გრძნობათა აღრევას, სინდისის ქენჯნას, დანაშაულის გრძნობასა და ასე შემდეგ, ძალიან შორეული კავშირი აქვს ფერწერულ ხელოვნებასთან. კირილოვიც თვითმკვლევლობის აზრამდე მიდის. რატომ? მისთვის ადამიანის მთელი ცხოვრება შიშქვეშ არის მოქცეული: „როგორ შეიძლება მისგან გავთავისუფლდე? როცა განვაცხადებ, რომ სიკვდილისა არ მეშინია, როგორ დავამტკიცო, რომ ამისი არ მეშინია? – თავის მოკვლით“. აი, ასეთი საზარელია კირილოვის ლოგიკა, რომელმაც ტყვია კარადასა და კედელს შორის შეყუყულმა დაიხალა. თუ გავიხსენებთ, როგორ აღწერს ამ სცენას დოსტოევსკი და შევეცდებით, ფერწერაში ან სკულპტურაში გადავიტანოთ გრძნობების, განცდების, ეჭვების, დრამატიზმის, ტრაგიზმის მთელი ეს მრავალფეროვნება, ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდება, რადგან ამას უნდა მოჰყვე, გაშალო დროში. ამისთვის არსებობს ლიტერატურა ან კინო, რომლებიც სა-

უკეთესოდ, გაცილებით მეტი გატაცებით აჩვენებენ ყოველივე ამას, მაგრამ ამგვარი სცენიდან შექმნა ფერწერული ნახატი, ვფიქრობ, უაზრობაა, საჭირო არ არის. რატომ უნდა შეძვრე ისეთ სფეროებში, რომლებშიც შენი შესაძლებლობები გაცილებით მწირია.

**ზ.ნ.** – „კანონის დარღვევა იმას შეუძლია, ვინც მას კარგად იცნობს...“ თქვენ თუ არღვევთ იმ კანონებს, რომლებსაც ფერწერა ეფუძნება?

**დ.ბ.** – ზოგჯერ ფერწერა – ეს არის სწრაფვა, მაგრამ, საჭიროა, გააცნობიერო – რისკენ. სხვაგვარი ფერწერა ჩემთვის გაუგებარია. როცა ამბობენ, რომ სურთ, გამოხატონ საკუთარი თავი, ეს მხოლოდ პირობითი ფრაზაა. ერთხელ ირლანდიელ პოეტს, იეიტსს, ნობელის პრემიის ლაურეატს, მის საპატივსაცემოდ გამართულ საღამოზე ჟურნალისტმა ჰკითხა: „აღბათ, კმაყოფილი ხართ იმით, რომ საკუთარი თავის ასე შესანიშნავად გამოხატვა შეძელით“. ამაზე პოეტმა უპასუხა: „არასოდეს მნდომები საკუთარი თავის გამოხატვა. მე იმისკენ ვისწრაფოდი, რაც ღმერთმა ჩემთვის არ გამოიმეტა“.

**დ.ბ.** – შეგიძლიათ, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე მითხრათ – თუ განგიცდიათ, თუნდაც წამიერად, შეგრძნება იმისა, რომ სასურველი უკვე მიღწეულია.

**ზ.ნ.** – ნამუშევართა უმეტესობა დაუსრულებელია. ზოგიერთი ფრაგმენტი შეიძლება აღინიშნოს, როგორც მეტნაკლებად წარმატებული. რაც შეეხება სასურველის მიღწევას, ამაზე ლაპარაკი, როგორც ამბობენ, ზედმეტია.

*რუსულიდან თარგმნა  
ელზა მეტრეველმა*



მიმოზა კვირიკვია

### „როცა მე მივალ ჩემივე თავთან“

მირიან რჩეულიშვილის მოთხრობის  
„ლედი ინტეგრას“ ინტერპრეტაციისათვის

ძველთაგანვე ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო მინიერი და ზეციერი, ხორციელი და სულიერი სანყისების ურთიერთმიმართება, ხორციელი ვნებისა და სულიერი გრძნობის ურთიერთდამოკიდებულება.

პლატონის „ნადიმში“ გამოხატული ჭვრეტა მშვენიერების იდეისა (რაც, იმავე დროს სიკეთესა და ბედნიერებას ნიშნავს) მხოლოდ ესთეტიკურ მოვლენად კი არ მოიაზრება, არამედ ყოფიერების არსის ონტოლოგიურ თვისებადაც.

ახალგაზრდა მწერლის მირიან რჩეულიშვილის მოთხრობა „ლედი ინტეგრას“ („ლიტერატურული გაზეთი“, 22 აპრილი – 5 მაისი, 2016) უხვად არის ნასაზრდოები მითოსით, თქმულებებით და ლეგენდებით, მაღალი დონის ხორცშესხმაა ამაღლებულის და მშვენიერების იდეისა; ლედი ინტეგრას სიყვარულმა უნდა იხსნას მარად ბრძოლებში ჩაბმული, მიუსაფარი ფრიდრიკი მარტოობისაგან.

მოთხრობის ღირსებას მარტოოდენ მისი მაღალი ესთეტიკური ღირებულება კი არ განსაზღვრავს, არამედ ისიც, რომ მირიან რჩეულიშვილი, როგორც მწერალი, სულში ატარებს ნათელ საზოგადოებრივ იდეალს, დვრიტად რომ უდევს მის შემოქმედებას.

ფრიდრიკის სახე ავლენს მწერლის უნაზეს სულიერ რხევებს, ამაღლებულ

გრძნობათა ქარიშხალს.

თუ ჩაიძირებით მწერლის სამყაროში, თქვენ გაიზიარებთ თანამედროვე პროზის ყველა კომპონენტს, რა თქმა უნდა, მაღალ დონეზე გამოძერწილს. სულ რამდენიმე სტრიქონში თამაშდება მოთხრობის გმირების სულის იდეალური მოძრაობა, ადამიანური ტკივილების ვიბრაციები.

ლედი ინტეგრას – მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, კარმენის ერთგვარი პროტოტიპია – მასში ძლიერია თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თუმცა ფრიდრიკი სულაც არ ჰგავს ხოსეს; ის ცივილიზებული და საკმაოდ ინტელექტუალური პიროვნებაა, შეიძლება ითქვას, იდეალებით მოცულიც კი, რადგან მის შესახებ ისეთივე განსხვავებული შეხედულებები არსებობს, როგორც ქრისტეზე... „ვინ იცის, იქნებ ახალ მინაზე ახალი ღმერთი ვიპოვნეთ“, – ვკითხულობთ ტექსტში, რაც პირდაპირი მინიშნებაა სახარებისეულ ალუზიებზე.

ლედი ინტეგრასათვის ფრიდრიკის პიროვნება უცნობია და ამიტომაც ქცეულა მისი ინტერესის საგნად, რადგან „ქალბატონს არც არასდროს სიამოვნებდა, ახლა კი საერთოდაც ყელში ამოსვლოდა მათ წრეში ყოფნა“ (იგულისხმება მამაკაცების გარემოცვა).

ლედი ინტეგრას, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, ცნობისმოყვარე ქალია,

რომელსაც უკვირს, როგორ შეიძლება კაცს გვარი არ ჰქონდესო... ოფიციალური პირით მწერალი გვამცნობს, რომ „ჩვენ ახალ ქვეყანაში ვართ, ეს ახალი მინაა, ახალი ხალხი, აქ ოდნავ სხვანაირად ცხოვრობენ და განსხვავებული ფასეულობები აქვთ და, მათი აზრით, ფრიდრიკი სახიფათო პიროვნებაა, რადგან არავინ იცის ზუსტად – ვინაა, მკვლელი, გმირი, მეომარი, აფერისტი, წმინდანი, სატანა, ღვთისმგმობელი, ალალ-მართალი თუ გრძნეული ჯადოქარი“.

მოთხრობის მიხედვით, ფრიდრიკი უბრალოდ მხსნელის იპოსტასია, მხსნელი კი ყოველთვის ქრისტესთან ასოცირდება.

ფრიდრიკს თურმე დიდი წვლილი მიუძღვის სანაპიროს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ლედი ინტეგრა კი, როგორც მოთხრობიდან ჩანს, საკმაოდ ჭკვიანი ქალია, რადგან ამბობს: „გაუურკვეველი აუცილებლად საშიშია. კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ერთ ტრადიციას ინარჩუნებს, იმის ეშინიათ, რაც არ ესმით“, – ამ პასაჟით მოთხრობის ავტორი იზიარებს დოსტოევსკის ცნობილ პოზიციას: ადამიანს ყოველთვის ეშინია სიხლის.

მირიან რჩეულიშვილის მოთხრობა ქალისა და მამაკაცის საინტერესო დუეტად იქცევა მას შემდეგ, რაც ლედი ინტეგრა გადაწყვეტს ფრიდრიკთან გასაუბრებას, რომლის შემდეგაც ქალი დარწმუნდება ოფიციალურ ნათქვამის სისწორეში, რომ ფრიდრიკი ისეთი პიროვნებაა, რომელიც ძველ კლიშეებს არღვევს და ახლის დამკვიდრებას ცდილობს.

„მიყურადება არ კმარა, ადამიანის გულისწადილს რომ ჩასწვდე“, – ეუბნება ის ქალს და თავის ფორმულას უზიარებს: „სმენა, მხედველობა, დაკვირვება და აზროვნება – როცა ამათ შევკრებთ, შეიძლება მიმიხვდეთ – თქვენი საუბარი დავინახე“.

ლედი მიხვდა, რომ ფრიდრიკი საინტერესო უნარს ფლობდა და ჰკითხა: „თქვენ ყველა მოსაუბრეს ასე ურთულეობთ საქმეს?“

„მარტივს ნურც ნურაფერს ენდობით“, – კიდევ ერთი შეგონება გაუმხილა ფრიდრიკმა.

მთავარი ისაა, რომ ფრიდრიკის სულის დრამა ომის ტრაგიკული მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა, რამაც გამოცდილება შესძინა, მაგრამ ვერ გააბოროტა, რადგან, ფაუსტისაგან განსხვავებით, გარიგება არ დაუდვია ეშმაკთან, ირაციონალურ ძალასთან, თუმცა ბევრ ზებუნებრივ უნარს ფლობს, მათ შორის ნათელხილვისა და ლევიტაციის ნიჭს.

მოთხრობის სიუჟეტური განვითარება თანდათან მეტ იდუმალებას იძენს და მკითხველს ახალ-ახალი კოდები ელოდება, თუნდაც ასეთი: „საუბარი შეწყვიტეს, მაგრამ სიჩუმე არ ჩამოვარდნილა. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ თვალებში და ძალიან ბევრს იგებდნენ“.

თუმცა ინტეგრამ მისი სამოსის შეცვლა გადაწყვიტა და ფრიდრიკიც დაჰყვა მის ნებას, მაგრამ ქალი მიხვდა, რომ ფრიდრიკი სამოსმა ვერ შეცვალა; „თუმცა ფრიდრიკს სრულიადაც არ ეშინოდა ცვლილების, მაგრამ ის მხოლოდ საკუთარს თუ გაჰყვალავდა და არავითარ შემთხვევაში გაჰყვებოდა სხვისას“.

მოთხრობაში მოცემული ერთ-ერთი სიმბოლო – ფრიდრიკის ჯიბიდან ამოღებული კარტი მის ქვეცნობიერზე მინიშნებაა, რაც ქალმა უნდა ამოხსნას:

„თუმცა ყოველთვის ძნელი იყო ფრიდრიკის ნათქვამში ჭეშმარიტების, ტყუილის, დაცინვის, სიხარულისა და აღფრთოვანების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ამ კაცს თითქოს ერთდროულად უხაროდა და ეცოდებოდა ყოველივე მის გარშემო“.

ფრიდრიკი საინტერესო ადამიანია,

მისი მსგავსი ინტეგრას მანამდე არ ენახა, ამიტომაც მიენდო ასე, დაივიწყა წარსული და მხოლოდ აწმყოთი არსებობას მიეჩვია.

მირიან რჩეულიშვილის მოთხრობა სიმბოლოებით დახუნძლული ნაწარმოებია. აი, ერთ-ერთი მათგანი. ტექსტში ვკითხულობთ: „ქობს ფანჯრები არ ჰქონდა“, რაც მინიშნება უნდა იყოს იმისა, რომ ყოფა მარადი, უსასრულო და უძრავია, რომ ნებისმიერი ცვლილება, ნებისმიერი მოძრაობა სხვა არაფერია, თუ არა ილუზია (პარმენიდეს თეორია). თანაც ქობი ჩაკეტილი სივრცეა, მის შიგნით ყველაფერი დაფარულია, მაგრამ, კარს თუ გავხსნით, თავს დავაღწევთ ქობის გავლენას; ასეა ადამიანის ბუნებაც: თუ ის ყოველგვარი პირობითობისაგან თავისუფალია, მას შეუძლია გაარღვიოს მოწაღოებული წრე...

ქალისა და მამაკაცის (ინტეგრასა და ფრიდრიკის) ეროტიკული სცენა უნდა აღვიქვათ, როგორც პლატონისეული თეორიის მხატვრული დადასტურება, რომლის თანახმადაც, ისინი ერთ მთლიანობად იქცევიან. ინტეგრა თითქოს რაღაც სიზმარში გადადის, სადაც დროისა და სივრცის განზომილება არაფრად ფასობს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს სიზმარი აშკარა ანარეკლია ქალის წინა ცხოვრებისა: „მხოლოდ ბავშვობაში რომ ბოშების სიმღერა გაეგონა, იმგვარ მელოდიას აყურადებდა“. რაც მიუთითებს იმაზეც, რომ მწერლის გმირები რეინკარნაციის თეორიას იცნობენ და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ინტეგრას სიზმარშიც თან სდევს ფრიდრიკის აჩრდილი. ის ყველგანმყოფია, ყოვლისმომცველობა რაღაც ღვთაებრივი თვისებებისაკენ მიგვიითითებს; გამოდის, ფრიდრიკი ჩვეულებრივი ადამიანი არ არის. ინტეგრა მასთან ერთად დადის უსასრულო სიზმრების უკიდევანო სამყაროში.

როცა ინტეგრამ ჰკითხა, იმ ალის-

ფერ ვარსკვლავებს ზემოთ რა არისო, ფრიდრიკს ცრემლი მოადგა თვალზე: „ვარსკვლავებს ზემოთ ოცნებებია“. ეს დიალოგი საოცრად ჰგავს ეგზიუპერის პატარა უფლისწულისა და მელიის საუბარს... უფლისწულიც ხომ იმ პლანეტიდან იყო, რომელზეც ფრიდრიკი ცხოვრობს და ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ეს სიკეთის პლანეტაა.

მოთხრობაში საინტერესო ფორმით არის მოცემული ინტეგრას კიდევ ერთი სიზმარი. ფრიდრიკის არყოფნისას ინტეგრამ დრო იხელთა და აფრინდა, ვარსკვლავებს ზემოთ მოექცა, ფრიდრიკის უცნაური კარტები გაახსენდა, თითქოს შორს იყვნენ, თითქოს ახლო, თითქოს გარშემო და თანაც არსად, ისევე როგორც ფრიდრიკი.

ტექსტიდან ჩანს, რომ მას ფრიდრიკმა აპოკალიფსური სიზმარი მოუვლინა.

„ამწვანებული მდელო გაშავდა, მერე დაიფერფლა, თავზარდაცემული თითქოს დაიბზარა და დანარჩენ სამყაროსთან ერთად ნამტვრევებად იქცა“.

ამ სიზმრის შემდეგ ინტეგრა ცდილობს, ფრიდრიკს გაექცეს, რადგან ფიქრობს, რომ არასწორად ამოიცნო ფრიდრიკი და მას ბოროტ გრძნეულს უწოდებს, მაგრამ ფრიდრიკი გააცამტვერებს ინტეგრას მიერ გამოტანილ მცდარ დასკვნას და ეუბნება: „ხედავ, ადამიანი ვარ“.

ლედი ინტეგრა ობიექტურად ვერ აღიქვამს რეალობას, მირაჟისა და ილუზიების ტყვეობაში იმყოფება; მას უყვარს ფრიდრიკი, მაგრამ, ამავე დროს, იტანჯება კიდევ, რადგან მიწიერიდან თავდახსნილი სული ზეიმობს ხორცზე. „სადაც ილუზორული ფერადოვნებიდან შიშვლდება მაცდური რეალობა“.

ნამდვილ ომზე უარესი ომი დღემდე გრძელდება – ფრიდრიკის ენით გვეუბნება ავტორი და მიგვანიშნებს, რომ ეს ომი ღვთისა და დაცემული ანგელოზის, ლუციფერის ომია, მარადიული და უსასრულო...

„იქნებ ეს იყო ყველაზე რთული ომი ბედთან შეგუებისა, ფრიდრიკი გაჩენის დღიდან საკუთარი თავისუფლებისათვის იბრძოდა“.

მოთხრობის ავტორი იმასაც გვიმტკიცებს, რომ ადამიანის ყველაზე რთული ომი თავის თავთან ბრძოლაა: „იქნებ ფრიდრიკი მთელი ცხოვრება თავის უძლეველ ფრთებს თვითონვე იჭამდა, რომ ერისკაცად დარჩენილიყო, რაკი მათ შორის სწაღდა ცხოვრება; იქნებ უნდოდა ცოტა იქაური უბრალო ადამიანებისათვის ჩამოეტანა მიწაზე, ან იქნებ ეს ყველაფერი ერთად ტრიალებდა ამ კაცის სულსა და გონებაში და მისი ომი არასოდეს დამთავრდებოდა, რადგან არც არასოდეს დაწყებულა და მასთან ერთად უსასრულოობაში იყო გატყორცნილი“.

ღვთიური და ადამიანური ბუნების გამიჯვნა იკითხება ინტეგრას სიტყვებშიც: „ნუ გეშინია მარტოობის, მე უნდა ნავიდე, მაგრამ დავბრუნდები, ისევე როგორც შენ ბრუნდებოდი ყოველ საღამოს. შენში ბევრია საშიში, მაგრამ მე სიყვარული ვარჩიე, ამ არჩევანის უფლება რომ მომეცი, მაშინ დავინახე ის კეთილშობილება, რომელსაც ათასები აშტერდებიან და მხოლოდ ერთეულები ხედავენ“.

ეს ხომ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაა, იმედის ხმა! ტანჯვის გზით – სიხარულისაკენ! ფრიდრიკს პირადმა ჭირ-ვარამმა ვერ შეუცვალა შეხედულება ცხოვრებაზე, პირადი ხვედრი, ასე ვთქვათ, კერძო მოვლენად დარჩა.

ამიტომაც გაუგო ინტეგრას, რომ „ქალი ვერ აიტანდა არტახებს, რომ მაინც ვერ იქნებოდა ერთ რამეს მიჯაჭვული, იქნებ ინტეგრა ამით ჰგავდა სანაპიროს ხალხს და ამიტომაც შეუყვარდა... ფრიდრიკი კი მიხვდა, რომ თავისი ნადილის ასასრულებლად საყოველთაო თავისუფლება იყო საჭირო“.

ძალიან სიმბოლურია მოთხრობის ფინალიც: „გზაში მართალია არ საუბრობ-

დნენ, მაგრამ სიჩუმე არ ჩამოვარდნილა, ერთმანეთის გულისცემას გრძნობდნენ და ძალიან ბევრს იგებდნენ“.

ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანის გულში ღმერთია და მისი ესმის.

ასეთია ნანარმოების მასალა, მის ფორმაზე კი ქვემოთ მოგახსენებთ რამდენიმე სიტყვას.

„მხატვრული ნანარმოები უმეტესად ცოცხლობს თავისი ფორმით და არა მასალით“ (ხოსე ორტეგა ი გასეტი).

თუმცა მირიან რჩეულიშვილის მოთხრობა ამ მხრივ ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულ ერთობას წარმოადგენს. ის იღუმალება, რაც ნანარმოებში მწერალმა საოცარი ფორმით ჩადო, როგორც ჰენრი ჯეიმსი ამბობს, „რეალობა ფორმათა მირიადებშია განსახოვნებული და თუ შთაგონება მზადაა ფანტაზიისათვის, იგი თვითონვე თავის თავში შეისრუტავს ცხოვრების ყველაზე სუსტ მინიშნებებს და ამ ჰაერის რხევებს ზემთაგონებად აქცევს“.

ამ მხრივ ახალგაზრდა მწერლის ნანარმოების გმირები მიხეილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ პერსონაჟებს მოგვაგონებენ: ლედი ინტეგრა მარგარიტას, ფრიდრიკი – ვოლანდს, თუმცა ეს არის მხოლოდ გარეგნული მხარე – ალუზია და რემინისცენცია, შინაგანი ხილვებით კი ისინი მკვეთრად განსხვავებულია, რადგან წარმოადგენენ სამყაროსთან დამოკიდებულების ნოვატორულ კონსტრუქციას.

მოთხრობა მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს და ამავე დროს, ბადებს ამაღლებულ გრძნობას; არის ამ ნანარმოებში ბევრი რამ ეგზოტიკური, მძაფრი, არც ლექსიკის ორიგინალური იმპროვიზაციაა უცხო ახალგაზრდა მწერლისათვის.

და მაინც, თვით ეს ქვეცნობიერი ნაკადი, რომელსაც მიმართავს პროზაიკოსი, არის ნიმუში მისი ფრიად შთაბეჭდავი ნიჭისა, რადგან მირიან რჩეუ-

ლიშვილი ისეთი შემოქმედია, რომელსაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მწერლის ნამდვილი ფუნქცია – ტანჯული სულის გამოთავისუფლება.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ხომ გამოთხოვებაა საკუთარ ნიღბებთან. ეზრა პაუნდის ეს რეცეფცია მირიან რჩეულიშვილის მოთხრობაზეც ვრცელდება... რადგან ახალგაზრდა მწერლის მხატვრული აზროვნება, მისი სტილი სწორედ ამ კუთხით ვლინდება. ეს არის არა უბრალოდ მითოლოგიური სიუჟეტების განმეორება, არამედ მათი ტრანსფორმაცია, „გათამაშება“ მითისა სრულიად სხვა ადგილსა და დროში ახალი ესთეტიკისა და იდეოლოგიის დამკვიდრებით.

მირიან რჩეულიშვილის მოთხრობა პოეზიით არის გაცისკროვნებული და ერთობ არისტოკრატიულია, არტისტიზმით სავსე; მას არ ახასიათებს ამქვეყნიური „შხამით“ გაჟღენთილი ნიჰილიზმი, მისი სენტიმენტალური განცდებიც ბუნებრივი და უშუალოა.

„განვიცდი სევდას ჩემივე თავის მიმართ, ვიცი გზა ჯერ შორია, თუმცა მწვერვალი ჩემი ოცნებისა ის დღე იქნება, როცა მე მივალ ჩემივე თავთან“, – წერს რილკე „ფლორენციულ დღიურებში“.

მირიან რჩეულიშვილის მოთხრობის გმირებიც ხომ საკუთარი თავის ძიებით არიან ინსპირირებულნი, იქნებ ამიტომაც არის მისი ნაწარმოების არქეტიპში მარტოობისა და მსოფლიო სევდის გამომხატველი იდეები, პიროვნული თავისუფლების სულისკვეთება გიბიძგებს ქმედებისაკენ და არა უბრალოდ ესთეტიკური განცდისაკენ.

მხოლოდ ამ კუთხით შეიძლება მირიან რჩეულიშვილის მოთხრობის მედიტაციური ტექსტის შეფასება, გამორჩეული მხატვრული სახეებითა და ინტელექტით, კონტრაპუნქტებით აღბეჭდილი შთამბეჭდავი „სამოსელით“ – რაც ნაწარმოების ფორმალურ მხარეს წარმოადგენს.

## მანანა ჩიტიშვილი



### სიტყვა მეგობარ პოეტზე

*ცოტა ხნის წინ საქართველოს რადიოს პირველი არხის რედაქციამ „ჩვენი საგანძური“ (რედაქტორი და წამყვანი ვანო ჯაფარიძე) გადაცემა მოამზადა ბალათერ არაბულის ბოლო დროს გამოცემულ წიგნზე „ხევსურული საგა“.*

*გადაცემაში მონაწილეობდა პოეტი მანანა ჩიტიშვილი. ქალბატონი მანანას ექსპრომტად წარმოთქმული სიტყვა არა მარტო მეგობრის წიგნის შეფასებაა, არამედ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, გამჟღავნებულია მისი დამოკიდებულება პოეზიის მიმართ. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ეთერში გაბნეული ფრაზებისთვის ბეჭდური სახე მიგვეცა.*

მინდა, ცოტა შორიდან დავიწყო. მე და ბალათერ არაბული ერთი პოეტური თაობის წარმომადგენლები ვართ. ჩვენ პირობითად 80-იანელებს გვეძახიან. მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ისეთ პერიოდში მოგვიხდა ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყება, როცა ქართული მწერლობის უბრწყინვალესი კოჰორტა (განსაკუთრებით პოეზიის) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჯერ კიდევ მოქმედი იყო. სულ რამდენიმე სახელიც რომ დავასახელო: შოთა ნიშნიანიძე, ანა კალანდაძე, ოთარ ქილაძე, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი და სხვები. მაპატიონ 60-იანელებმა, ყველას ჩამოთვლა ძნელია. ძალიან რთული იყო მათ გვერდით ადგილის დაკავება და სახელის დამკვიდრება. მიხარია, რომ ჩემთვის ბალათერ არაბული დღეს და გუშინ არ აღმოჩენილა, როგორც პოეტი. ჩვენ ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ, ვიცით, ვინ როგორი პოეტია

– ერთმანეთს ვკითხულობდით. გარდა იმისა, რომ ბალათერ არაბული თავისი პოეზიით თავიდანვე იყო გამორჩეული, ლიტერატურული მოღვაწეობითაც იყო განსაკუთრებული. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრ ჩვენს თაობელსა თუ ჩვენ შემდგომ მოსულ ახალბედა პოეტს „ცისკარში“, „ნობათსა“ თუ სხვა ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ის მოღვაწეობდა და დღესაც ასეა, ვიცი, რომ ყოვლად უანგაროდ, ყოვლად პატიოსნად, არაერთ ლიტერატორს დაუდგა მხარში და დაეხმარა. დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ასე იქნება, ყოველთვის გაუკვალავს გზას ახალგაზრდას, თუკი შეამჩნევს, რომ მართლაც ნიჭიერია.


60-70-იან წლებში მთიდან ჩამოვიდა თითქმის მთელი თაობა, მაგალითად: მამუკა ნიკლაური, დათო მჭედლური, თედო ბექიშვილი, ბესიკ ხარანაული... რომელთაც მთის პრობლემები მოიტანეს.

მაშინ უკვე დაწყებული იყო ხევსურეთის მიგრაცია და ბუნებრივია, რომ ეს პოეტები გვერდს ვერ აუვლიდნენ ამ პრობლემას. ერთ-ერთი მათგანი იყო ბალათერ არაბული, რომელსაც, როგორც ამ კრებულიდანაც ჩანს, რაღაცნაირად გაუნელებელ ცეცხლად გამოჰყვა დღემდე ეს საწუხარი. როდესაც ჩემი ქსნის ხეობაც დაიცალა და ჩემთვისაც ეს პრობლემა უმწვავესი გახდა დღეს, რომ იქ მხოლოდ ჩვენი წინაპრების საფლავები კი არ დარჩა, არამედ იმ სასაფლაოზე

ანდრეზები ერთგვარი ცდაა, იმის მცდელობაა, რომ გაცოცხლდეს ის ყველაფერი, რაც იმ სასაფლაოზე, ანუ საქართველოს წარსულში ძევს.

ეს წიგნი მრავალფეროვანია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ბალათერ არაბულს ეხერხება, როგორც რითმიანი, ისე თეთრი, თავისუფალი ლექსის წერა და შესანიშნავადაც გამოსდის. ასე მგონია, რომ მთავარი პოეტური აზროვნებაა, მთავარი სათქმელია, რომელიც შემდეგ თვითონ კარნახობს ფორმას. ძალიან ბევ-

რი თეთრი ლექსის ავტორი ვიცი, რომელთაც რითმიანი ლექსი არ გამოსდით, ვერ გამოსდით, იმიტომ, რომ ჯერ რითმიან ლექსს უნდა დაეუფლო სათანადო სიღრმეზე, თუ გინდა, რომ მერე გამო-



მათთან ერთად დასაფლავდა ის ლექსიკა თუ ტრადიციები, რომლებიც იქ იყო. ძალიან მტკივა გული, რომ დღეს, ამ ოკუპაციის შედეგად, შიდა ქართლის ქართლურს მოსპობის საფრთხე დაემუქრა. ეს ყველაზე მძიმე დანაკარგია, რომელსაც ვერასდროს ველარ აღიდგენ. ბალათერ არაბულის იმ ლექსშიც, რომელიც ერთგვარი დატირებაა მანმოსი და მისი ტრადიციებისა, სწორედ ამას ეხედავ. პოეტი დასტირის არა მარტო გარდაცვლილ თანასოფლელებს, ამის გამო სამძიმარს ეუბნება თავის ბიძამვილებს, მთელ ხევსურეთსა და სრულიად საქართველოს.

მე ვფიქრობ, რომ ხევსურული

გივიდეს აი, თუნდაც ისეთი ლექსები, როგორებიც „ხევსურულ საგაშია“ შესული. მე არ ვილაპარაკებ ლირიკულ ლექსებზე, რომლებსაც მეც და ქართველი მკითხველიც შეჩვეული ვიყავით ბალათერ არაბულისგან. მე მინდა შევჩერდე ციკლზე – „ხევსურეთს ამბად ნათქვამი“ – იმ ანდრეზებზე, რომლებშიც ხევსურული თქმულებებია მოქცეული. ამის შესახებ მართებულად ამბობს წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ვანო ამირხანაშვილი, რომ, როგორც თემატურად, ისე ფორმის მხრივ ეს ექსპერიმენტი ჩაატარა ბალათერ არაბულმა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ექსპერიმენტი შედგა. ენა მწერლის უმთავრესი საყრდენია და,

მიმაჩნია, რომ ამ ლექსების წარმატებაც უფრო ენობრივი მხრით განისაზღვრება. ეს ამბები, ანდრეზები, შესაძლებელია, ჩვენ მანამდეც გვექონდა გაგონილი. მე, მაგალითად, ძალიან ბევრი ვიცოდი ამის შესახებ, მაგრამ ეს თემატიკა პოეზიაში პირველად სწორედ ბალათერმა შემოიტანა. თანამედროვედ მოყოლილი ანდრეზები, ვიყოთ გულახდილნი, არ იწვევდა ისეთ მძაფრ ემოციას, იმ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, როგორც ეს შეძლო ხევსურული დიალექტით გადმოცემამ. მაგალითად მოვიყვან ერთ ლექსს – „მოსისხლეები“, რომელიც მოსმენილი მაქვს ლექსო ჭინჭარაულისგან. ეს არის მისი წინაპრის ამბავი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, როცა ბატონი ლექსო ამას მიყვებოდა, თან თანამედროვე ქართულით, იმას არ დაუტოვებია ისეთი მძაფრი შეგრძნება, ისეთი მძაფრი ემოცია, როგორც ამ ფორმით გადმოცემულმა ლექსმა დატოვა. ერთი რამეც მინდა ვთქვა: ბოლო დროს რატომღაც მთის რეგიონიდან მოსულ პოეტებში ძალიან ზედმეტად შეიმჩნევა დიალექტის მოძალეობა. მე არა ვარ წინააღმდეგი იმისა, რომ დიალექტი იყოს, შემოვიდეს მწერლობაში, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ლიტერატურული ქართულის ხარჯზე. ეს უნდა იყოს სათქმელით გაპირობებული. ბალათერ არაბულის სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ აბსოლუტურად არაფერი გეწოთირება ლექსში, არ გეპირობება ენაც კი. ჯერ ერთი, გრძნობ, რომ ავტორმა შესანიშნავად იცის ეს დიალექტი და ის სისხლში აქვს გამჯდარი; ძალიან ბუნებრივად გიყვება, არაფერი არ არის ხელოვნური. ავტორის არაჩვეულებრივ მიგნებად მიმაჩნია პოეზიაში დიალექტით გადმოცემული ანდრეზები და ამი სახით ემოციური მუხტისა და სიმძაფრის გააათმაგება. ძალიან კარგად არის შერჩეული თვითონ ანდრეზები, თემატურადაც მრავალფეროვანია: აქ არის ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი ადამიანების ცხოვრების გარკვეული მონაკვეთები,

როცა ისინი ზეადამიანურ თვისებებს ამჟღავნებენ. მაგალითად, ეს არის თორღვას ამბავი, რომელსაც ქისტების მოსისხლე მეგობარმა, მისი გვარი რომ არ ამოწყვეტილიყო, ერთადერთი შვილი მიაბარა; როცა ქისტები იგებენ ამ ამბავს და მოდიან ბავშვის წასაყვანად, თორღვა თავისი სამი შვილიდან მტერს ერთ-ერთ შვილს აძლევს, მეგობრის შვილის ნაცვლად, იმიტომ რომ ვაჟკაცის სიტყვა, მეგობრობა, პატიოსნება გაცილებით ღირებულია მისთვის, გაცილებით მაღლა დგას. აი, ასეთი ადამიანებით არის მთელი ეს ანდრეზები დასახლებული. მინდა ის ლექსი, – „მოსისხლეები“ – გამოვიყვანო, რომლის ფაბულაზეც ლექსო ჭინჭარაულიც მიყვებოდა. ეს არ არის ექსტრემალური სიტუაცია. ლექსი-ამბავი თითქოს მშვიდად მიდის, მაგრამ ის განსაკუთრებული თვისება ადამიანისა, ვაჟკაცისა, როცა მოსისხლეშიც ღირსება და ვაჟკაცი უნდა დააფასო. მე, მაგალითად, როდესაც ბალათერის ეს ანდრეზები წავიკითხე, უკვე აღარაფერი გამკვირვებია – აღარც ალუდა გამკვირვებია, აღარც ჯოყოლა გამკვირვებია, იმიტომ რომ ეს სისხლშია და საუკუნეებით მოდის, ტრადიციებით მოდის:

*...შატილივინების კაც ჰყოლივას  
ლილველებს მაკლული  
და შინშის სისხლის ასალებად  
ლეკო ქისტეთს მარტუა წასულ...  
და მთელ აულში გამორჩეულ  
მოსისხლის სახლს მისდგომივ  
ლამით...  
ბანზე მძინარ გაუკოჭავის  
და ფეხშიშველა წინ წამაუგდავ...*

*ქვა-ლორღზე მავალს  
ფეხისგულეზ გადასტყავებივ  
და სისხლმდინარს კოჭლობით  
უვლავ...  
შასცოდებივ მოსისხლე ლეკოს:  
– ვაჟკაცს ღირსება ელახებისავ!  
გაუხდავ თავის ქალამნები*

და იმისად ჩაუცმევავის...  
აეგრ მასულან დილისპირს შატილ,-  
ლეკო - ფეხშიშველი,  
იმის მტერ კი -  
ქალამნებჩაცმული...

ერთი შეხედვით, ამბავი ძალიან მძაფრი არ არის, მაგრამ სწორედ ლექსიკა სძენს მას სიმძაფრეს და მინდა კიდევ ერთი აღვნიშნო ამ ანდრეზებზე. ძალიან ხშირად ამ თეთრ ლექსებსა და თავისუფალ ლექსებს, რომელთაც ჩვენ ვკითხულობთ, აკლია პოეტურობა და ეს პოეტურობა გენატრულება. თითქოს ეს სიტყვები რიყის ქვებივით არის ჩაყრილი ლექსში და რაღაცნაირად ხრიგინებენ, მარტო ხმაურობენ და სულში არანაირ სილამაზის განცდას, ემოციის განცდას არა ტოვებენ. ბალათერ არაბულთან ყველაფერი პირიქითაა - სიტყვა ამძაფრებს ამბავს, გიტოვებს ძლიერ ემოციას... ეს უკვე ოსტატობაა, როცა შეგიძლია მიაღწიო იდეალურ თანხვედრას ფორმისა და შინაარსისა, როცა პოეტს შეუძლია, ისეთი ფორმა მისცეს შინაარსს, რომელიც თემატურობიდანაც არის გამომდინარე და ამავე დროს არის ძალიან პოეტურიც:

...კაცთ-კითხულ კაც ყოფილ  
გოგოთური,  
ყველას მეგზური და მეანდრეზე,  
ხევსურთაზე მეტი სიმტკიცით,  
პურადობით,  
პირდაპირობით,  
გვარის, ოჯახის  
და ჯვარ-ხატის წესების დაცვით...

დრო-ჟამის შაცვლით შანუხებულს  
ლექსებ უნერავ:

დროება გამაიცვალა,


ჟამნი მაიქცნეს სხვაზედა,  
ვინა-ლ ჩახედავს ფრანგულსა,  
ვინა-ლ დაშინჯავს ფხაზედა?  
სამკლავ-საფუხართ ვინ ღნახავს,  
ხალხი რო ისხდას სმაზედა?  
ქურდობ-ბოზობის მოქმედსა  
იქავ დაისმენ ჯარზედა,  
ალარც ვინ მოსჭრის კალთასა,  
არც ვინ გაუვა ბანზედა...

და აი, ასე ლამაზად მიდის მერე და კიდევ ყველაზე მეტად მომეწონა ეს ლექსი:

...შვიდ შვილი ჰყავდა ბენინურას,  
შვიდი ვაჟკაცი,  
მტრის და მოკეთის შნოზე  
დამხვედრი,  
სოფლის და კუთხის შვიდი იმედი...  
შვიდი ხმალ-ხანჯრით მეტი იყო  
თემის ლაშქარი...  
შვიდი ულაყი ლაგამს ხრავდა  
მტერზე მისვლისას,  
შვიდი ლამაზი ყვავილობდა  
იმათ მკლავებზე...  
...  
შვიდნივ წავიდნენ...  
შვიდნივ მზეს გაჰყვნენ...  
შვიდჯერ მთოვარე მიილია  
ბოროლას თავზე;  
სიკვდილმა შვიდჯერ შეიარა  
ბენინურასთან,  
შვიდჯერ ატირდა სოფლის  
ქალ-ზალი,  
შვიდი დაობლდა მშვილდ-ისარი,  
აბჯარ-საჭური...  
და შვიდ სულის ცხენს მოუკაზმეს  
შვიდჯერ ფაფარი...

მინდა, მაგლობა ვუთხრა მეგობარ პოეტს ამ ლექსებისთვის და ამ წიგნისთვის, იმ ემოციისთვის, იმ ემოციური მუხტისთვის, რომელიც ჩვენამდე, მკითხველამდე, მოიტანა.

ლევან ბრეგაძე



## მუხრან მაჭავარიანის სიაზმეზიანი მინიატურები

პოეტური მინიატურა არც ქართული ფოლკლორისა და არც კლასიკური ქართული პოეზიისთვის უცხო არ არის, მაგრამ გამორჩეული ამაგი ლექსის ამ სახეობას მუხრან მაჭავარიანმა დასდო (ანა კალანდაძესთან ერთად). მის ხელში პოეტური მინიატურა მარგინალური ჟანრიდან პოეტური გამოსახვის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმად იქცა. მუხრან მაჭავარიანის უაღრესად თვითმყოფადი შემოქმედების ერთ მოზრდილ ნაწილს სწორედ პოეტური მინიატურები შეადგენს. ის იმთავითვე ამ ჟანრის დიდოსტატად მოგვევლინა. ასეთ ლექსებში რამდენიმე სტრიქონით, მინიმალური მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით იგი შთამბეჭდავ მხატვრულ ეფექტს აღწევს, მცირე „ტერიტორიაზე“ ვრცელი და ღრმა სათქმელის კონცენტრაციას ახერხებს პოეტური სიტყვის ვირტუოზულად ფლობის და, რაც მთავარია, ორიგინალური პოეტური ხედვის მეოხებით.

ა. კვიატკოვსკის „პოეტიკურ ლექსიკონში“ პოეტური მინიატურა ასეა დახასიათებული: „ლირიკის უძნელესი ფორმა, მხოლოდ დიდი ოსტატებისთვის ხელმისაწვდომი. მინიატურისთვის დამახასიათებელია ღრმა შინაარსი და უზადოდ გამოჩარხული ფორმა“.

მიუხედავად მცირე მოცულობისა, „მაღალი სინჯის“ პოეტურ მინიატურაში „არსებობს შინაგანი კონფლიქტი, რომელიც მას თავისი ენერგიით კვებავს“ (ვ. გუბაილოვსკი). სწორედ ამ ნიშან-თვისებებით გამოირჩევა მუხრან მაჭავარიანის პოეტური მინიატურები, უახლესი ქართული პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შენაძენი.

ზოგიერთი მისი მინიატურული ლექსი კლასიკური ეპიგრამის მანერით არის შესრულებული. მათ დიდ მომხიბვლელობას სძენს ზოგჯერ ფარული, ზოგჯერ აშკარად გამოხატული დახვეწილი იუმორი:

*გუშინ ნატრობდა ვინც დაფნის  
გვირგვინს, –*

*დღეს ბრძნად ცნობილი კაცია იგი.*

*გაცხარებული დავაა როცა,*

*აზრის თამამად გამოთქმა უჭირს...*

*დღეს საკუთარი სახელი ბოჭავს,*

*უსახელობა ბოჭავდა უწინ.*

რა ზუსტად და ოსტატურად არის დახასიათებული ადამიანთა ერთი, სამწუხაროდ, მეტად გავრცელებული ტიპი –

ტიპი კონფორმისტისა, რომელსაც თავის გასამართლებელი მიზეზები არასოდეს გამოეღევა.

ფილოსოფიურად თუ მიუზღვრებით, საგულისხმეო აქ ის არის, რომ რადიკალურად დაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი მიზეზები ერთსა და იმავე შედეგს იწვევს, რაც პარადოქსია, უცნაურობაა და... თანაც ერთობ სახალისო რამ – ილუსტრაცია იმისა, რომ, როგორც ძველთაგანვე შენიშნა დაკვირვებულმა ხალხმა, დაპირისპირებულიობანი ერთმანეთს ემთხვევიან.

ფორმის მხრივ კი ყურადღებას იქცევს ბოლო ორ ტაეპში გამოყენებული უძველესი და ერთობ შთამბეჭდავი რიტორიკული ფიგურა **ხიაზმი**. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული ასოს სახელწოდებიდან „ხი“, რომელიც გრაფიკულად ორ გადაჯვარედინებულ ხაზს წარმოადგენს – ჯ. ამ დროს ჯვრისებურად იცვლება ელემენტთა თანმიმდევრობა სიტყვათა ორ პარალელურ რიგში, წინა ფრაზა მომდევნოში თითქოს სარკისებურად ანუ შებრუნებულად აირეკლება (ჯვარი მაშინ გამოდის, როცა ხიაზმის მეორე ნაწილს პირველის ქვეშ მოვათავსებთ და ერთნაირ ელემენტებს წარმოსახული ან რეალური ხაზებით შევაერთებთ ერთმანეთს). აი ამისი მაგალითი მუხრან მაჭავარიანის სხვა ლექსიდან („იმ დროს“): **„ყველაში მე ვარ / და ჩემშია იმ დროს სუყველა“**, კაცობრიობასთან, ზოგჯერ მთელ უნივერსუმთან შერწყმულობის გამომხატველი ფორმულა, რომელიც ფიოდორ ტიუტჩევის ლექსშიც გვხვდება [„Всѣ во мнѣ, и я во всѣм!..“], ინდოელ სუფისტ ფილოსოფოს ჰაზრატ ინაიატ ხანთანაც<sup>1</sup> და სხვ.). ხიაზმს ხშირად მიმართავენ ანტითეზური გამონათქვ-

ამების ფორმულირებისას, თუმცა სხვა შემთხვევებშიც ერთობ ეფექტურად გამოიყენება – **ადლიერებს გამონათქვამის ზემოქმედებას და კრისტალურობას ანიჭებს პროზაულ ფრაზას, სალექსო ტაეპსა თუ სტროფს.**

ვნახოთ ხიაზმის მაგალითი კლასიკური ქართული პოეზიიდან, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ჩემთ მეგობართ“ ეს სტრიქონები გავიხსენოთ:

*სასაცილოა, ბერიკაცი რომ*

*ყმანვილობდეს,*

*და საბრალოა, როს ჭაბუკი*

*ბერიკაცობდეს.*

მუხრან მაჭავარიანის ზემოთ მოყვანილი ლექსის დასკვნით ორ ტაეპში დროის გარემოება და შემასმენელი ცვლიან ადგილებს („დღეს... ბოჭავს“ / „ბოჭავდა უწინ“). ერთ უცხოურ ლიტერატურათმცოდნეობით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ელემენტების გადაჯვარედინებისა და რიტმული გაძლიერების მეშვეობით, რაც ხიაზმის შედეგად წარმოიქმნება, შესაძლოა მიღწეულ იქნეს განსაკუთრებული ძალის მქონე ზემოქმედება“ (კალაუს ტრეგერის ლიტერატურისმცოდნეობის ლექსიკონი. ლაიფციგი, 1986, გვ. 34. გერმანულ ენაზე).

ჰოდა, აი ამ ხიაზმის დიდი ოსტატია მუხრან მაჭავარიანი. განსაკუთრებით ხშირად იგი მას სწორედ პოეტურ მინიატურებში იყენებს, რის შედეგადაც მცირე მოცულობის მქონე ეს ტექსტები არაჩვეულებრივ სიღრმესა და შთამბეჭდაობას იძენენ.

<sup>1</sup><http://www.vonhundenundmenschen.ch/mikas-begegnung-mit-dem-geist-der-beute-im-verbottenen-wald/>

**„ის რა კაცია, გეტყვის ახლა ვინც:**

**– სახელს გერჩიოს, გირჩევ,**

**სახრავი!**

**კაცი ის არი, ვინც გეტყვის ახლა:**

**– გირჩევ, სახელი გერჩიოს  
სახრავს!“**

ეს სტროფი იმით არის გამორჩეული, რომ ხიაზმი კენტ სტრიქონებშიც არის და ლუნებშიც, თანაც კენტ სტრიქონებში – ორგზის.

ლუნ სტრიქონებში, რომლებიც სხვადასხვაგვარად დალაგებული ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგება, ირიბი და პირდაპირი დამატებები უცვლიან ერთმანეთს ადგილებს („სახელს... სახრავი“ / „სახელი... სახრავს“, ანუ მეორე ტაეპში ჯერ ირიბი დამატება გვაქვს, მერე კი – პირდაპირი, ხოლო მეოთხეში პირიქით – ჯერ პირდაპირი დამატებაა, მერე კი – ირიბი).

რაც შეეხება კენტ სტრიქონებს, მათში ხიაზმი არის ცეზურის ორივე მხარეს: მარცხნივ – „ის რა კაცია“ / „კაცი ის არი“ და მარჯვნივ – „გეტყვის ახლა ვინც“ / „ვინც გეტყვის ახლა“.

თუ ლუნი ტაეპების ხიაზმი აზრობრივ მხარეს მიემართება, ანტითეზის აგებას ემსახურება, კენტ სტრიქონებში სინტაგმის „გეტყვის ახლა“ და მიმართებითი ნაცვალსახელის „ვინც“ სარკისებური ადგილმონაცვლეობა მხოლოდ გარითმვის საჭიროების გამო ხდება. ეფექტს აძლიერებს ის, რომ ახალი რითმისთვის პოეტს ახალი სიტყვები კი არ შემოაქვს ტექსტში, არამედ „ხელმოძირნედ“ ირჯება და მხოლოდ სიტყვათა გადასმას სჯერდება!

თუ ჩინებულ ბგერწერასაც მივაქცევთ ყურადღებას – „სახელს გერ-

ჩიოს, გირჩევ, სახრავი“ – აქაც შევამჩნევთ ხიაზმს (მეოთხეს!), ამჯერად ფონოსილაბიკის დონეზე (ფონოსილაბიკური ხიაზმი), რომელიც მეოთხე ტეპშიც გამეორდება შებრუნებული სახით.

არაჩვეულებრივად შეკრულ სტროფთან, ულამაზეს პოეტურ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე!

ძალზე ეფექტურია ხიაზმი, როდესაც საგანთა თუ მოვლენათა ურთიერთგანუყოფლობას, მათი ჰარმონიული თანაარსებობის გამოხატვას ეხება საქმე:

*კვლავ აასუნთქე სალამური,*

*ტკბილო მამულო!*

*კვლავ აღმიტაცე თეთრი ღამის*

*სიანკარეში!*

*რა იქნებოდა ეს მინდვრები*

*უსალამუროდ?!*

*ან სალამური ამ უსაზღვრო*

*მინდვრის გარეშე?!*

ხიაზმის ფუნქციებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ მისი ზემოქმედების აზრობრივი, ესთეტიკური და ფსიქოლოგიური მხარეები.

ჯერ აზრობრივ მხარეს მივხედოთ. ხიაზმის ფორმით წარმოდგენილ ანტითეზებში თვალსაზრისთა დაპირისპირება ხაზგასმულია, გაძლიერებულია იმის შედეგად, რომ წინადადების ნევრთა გადაჯვარედინების მეშვეობით ანტითეზურობა უფრო მკაფიოდ და, რაც მთავარია, შთამბეჭდავად გამოიკვეთება. ანუ ელემენტთა ჯვარედინი ადგილგადანაცვლების შედეგად გამოთქმული აზრის ზემოქმედებითი ძალა იზრდება.

ხოლო იზრდება იმიტომ, რომ ჯვარედინი სიმეტრია, ერთი ფრაზის მეორე ფრაზაში სარკისებური (შებრუნებული) ასახვა, ესთეტიკურ ეფექტს ახდენს. აქ აუცილებლად მიგვაჩნია ხიაზმის პრინციპით აგებული ფრაზის კრისტალ-

ურობაზე მითითება<sup>1</sup>, რაც მინერალისებურ „სიმკვრივეს“ ანიჭებს გამონათქვამს, დროში გამძლეს ხდის მას.

(ორიოდე სიტყვა დროში გამძლეობის თაობაზე: მნიშვნელოვანწილად სწორედ ხიაზმის დამსახურებაა ის, რომ დღემდე ძალიან პოპულარულია ანტიკურ ხანაში გაჩენილი ფორმულა: „მე ვჭამ, რათა ვიარსებო, შენ კი არსებობ, რათა ჭამო“; „შეიყვარეთ ხელოვნება თქვენში და არა თქვენი თავი ხელოვნებაში“ – კ. სტანისლავსკის ამ გამონათქვამის პერიფრაზი არაერთხელ შეგვხვდებათ სხვებთანაც, ისევე როგორც ცნობილი ფრაზა პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის საინაგურაციო სიტყვიდან: „ნუ იკითხავ, რისი გაკეთება შეუძლია შენს ქვეყანას შენთვის, იკითხე, რისი გაკეთება შეგიძლია შენ შენი ქვეყნისთვის“, რომელიც არაერთხელ გვხვდება კენედიმდეც და მის შემდგომაც).

ხიაზმის ფსიქოლოგიური ეფექტის თაობაზე ერთ სტატიაში ვკითხულობთ:

„სიტყვით გამოსვლისას ხიაზმი წარმოადგენს უძლიერეს ინსტრუმენტს აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად, ეხმარება ორატორს, რომ არა მარტო მსმენელთა კეთილგანწყობა მოიპოვოს, არამედ აქციოს ისინი თავის მოკავშირეებად და პარტნიორებად“ (ე. პ. მონჟელი).

ანუ ხიაზმი სუგესტიის (შთაგონების) ჩინებული საშუალებაა.

პოეტურ სტრიქონებში შევნიშნეთ აგრეთვე ერთი სხვა ფუნქციაც, რაზედაც ახლა მოგახსენებთ. მუხრან მაჭავარიანის ამ ოთხტაეპიანი ლექსის სათაურია „ლოდინი“:

*შენ რომ მოხვიდე, როცა არ გელი  
და მომიტანო თან წვეთი წვიმის.*

**ლიმილს იტყვიან ჩემი ბაგენი.**

**ბაგენი ჩემნი იტყვიან ლიმილს.**

აქ არ გვაქვს ანტითეზა. პირველმა ორმა სიტყვამ ბოლო ორ სიტყვას გაუცვალა ადგილი, გამონათქვამის აზრი კი იგივე დარჩა. ვეცადოთ გავარკვიოთ ხიაზმის ფუნქცია ამ მინიატურაში, – რას ჰმატებს ამგვარი გადაადგილება ლექსად გამოთქმულ აზრს?

ამ ოთხტაეპიანი ლექსში ორი მთავარი სიტყვაა – „ბაგენი“ და „ლიმილი“ – სხვა სიტყვები დამხმარე „პერსონალს“ განასახიერებენ (თუმცა ერთ ამ დამხმარეთაგანს – „იტყვიან“ – მეტად საინტერესოდ შეუცვლია თავისი ბუნებრივი ამპლუა – „ლიმილს იტყვიან ჩემი ბაგენი“ – ანუ „თქმა“ „ლიმილს“ დაკავშირებია, მაშინ, როდესაც ლიმილის დანახვა შეიძლება და არა გააგონება!). და აი ერთი ამ მთავარ პერსონაჟთაგანი („ბაგენი“) მე-3 სტრიქონის ბოლოს ზის სარიტმო სიტყვად. როცა ლექსის თემასთან დაკავშირებული სიტყვა მონაწილეობს რიტმაში, ამას **თემატურ რიტმას** უწოდებენ. თემატური რიტმა „პოეტურ ბირჟაზე“ გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე არათემატური, ანუ თემატური რიტმის ეფექტი ჭარბობს არათემატური რიტმის ეფექტს. ხიაზმის მეშვეობით პოეტს მეორე მთავარი სიტყვაც („ლიმილი“) გაჰყავს სარიტმო პოზიციაზე და კიდევ ერთ თემატურ რიტმას ქმნის. ამრიგად, ლექსის ორივე მთავარი სიტყვა გარიტმულია და ამით ორივე აქცენტირებულია კიდევ; ორივე

<sup>1</sup>„კრისტალის ფორმას, მის სიმეტრიას განსაზღვრავს კრისტალის ამგები ატომების კანონზომიერი განლაგება“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6. თბილისი: 1983, გვ. 36).

<sup>2</sup> <http://www.study.ru/SUPPORT/LIB/NOTE284.HT>

მათგანი თემატური რითმების შემადგენელი კომპონენტია, რაც ზრდის სტროფის ესთეტიკური ზემოქმედების ძალას.

მსგავსი ვითარებაა ამ მინიატურ-აშიც:

*ბავშვობას რომ იყო მშობლიურ  
მხარეში,*

*იგივე მთებია, იგივე მინდვრები...*

***იმჟამინდელი სადღაა ხალისი?!  
ხალისი სადღაა იმჟამინდელი?!***

სიტყვათა გადაადგილებით აზრი არც აქ იცვლება. ადვილი შესამჩნევია, რომ ლექსის მთავარი „პერსონაჟი“ არის სინტაგმა „იმჟამინდელი ხალისი“, ანუ გარდასულ დროთა ხალისი, რომელიც დაკარგულა და რომელსაც ახლა ეძებს თუ იხსენებს პოეტი.

ლექსისთვის უმნიშვნელოვანესი ამ სინტაგმის – „იმჟამინდელი ხალისის“ – ორივე კომპონენტი გაირითმა ხიაზმის შედეგად, რითაც ორივე მათგანს გაესვა ხაზი, ორივე მათგანზე გამახვილდა ყურადღება.

ჩინებულ ხიაზმს ვხვდებით ამ მინიატურაშიც:

*დღეს, – რაკი უკვე აღსრულდა  
ის, – რასაც ზღაპარს ვადრიდი:  
რა პატარაა! – რაც მსურდა! —  
რაც მსურს, მგონია, – რა დიდი!*

აქ განსაზღვრება („პატარა“, „დიდი“) და შემასმენელი („მსურდა“, „მსურს“) ცვლიან ადგილებს. შემასმენელი იმავე სიტყვით არის წარმოდგენილი, განსაზღვრებანი კი ურთიერთკონტრასტულია, ისევე, როგორც ურთიერთკონტრასტულია შემასმენელთა დრო – წარსული და აწმყო. ამის შედეგად ფორმისმიერი საშუალებებით ხაზგასმულია, გაძლიერებულია, შთამბეჭდავად არის მოწოდებული პარადოქსული აზრი: კერძოდ, ის, რომ მიღწევის შემდეგ მიზანი არც ისე

მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე მანამდე გვეჩვენებოდა, რაც სულაც არ არის ცუდი, ვინაიდან ეს გარემოება მიღწეულით დაკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს და ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებისკენ გვიბიძგებს. ეს აზრიც იკითხება ამ მინიატურაში ერთი და იმავე ზმნის წარსულისა და აწმყოს დროითი ფორმების დაპირისპირების შედეგად.

კონტრასტულ დაპირისპირებაზე დაფუძნებული და ხიაზმის პრინციპით აგებული ყველაზე ცნობილი გამოთქმა ალბათ არის სახარებისეული „წინანი უკანა და უკანანი წინა“, ასეთ კონტექსტში: „ესრეთ იყვნენ წინანი უკანა და უკანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მათე 20, 16). ხიაზმის ყადრის მცოდნეს, მუხრან მაჭავარიანს, ის არ დარჩენია უყურადღებოდ და მისი გამოყენებით ასეთი პანია შედეგრი შეუქმნია:

*ამ საწუთროსი როა კანონი:*

*უკან წინანი!  
წინ უკანანი! –  
განა არ იცი?!  
როგორ არ იცი?!  
იცი?! –  
თუ იცი?! –  
რადღა განიცდი?!*

ერთ ლექსში რომელიღაც მტერ-მოყვარეს ასე მიმართავს:

*რა გითხრა, ძმაო, ამაზე მეტი?!  
(როსმე შენც ამას მეტყოდე ნეტა!):  
შენ მოგცეს ღმერთმა, – რაც გინდა  
ჩემთვის! –  
რაც მინდა შენთვის, – მე მომცეს  
ღმერთმა!*

*და ერთადერთი მე ახლა მინდა!  
და არაფერი არ მინდა მეტი:  
ეს გულის გლეჯით ნათქვამი  
სიტყვა*

*შენდამი წყევლა არ იყოს შენგნით!*

ერთ მინიატურაში ამბობს: „საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები, / სახელს იხვეჭენ ჩემი ლანძღვით ავაზაკები. / სულაც არ მიკვირს ეს ამბავი მე, სხვათაშორის, – ყველას თავისი აქვს მულამი სახელის შოვნის“. და აი სხვა მინიატურაში ხიაზმის შემცველი სტრიქონებით ეუბნება იგი ძალიან მოზომილ საყვედურს თავის უმცროს კოლეგას, რომელსაც, როგორც ჩანს, სახელის შოვნა მუხრან მაჭავარიანზე შეტევით უცდია:

*მე არ მარგია შენი აყოლა,  
ჩემზე არ გშვენიშ შენ იერიში;  
ეგ შენი ანმყო, – ჩემი ნამყოა,  
ეს ჩემი ანმყო, – შენი მერმისი.*

*ეს ჭეშმარიტად ასე რომ არის,  
ამას ნათელყოფს შენთვის მყობადი,  
როცა მოიყრი (ღმერთმა მოგყაროს),  
როცა მოიყრი შენ ჩემს ხნობამდე.*

აქ მეორე და პირველ პირთა კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჯვარედინი მონაცვლეობით არის კონსტრუირებული ხიაზმი.

შესაძლოა ხიაზმის ერთ-ერთი ელემენტი მისი ადგილმონაცვლე სხვა მეტყველების ნაწილით იყოს წარმოდგენილი. მაგალითად:

*იქ დაბრუნდები ციდანა –  
ცაში ასულხარ სიდანაც:  
მინა რომ არა – წვიმაც კი  
ვერ მოვიდოდა ციდანა...*

**მინა** და **ცა** უცვლიან ერთმანეთს აქ ადგილებს ჯვარედინად, ოღონდ „მინა“ ხიაზმით შეკრულ პირველ ორ სტრიქონ-

ში „**იქ**“ და „**სიდან**“ ზმნისართებით არის წარმოდგენილი.

ფინალისთვის კი ეს მინიატურა შევეარჩიე:

*იდგეს და იდგეს, – კვლავ და კვლავ,  
– ჯვარი.*

*დინდეს და დინდეს, – კვლავ და  
კვლავ, – მტკვარი.*

*იყვეს და იყვეს, – კვლავ და კვლავ,  
– მცხეთა.*

*და... ღმერთმა ნუ ქნას, –  
ეს არ ქნას ღმერთმა!*

ბოლო ტაეპის ხიაზმთან ერთად ყურადღება მიაქციეთ რა ეფექტურად ენაცვლებიან აქ ერთმანეთს უკუთქმითი ნაწილაკები **ნუ** და **არ**, რომელთა შორის ნიუანსობრივ სხვაობას აკაკი შანიძე ასე განმარტავს: „მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „არ“ მარტივად უარყოფს [...], „ნუ“ კი კრძალავს მოქმედებას“ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი: 1973, გვ. 610). ეს ხიაზმი იმისი მაგალითიც არის, რომ ორმაგი უარყოფა ანუ ორი მინუსის ნამრავლი, პლუსს იძლევა.

ვფიქრობთ, ზემოთქმულიდან ნათელია რიტორიკული ფიგურის – ხიაზმის როლი და მნიშვნელობა მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, მეტადრე პოეტური მინიატურის ჟანრის ლექსებში. ძნელია დავასახელოთ სხვა პოეტი, რომელსაც ასე ხშირად მიემართოს გამოხატვის ამ საშუალებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანის აზროვნების თვითონ მანერა არის ხიაზმური, რაც მისი პოეტური ინდივიდუალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ნუგზარ ზაზანაშვილი



### ცის ბინადარი

(წიგნიდან „რუსოფობია, ანუ პოეტური იმპერიალიზმი  
ლომონოსოვიდან ეპტუშენკომდე“)

რუსულ დერჟავულ-იმპერიალისტური მითისქმნისაგან მეტ-ნაკლებად დისტანცირებულ პოეტთა რიგში – ოსიპ მანდელშტამისა<sup>1</sup> და რამდენიმე სხვა გამოჩენილი რუსი პოეტის გვერდით – დგას დიდი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ქართული პოეზიის შესანიშნავი მთარგმნელი და პოპულარიზატორი **ბორის პასტერნაკი** (Борис Пастернак, 1890-1960).

სლავიანოფილურ-დერჟავულ მსოფლალქმასთან მიმართებით მანდელშტამისა და პასტერნაკის განვლილი გზები ერთმანეთს ჰგავს: რევოლუციამდე პასტერნაკსაც ჰქონდა სლავიანოფილობით გატაცების ერთი პერიოდი, რომლისგანაც ის, მანდელშტამივით, მალევე განიკურნა. ასევე, არსებითად, ეპიზოდური გამოდგა უშუალოდ ტიუტჩევით – რუსული მესიანიზმის ამ ერთ-

ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიტ<sup>2</sup> – გატაცებაც, რაც მის პირველ კრებულში („ტყუპისცალი საავდრო ღრუბლებში“ – «Близнец в тучах», 1914 წ.) აისახა მხოლოდ; მაგრამ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ ყოველივეს ურეციდივოდ არ ჩაუვლია.

შემდგომ კი ამ ორი პოეტის გზები იყოფა – 30-იან წლებს პასტერნაკი გადაურჩა: მაშინ მისი რეპრესირების მოთხოვნას თვით „დიდი სტალინი“ გამოეხმაურა – ხელს ნუ ახლებთ ცის ამ ბინადარსო. სტალინის ეს ფრთიანი ფრაზა „ნინასწარმეტყველებდაც“ იქცა: მოგვიანებით ასტრონომებმა მარსსა და იუპიტერს შორის მოძრავ ერთ-ერთ პლანეტას „ბორის პასტერნაკი“ დაარქვეს. აქვე, ალბათ, უნდა გავისხენოთ ცნობილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაურეკა სტალინმა პასტერნაკს, შეეკითხა

1 იხ. ნ. ზაზანაშვილი. რუსული მესიანიზმის ტრანსფორმაცია: ალექსანდრ ბლოკი, ოსიპ მანდელშტამი. „ცისკარი 1852“, 2015, №12.

2 იხ. ნ. ზაზანაშვილი. დიდი მისტიფიკატორი. „ცისკარი 1852“, 2015, №3.

დაპატიმრებული მანდელშტამის შესახებ (იგულისხმება პირველი დაპატიმრება) და პასტერნაკის არადამჯერებელი პასუხის გაგონებისას უსაყვედურა: ჩვენ თავს არ ვზოგავდით ჩვენი მეგობრების დასაცავადო (ამ ამბის ბევრი, დეტალებით ერთმანეთისაგან განსხვავებული, ვერსია არსებობს).

●  
თავიდან პასტერნაკი ფუტურიზმისკენ იყო „გადახრილი“ და, სხვა ფუტურისტების მსგავსად, პოზიტიურად განეწყო რევოლუციების მიმართ: რევოლუციებმა ეპიკური პოეტური მეტყველების მოთხოვნილება აღძრა და 20-იან წლებში პასტერნაკი ქმნის რამდენიმე ისტორიულ-რევოლუციურ პოემას, მათ შორის პოემას „მაღალი ავადმყოფობა“ («Высокая болезнь»), სადაც აღწერილია საბჭოების ერთ-ერთი ყრილობა და ამ ყრილობაზე ლენინის გამოსვლა. ეს პოემა 1924 წელს მაიაკოვსკიმ 20-იანი წლების შუა პერიოდში არსებული შემოქმედებითი გაერთიანების „ხელოვნების მემარცხენე ფრონტის“ (ЛЕФ) ამავე სახელწოდების მქონე ჟურნალში დაბეჭდა (ЛЕФ-ის ბირთვს, მაიაკოვსკის წინამძღოლობით, ფუტურისტები ქმნიდნენ). „რევოლუციაში ჩემთვის ყველაზე ძვირფასია მისი ზნეობრივი არსი. მის ზეგავლენას შევადარებდი ტოლსტოის ზეგავლენას, ოღონდ – უსასრულოდ მაღალ ხარისხში აყვანილს“, – წერდა იმდროინდელი პასტერნაკი.

პასტერნაკს სტალინით აღტაცების პერიოდიც ჰქონდა (ალბათ, ამანაც მოულოდნელო გული ბელადს „ცის ბინადარის“ მიმართ); აი, რას წერს პოეტი 1935-ში და თან წერს გულწრფელად და ნიჭიერად (ეს ლექსი 1936 წელს გაზეთ „იზვესტიის“ – კომპარტიის ერთ-ერთი ცენტრალური „რუპორის“ – საახალწლო ნომერში დაიბეჭდა):

А в те же дни на расстоянии  
За древней каменной стеной  
живет не человек, – деянье:  
Поступок, ростом с шар земной.  
Судьба дала ему уделом  
Предшествующего пробел.  
Он – то, что снилось самым  
смелым,  
Но до него никто не смел.  
(...)

И этим гением поступка  
Так поглощен другой, поэт,  
Что тяжелеет, словно губка,  
Любою из его примет.  
Как в этой двухголосной фуге  
Он сам ни бесконечно мал,  
Он верит в знание друг о друге  
Предельно крайних двух начал.

*ხოლო ამავე დღეებში ცოტათი მოშორებით, / ქვის ძველი კედლის მიღმა (= კრემლში) / ცხოვრობს, კაცი კი არა, – ქმედება: / საქციელი, სიდიდით დედამიწის ხელა. // მას ბედისწერამ წილად არგუნა / ნამყოს ხარვეზი. / იგი – სიზმრად ნანახი (საოცნებო) უდიდესი სიმამაცეა, / რაც მანამდე (= სტალინამდე) ვერავინ გამოიჩინა. // (...) // და საქციელის ამ გენიოსით / ისეა შთანთქმული მეორე პოეტი (= პასტერნაკი; პირველი სტალინია), / რომ მძიმდება, როგორც ღრუბელი (იგულისხმება: ღრუბელი – губка – გაჟღენთვისას), / ნებისმიერი მისი ნიშნით (= სტალინის „გენიალური“ აზრებით) // და თუმცა ამ ორხმოვან ფუგაში // ის თვითონ (= პასტერნაკი) უსასრულოდ მცირეა, / მას სწამს – ორი უკიდურესი საწყისი / ერთმანეთს ცნობს (= მათ ერთმანეთისა ესმით).*

ესეც პასტერნაკია იმავე 1936-ში:  
Глубокою ночью  
Загаданный впрок  
Не он ли, пророча,  
Нас с вами предрек?

(...)  
 Спасибо предтечам,  
 Спасибо вождам.  
 Не тем же, так нечем  
 Отплачивать нам.  
 (...)  
 И смех у завалин,  
 И мысль от сохи,  
 И Ленин, и Сталин,  
 И эти стихи.  
 (...)

*გვიანი ღამით, / დიდი ხნის წინათ  
 დათქმულის აღსასრულებლად, / ჩემი  
 და თქვენი ყოფნა / მან (=სტალინმა)  
 ხომ არ იწინასწარმეტყველა? // (...) //  
 მადლობა წინამორბედებს, / მადლობა  
 ბელადებს. / მათ წინაშე გადაუხდელ /  
 ვალში ვართ ჩვენ. // (...) // და სიცილი –  
 ნაზვავებთან (=ოპტიმიზმი), / და აზრი  
 – გუთნისაგან (=შრომა და მომავლის  
 იმედი), / და ლენინი, და სტალინი, / და  
 ეს ლექსი.*

აქ პასტერნაკისა და მანდელშტამის ურთიერთობიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის ჩართვაც შეიძლება: როდესაც მანდელშტამმა წაუკითხა პასტერნაკს 1933 წელს შექმნილი თავისი ცნობილი პამფლეტი „კრემლის მთიელის“ (= სტალინის) შესახებ (*Мы живем, под собою не чуя страны*), პასტერნაკმა უპასუხა: – „იმას, რაც თქვენ წამიკითხეთ, ლიტერატურასთან, პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს. ეს ლიტერატურული ფაქტი კი არა, თვითმკვლელობის აქტია, რასაც მე არ ვინონებ და რაშიც მონაწილეობის მიღება არ მსურს. თქვენ ჩემთვის არაფერი წაგიკითხავთ და მე არაფერი გამიგონია და გთხოვთ, არ წაუკითხოთ ეს არავის სხვას“ (ციტირებულია რუსული ვიკიპედიის მიხედვით)... მანდელშტამმა ყურად არ იღო პასტერნაკის ეს რჩევა და საბოლოოდ კიდევ შეენირა ამ ტექსტს: გარდაიცვალა მეორე დაპატიმრების შემდეგ, გზად შორეული „ლაგერებისკენ“...

როგორც გინდა განსაჯე, პასტერნაკი

მანც იყო „საბჭოთა ადამიანიც“ და რუსი პატრიოტიც: მას ეძვირფასებოდა საბჭოთა დერჟავა. ამან განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. აი, რას წერს ამის შესახებ პასტერნაკის შემოქმედების ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ვლადიმირ ალფონსოვი წერილში „ბორის პასტერნაკის პოეზია“ (Поэзия Бориса Пастернака. Вступительная статья к кн.: Борис Пастернак. Стихотворения и поэмы. В двух томах, т. 1. Л.: «Советский писатель», 1990): „პასტერნაკის ომის პერიოდის ლირიკაში ძლიერია „მითოპოეტური“ (...) ელემენტი (...), ფიქრი რუსეთზე და მისთვის დამახასიათებელ „სივრცელისა და ზოგადადამიანურობის სულისკვეთებაზე“ («духе широты и всечеловечности»), რაც ადრე, ამ პერიოდამდე პასტერნაკის შემოქმედებაში ასე ღიად, გახსნილად არასოდეს ასახულა. 1944 წელს შექმნილ ლექსში „გაზაფხული“ პასტერნაკმა პოეტური სუნთქვის ზღვრულ განფენილობას მიაღწია:

Все нынешней весной особое,  
 Живее воробьев шумиха.  
 Я даже выразить не пробую,  
 Как на душе светло и тихо.

Иначе думается, пишется,  
 И громкою октавой в хоре  
 Земной могучий голос слышится  
 Освобожденных территорий.

*ამ გაზაფხულზე ყველაფერი განსაკუთრებულია, / უფრო ღაღია ბელურების აურზაური. / მე არც კი ვცდილობ, გადმოვცე, / თუ რა სინათლეა და სიმშვიდეა სულში. // სხვაგვარად მეფიქრება, მენერება, / და ხმამალალ ოქტავად მომღერალთა გუნდში / მონისმის მინიერი, მძლავრი ხმა / გათავისუფლებული ტერიტორიებისა (ციტატის დასასრული).*

ჩვენი აზრით, სხვანაირადაც შეიძ-

ლება ითქვას – ერთობ საეჭვო განფენილობას მიაღწია: ეს 1944 წელია, როდესაც რუსეთი/სსრკ გადის სსრკ-ის საზღვრებიდან... ალფონსოვი ამ ლექსის მხოლოდ პირველ ორ სტროფს ციტირებს; უფრო საინტერესო კი დანარჩენი სტროფებია:

Весеннее дыхание родины  
Смывает след зимы с пространства  
И черные от слез обводины  
С заплаканных очей славянства.

Везде трава готова вылезти,  
И улицы старинной Праги  
Молчат, одна другой извилистей,  
Но заиграют, как овраги.

Сказанья Чехии, Моравии  
И Сербии с весенней негой,  
Сорвавши пелену бесправия,  
Цветами выйдут из-под снега.

Все дымкой сказочной подернется,  
Подобно завиткам по стенам  
В боярской золоченой горнице  
И на Василии Блаженном.

Мечтателю и полуночнику  
Москва милей всего на свете.  
Он дома, у первоисточника  
Всего, чем будет цвести столетье.

სამშობლოს საგაზაფხულო სუნ-თქვა / რეცხავს (გადარეცხავს, აქრობს) სივრციდან ზამთრის კვალს / და ცრემლებისგან გაშავებულ გუბებს / სლავიანობის ნამტირალევი თვალეზიდან (= დადგა სლავიანობის გამარჯვების, რევანშის დრო – გაზაფხული) // ყველგან მზადაა ბალახი, ამოძვრეს, / და ძველებური პრალის ქუჩები / დუმან, მიხვეულ-მოხვეულები, / მაგრამ მალე ათამაშდებიან, როგორც ხევები. // თქმულებები ჩეხიისა, მორავიისა / და სერბიისა გაზაფხულის სილალით, /

უუფლებობის სუდარამოგლეჯილი, / ყვავილებად ამოვლენ თოვლის ქვეშიდან. // ყველაფერი ზღაპრული ბინდით გაითრთოლებს / ბოიარების მოოქრული მისალები ოთახის კედლებზე / და ვასილი ნეტარის ტაძარზე გამოყვანილი ხვეულებივით. // მეოცნებისა და ლამისმთევლისთვის / ამქვეყნად მოსკოვი ყველაფერზე საყვარელია. / იგი შინაა, პირველწყაროსთანაა / ყველაფრისა, რითაც აყვავილდება საუკუნე (აქ, ალბათ, სტალინიც იგულისხმება – ნ. ზ.).

(განმარტება: ვასილი ნეტარი – სალოსი, რუსული ეკლესიის წმინდანი, დადიოდა შიშველი და მუდმივ მარხულობდა. მას დიდ თაყვანს სცემდა თვით ცარი ივან გროზნი, რომლის მეფობის პერიოდშიც, 1552 წელს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ვასილი; ვასილი ნეტარის სახელობის ტაძარი მოსკოვში, წითელ მოედანზე მდებარეობს).

და ეს პასტერნაკის სლავიანოფილობის „საყმაწვილო სენის“ მძიმე რეციდივდაც შეიძლება ჩაითვალოს.

(მცირე ექსკურსი: ამ კონტექსტში ნიშანდობლივია პასტერნაკის დამოკიდებულება საკუთარი ებრაული ფესვების მიმართ: იგი ამ თვალსაზრისით სრულიად ინდიფერენტული იყო და მეტიც – მიიჩნევდა, რომ რუსული ებრაელობა უნდა ასიმულირებულიყო. ასეთი განწყობილება აისახა კიდევ „ექიმ ჟივაგოში“, რის გამოც ეს რომანი ძალიან არ მოსწონდა სიონიზმის ერთ-ერთ ლიდერს, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ისრაელის პირველ პრემიერ მინისტრს დავიდ ბენ-გურიონს – იხ.: Николай Лебедев. Почему Бен-Гуриону не понравился «Доктор Живаго»? – <http://www.jewish.ru/culture/events/2014/10/news994326374.php>).

საინტერესოა ისიც, რომ პასტერ-

ნაკმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე „დაიწუნა“ თითქმის ყველაფერი, რაც 1940 წლამდე დაწერა, ანუ მას ასეთ (1940 წლის შემდგომ) პუბლიკაციებსა თუ შეხედულებებზე „ხელი არ აუღია“...

ყოველივე ამის მიუხედავად, პარტიულ ცხოვრებაში პასტერნაკი არასოდეს გარეულა და ბოლოს, როგორც ცნობილია, მან ზემოთ უკვე ნახსენები „ექიმი ჟივაგოთი“ დაასრულა ცხოვრება: ამ ნაწარმოების დასავლეთში პუბლიკაციისა და ამ „პოეტური რომანისთვის“ ნობელის პრემიის მინიჭების გამო საბჭოთა ხელისუფლებისა და სალიტერატურო-სახელოვნებო, მათ შორის ქართველი, „მესვეურების“ მხრიდან თავს დამტყდარმა კრიტიკის, უფრო სწორად კი – ლანძღვის ტალღამ მოუსწრაფა სიცოცხლე ამ უთუოდ დიდ პოეტს (იხ. <http://medialinege.wordpress.com/2013/06/18/>).

თუმცაღა, როგორც იგივე ვლადიმირ ალფონსოვი აღნიშნავს, ამ რომანის „გმირი, რომელიც გაკვირვებითა და აღტაცებით შეხვდა ოქტომბერს, შემდეგ დაშორდა რევოლუციას, მან არსებითად უარყო იგი, მაგრამ ამის გამო ის თეთრგვარდიელი არ გამხდარა“.

ასეა თუ ისე, „ექიმი ჟივაგო“ მაინც შესაბამისი ეპოქის ამსახველი, ნამდვილი დისიდენტური ნაწარმოებია.



ბორის პასტერნაკს გულწრფელად უყვარდა საქართველო. ჩვენი ქვეყნით იგი ჯერ კიდევ 1917 წელს დაინტერესდა, როცა შექმნა ლერმონტოვის „დემონის“ მოკლე „რემეიქი“, ხუთსტროფიანი „დემონის ხსოვნას (Памяти Демона)“. პასტერნაკმა 1930 წლის ოქტომბერში ჯერ პაოლო იაშვილი გაიცნო მოსკოვში, შემდეგ კი მისი მოწვევით პოეტი პირველად ესტუმრა საქართველოს 1931 წლის ივლისში და მან აქ სამი თვე დაჰყო (ასეთი ხანგრძლივადია-

ნი ვიზიტის მიზეზი ოჯახური დრამაც გახდა: თბილისში ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე პასტერნაკმა მის ახლობელ მეგობარს, გამოჩენილ პიანისტს გენრის ნეიგაუსს „ცოლი წაართვა“; ორივე ოჯახმა ეს შემთხვევა მწვავედ განიცადა; პასტერნაკი და მისი ახლად მოყვანილი მეუღლე, ფაქტობრივად, უსახლკაროდ დარჩნენ და იმავდროულად მათ სურდათ, გაუთავებელი გაკილვისა და ჭორებისაგან დროებით მაინც სადმე მიმალულიყვნენ).

საქართველომ პასტერნაკი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ალაფრთოვანა, რაც კიდევ აისახა მის შემოქმედებაში: საქართველოს მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

აი, ამ შთაბეჭდილების ბრწყინვალე „გამოსახულება“ – ჩემი აზრით, ეს ყველაზე საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა იმ ლექსთაგან, რაც კი საქართველოსა და ქართველებზე უცხოელ პოეტთა მიერ ოდესმე დაწერილა (ლირიკული ლექსი მოგვეყავს პნკარედული თარგმანის გარეშე):

Мы были в Грузии. Помножим  
Нужду на нежность, ад на рай,  
Теплицу льдам возьмем подножьем,  
И мы получим этот край.

И мы поймем, в сколь тонких дозах  
С землей и небом входят в смесь  
Успех, и труд, и долг, и воздух,  
Чтоб вышел человек, как здесь.

Чтобы, сложившись сред бескормиц,  
И поражений, и неволь,  
Он стал образчиком, оформясь  
Во что-то прочное, как соль.

ცნობილი რუსი ლიტერატურის-მცოდნე ლევ ანინსკი ნიგნში „ვერცხლი და ბრბო“ (Серебро и чернь. М.: «ПрозаиК», 2010) წერს: „ოჯახურმა დრამამ მოიყვანა ის თბილისში... სა-

ქართველომ ისეთივე ძლიერი ზემოქმედება მოახდინა მასზე, როგორც რევოლუციამ“, – სიმონ ჩიქოვანი, რომლის მოგონებებიდანაც არის აღებული ეს „ფორმულირება“, გადმოსცემს პასტერნაკის სულიერი ყოფიერების არსს: გამოუთქმელი შინაარსისათვის ბოლოს და ბოლოს სულერთია, რად განსხვავდება ის. სამყაროს ცარიელი მოცულობა ადრე რევოლუციით იყო შევსებული, ახლა ის საქართველოთია სავსე. რუსული საქარხნო გარეუბნების სიშავე თბილისის სიჭრელით იცვლება...”

ასეთი ინტერპრეტაცია სადავოა. ფაქტი კი ისაა, რომ ქართული პოეზიის თარგმნასა და პოპულარიზაციას პასტერნაკმა დიდი დრო დაუთმო: მან თარგმნა ბარათაშვილი მთლიანად, ვაჟას „გველისმჭამელი“ და მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტების ბევრი ნაწარმოები. ის აწყობდა ქართული პოეზიის საღამოებს მოსკოვში, გამოსცემდა რუსეთში ქართველი პოეტების წიგნებს და სხვ.

ამასთან, პასტერნაკი პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლო მინიშვილის, ლადო გუდიაშვილის და სხვა ქართველ შემოქმედთა ახლო მეგობარი გახდა. მან მძიმედ განიცადა პაოლოს

თვითმკვლელობა და ტიციან ტაბიძისა და ნიკოლო მინიშვილის რეპრესირება; და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა ტიციანის ქვრივთან ნინა ტაბიძესთან: ამ უკანასკნელმა 1958 წელს ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიულოცა პოეტს ნობელის პრემიის მინიჭება. მანვე უმასპინძლა 1959 წლის 20 თებერვლიდან 2 მარტამდე მოსკოვიდან დროებით განდევნილ პასტერნაკს (საქმე ისაა, რომ ამ დროს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი, რომელიც პასტერნაკთან შეხვედრას ითხოვდა, რათა პირადად გაეგო ნობელის პრემიაზე უარის თქმის მიზეზი; რასაც – გასაგებია, რომ – საბჭოეთის პარტიული ხელმძღვანელობა არ დაუშვებდა); და ეს იყო საქართველოში პასტერნაკის ბოლო სტუმრობა...

ნობელის პრემია პასტერნაკს მიენიჭა „თანამედროვე ლირიკულ პოეზიაში და დიად, ტრადიციულ რუსულ პროზაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“. ცნობილია, რომ პასტერნაკი სსრკ-ის იმდროინდელმა ხელისუფლებამ აიძულა, უარი ეთქვა პრემიის მიღებაზე. 31 წლის შემდეგ, 1989 წელს შვედეთის აკადემიამ ნობელის მედალი მის შვილს გადასცა.

მანანა ჩიტიშვილი



### ვერ დავასრულე

ისევ ამტკივდა დღესაც წარსული,  
ფიქრები ხსოვნის ალზე იწვიან,  
ხან რაც დავინწყე, ვერ დავასრულე,  
ხან რაც დასრულდა, არც დამიწყია.

მსგავსად მონღოლთა შმაგი ურდოსი,  
დრო დაუნდობლად, ავად ვიდოდა,  
სიყვარულს ზოგჯერ მე გაუზრბოდი,  
ხან სიყვარული მე გამირბოდა.

გახუნდა ჩემი ლექსის ყანობიც,  
ზურმუხტისფრად რომ გუშინ მწვანობდა...  
ხან თუ მე სხვაზე ვეჭვიანობდი,  
ხანაც სხვა ჩემზე ეჭვიანობდა.

როგორ ამტკივდა დღესაც წარსული,  
ფიქრები ხსოვნის ალზე იწვიან,  
ხან რაც დავინწყე, ვერ დავასრულე,  
ხან რაც დასრულდა, არც დამიწყია.



განამდა გული  
შენზე ფიქრებით,  
აქეთ – კლარჯეთი,  
იქით – ლევილი,  
მათი შემყურე,  
ვიდრე ვიქნები,  
ქვეყნად სხვიან  
თვალთ ვერ ვივლი.

უცხო მინაში  
ვიდრე დნებიან  
ქართული ძვლები,  
ბედს მინდობილი,  
ჩემი თვალები  
ცრემლის ტბებია,  
ხშირ წამნამებით  
შემოლობილი.

## თოვლი

თოვდა...  
ჩვენ ცაში ფრენას ვლამობდით  
და შენთან ყოფნა მსურდა ეგოდენ,  
იმ ფიფქებზეც კი ვეჭვიანობდი,  
ბაგეზე ჩუმად რომ გადნებოდნენ.

თოვდა...  
გვირილა გებნია თმაში,  
ყვაოდა არე ციდან მინამდი  
და მე პირველად ვიგრძენი მაშინ,  
როგორ მსურდი და როგორ მიყვარდი.

მაკრთობდა უცხო სინათლე, ჰოდა  
შენს ნაბლისფერ თმას ქარი მტაცებდა  
და მე მეგონა, კი არა თოვდა,  
ცა საქორწინო სამოსს გვაცმევდა.

დრო კი ცალ-ცალკე გვიჭედდა ლაგამს,  
დრო ხომ არც როდის არა გვიანობს...  
ახლა ეს თოვლი გვირილებს არ ჰგავს  
და არც ფიფქებზე არ ვეჭვიანობ.



ქარი გამიშლის  
ფოთლების კარავს,  
დასრულდა გულის  
შფოთვა-ომები,  
გმადლობ მარცხისთვის,  
ასე რომ არა,  
აქამდე ხომ ვერ  
დაგისომებდი.  
დღეს რომ ვიგონებ  
იმ წლებს და წამებს,  
არ გეუბნები

სამდურავს, ვფიცავ,  
რადგან იმ მარცხის  
ყველა სიმწარე  
მერე ლექსების  
სტროფებად იქცა.

## ელეგია

*მხატვარ ზურაბ ხაბაძეს*

ჩამოდის წვიმა  
და თვალები სველი აქვთ ფანჯრებს,  
ეს გზაც შორს მიდის,  
როგორც ყველა გზები მიდიან...  
ვინ დაგვიამებს  
მტკივნეულად გადაღლილ მაჯებს,  
ან ერთგულებას, ან სიყვარულს  
სადა ჰყიდიან.

ვის ენაღვლება,  
მარტოობა შენი ვინ იცის,  
სული სავსეა  
ამაო და უტყვი ვედრებით...  
ცხელ ტალღასავით გადაივლის  
გულზე ივლისი,  
თივის ურემზე  
ყაყაჩოთა თბილი ცხედრებით.  
შენც კარგად იცი,  
აქ ტირილი ვერას გიშველის,  
ყრუა სოფელი,  
შენს გოდებას ვის გააგონებ...  
ქუჩაბანდებში ჩამოივლის  
წვიმა შიშველი,  
შენ რომ ყოველთვის  
ანგელოზის ცრემლებს გაგონებს.  
სხვათა უჩუმრად  
თვალზე ცრემლი მაინც მიცოცავს,  
თითქოს სმენასაც აღარ ატკობს  
შაშვის გალობა...  
უფალმა როცა  
ღვთაებრივი ნიჭი გიბოძა,  
ეგ უსაშველო მარტოობაც  
მან გინყალობა.

ცრუა სანუთრო,  
დრომ შენთვისაც ბინდი დაფინა,  
ჩამოგიფუდებ პალიტრაზე

მთვარე ინახად,  
ერთად ხომ მხოლოდ  
ყვავ-ყორნების გუნდი დაფრინავს,  
არწივთა გუნდი  
ვის სმენია ან სად გინახავთ.  
ჩამოდის წვიმა  
და თვალები სველი აქვთ ფანჯრებს,  
ეს გზაც შორს მიდის,  
როგორც ყველა გზები მიდიან...  
ვინ დაგიაშებს  
მტკივნეულად გადაღლილ მაჯებს,  
არც ერთგულებას, არც სიყვარულს  
არსად ჰყიდიან.

## თავისუფლება

ცის მაღალ თაღზე  
ხან თუ ავი ცეცხლი ელავდა,  
ხანაც თბილი მზე აბრუებდა  
ბალახს, ნამიანს,  
თავისუფლება  
ზოგჯერ მთელი სიცოცხლეა და  
თავისუფლება  
ზოგჯერ მხოლოდ ერთი წამია.

ვინ მოგვაცალა  
ჩვენი ბედი ჩვენ აგვეჩია,  
მახვილის გვერდით  
ლაპლაპებდა ხშირად სახნისი,  
მაგრამ თუ ერი  
თავგანწირვას გადაეჩვია,  
მონის ხვედრისგან  
თვით უფალიც ვეღარ დაგისხნის.

მე ვერას გირჩევ,  
ყველაფერი თვით უნდა სინჯო,  
რაც გულს ენებოს,  
იმ სურვილთა ბაგას დაეხი...  
მითხარი, ოლონდ,  
ნაყოფიანი მონობა გიჯობს,  
თუ ერთი წამი  
ცად აფრენის და უკვდავების.  
ზეცის თაღებზე  
ხან თუ ავი ცეცხლი ელავდა,  
ხანაც თბილი მზე აბრწყინებდა  
ბალახს, ნამიანს,

თავისუფლება  
ზოგჯერ მთელი სიცოცხლეა და  
თავისუფლება  
ზოგჯერ მხოლოდ ერთი წამია.

## მხოლოდ ამიტომ

მხოლოდ ტოლთან და  
სწორთან ღირს ქიშპი,  
ვინ ადრის ერთურთს  
აღმასს და გიშერს,  
მხოლოდ ამიტომ  
და არა შიშით,  
აჰა,  
მეორე ლოყასაც გიშვერ.

არც დღეს არ მინდა  
გავტეხო ნავსი,  
მინდორს  
ტორებით მითქერავს კვიცი...  
მე ვიცი  
ჩემი ღირსების ფასი  
და მაგ სიმდაბლის  
საზომიც ვიცი.

და თუმცა რა ხნიდან  
ჩემთან ჯიბრს ლამობ,  
ვერ დავამდაბლებ  
ჩემს ფარს და შიმშერს,  
სწორედ ამიტომ  
და ამის გამო,  
აჰა,  
მეორე ლოყასაც გიშვერ.

## მარგალიტები

თუმცა შენი წასვლა  
არ გამიმხილეს,  
დრო ვერ ანელებს  
დარჩენილ ლაღარს,  
ერთ დღეს  
მტირალი, მახსოვს, გიხილე,  
შენი ცრემლები  
მარგალიტს ჰგავდა.  
წლებმა ყოველი  
ვერც რით წაშალეს,

დამრჩი ხსოვნაში  
მთრთოლავ თითებით...  
ხომ არაფერი  
არ დააშავეს,  
არ მიყვარს დღემდე  
მარგალიტები.

## **მინიანდერძი**

*ჩემს ლაშას და გიორგი ფარეშიშვილს*

რა ადრე მიხვალ, აპრილო,  
თოვლო, რა გვიან შრები,  
ჩემზედ შავს თუ ჩაიცვამენ  
ჩემი ხეობის მთები?!  
მიყვარხართ? –  
რა სათქმელია,  
კი არ მიყვარხართ, ვკვდები!  
მიფრინავს ციციანათელა,  
დრო სიზმარივით გაქრა,  
რა სულ ჩემს კარზე ითოვა,  
რად სულ ჩემს გულზე ნაქრა,  
ჩემთვის სამსალად იდინა,  
ვისთვის – თაფლად და შაქრად.

რა უნადინოდ გმორდებით,  
რა სულჩაკლული მივალ...  
ჩემთვის ეს თეთრი გვირილაც  
თოვლის ფიფქივით ცვივა,  
სხვის ომში შესვლამ დამლალა,  
სხვის გულგრილობით მცივა.

ჰა, თქვენეული ამბარჩა,  
ჰა, თქვენეული რიდე,  
თქვენ დარჩით, უნდა ნავიდე,  
ნინ უსრული გზა მიდევს,  
სამი ამინთეთ სანთელი,  
სამიცი – ყაყაჩო კიდევ.  
ნავალ, მეც ისე გავქრები,  
ვარდზე რომ შრება ნამი,  
ვისთვის გრძელია სანუთრო,  
ვისთვის – სულ ერთი ნამი,  
ერთი სადარდო მიმყვება,  
ღანვზე მეყრება ნამი,  
ბავშვივით რომ შემოგტირონ  
ჩემმა ლექსებმა ღამით.  
ემაგათ დაუგურგურეთ,

თქვენს საპატრონოდ ჰყავით,  
ფრთა არწივისა უნატრეთ,  
ძალა – მოვარდნილ ზვავის,  
სიტყვა არ გამიიფოთ,  
უფლის ბალნარში ჰყვავის.  
თქმულა შაირი საზეოდ,  
ვერ ეგუება დაბლარს,  
არ მოიხმაროთ მახვილად  
ანდა – თხისურის საბლად,  
სანთლადაც ლექსი დამინთეთ,  
ლექსის დამიდგით ტაბლა.

რა ადრე ნახველ, აპრილო,  
თოვლო, რა გვიან შრები,  
ჩემზედ შავს თუ ჩაიცვამენ  
ჩემი ხეობის მთები?!  
მიყვარხართ?–  
რა სათქმელია,  
კი არ მიყვარხართ, ვკვდები!

## რა გზით მივალთ

ირგვლივ სისხლის ტბები გვადგა,  
შევებით არ შეგვხსნია კილტი,  
ღვთით, დავითი ვშობეთ, მაგრამ  
მასთან ბაღვამ ლიპარიტიც.  
ხმლებით ისტორიას ვწერდით,  
თავზე გვექცეოდა ბანი,  
წამებული მეფის გვერდით  
ვაშადიმნეთ შადიმანი.  
ღრო ბევრ შავბნელ დღეებს ფურცლავს  
ან ვით გავუძელით ამდენს...  
ჩვენ ილიაც გვყავდა, თუმცა  
გვერდით მკვლელიც გავუზარდეთ.  
ახლა ვინ ვართ ან რა გვტკივა,  
ვინ სცნას მართალი და ფარსი...  
ღმერთო, მითხარ, რა გზით მივალთ –  
მაცხოვრის თუ იუდასი.

## ზამთარი

*(მინიატურა)*

მთვარის სხივებმა  
ნოემბრის ტყე მოავარაყეს,  
გახადა ქარმა  
ხეთ ფოთლების მწვანე სამოსი...

მოვა ზამთარი  
და ქათქათა თოვლის ბარძაყებს  
მთების ძლიერ და  
მამაკაცურ მკერდზე ჩამოშლის.

## შემოდგომის კართან

შემოდგომის კართან მისულს  
ქარი ფოთლის კვართით მფარავს,  
სიყვარულით სიკვდილი მსურს,  
ყოფნა სიძულვილით – არა!  
რაც რომ წლები მემატება,  
რაც ჩემს ცისკარს ჯანლი ფარავს,  
შვების ცრემლი მენატრება,  
ცრემლი ტკივილების – მკმარა!  
ვატყობ, მზის დასავალს მისულს,  
ჯავრი მეჯარება ჯარად,  
შენს კალთაზე სიკვდილი მსურს,  
სხვასთან – დედოფლობაც არა!

## ლექსიდან ლექსში

შენი სიშორე ვიდრე შემშლიდა,  
(ბედისგან სხვა რა მახსოვს სიკეთე),  
გამოგამწყვდიე ჩემს ლექსებში და  
კარი რითმებით გამოგიკეტე.

სხვანი?  
მე სხვისი არც არა მმართვეს,  
დავღალე სული შენსკენ წანწალით  
და ახლა, როგორც არნივის მართვეს,  
ლექსიდან ლექსში ფრენას გასწავლი.

ჩემი სულიდან ამოსულ მნათობს  
შევხარი,  
მთვარეც მაძლევს იმედებს...  
მორჩა, მე უკვე ვერაფრით დაგთმობ,  
ვერც ვერავისთვის ვერ გაგიმეტებ.

თუ მომენატრე, ლექსში გიპოვნი,  
სხივიან თვალთ, განა უგულოდ,  
ჩემი ხარ, რადგან ყველა სტრიქონი  
შენით სუნთქავს და შენით სულდგმულობს.

სიშორე შენი ვიდრე შემშლიდა,  
(ბედისგან ან რა მახსოვს სიკეთე),

გამოგამწყვდიე ჩემს ლექსებში და  
კარი რითმებით გამოგიკეტე.

## არ არის ასე მარტივად

არ არის ასე მარტივად,  
რა ვუთხრა ამის მომგონს...  
ხომ არ გგონიათ, არ მტკივა,  
მტკივა და მერე როგორ.

არც თაფლმდინარი ქოცონი,  
არც ცაკრიალა დარი,  
ყოველი ლექსი – კოცონი,  
მე შიგ ყელამდე მდგარი.

გზები ნამქერით მევსება,  
ჩემი აღარც რა ვარდობს,  
თუ ვტირი, ვტირი ლექსებად,  
დარდითაც ლექსით ვდარდობ.

გზა გულის სისხლით მოვლესე,  
ზეცა – საავდროდ მკრთალი...  
ჰპოვეთ ჩემს ლექსში ოდესმე  
გულდალხენილი ქალი?!

არ არის ეგრე მარტივად,  
რა ვუთხრა მაგის მომგონს...  
იქნებ გგონიათ, არ მტკივა,  
მტკივა და... თანაც როგორ.



წყალზე ირწევა  
ლერო დუმფარის,  
ვის ესმის  
ჩემი მოთქმა და აჯა,  
ლექსს კი არა ვწერ,  
თვითონ უფალი  
მისინჯავს ახლა  
გულსა და მაჯას.  
წამწამზე დარდის  
ფანტელი დნება,  
აღარ მჭირდება  
ფიცი და მოწმე...  
თაფლი კი არის,  
რამდენიც გნებავთ,

მაგრამ არც ერთი  
ალარ ვართ ცოტნე.

## აჰა, მოვედი

აჰა, მოვედი,  
ვით ლატაკი ვინმე სალოსი,  
მოვითრევ შლეიფს  
გაცვეთილს და მტერიან-ნაცრიანს  
და სინანული,  
როგორც მწირის თალხი სამოსი,  
უკვე დაღლილ და  
დამარცხებულ სულზე მაცვია.

მე რა ვიცოდი,  
გზას მივდევი სულ სხვა იმედით  
და წვიმა შლიდა  
ჩემს ნაკვალევს წამსვე სილაზე,  
აღმატებული თუკი სხვაზე  
ხარ რაიმეთი,  
ბედი მით უფრო  
სასტიკ მარცხს და ტკივილს გიმზადებს.

მოვა ჟამი და  
აღსრულდება განგების ნება,  
არ არის ძალა,  
შენს მხარეს რომ პინას დახრიდეს,  
თუ რამ გიყვარდა,  
ყველაფერი გამოღმა რჩება,  
გაღმა მარტო და  
უარაფრო უნდა გახვიდე.

ნუ ატირდები,  
შენი ცრემლი ველარ მიშველის...  
წლები კი არა,  
დღეს წუთებიც ძალას მაცლიან  
და სინანული,  
ასე წრფელი, ასე შიშველი,  
ტანჯვით დაჩოქილ  
და მწუხარე სულზე მაცვია.

ანდრო ბუაჩიძე



### ღამქანცველი ზღვა

ეს იყო ზღვა, ზღვის ლურჯი ჰორიზონტი.

ჩვენ გაღვიძებისთანავე ვაღებდით ნაქირავები პატარა ოთახის კარს და ამ ოდნავ შემაღლებული ლიობიდან მოჩანდა კოლბაში ჩასხმული ლურჯი სითხე, თუმცა ეს ვირტუალურ რეალობას ნაკლებად ჰგავდა, რადგან აქ მოწმენდილი ცის სიღრმეც გვხვდებოდა თვალში, ცა კი ციმციმებდა და თანდათან უძრავი სურათის შთაბეჭდილებას მოძრავი სინამდვილის შთაბეჭდილება ენაცვლებოდა.

ეს იყო ზღვა თავისი პირველქმნილი მშვენიერებით, სიმკაცრით და სიღიადით, მოქცეული ჩვენი პატარა კარის ჩარჩოში. ეს პატარა ზღვისპირა ოთახი კი სასჯელიც იყო და საჩუქარიც, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში გვარგუნა ბედმა. აგვისტოს ბოლო იყო და ჰაერში უკვე დაცურავდა დამდნარი ოქრო.

ბავშვები, მარიამი და ანუკი ხალისით იღვიძებდნენ და, რალა თქმა უნდა, ზღვა ეკერათ პირზე, რადგან ეს იყო ზღვა, ეს იყო ახალი რეალობა, რომელშიც ჩვენ მოვხვდით და რომელიც რას გვპირდებოდა, ჯერ არავინ იცოდა. ნანა, როგორც ყოველთვის, ბუზღუნით იღვიძებდა და ხან რას იტყობდა და ხან რას. არის რალაც მართალი ადამიანის ახალ გარემოში გადანაცვლებისთანავე წარმოთქმულ საყ-

ვედურებში, ის თითქოს მთელ თავის განვლილ ცხოვრებას უჩივის და საამისო საბაბიც გააჩნია. მაგრამ ეს არ არის ნუხილი, ეს არის ცხოვრებასთან შეგუების კიდეც ერთი ცდა, გაუცნობიერებლად გადადგმული კიდეც ერთი გულწრფელი ნაბიჯი, რომელიც ფარული ხალისიანობის სამზადისია.

– ამ საწოლმა გვერდები გამოომთქვიფა. ბეჭები ჩემი აღარ არის, – ამბობს ნანა და წვალებით წამოინევს საწოლიდან. ზამბარებიანი საწოლი ზრიალებს და ამ ზრიალს რალაც უსიამოვნო შეგრძნება ახლავს. არადა, ეს საწოლები ბავშვობის აგარაკს მახსენებს და, როგორც ყოველთვის, ნალველი მერევა.

ჩამოვედით თუ არა, ღრუბლიანი ამინდი დაგვხვდა. ქარი ამრიალებდა ეზოში მდგარ უზარმაზარფოთლებიან სუბტროპიკულ ხე-მცენარეებს, რომელთაც ნელა ეფინებოდა წვრილი წვიმა. გაღვიძებისთანავე ფართქუნი ჩამესმოდა და მოგვიანებით ვხვდებოდით, რომ ამ უცნაურ ჩქამს ფრთებივით აფრიალებულ მწვანე ფოთლებზე დაცემული წვიმა გამოსცემდა. მესამე დღეს გამოიდარა.

მე, როგორც ყოველთვის, ახლაც ადრე გამეღვიძა და ზღვაზე გამავალი პატარა ოთახის კარი გამოვალე. და გამოჩნდა კიდეც ერთხელ ეს საოცრება –

აკვარიუმი-ზღვა. პირველი შეგრძნება მართლაც არარეალობის მოკარნახეა, ალბათ, იმიტომ, რომ წარმოუდგენელია სახლის კარი გამოალო და თვალწინ ქვიშრობის ნაწიბური, ზღვის ლურჯი ზოლი და ცის სიღრმე შემოგეფეთოს. მერე კი თანდათან ეგუები ყოველივე ამას.

ოთახიდან კიბე ეშვება ეზოს ვინრო ჭიშკრისაკენ. ჭიშკრის გარეთ კი ქვაფენილია, სადაც შორტებში გამონყობილი დამსვენებლები დააბიჯებენ. მათ შორის არიან წყვილები, ღიპიანი კაცები და სქელი ქალები, აქვე არიან წყვილები ბავშვებთან ერთად. ბავშვები მორჩილად მისდევენ მშობლებს და ხელში გასაბერი ლეიბები და ბალიშები უჭირავთ. ყველას კმაყოფილი სახე აქვს. დილის ზღვას ეშურებიან და მერე ბრუნდებიან ზღვიდან. და ასეა ყოველდღე, სანამ არ დადგება დრო მათი აქედან გამგზავრებისა. ქრება უკვე ნაცნობი და ჩნდება უცნობი სახეები. თუმცა აგვისტოს ბოლოს უკვე იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ ყველაფერი ერთმანეთში ირევა.

ხუთლარიანი ჭილობი ვიყიდეთ აქვე, ქობულეთის ბაზრობაზე და პლაჟზე ვწევართ. ზღვა დღეს წყნარია, ოდნავ სცემს ნაპირს ტალღა. მარიამი ცხრა წლის არის, ანუკი – ექვსის. მარიამი თამამად შედის ზღვაში, ანუკი ფრთხილად მიჰყვება ფეხდაფეხ. და ეს არის ზღვა, კამერტონი ჩვენი ყოფიერების. „წლეულს ზღვაზე ვიყავი“, „აგვისტოში ქობულეთში ვისვენებდი“ – უკვე თბილისში ჩასულები ზანტად აუნყებენ ნაცნობებს. ნაცნობები კი ირევიან და ილენებიან და განურჩევლნი ხდებიან. მათ არ ახსოვთ ზღვა, რადგან ზღვაზე დიდი ხნის წინ იყვნენ, ან არ უნდათ ზღვა, რადგან მათი ცხოვრება სხვა მიმართულებით წარიმართა.

მე მეშინია ზღვის, მე ქვეცნობიერად მიზიდავს და განმიზიდავს კიდევ ზღვა. თითქოს ცხოვრებას, ამ ჩემთვის მუდამ გაუგებარ სტიქიას, რაღაც ახალი და ასევე გაუგებარი სტიქია ერწყმის.

საიდან იღებს დასაბამს ეს გრძნობა, ძნელი სათქმელია. მასხენდება შორეული ბავშვობის ფრაგმენტები, სწორედ ქობულეთში გადაღებული ფოტოსურათი. აქ მე ჩვეულებრივ, მყუდრო და შემოკავებულ ქობულეთურ ეზოში ვდგავარ ჩემიანებთან ერთად, ყველგან შუქ-ჩრდილებია დაფენილი, მე თვითონ მზის ნაფლეთში ვარ გამოხვეული და გაღიმებული ვიყურები. მე, რა თქმა უნდა, ეს ნუთი არ მახსოვს, და რომ არა ფოტო, წამიერების ეს ფრაგმენტიც გაქრებოდა ჩემი ცხოვრებიდან, როგორც არაერთი რამ გამქრალა.

წარსული აღარ არსებობს. მე თითქოს სხვა ქალაქში ჩამოვედი, ჩამოვედი მართლაც სხვა ადამიანებთან ერთად და საინტერესოა ის, რომ სხვა ვარ თვითონ მეც. ამ ქალაქში ძველებური მხოლოდ პალმებია. ახალია უკლებლივ ყველაფერი. მე ეს ქალაქი მთელ ჩემს წარსულთან ერთად დამავიწყდა, როგორც ამბავი, რომელიც ერთხანს მირაჟით ანთია მახსოვრობაში, მერე კი წვრილმან დეტალებთან ერთად ქრება. ეს ამნეზია თითქოს ფარულ სიხარულსაც მანიჭებს. თითქოს რაღაც უნდა დაიწყოს თავიდან, მაგრამ ამჯერად ჩემთვის არაფერი არ იწყება და არც დაიწყება. ყველაფერი უკვე იყო.

ზღვა. ტალღებს დილიდანვე სერავენ წყლის მოტოციკლები, ოთხივე მხარეს ეშურებიან კატერები, რომელიც კატერზე გამობმული პარაშუტით ადამიანი ლაჟვარდებს გადაკვეთს. ერთი ასეთი გაფრენა ორმოცდაათი ლარი ღირს. რაღაცნაირი ლურჯი დღე არის, თითქოს ამჩატებულია და გახალისებული. მე, ნანა და ბავშვები კიდევ ერთხელ ვახელთ თვალს ახალ რეალობაში, მე კიდევ ერთხელ ვხსნი ჩვენი ცისფერი ოთახის კარს, საიდანაც ფერხით ლურჯი ზღვა მოჩანს. საოცარი ის არის, რომ ნევხარ შენი ოთახის სანოლზე და ხედავ ზღვას. ეს თითქმის დაუჯერებელია.

მე კიბით ჩავდივარ სუბტროპიკული ხეებით და მაგიდებით განწყობილ ეზოში. ქალებს ვედროებით ახლად დაჭერილი კეფალი მოაქვთ გასაყიდად. ნანა ყიდულობს კეფალს და სამზარეულოში დიდ ტაფაზე წვავს. ეზოში დასასვენებლად ჩამოსული სომხის ბავშვები ირევიან – ქრისტინა, ედუკი და ჯანო. ჰამაკში ჯანოს მამა ზის, ფეხები შლოპანცებში აქვს წაყოფილი და შვილს ეძახის: „ჯანოო... ჯანოო, არი-ესტელ“ სომხები დილიდან შუადღემდე ზღვაზე არიან, მერე სადღაც იკარგებიან, საღამოთი ისევ ზღვაზე გამოდიან, დაღამებულზე ეზოში მწვადებს წვავენ და ზედ არაყს აყოლებენ – „ჯანოო, ჯანოო, ჯანოო“ – ჩამესმის ეს ხმა და ბავშვებთან ერთად ზღვისკენ მივდივარ.

მარიამი წყალში დგას და ტალღის მოვარდნას ელოდება. ტალღა იგვიანებს, მაგრამ ნელ-ნელა წამოიბურცება და მოდის, თითქოს ნაპირს ეპარებაო, მერე თავს ამოყოფს და სკდება, ეხეთქება ადამიანებს, ეხეთქება მარიამს და აბარბაცებს, მარიამს წურწურით დასდის წყალი და ხარხარებს, თავის სტიქიაშია და ახალი ტალღის მოვარდნას ელოდება, ანუკი უფრო ახლოს დგას პლაჟთან და ტალღა რომ წამოვა, გულისფანცქალით გამორბის ნაპირისაკენ. იცინის.

მე არაფერს არ მოველი ზღვისგან და ცოტა არ იყოს, მიკვირს, რომ ისინი ამდენ სიახლეს იღებენ. მე არ მტოვებს იმის განცდა, რომ ყოველივე ეს უკვე იყო და იყო მრავალგზის. არადა, ისიც ვიცი, რომ ამაზე ფიქრი სრულიადაც არ არის აუცილებელი. უნდა მიიღო ის, რაც არის და უნდა მიიღო ხელახლა, ვინაიდან ეს სიცოცხლეა და მხოლოდ ანმყოში არსებობს. მე კი არ მტოვებს იმის განცდა, რომ ჩემს ცხოვრებაში ყოველივე ეს უკვე იყო და ამიტომაც დაკარგა ცხოველი ინტერესი. ერთადერთი სიახლე ის არის, რომ ბავშვებთან ერთად აქ პირველად ვარ და მათ არ იციან, რა არის ზღვა.

თანდათან საღამოვდება. ბავშვები ნანასთან ერთად კენჭებს აგროვებენ. ეს ნანას გატაცებაა: სერდოლიკი, ქარვა, საფირონი. ნანა ეძებს მეტ-ნაკლებად ძვირფას ქვებს, რომლებიც საბოლოოდ ძვირფასი ქვები არ აღმოჩნდება. ძვირფასი ქვები ზღვაში არ იპოვება, ზღვაში მხოლოდ ნიჟარებია.

საღამოობით მტოვებს გახეების განცდა. ერთმა ფსიქოლოგმა აღმოაჩინა, რომ დიდი ქალაქის მკვიდრთ შინაგანი გახეება ემართებათ. ეს არის ეგრეთ ნოდებული ფრუსტრაცია, განურჩევლობა ყოველივეს მიმართ როცა რაიმეს გახსენებას ვაპირებ, მახსენდება ჩემი თავი თბილისში, ჩემსავე სამსახურში. მე ვდგავარ ფანჯარასთან და გადავყურებ მუზეუმის ეზოს. მაღალი ფანჯრის მინის ტიხარს მიღმა მოჩანს ტალავერი, ტალავერთან მოხუცი დამლაგებელი ქალი დაწრიალებს. მოაქვს ხალიჩა და ეზოში ქვაფენილზე აფენს. მერე იხელთებს შლანგს და რეცხავს ხალიჩას. წყალი ნაკადულებად მიუყვება დამრეც ქვაფენილს. ხალიჩასთან მოდის მძლოლი. მძლოლი ახალგაზრდა ბიჭია. მძლოლი და დამლაგებელი ქალი საუბრობენ, მერე იცინიან. მათი სიცილი არ აღწევს ჩემამდე, მხოლოდ საიდანღაც, სხვა ეზოდან მექანიკური ხერხის მონოტონური ხმა ისმის. სად აღარ ვმუშაობდი და ნაშუადღევს სამსახურის ოთახში ყოველთვის ამ ხერხის ძილისმომგვრელი ხმა ჩამესმოდა...

გახეება მტოვებს და ბავშვებთან ერთად გავყურებ ზღვაზე მზის ჩასვლას. ზღვა ჰგავს ცარიელ უდაბნოს და მიუხედავად ამისა, მტოვებს გახეება და ერთი პოეტის ლექსი მახსენდება, თუმცა კი არ მახსენდება, ერთხელ, დიდი ხნის წინათ ამეკვიატა და იმის მერე რატომღაც აღარ მშორდება:

*მზე დადგა ზღვაზე, როგორც ირემი,  
ალანდა რქები ტალღების ბროლოში,  
როგორც ქალები ატყორცნილები,  
ალეები დგანან სამეგრელოში.*

ამ ლექსის გახსენებისას ყოველთვის ვცდილობ წარმოვიდგინო ჰაერში ატყორცნილი ქალები, წარმოსახვას ვძაბავ და ვხედავ მომრგვალებულ პლასტიკურ ფორმებს, რომლებიც შორეულად მოლივლივე ალვების ასოციაციას იწვევს.

ნანას აქვს იშვიათი უნარი – უცნაურ, იქნებ ოდიოზურ ადამიანებს გამოეღაპარაკოს. საღამოობით ნაპირზე ყოველთვის ჩამოდის სახემოქურხებული ქალი, რომელსაც ხელში მომცრო ვიდეოპარატი უჭირავს და იღებს მზის ჩასვლას. ეს ქალი გაქვავებული დგას, მხოლოდ ოდნავ ამოძრავებს მარჯვენა ხელში ჩაბლუჯულ აპარატს, რათა მთელი დასალიერი მოიცვას. „ჩემი აპარატი წითელ ფერს არ იღებს“, – ამბობს ხმადაბლა ქალი. ქალი საერთოდ ხმადაბლა ლაპარაკობს, ნანაც ხმადაბლა ელაპარაკება, ისე, რომ მე არ მესმის. მოგვიანებით კი მიყვება: ეს ქალი თურმე მთელი ცხოვრება საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობდა, ქმარი ტრაგიკულად დაედუპა, ქალიშვილმა კი მიატოვა და უცხოეთში წავიდა. ახლა მარტო ცხოვრობს და მოწაფეებს ამზადებს, მგონი გერმანული ენის გაკვეთილებს უტარებს.

დაღამდა. შორს მწვანე კონცხია, იმის იქით ბათუმი. ბათუმის პორტში ერთი დიდი გემი დგას და მისი სინათლე ზღვაში ირეკლება. ყოველივე ეს წერტილივით აღწევს ჩემამდე. „მამი, მშია“ – მეუბნება მარიამი. ელნათურებიან გზისპირს გავივლით და კაფე-ბარში შევდივართ. ოფიცინანტ ქალს ველოდებით, მაგიდაზე ლიმონათის ბოთლი და ჭიქა დგას. მარიამი ბოთლს ხსნის, შემთხვევით ნაჰკრავს ხელს ჭიქას, რომელიც ძირს ეცემა და ტყდება. ვიცი, რომ არ უნდა გავუწერე, მაგრამ მაინც ვუწერები. არ უნდა გავუწერე, რადგან ასეთი რამ არავის სურს, ყოველთვის შემთხვევით ხდება. ასე შემართებოდა მეც, როცა ბავშვი ვიყავი და მეც მიწყებოდნენ, იცოდნენ, რომ

არ უნდა გამწყრომოდნენ, მაგრამ მაინც მიწყებოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ეს როლი ვილაცას მუდმივად უნდა შეესრულებინა. მე მინდა ვუთხრა მარიამს, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე, ვატყობ, როგორი მოწყენილობა იპყრობს მას და ვაპირებ კიდევ ამის თქმას, მაგრამ მაინც განწყრომას განვაგრძობ და ვეუბნები, რომ ჯერ ჩემთვის უნდა ეკითხა ყველაფერი და მერე ემოქმედა და მახსენდება, ისინი, ვინც მე მიწყებოდნენ, აღარ არიან, აღარ არიან უკვე დაღამებული, მაგრამ ჯერ კიდევ იმ წითელი დასალიერის მიღმაც კი, რომელიც კაფე-ბარის გარეთ, ზღვის თავზე ანთია. იმ ზღვის თავზე, რომლისკენაც მე ვიყურები; მიწყებოდა მამაჩემი, რომელიც ახლა აქ არ არის, არც სხვაგან არის სადმე და მე ისევ გავცქერი წითელ დასალიერს და ზღვაზე მოთამაშე ანარეკლებს და ვფიქრობ, რომ მათ მიღმაც უკვე გარდასულთაგან არავინ აღარ უნდა იყოს.

ბარიდან გამოსულები ნელ-ნელა მივუყვებით ელნათურებით განათებულ სანაპიროს. მარიამი დუმს, მეც ვდუმვარ, არ აწყობ ჩვენი ურთიერთობა. ზღვისპირა ბულვარზე ბევრი ხალხია. მაღალსკამებიან ბარს ჩავუვლით, ერთხანს ვფიქრობ, შევიდე თუ არა ამ ბარში, მერე გადაწყვეტილებას ვიღებ, მარიამს ვთხოვ, რომ აქვე დამელოდოს და ბარში შევდივარ. მარიამმა იცის, რატომ შევდივარ ბარში, მაგრამ, რადგან ნაწყენია, არ აპროტესტებს, დგას ქუჩაში, ხალხის შუაგულში და მიყურებს, როგორ ვჯდები მაღალ სკამზე და ბარმენს სასმელს ვუკვეთავ. მე სკამზე წამომჯდარი ვსვამ ვისკის და ბარის ღია კარიდან ვუყურებ მარიამს, ჩემს ცხრა წლის გოგონას. და მე ვფიქრობ უეცრად იმაზე, რომ ის ჩემია. მარიამი გრძნობს ყოველივე ამას, ხალხის ნაკადში დგას და უკვე სულ ოდნავ მილიმის. ჩვენ ერთმანეთს თვალბუნი ვუყურებთ, დიდხანს ვუყურებთ,

მოძრავი ხალხის ნაკადი ზოგჯერ უხეშად ეჯახება მარიამს, თითქოს უნდა, რომ წაიყოლოს, მარიამი წაიბორძიკებს და მერე ისევ სწორდება, ინარჩუნებს წონასწორობას და ჩემკენ იყურება.

შუალამისას მეღვიძება და პირველივე წუთებიდან ვგრძნობ, რომ მენწყება ჩემი მტანჯველი უძილობა. ჩემებს სძინავთ. მე შორეულმა ფორიაქის ხმამ გამაღვიძა და ეს ხმა თანდათან უფრო მიახლოვდება. არა, ეს ხმა კი არ არის, ფუსფუსია, მრავალი ადამიანის მშფოთვარე ფუსფუსი, შეძრწუნებული ფუსფუსი. ამ ფორიაქის ფონზე ერთი ისტერიკული ხმა იკვეთება: „რა უქენით, ბიჭო, კაცს, თქვენი დედა... რა უქენით, ბიჭო...“ საწოლიდან ვდგები და ფანჯრიდან ვიყურები. გინება ეზოს გვერდით ასვეტილი სასტუმროს ეზოდან აღწევს, გადაღმა მხარეს რაღაც ხდება. „რა უქენით, ბიჭო, რა უქენით, მე თქვენი დედა...“ ეტყობა, ოდნავ განათებულ სიბნელეში ბევრი ხალხი მოძრაობს, ისმის ქშენის, სასწონარკვეთილი ღნავილის სუსტი ხმები, ყველაფერი ერთმანეთში ირევა და ილუფება. მერე თანდათან უფრო შორიდან აღწევს: „რა უქენით, თქვენი დედა...“ მთვრალეები თანდათან შორდებიან ჩხუბის ადგილს და მათი ღამეში გაბნეული ისტერიკული ხმები უფრო და უფრო იბნევა და იფანტება.

ზღვა ღელავს, ზღვა განურჩეველია ყველას მიმართ. ოთახში ვწევარ და მთელი არსებით ვგრძნობ მის სიახლოვეს. ჩემამდე მხოლოდ ტალღების დგაფუნი კი არ აღწევს, არამედ აღწევს ის უცნაური ბგერები, რომელსაც ზღვა ყოველწამიერად გამოსცემს. ის ცოცხალი არსებასავით არის, მოძრაობს და ფშვინავს, ღამეულ ხმებს აბნევს სანაპიროზე. ზღვა ახლა ღამის და დღის მიჯნაზე დგას და ქამელეონით იცვლის ფერს. ოთახის კედელზე სინითლე ირეკლება და მეც ნელ-ნელა მეხუჭება თვალი.

გათენებისას ისევ მზეა და ლურ-

ჯი ზღვა. კატერები და მოტოციკლები ისევ თავგამეტებით სერავენ ტალღებს. მე ისევ ვფიქრობ იმას, რასაც აქამდე ვფიქრობდი: ეს ადამიანები ალბათ არასდროს არ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ არ ყოფილიყო ამქვეყნად ზღვა. განვლილი ღამე ალბათ უკვე აღარავის ახსენდება, რადგან სინათლეზე ქრება ღამის ვნებანი და იბადება დღის სურვილები.

კიდევ ერთხელ შევცურავ ზღვაში და თითქმის ნიშნულამდე ვაღწევ, მაგრამ რატომღაც ვერაფერს ვგრძნობ, დაღლილობის გარდა. ბავშვები და ნანა კაფე-ბარში სადილობენ. მე ქვიშაზე დაფენილ ჭილობზე ვწვები და ვფიქრობ: ეს ადამიანები არასდროს არ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ არ ყოფილიყო ზღვა, თუმცა ისინი ერთმანეთის მიმართ საკმაოდ გულგრილნი არიან. ისინი ათვალეიერებენ ერთმანეთს, მაგრამ ეს თვალეიერება ცივი ცნობისმოყვარეობის ფარგლებს არ სცილდება.

ნაშუადღევს პლაჟზე უკვე ტევა არ არის. თითქმის ერთმანეთზე მიბჯენილები წვანან ათასი ჯურის დამსვენებლები და ადგილობრივები. მათ გარემოცვაში ვწევარ, ეს თითქოს უცხო რიტუალია თუ უთქმელი აუცილებლობა, წამიერად იცვლება კადრი: ორმოცდაათიოდე წლის მერე ასეთივე სიმჭიდროვეში ვინვები ამ ან სხვა ადამიანებთან ერთად, და ასევე გულგრილად ჩამოიღვრება მზის შუქი ქვებზე, კვიპაროსზე, ხრეშზე თუ ქვით მოკირწყლულ ბილიკებზე. და უეცრად ვხვდები, რომ სხვები ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ, მართო მე ვფიქრობ და არ უნდა ვიფიქრო. ცის ლაჟვარდში კი კატერს გამობმული პარაშუტი მიქრის, მაგრამ კატერს ძრავა ეთიშება და პარაშუტში თავმერგული კაცი ნელ-ნელა ეშვება ტალღებზე.

ქალაქში გავდივარ და მარტო ვხეტილობ. მთელი ქალაქი ერთი გრძელი ქუჩაა, სადაც საკმაოდ ინტენსიურად მოძრაობენ მანქანები. რატომ-

ლაც ქობულეთის სახლის დიასახლისი მახსენდება, რომელსაც მეგი ჰქვია. მახსენდება სამოციანი წლების ერთი სიმღერა – „ამბობენ, რომ, მეგი, მიაგავხარო ზღვას“ – და მეცინება. მეგი ხორცსავსეა, დიდრონი მკერდი და ცივი ცისფერი თვალები აქვს. „ზღვის ცხოველი“, – ვფიქრობ ჩემთვის და კიდევ უფრო მეტად მეცინება.

ქობულეთურ სახლებში ყველაზე მეტად რიკულებიანი კიბეები და ეზოები მომწონს. განსაკუთრებით მიზიდავს კიბის ქვეშ ან სახლის განაპირა მხარეს შემყუდროებული სივრცე. აქ სოხანეზე სუბტროპიკული მცენარეებისაგან აძრულ ბინდბუნდში წაგრძე-



ლებულ მაგიდას დგამენ. საღამოთი სუფრა იშლება, სადილობენ. ალბათ ეს სიმყუდროვე მაგონებს ბავშვობას, რომელიც თითქოს სხვა ცხოვრებაში იყო. მაგრამ ნუთუ მართლა იყო? მე ვგულისხმობ ბავშვობის ზღვისპირეთისეულ ფრაგმენტებს, საიდანაც თითქოს არაფერი არ მახსენდება. მხოლოდ ეზოების ეს შემყუდროებული სივრცე და თლილი რიკულები აღმიძრავს შინაურულ განცდას, რაც მაფიქრებინებს, რომ ოდესღაც მე აქ ნამდვილად ვიყავი, ვიყავი სრულიად სხვა ადამიანებთან ერთად და ახლა ჩამოვედი აგრეთვე სხვა ადამიანებთან ერთად, რომ-

ლებიც მაშინ ჩემს ცხოვრებაში არ არსებობდნენ ან საერთოდ არ არსებობდნენ. ახლა კი თვითონ მეც სხვა ვარ.

ლორთქიფანიძე მხვდება, ეს ჩემი ერთადერთი ნაცნობია, რომელიც ქობულეთში ვნახე. „წავიდეთ, ბათუმური ლუდი დავლიოთ“, – მთავაზობს ის და ახლა უკვე სანაპიროსკენ მივებეტებით. ლორთქიფანიძე შილიფად არის გამოწყობილი, მუხლებზე ოდნავ გადმოშვებული შარვალი აცვია. მას სადგურის მიდამოებში აქვს ნაქირავები ბინა და ჰყვება, რომ ღამე იქაც ჩხუბი იყო. „რა ვიცი, ბიჭო, ეს აქაურები ნამეტანი გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს, მერე ისეთი კაკაფონია იდგა, გათენებამ-

დე არ დამეძინა“.

ერთ-ერთ კაფე-ბარში შევდივართ და კუთხეში ვსხდებით. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს. მე გავყურებ ზღვის

ჰორიზონტს, რომელიც თეთრად ელვარებს და ვგრძნობ, რომ გახვევება ჩემში სიუცხოვის გრძნობამ შეცვალა, სიუცხოვეს ვგრძნობ ამ თეთრი დასალიერის მიმართ. ლორთქიფანიძე ჰყვება თავისი სამსახურის ამბებს. მერე ზაზას მოსაგონარს წარმოთქვამს. მეც ვუერთდები და ვიხსენებთ ჩვენს მეგობარს, რომელიც მოულოდნელად გამოგვაკლდა. ისევ ზღვის კიდეს გავყურებ და გული მენურება, ვგრძნობ, რომ ზაზა აღარც იქ არის. მქრქალ ჰორიზონტზე პატარა გემი ჩნდება, რომელიც ნელა მიცურავს ბათუმის პორტისაკენ...

ამ საღამოსაც სანაპიროზე გაშლილ

ჭილობზე ვსხედვართ და გავყურებთ ბათუმის პორტში გაჩერებულ ერთადერთ გემს, რომლის სინათლეებიც ზღვაში ირეკლება. ეს განათებული გემი შუქურას ჰგავს, იმედისმომცემ შუქურას, ჩამავალი მზე კი ნალველს ასხივებს. ანუკი ტალღებში ფეხებს ისველებს და მერე ფრთხილად აბიჯებს ქვიან სანაპიროზე. ის ისეთი ნატიფია და თხელი, რომ მისი ნაფეხურების სისველე არცკი ეტყობა მზეზე გამომშრალ ქვიმას. მე ვფიქრობ ჩემს უმცროს გონაზე, ანუკიზე, რომელიც სულ რაღაც შვიდიოდე წლის წინ დაიბადა, მანამდე კი არ არსებობდა. მიცურავენ ზღვაზე კატერები, დააბიჯებენ სანაპიროზე ნახევრად შიშველი ადამიანები, ვის აღარ ნახავ აქ – ყველანი გვერდს უქცევენ ანუკის, როგორც უმნიშვნელო პანია ნამცეცს. ჩემს თვალსაწიერში კი ის ისეა ჩანერილი, როგორც ზღვა და დასალიერი, ჰორიზონტზე მცოცავი გემი და ზღვის ფერადოვანი ქამელეონური ელვარება. ეს ბავშვი რეალობის განუყოფელი ნაწილია, უფრო მეტიც, რეალობის ის ფრაგმენტი, რომელშიც ანუკი არ არის ჩანერილი, ყოველნაირ აზრს ჰკარგავს. „ანუკი! – ვეძახი მე მას. – ანუკი!“ ანუკი გაკვირვებული სახით ბრუნდება და ნელი ნაბიჯით მოიწევს ჩემკენ. გაჭირვებით აბიჯებს ქვებზე და ჩემამდე რომ მოაღწევს, სახეზე ღიმილი ეფინება. ის არ მეკითხება, რატომ დავუძახე, რადგან იცის, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დავუძახე, რომ არ შემეძლო არ დამეძახა.

ისევ ღამეა. ისევ მეღვიძება და შემოფოთებული ხმები ჩამესმის. უცნაურია ეს დღეები და ღამეები. დღისით დამსვენებლები და ადგილობრივი მაცხოვრებლები მშვიდად წვანან პლაჟზე, მზეს ეფიცხებიან და ხმამაღლა საუბრობენ, ღამით კი თითქოს მათივე ქვეცნობიერიდან მიჩქმალული ქვენა ვნებები ამოდიან ზედაპირზე და შფოთი ისადგურებს სანაპიროზე ჩამონოლილ წყვილიაღში.

ახლაც ასეა. უძილობის კიდევ ერთი მტანჯველი ღამე მხვდა წილადა. ქალის ხმა მესმის, რომელიც გაურკვეველ სილუეტებს უძალიანდება. ჩემი ფანჯრიდან ბნელში ჩაძირული ზურგი მოჩანს, სილუეტები კი ქვიშიან სანაპიროზე არიან გართხმულნი. „მე თქვენთან საქმე არა მაქვს!“ – ეუბნება ვიღაცებს ქალი. – „ხელი არ მახლო, თორემ ვიყვირებ!“ კაცები უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, მაგრამ მერე მკვეთრი მოძრაობების ჩქამი აღწევს, რასაც გაქცევა მოჰყვება. ეტყობა, თავიდანვე ერთად იყვნენ და მერე რაღაცაზე წაკინკლავდნენ. ვიცი, რომ აღარ დამეძინება, კიბეზე ვეშვები და სწრაფი ნაბიჯით მივდეგ გაქცეულებს. ქვიშიანი გარბიან: ორი კაცი და ერთი ქალი. კაცები ქალს მისდევენ. მე ქვაფენილზე მივყვები მათ და ვცდილობ საგრძნობლად არ ჩამოვრჩე. უბრალოდ, მაინტერესებს, რა ხდება, რა აუხსნელი და გაუგებარი კანონზომიერება მოქმედებს, რომლის კვალზეც ყოველღამე ამ მტანჯველი ფორიაქის მონმე ვარ. და თითქოს მარტო მე ვარ ეს მონმე, გარინდებული სასტუმროები და ეზოები, სკვერები და ლუდხანები გულგრილად აფენენ შემზარავ ჩრდილს სანაპიროს განათებულ ნახევარს და მე იძულებული ვარ, შუალამისას გავარკვიო, თუ რა ხდება ამ ნახევარზე. ქვიშიანი გაქცეული ადამიანის ნაბიჯები რჩება, თითქოს რჩება და ადგილიდან აღარ იძვრის. არადა, რომ წამოვეწევი, ნაბიჯები უკვალოდ იშლება და ადამიანებიც ქრებიან. ისინი მე ვერ მამჩნევენ, ვერ მხედავენ და ვერც წარმოიდგენენ, რომ რომელიღაც ნერტილიდან მათ ვუთვალთვალე. სანაპიროზე მაღალი პალმა შრიალებს, მე ვუახლოვდები და მის ქვეშ მონუსხულივით ვჩერდები. აქ სიბნელეა და ქვიშიანი სანაპიროზე პალმის ნაგრძელებული ჩრდილი მოძრაობს. შორიდან უკვე ნაბიჯების ხმა აღარ აღწევს. მხოლოდ მაღალი პალმა შრიალებს ბნელ სივრცეში.

მერე თითქოს შრიალი ქვემოთაც ჩამოდის და ნერვიულად მიუყვება სანაპიროს. თანდათან სიუცხოვის გრძობა მეუფლება და მინდა, რომ სასწრაფოდ მოვშორდე აქაურობას. ერთადერთი, რაც მამშვიდებს – შორს, ბათუმის პორტში გაჩერებული გემია, რომელიც თეთრად მოციმციმე ნერტილად ანთია და ზღვაშიც თეთრ ანარეკლს აფენს. ვტოვებ ამ უცხო ადგილს და უკან ნელი ნაბიჯით ვბრუნდები. ნაშუალამევს ბულვარზე კაციშვილი აღარ ჭაჭანებს და სანაპიროს გაყოლებაზე ქვაფენილი ელნათურებით არის განათებული. ვუყურებ სანაპიროს გასწვრივ განლაგებულ უცხო ეზოებს და უცხო სახლებს, რომელთა წიაღშიც ჩამიჩუმი არ ისმის, ვუყურებ და ვფიქრობ, კარგი იქნება, აქაურობას სწრაფად მოვცილდე, რადგან აქ, ზღვის სიახლოვეს, რაღაც სიმახინჯეა ფეხმოკიდებული. დღისით დამსვენებლები სანაპიროზე ამზეურებენ თავიანთ სხეულებს. ისინი ერთად წვანან და ზღვის პირისპირ ეს ერთად ყოფნაც თავისებური რიტუალია, რომელიც ყოველდღიურად სრულდება, ერთად ყოფნა მსწრაფწარმავალია ისევე, როგორც ყველაფერი ამქვეყნად. ძალიან ახლოს წვანან დამსვენებლები პლაჟზე ერთმანეთთან, ძალიან ახლოს, თითქმის ებჯინებიან ერთმანეთს ქალები, კაცები, ბავშვები. ეს სხეულები ერთმანეთშია ჩახლართული და ჩანჩხილი და შორიდან, ზღვაში გასული გემიდან თუ გადმოხედავ სანაპიროს, ერთ მთლიან მასას დაინახავ. ეს მთლიანი მასა თითქოს ნელა მოძრაობს, ნელა ივსება და ინრიტება, მერე ისევ ივსება და ინრიტება, საღამოს პირზე კი ფორმას კარგავს და მერე თანდათან ქრება. ქრება, რადგანაც უკვე ღამის ცხოვრება იწყება, კაფე-ბარებიდან გამაყრუებელი ხმაური ისმის. ძნელია, ეს ხმაური მელოდიად მიიჩნიო, მაგრამ ამ ხმაურის რიტმს აყოლილი მოცეკვავეები, ექვგარეშეა, ხმაურს მუსიკად

აღიქვამენ და თავდავინყებულები ტრიალებენ საცეკვაო მოედანზე. აჭარულ ცეკვებს სომხური მოტივები ენაცვლება, დამსვენებლები ბარის შესასვლელთან დგანან და ამ უაზრო ბაკქანალიას უყურებენ. მერე კი, უკვე ნაშუალამევს სანაპირო ზღვას ერწყმის და ყრუ უდაბნოდ იქცევა. ამ უდაბნოს დროდადრო მშფოთვარე გადაძახილები, ქვიშაში გაქცეული ადამიანების ხმაურიანი ნაბიჯები, ისტერიკული გინება და სასონარკვეთილი გმინვა სერავს. ეს ღამის ხმებია, ზღვის სანაპიროზე გაშლილი და გაფანტული, ავისმომასწავებელი ან უკვე სულისმლაფავი და ავადახდენილი. გათენებისას კი ყველაზე უფრო მძაფრი ვნებათღელვაც ქრება და ინდიფერენტული, მთვლემარე და ყველაფრისადმი განურჩეველი სიჩუმე ისადგურებს. ახლაც ეს დრო ახლოვდება, აღმოსავლეთით ოდნავ იცრიცება მტრედისფრად ცა. მე ნელა ვბრუნდები ჩვენს ნაქირავებ ბინაში, სადაც ყველას ღრმა ძილით სძინავს და ფანჯრიდან შემოჭრილი ელნათურის სინათლე ტოკავს ოთახის ყრუ კედელზე. „სად არიან ახლა ის გაქცეულები, იქნებ კიდევ მირბიან და სულ ასე ირბენენ ბათუმის პორტამდე“, – ვფიქრობ ჩემთვის და დაწოლისთანავე მეძინება.

რკინიგზის სადგურში ვართ. მატარებელი სადაცაა ჩამოდგება ქობულეთის ბაქანზე, ბავშვებს უხარიათ, რომ კუბუში მარტო ჩვენ ვიქნებით და ზედა სანოლებს დაიკავენ. მე ვერაფერს ვგრძნობ, მხოლოდ საიდანლაც შორეული ხმა ყრუდ ჩამჩურჩულებს, რომ ამ დღე-ღამის მოულოდნელ მორევს გავალწევ და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდები. ბაქანზე ძალიან ცოტა ხალხია, ვიღაც დაბნეული ქალი მიახლოვდება და მეკითხება, თუ რამდენ ხანს გაჩერდება მატარებელი, სად იქნება ესა და ეს ვაგონი. რაც იყო, წავიდა და აღარ დაბრუნ-

დება. მე ისევ იმას ვგრძნობ, რასაც აქამდე ვგრძნობდი – სხვა ქალაქში ჩამოვედი, ჩამოვედი სხვა ადამიანებთან ერთად და სხვა ვარ უკვე თვითონ მეც.

ეს ქალაქი უკვე სხვა რიტმით ცხოვრობს, უცხო ხალხი ირევა და უცხო ელფერი ადევს. მეც გავუცხოვდი საკუთარი თავისგან და თუმცა ვცდილობ წარსულთან შეხმიანებას, ვატყობ, რომ სულ ოდნავლა ვახერხებ ამას.

ამ ქალაქში ძველებური მხოლოდ პალმებია და მე უკვე ვეთხოვები ამ პალმებს, რომლებიც სიბნელეში აღარ ჩანან, მატარებელი მიდის ნელა, ნელა მიიწვინება, წყვდიადია, აქა-იქ გაკვეცილი თუ გაელვებული სინათლე სიბნელეს ნაუცბათევე სურათებს სტაცებს: ცეცხლთან მარტოხელა მუშა ტრიალებს, ალბათ შედუღებას თუ მორჩა, დღიური სამუშაო თუ გაასრულა და საამქროსკენ ეზიდება მთელი დღის ნაჯახირე იარაღებს. სხვაგან დაფხავებული სახლის ცარიელი ერდო გაიფრიალებს, სადაც უკვე დიდი ხანია ფეხი არავის დაუდგამს და კიბეს ხავსი მოსდებია. ქალაქის განაპირას შემთხვევით გზადშეყრილ მოხეტიალეთაგან ერთი სანთებელას უმარჯვებს მეორეს, ამ უკანასკნელის სახე ნახევრად ბრუნდება მატარებლისაკენ, თითქოს სცენა ტრიალებსო და მერე თანდათან წყვდიადის კვალდაკვალ ქრება.

ქალაქის განაპირა ხედი კიდევ ერთხელ გაიელვებს კვიპაროსების სილუეტების ფონზე და მერე ყველაფერი ქრება, წყვდიადი ნთქავს ყველაფერს. მე მეჩვენება, რომ მატარებელი გვირაბში შევიდა, მაგრამ ქვეშეცნეულად იმასაც ვგრძნობ, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებაა და თალხისფრად ამოგმანულ ფანჯარას ვაბჯენ მზერას. უკვე სინათლის მისხალიც არ ჭიატობს არსაიდან და მიკვირს, რამ ჩამოაბნელა ქვეყნიერება, მიკვირს და მსიამოვნებს, რომ ჩვენ განათებულ კუბეში ვსხედვართ და ჩაბნელებული

მინდვრების გასწვრივ მივქრევართ.

უკან რჩება ქობულეთი და არა მარტო ქობულეთი, არამედ ის, რაც უკვე იყო; რჩება ბათუმის შორეული პორტი და ლამეებში ზღვაში არეკლილი თეთრად განათებული გემი. ამ ქალაქში ძველებური მხოლოდ პალმებია და სხვა დანარჩენი ახალია ყველაფერი. და რიკულები, რიკულებია კიდევ ძველი; განიერ, მასიურ კიბეთა რიკულები. ეს რიკულები მიღვიძებს გარდასულის, სამუდამოდ დაკარგულის და გაუჩინარებულის მბჟუტავ ხსოვნას, ბავშვობას ველარ შეეხები, შინ ვერ დაბრუნდები, რადგან ეს „შინ“ აღარსად აღარ არის უკვე.

მატარებელი წყვდიადში მიიწვინება, ზოგჯერ მკვეთრად ამუხრუჭებს და ასევე მკვეთრად, ნაუცბათევეად იძვრის ადგილიდან. ბავშვებს ზედა საწოლებზე სძინავთ და მთელი სხეულით ირწევიან. ისინი მთლიანად არიან მინდობილნი მატარებლის შემპარავ სვლას. ნანასაც სძინავს და სახეზე დაღლილობა ეტყობა. ისევ იძვრის მატარებელი და ცოტა ხნის შემდეგ საგრძნობლად უმატებს სისწრაფეს. ჩანთაში ვისკის ნახევრამდე სავსე ბოთლი მაქვს, ვიღებ და ზუსტად ამ მომენტში ჩემში ასოციაციების გრძელი ჯაჭვი შეირხევა. ვხედავ, რომ მატარებლის ფანჯარაში ვირეკლები და თან წამიერად მახსენდება გაურკვეველ ადგილას შექმნილი მსგავსი ვითარება. სითხე სიამოვნებით მეღვრება სხეულში და ასოციაციაც ქრება.

დაძინებამდე დროს ვიხანგრძლივებ. დილით უკვე თბილისში უნდა ვიყოთ. ფანჯარაში ისევ სრული წყვდიადია, თუმცა იმ ძველ ქალაქს ვერ მივაგენი, მაინც ვიცი, სად ვიყავი და საიდან მოვდივარ, მაგრამ ახლა სად ვარ და საით მივდივარ, ამის გაგება მიჭირს, რადგან ფანჯრიდან მხოლოდ რამდენიმე განათებული ნერტილი მოჩანს. არადა, მატარებელი მაინც მიდის, მიდის, მიიწვინება...



ილია ერქვანია

●  
რისი თქმაც მინდა,  
ხშირად კრძალავს მას ტაბუ ლექსის,  
ხანდისხან სათქმელს ელობება  
ცხოვრების საგა...  
რაც ჩვენში ხდება,  
ორიოდე პოეტს თუ ესმის,  
როცა სიკვდილი და სიცოცხლე  
დაგვეძებს სხვაგან...

●  
დღეს ჩემი საქმე  
სხვა საქმეა,  
არც სხვას ეხება,  
მშვიდად რომ ვიყო,  
წვრილმანებთან ჭიდილი მიწევს...  
და განზე მრჩება ის,  
რაც ვიცი,  
რაც მეხერხება,  
და ეს ფაფხური ურჩხულებშიც კი ღიმილს იწვევს...

●  
დგება დრო, როცა ყველა გკარგავს,  
შენც ტოვებ ყველას...  
ხელის ფათურით ძლივს პოულობ  
სახელურს კართა...  
ბრუნდები სახლში,  
როცა მზის ქვეშ ცივა და ბნელა,  
ვილას ახსოვხარ,  
მიტოვებულ სამყაროს გარდა!



ღარიბი კაცის ის  
ქილა ერბო,  
აღმოჩნდა  
ჩვენთვის სიმდიდრე  
დიდი...  
იქიდან ყველას რაღაცა  
გვერგო  
და საქმე ახლაც  
ხომ კარგად  
მიგვდის?



აღვწერე ღიად  
ჩვენი ამბები –  
მსვლელობა ღიად  
სულთა და ქართა...  
უთანასწორო ომში ჩავები  
გადარჩენისთვის  
საკუთარ თავთან...



ქარებს მიაქვს,  
ქარებს მოაქვს  
ჩემი,  
შენი,  
მისი დარდი...  
აქ ყოველთვის ჩვენი დროა –  
აფრენის და  
ჩამოვარდნის!



დიდხანს ვეძებე,  
მიმასწავლეს მე ერთი ბრძენი,  
შეხვედრა გვექონდა უღიმღამო,  
დუმით სავსე...  
ძუნნი სიტყვებით დამიხატა  
არყოფნა ჩვენი,  
მხოლოდ ღიმილი მიწყალობა  
ცხოვრების გზაზე...



შეუძლებელს ვითხოვთ მუდამ  
ყოფნიდან...

სანამ ვართ და  
ოცნებებით ვივსებით...  
ერთმანეთი  
რადგან აღარ გვყოფნიდა,  
მიტომ გავხდით  
ერთმანეთის ღირსები!..



სიბრძნის მხარდამხარ  
სისულელეს შევნატრი ხშირად,  
ქვეყნად ვერავის,  
ვერც ჩემს თავსაც ვეღარ ვპირდები:  
რა აღმომხდება მაშინ,  
ერთხელ, არყოფნის პირას,  
აღარც სამოთხეს,  
ჯოჯოხეთსაც არ დავჭირდები?..



ყოფნა-არყოფნა და  
სიცოცხლე ერთადერთია,  
ამიტომ ფასობს ჩვენი სიტყვა,  
შეცდომა,  
მარცხიც...  
მინაზე შენ ხარ,  
მაღლა კიდევ შენი ღმერთია –  
მარტოობაა ეს სამყარო,  
შორს წასულ კაცის!

## ერთი წამი

ამ სამყაროში  
ყოველ ადგილს გზა აქვს თავისი,  
და ყველაფერი გათვლილია  
განგების მიერ...  
მაგრამ არსებობს ერთი წამი  
სულ არავისი,  
რომელსაც ვეძებთ  
და გვჭირდება ყველაზე ძლიერ!

## გიორგი სოსიაშვილი



### ღანიელები

– რო მოვყვე, ვიცი მაინც მივა ეგ ამბავი იმათ ყურამდე... აიჯაგრებიან, სიმთვრალეში გამიხსენებენ და უეჭველი შარში გავეხვევი, – იცინის კახუჩელა. – მაგათი ამბავი... ხუმრობას ველარ იტანენ, სიცილი დაავინყდათ ამ შობელ-ძაღლებს, სიცილი... ადრე რო დადგებოდნენ ბირჟაზე და ბჟირდებოდნენ, ათას რამესა ყვებოდნენ... ეხლა ეგრე მოვალეებივით იბღვირებიან, მაგათ სახეს ღიმილი აღარ ეკარება, იბღვირებიან, დაჟანგდნენ ფიქრით, დაჟანგდნენ; ფიქრმა, იცი, როგორი დაჟანგება იცის? სიცილი მაგისტვის მოიგონა გამჩენმა – რო არ დაჟანგდე, ხანდახან ხელი უნდა ნაჰკრა სულში ღრუბელსა. ეეჰ, ეგრე ღრუბლიანები დაგვტოვა ომმა – ზოგს სახლი დაუნვეს, ზოგს მინები დარჩა იქით, ზოგმა საქონელი დაკარგა და არიან ეგრე თავიანთ სადარდებელში გამომწყვდეულები, გამოკეტილები... დარდის გალიაც არსებობს.

ერთი სიტყვით, დამთავრდა ის წყეული ომი; წლები არა ყოფილა, წლები არ გაგრძელებულა, მაგრამ დაუსრულებელი კი გახდა ის რამდენიმე დღე, ჯოჯოხეთად გვექცა ცხელი დღეები.

დამთავრდა და მოვიდნენ ჩვენებურები. ზოგი არც წასულიყო, სოფლიდან ფეხი არ გაედგა, კარ-მიდამო არ მიუტოვებია. მერე კი ჩუმ-ჩუმად წამოაძახებდნენ ხოლმე, სიმთვრალე-

ში – რო წახვედით და აიბარგეთ აქედან, რო გამოკეტეთ სახლ-კარი, მაშინ უნდა გაგხსენებოდათ საქართველოს სადღეგრძელო, ეხლა რო ჭიქებს იგორავებთ გულზე. სად დავრჩენილიყათ, რომელი შეიარაღებულები ჩვენ ვიყათ, რო რუსებს გადავდგომოდით, თქვენ თუ დარჩით, ხო სულ თავი შეაკალით, ბალებში იმალებოდით და გარეთ ცხვირს არა ყოფდითო. მოკლედ...

მეტირებოდა აჟრიაშულეულ სოფელს რო ვხედავდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რო სასაფლაოდან სახლში დავბრუნდი – მკვდრების სამყოფელს თავი დავაღწიე. სოფლის სუნთქვასა ვგრძნობდი. სოფლის სისხლის ხმაურსა ვგრძნობდი. ენკენისთვე მოგვეგება სოფელში, დალოცვილი... შენი სახლი შენთვის სამოთხეზე მეტია. სახლში რო ხარ კაცი, ცხონებასავით არი. ვუყურებდი და მეტირებოდა. რა გვიყვეს ესა, როგორ დაგვაბუზარავეს, როგორ გაგვირეკეს, როგორ გაგვადედღეს. ერთი კარგი კი ის იყო, რო სიმთვრალეში ჩვენს გაუთავებელ ტრაზასს ბოლო მოეღო. ყველას ვაჟკაცობა და ქართველობა გამოჩნდა. ჩემიც გამოჩნდა. ის არა ვყოფილვარ, როგორიც მეგონა ჩემი თავი, ორ ჭიქას რო გადავკრავდი, ქვეყანა ჩემი მეგონა და ასეთი წარმოდგენა მქონდა ჩემს თავზე, ჩემი ქვეყნის მტერს თავს შევაკლავდი. ტრაზაში ვართ გაკეთებულები. დავიტიმე და წავედი. საცა სოფე-

ლი, იქ მეც-მეთქი... ერთი ჩემი მეგობრის ანდაზისა არ იყოს (ანდაზები იცის, ანდაზები, დიდ სკივრში ვერ ჩაეტევა). „საცა სოფლის ნახირო, იქ დედაბრის ხბოცაო“. აეგრე დედაბრის ხბოსავით გავყე სოფლის ნახირს, ბოჩოლასავით გავყე. არადა, რო გეკითხა, მტერს კუდიტ ქვას ვასროლინებდი. დევნილობაში ისე შემზიზღდა თავი, ლამის ჩემი ხელით გამოვუყვანე ნირვა. ჩემს ბიჭს ვუყურებდი, ეგრე გაბეცებული თვალებით რო შემომცქეროდა და ვფიქრობდი: მე რო დამემსგავსოს, ჩემნაირი რო გაიზარდოს და ამანაც რო უარესად აქციოს მომავალში მტერს ზურგი-მეთქი. ჩემნაირი ღმერთმა არ გაზარდოს შვილი-მეთქი, – გულში ვფიქრობდი. იმასაც რო იგივე გაეკეთებინა, სუფრებზე ეყელყელავა, გულზე ხელი ებრაგუნებინა და, საქმე საქმეზე რო მიდგებოდა, სოფლიდან დატიშულიყო. ღმერთო დამიფარე! ასე დაგვანახა ომმა თავი!

ეხლა დანიელებზე რო დაგპირდით.

მათემ მოიყვანა დანიელები – რიჟანვერიანი კაცები იყვნენ, სულ ყველანი რიჟები, გოდეს ბიჭი ხო იცი, რიჟა კაკო... იმაზე რიჟები იყვნენ.

მათე, გალუსტანთი, რომელილაც ორგანიზაციაში, დანიელების ორგანიზაციაში ყოფილა – დატანჯულ ხალხს ეხმარებოდნენ, დევნილებსაც აპურებდნენ, ღმერთმა გაახაროთ. მოიყვანა მათემ, ე, ჩვენებურები... – ოი, გული მოსდის კახუჩელას – რა გინდა, შვილოსა, კაცი გეხმარება, მშიერი ხარ, ტიტველი ხარ, კუჭი ამოგხახვია... მოიყვანა მათემ, ჩვენს სოფლებს დავეხმარებო. ერთი ტრაილერი მაკარონი და ზეთი მოაყენა სოფლის შუაგულში. წინასწარვე იცოდნენ, ამათი გაუგებარი რა დარჩებოდა; მოგროვდნენ დამშრალ წყაროსთან. წყარომაც მიაწება ომის დროს მიწას თავი, ამოშრა, ეგრე; არადა, რა წყალი გვქონდა, დალოცვილი... წყალიც გაუჩინარდა. ვერ გავიგეთ, რატომ დაშრა...

თან უხაროდათ დანიელების მოს-

ვლა ჩვენებურებსა, თან მათზე ბუტბუტებდნენ; ეგაო, ცარიელ ჯამში ხელს არ ჩაყოფდაო, კაი გაცვეთილია ეს ჩვენი მათებიჭი. რო მოაყენა ეს უცხოელები, ალბათ, თვითონაც კარგა იხიერებსო. იმდენს უხდიან, იმდენსაო... რა გინდა, დაყენდი შენს ქერქში, გეხმარება კაცი, გულმა გამოუნია თავისი სოფლისკენ... გააკეთებ – ვაია, არ გააკეთებ – უია. ხალხს თვალი სადა აქვს, დანებებული აქვს თვალი, დანებებული, ხანდახან გამოახელს და, რასაც უნდა, მხოლოდ იმას ხედავს.

მათემ უცხოელები დაიყენა გვერდით. ეს ხალხი, დანიელები არიანო, ჩვენებურებს უთხრა, ჩვენს დასახმარებლად არიან ჩამოსულებო. ესა ქრისტიფორეაო, ესა ლუდვიგაო, მესამეს სახელი აღარ დამამახსოვრდა, – კეფა მოიქეცა კახუჩელამ. – ვთხოვე, რომ ჩემს სოფელს დახმარებოდნენო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თქვენი სახელით დანიელ ხალხსაო, თან იმათკენაც გაიხედავდა ხოლმე, ჩაუინგლისურებდა. როგორ კარგა უსწავლია ამ შობელქაღლსაო, ბურტყუნებდნენ...

მერე დანიელი სტუმრებიც გამოვიდნენ სიტყვით. უფრო ასაკიანი ქრისტიფორე იყო – სამოც წლამდე იქნებოდა, ჭლარაშერეული რიჟა ნვერი მარტონიკაპზე ჰქონდა ამოსული, თავი სულ გადაეპარსა, უბზინავდა მზეზე, იტყოდნენ რო ერბო ესვა.

მათე გვითარგმნიდა.

– ჩვენაო, ძალიან განვიცადეთ თქვენი ამბავიო, მთელი დანია ფეხზე დგასო, მცირე ნობათი ჩამოგიტანეთ, ნაომარი ხალხი ხართ, უბედურებაგამოვლილი, მიიღეთ ეს ჩვენი მცირე საჩუქარი და სულ ცოტა ხანში კიდევ გეწვევით, სხვა საჩუქრებსაც ჩამოგიტანთო.

ტრაილერისკენ გაურბოდათ თვალები ჩვენებურებს, ნუნკი ძაღლებივით მიშტერებოდნენ.

– ეხლა მხოლოდ მაკარონი და ზეთი ჩამოვიტანეთ, მეორე ჩამოსვლაზე სხვა

რალაცებსაც ჩამოვიტანთო.

გაოფლილი შუბლი დაჭმუჭნული ხელ-სახოცით გადაინმინდა კახუჩელამ.

– არსად გამოსაჩენები არ არიან, არსადა. გახსნეს თუ არა ტრაილერის კარი, ველარ იჭერდა ჩვენებურებს მათე, გაგიჟდა ბიჭი – რას აკეთებთ ხალხო, სირცხვილია, რას იფიქრებენ დანიელებო, – სახე ტიტებისფრად ულიპლიპებდა. ქრისტეფორე და მისი ამხანაგები თვალეზდაკარკლული შესცქეროდნენ... დაესივნენ მაკარონსა და ზეთსა, – თავს იქნევს კახუჩელა. – მგონი რუსებზე არ იყვნენ ისე გულმოსულები, როგორც ერთმანეთზე. ცოლებიც ხო იქა ჰყავდათ... ყვირილი, წყევლა, გინება. მათე ხო მოისროლეს გვერდზე, მერე ლამის დანიელებიც გალანძღეს – თუ მოგქონდათო, ცოტა მეტი წამოგელოთ, ნახევარ სოფელსაც ვერა ჰყოფნისო.

მთელ სოფელსაც ეყოფოდა და ყელშიც ამოუვიდოდა იმდენი იყო, მაგრამ მიჰქონდათ და მიჰქონდათ, სამ-სამჯერ მოდიოდნენ.

ნერგის ქვეშ იდგა ელიოზა, საბჭოს თავმჯდომარედ რო მუშაობდა ხოლმე, ეხლა კარგა მაგრა მოტეხილიყო, სიარული უჭირდა, ორი ჯოხით დადიოდა.

თვალეზდანიელებული იდგა და სიმწრისგან გაღეული ნიკაპი უკანკალებდა. ბოლოს ველარ მოითმინა, ერთი მიაფურთხა, სამსართულიანი გადაუკურთხა, ბოლოს მიანყევლა: არ გაგაძლოთ მამაჩემის სალოცავებმაო, – თქვა და ჩლახუნით გასცილდა იქაურობას.

იდგა მათე გამტკნარებული. ხან მოყაყანე თანასოფლელებს მიაჩერდებოდა, ხან გაბეცებულ დანიელებს, ხან გამოცარიელებულ ტრაილერს.

შეხედავდი თუ არა, მიხვდებოდი რო ნანობდა, – ეს რა დედიჩემისა ვჭამე, რამდენი ჯაფა დამჭირდა, ლამის იყო ფეხები დაფუკოცნე, აქეთ რო წამომეყვანა და ეს რა გამიკეთეს, სადღა გამოვყო თავიო, თვალეზში ველარ უყურებდა დანიელ მეგობრებს. ბოლოს იმ ლოპიტა ქრისტე-

ფორემ გამოიყვანა მდგომარეობიდან. მათეს მხარზე მოუთათუნა ხელი.

– ომის ბრალია, მე ვიცი თქვენი ხალხი როგორია, როგორი გულუხვი, დიუმას კავკასია ფრანგულად მაქვს წაკითხული, იქ ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „ქართველებს ისე უყვართ საჩუქრის გაღება, როგორც სხვებს საჩუქრის მიღებაო“. რას იზამ, ომმა თავისი დალი დაასვა ყველას, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, იმ ხალხს, ვისაც მაკარონი და ზეთი არ შეხვდა, გადაეცი ჩვენგან, რომ მათთვისაც აუცილებლად ჩამოვიტანთ.

რას იზამდა მათე, იდგა და ილიმებოდა, მაგრამ ვაი ამ ილიმს!



ლონგეს ბიჭთან წაიყვანეს დანიელები. მათე ერთი ხანობა უარობდა, მე მივხედავ ამ ხალხს, ჩემთან წავიყვან, მე ვუმასპინძლებო. ლონგეს ბიჭმა გადაბღვირა თანასოფლელებს – რას მიყურებთ, თქვე გამოქლიავებულებო თქვენა, კაცმა ამდენი პატივი გცათ, პადვლები გაავსეთ მაკარონებითა და სუფურის გაშლაც აღარ გინდათო?!

აქეთ – ლონგეს ბიჭი, იქით – მათე.

მათეს ერთი სული ჰქონდა იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ლონგეს ბიჭმა თავისი გაიტანა.

ბოლოს, როგორც იქნა, დაჰყაბულდა მათე. დანიელ მეგობრებს უთხრა, ამათი ამბავი ვიცი, არ მოგვეშვებიან და ბარემ აქვე წავისადილოთო. დანიელებიც ილიმებოდნენ, სულ ილიმებოდნენ, ვერ გაიგებდი, დაგვცინოდნენ თუ რა იყო.

სუფრა... უიმე! აბა, მათე ვინც შეარცხვინოს მე იმის ასე და ისეო, ლონგეს ბიჭმა. წამოაქცია ბურვაკი, შარშანდელი სამოციანი ჰქონდა მოსახდელი, გორულნარევი ჩინური და მოშვლიპა თავი. გიორგობას უნდა მომეხადა, მაგრამ, ვენაცვალე იმის მადლსა, არ მიწყენსო. ჩამოასხა... ისეთი სურნელი გამოვარდა მარნიდან, ეზოშივე დაარეტიანებდა კაცსა.

გუგეს ბიჭმა, ზერომ, წალამი ააგიზ-გიზა. ბურვაკის სამწვადე „სეტკაზე“ დაყარა. მოეფინა მწვადის სუნი იქაურობას.

– მაგათ ეგონათ, რო მშივრები დავიხოცებოდითო, – ხარხარებდა ლონგეს ბიჭი. – აი, მაგათ, – სამი თითის კომბინაციაო. – რუსებს გულისხმობდა.

გივის ცოლმა ხაჭაპურები დააცხო. სანამ სუფრას გაშლიდნენ, ეზოშივე გაუჭრეს დანიელებს.

დანიელები ხაჭაპურს მაღიანად შეექცეოდნენ. მათე იცმუცნებოდა, ჭამდა, მაგრამ სიბრაზე მაინც არ განელებოდა.

ბოლო მწვადები წამოცენცა გუგეს ბიჭმა ცრემლიანი თვალებით და სუფრასაც მიუსხდნენ.

რა ომი, რის ომი... შემწვარ-მოხრაკულები არ აკლდა სუფრას. ჭერეხივით ეყარა მწვადი და დედლები. დედლები კაკოს შეანერეს, მურა გივის ბიჭსა...

შეუბერა ლონგეს ბიჭმა და თარგმნას ველარ ასწრებდა მათე. მოჰყვა და მოჰყვა მამაპაპურებს. დანიელები წრუპავდნენ ლონგეს ბიჭის ღვინოს და კმაყოფილები-სგან წამდაუნუმ რალაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

ეგრე არ გამოვავო, ლონგეს ბიჭმა, გიორგობის ღვინო მოვხადე და ამის ესე დაღევა როგორ შეიძლებაო. გადაეცი ჩვენს სტუმრებს, რო წმინდა გიორგი გაგვინყრებაო. გადაუთარგმნა მათემ, დანიელებმა ერთმანეთს გადახედეს.

მოკლედ... სამჯერ გაუხდათ ცუდად ქრისტეფორე. წასძლია სულმა, აჰყვა ლონგეს ბიჭსა და კინალამ ჩაბარდა პატრონს. გაუბრაზდა მათე ლონგეს ბიჭსა, მაგრამ რას შეასმენდა.

– შენაო, იცი რას გეტყვიო, ამ სუფრაზე მე ვარ ბატონი და, როგორც მინდა, ისე დავილოცებო.



ვისაც მაკარონი არ შეხვდა, ეზო-კარი აუტალახა მათეს. სად არიან დანიელებიო, ხო დავგვირდნენო. თან ბუზ-

ლუნებდნენ, ჩვენი წილი მაკარონი და ზეთი ვინ წაილოო, ვინ მიითვისაო.

– ეს რა შარში გავეხვიეო კაცო, რა გავაკეთო აღარ ვიციო, მაკარონი მაგათ და ჯანდაბა, – სიმწრისაგან თითებს იჭამდა მათე. მათე მიითვისებდა ჩვენს წილსა, თორე დანიელები დავგვირდნენო. უნდა ველაპარაკოთო.

ეცი კაცს პატივიო.

აბა, რა ვქნათ კაცოო, ქრისტეფორეს უთქვამს მათესთვის, ვის რად უნდა ეს ჩვენი მაკარონი და ზეთი, შემწვარ-მოხრაკული არ აკლიათ შენს თანასოფლებსო. ძან მეეჭვება ბურვაკის მწვადის მერე მაგათ მაკარონს პირი დააკარონო.

მართლა საოცარი ხალხი ხართ, საოცარიო.

– აეგეთი ამბები იყო ომის მერე, – ქირქილებს კახუჩელა.

„მაკარონი, მაკარონი...“

ე... მათე კი გააგიჟეს სანყალი.

## მამლის წელი

– ე, ჩემს ძმასა, ხო უყურებ, ესეთი ქვისნატეხი კაცი, – ხელი ჩაიქნია გუჯამ. – ვერაფერი გავაგებინე, ვერაფერი შევასმინე.

– არც შენა ხარ ნაკლები ქვის ნამტვრევი, – მწყრალი თვალებით მოხედა უმცროს ვაჟს ზალიკომ. – ესა ნაკლები არ გეგონოს, – მომაჩერდა სამოცდაათს მიტანებული დევნილი ხეობელი, – ბავშვის ნატრული ვარ, პატარის ნატრული ვარ, პირი მინისკენა მაქ და ერთი ამათი... – ხელი ჩაიქნია ზალიკომ.

– სკოლას დავამთავრებ თუ არა ცოლი უნდა მოვიყვანოო, ქორწილს ხო გადამიხდიო. ემანა, ემანა... – გუჯასკენ გაიშვირა მარილებისგან მოგრეხილი სალოკი თითი. – სკოლა კი არა, გადაკრუხებისკენ წავიდნენ ორივენი. აი, დღესა, აი, ხვალა, აი, დღესა, აი, ხვალა... ე, სანყალ ქალსაც აღარ შეუძლია, დღე კი დაფუსფუსებს, მაგრამ ღამე ამის კვნესა არ მაძინებს, აღარ შეუძლია. დაეშვა „პაკრეშკები“;

მინც არ ვეშვებით... აი, დღესა, აი, ხვალა. ერთმანეთს შესცქერიან, ჯერ შენი ჯერია, ბიჯოო, არა შენი ჯერიაო, არა შენია, არა შენიო. რა ვიცი... – პაპიროსი გაირჭო ზალიკომ კბილებში. – რანაირი ახალგაზრდები არიან, თუმცა რალა ახალგაზრდები, ორმოცს გადასცდნენ და ამათ ჰგონიათ, ბანტიანები დაეღალალებიან. მასხარა გამხადეს, მასხარა. მეთქი შვილიშვილებს გავზრდი-მეთქი, ჩემს გემოზე გავზრდი მეთქი. ამ ომმა გამაპარტახა და, რაც ომმა დამაკლო, ესენი მისრულებენ.

– კარგი, კარგი, კარგი, – დაუცაცხანა მერაბომ. – გაუხალასტოვე ხოლმე, გაუხალასტოვე, რო ჩააგდებს პირველში, დამთავრდა.

– მოიყვანე და ხმის ამომღების დედაც... – დაიჯღანა ზალიკო. – პატარები ხო არა გგონიათ თქვენი თავი. სიბერე უკან მოგდევთ. ჯერ არ გესმით მისი ნაბიჯები, მაგრამ ეგეც მალე იქნება. სიბერის ნაბიჯების ხმა რო მოგწვდებათ ყურში, მერე მიხვდებით...

– კარგი-მეთქი, კაცო!

ზალიკოს ხმა არ ამოუღია. მისი მეუღლე გამოვიდა, ცხელ-ცხელი ხაჭაპური გაგვიჭრა.

– დაბერდაო, ვინ დაბერდა?! – ჩაელიმა მერაბოს. – აბა, დახე, რა ხაჭაპურები დააცხო.

მელანომ თავი გააქნია, გაელიმა, მერე ზალიკოსკენ გაექცა თვალი და სამზარეულოში შებრუნდა.

– „ხაჭაპურები კი არა... მე ვიცი რაც უნდა გამოუცხო ამათა“, – ფიქრობდა ჭარმაგი ხეობელი.

– აილე, მისწვდი... – სკამი მიაჩოჩა გუჯამ, – ნალდი ოსურია. – ჩაცინა გუჯას, – არ გაგეცინება კაცო, ოსებმა სახლი დაუნვეს და გამოაქციეს ოსი, დგას ეხლა და დევნილობაში ხაჭაპურებს უცხოებს, ხაჭაპურებს.

გული მიგებდა, რალაცა უცნაური წინათგრძნობა მქონდა, გეფიცები, ვინ დავიფიცო. არაფერზე მიწევდა გული,

მერაბო კიდე... სახლს მოვაშენეთ, მოვუმატეთ, მერე ავეჯი... გავძეძგეთ სახლი, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა.

წინა წელს გაგვიმართლა, მოსავალი იყო, ველარა ვტევდით. მეზობლის ბიჭსა ვთხოვეთ პადვლები, რო ვაშლი დაგვეწყო, ნოლი ვაშლი გვეწყო, ნოლი. მაგრა გაგვიმართლა, ერთი სეტყვა არ ჩამოვარდნილა იმ წელიწადს, ახალგამართული ბალი დაზორტილი იყო. გოლდენი, სარის სინაფი, სევას ვაშლი... ფასიც მაგარი ჰქონდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ოსი ვაჭრები, კაბარდინებიც მოდიოდნენ, ავუნით და ავუნით ფასსა, იძლეოდნენ.

მერაბო იატაკს ჩაშტერებია, თან თავს აქნევს სინანულით. ცეცხლი უტრიალებს მერაბოს, გული ჩამწვარი აქვს, მაგრამ გამოხატვა არ შეუძლია. ეგრე იტრიალებს ბოლმას და ვარამს.

– ერთი პარკი ფული ვიშოვეთ, მაა, – გუჯამაც თავი გააქნია სინანულის ნიშნად. – გული მიგებდა-მეთქი, ხო გითხარი. სახლი სახლს დავამგვანეთ. გული და სული ჩავდეთ; მოგვექონდა და მოგვექონდა ავეჯი. ე, ჩვენი მეზობლები, ხო იცი ხალხის თვალი, რა იშოვეს ამისთანაო, დაჭყიტეს თვალეები და მართლა დაგვთარსეს. ჯერ მერაბოს ჯერი იყო, მერაბო უნდა დაქორწინებულიყო, მაგრამ... თითქოს ქალაქისკენ მომინევდა გული, ამდენი ფულის ხარჯვასა, ერთი სახლი ქალაქშიც ვიყიდოთ-მეთქი, ვერ გავაგებინე. ხო გითხარი, ქვის ნატეხია მეთქი.

რა ჯანდაბა მინდა ქალაქშიო, რა ხორველა მინდაო, სოფელს დავბეროთ ტკბილი სული, ის გვირჩევნიაო. მიტრანთ ნაკვეთზე ეჭირა თვალი, გააპარტახა მიტრას ლოთბაზარა შვილიშვილმა იმისთანა ედემ-ბალი. აეს რო შევიერთოთ, პლანტაჟს გაუუკეთებ და კაი ბალი გაშენდებო. შენ კიდე აგისირებია ქალაქი, ქალაქიო. რა მომაფიქრებდა, რო რამდენიმე თვის შემდეგ სხვის კარზე მოგვიწევდა ნონიალი. ხან ერთ ნათე-

სავს მივეხიზნეთ, ხან მეორეს, საბავშვო ბაღშიც ვათენ-ვალამებდით და ბოლოს აემ კოტეჯში აღმოვჩნდით, – თვალე-ბამღვრეულმა გუჯამ იატაკს დახედა და ფეხი დაარტყა. – სულ წყალია, წყალში ტივტივებს.

ზაქროს სტუმრები პანტაპუნტით ჩაცვივდნენ ჩამტვრეულ პოლში. ტკბილ მოგონებებზე იყო თამადა მისული, ჩავარდა პოლი და თამადიანად ჩაიტანა სუფრა, ძლივს ამოიყვანეს ზაქროს სტუმრები, ჩახლენილი ჰქონდათ თავ-კისერი.

– ერთი ჩემი მეზობლის გოგო, ოსი იყო, დვანელ ბიჭს გაჰყოლოდა. ეტყობა, გვეძებდა, გვეძებდა – ჩვენს ხელში გაზრდილი, ჩვენს კალთაში – გვიპოვა, ინტერნეტით გვიპოვა, სახლისთვის სურათები გადაეღო და გამოგვიგზავნა.

– სახლი ეხლა... – ნაიზმუკუნა მერაბომ. – სადღაა სახლი.

– ველარ ვიცანი იქაურობა. ჯერ ხო გადაბუგეს, მერე ბუღდოზერი მიაყენეს და დაანგრიეს თურმე... ეზოთი ვიცანი. თავიდან ცოტა დავიბენი, ჩვენია – ჩვენი არ არის, – ვფიქრობდი. ჩემს ცხოვრებაში ცრემლი არ გადმომვარდნია თვალზე, გული ეგრე იოლად არ მიჩუყდება, მაგრამ ბავშვებივით ვტიროდით, იტყოდი რო საკუთარი ცხედრები გველაგა და ჩვენს თავს ჩვენვე ვუნევედით ჭირისუფლობას.

ერთი ეგ იყო, რო სიზმრები და მოგონებები ვერ წაგვართვეს. ის ჩვენი ეზო-კარიც არსებობს ჩვენს სიზმრებში და მოგონებებში, – თვალეები აუნყლიანდა გუჯას. სად დაემალა ცრემლი აღარ იცოდა, მერე გაელიმა და ამით ჩაგმანა ცხრაკლიტულში ცრემლი. – ესენი მასხარად მიგდებენ, კაცო, ერთი ხანობა ეგონათ, როცოტა დავაშხუილე. ან რა გასაკვირია, ყველაფერდაკარგული, ყველაფერწართმეული კაცი რო გაგიჟდეს. ღვთიშობელში მამალა უნდა შემენირა. დედაჩემი ვერ იყო ერთი ხანობა კარგად – ისეთი სახადი შეეყარა, ლამის ხელიდან გამოგვეცალა. მაშინ შევუთქვი

– მამალი უნდა გამეშვა ღვთიშობელში. ჩვენებურები დაიჭერდნენ, ლეკი სანდროს ბიჭები ერთავად მშიერ-ტიტვლები დადიოდნენ. თუ ვინმე რამეს შესწირავდა იმ დალოცვილს, კარგი დღე უთენდებოდათ. აღდგომა იმათთვის იყო, თუ იყო. რო მოედებოდნენ სასაფლაოს... პასკითა და შეღებილი კვერცხებით ავსებდნენ, შობელძაღვლები, აბგებს. რო დავინახავდი, გული მიძღებოდა ხოლმე, მიხაროდა, მშიერები რო არ იყვნენ. ლეკის ბიჭები დაიჭერენ, მაღლი მოგვივა-მეთქი. დედაჩემი რო მოკეთდა, პირი აქეთ იბრუნა, მამალი ისე გავასუქე, ველარ დადიოდა; სიმინდზე ვაგულავებდი, მართლა მამლად იგრძნო თავი.

ამოჩემებული ჰქონდა – სახლის წინ სიმონა მსხალი გვედგა, იქ ათენ-ალამებდა. წვიმა იყო, თუ დარი, სიმონა მსხალზე იჯდა და დილას უცდიდა, იტყოდი, რო მთვარიანად კენკავდა ცაზე ვარსკვლავებს, დილა რო შემოეყვანა.

ვერ მოვაბი თავი... აი, დღესა, აი, ხვალა... მაპატიოს იმ დალოცვილმა, სულ სიზმრებში ვხედავ ჩვენს ღვთიშობელსა. ხან ფეხშველა მივდივარ, ხან მამლით მივდივარ... – პირჯვარი გადაიწერა გუჯამ. – ისე არ მომკლას ღმერთმა, ისე არ წამიყვანოს, რო ღვთიშობელში ვერ მივიდე, – ისევ აუნყლიანდა თვალეები და ისევ დამალა ცრემლი.

მელანომაც ველარ შეიკავა თავი, ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

– კარგი ეხლა, – დაუცაცხანა ზალიკომ. – შენი ცრემლი აკლია ჩემს ბოლმასა.

– ის მამალიც იქ დარჩა, სხვა ყველაფერთან ერთად დარჩა, მსხალზე დარჩა. რუსები დაკლავდნენ, ალბათ...

მივდივარ ამასწინათ ბაზარში. სათამაშო მამლებსა ჰყიდის ერთი კაცი. გავჩერდი, ვაკვირდები... მამლის წელი მოდის და მამალს მიაქ ბაზარი, სათამაშო მამლაყინები გამოუფენიათ. ვდგავარ და ვაკვირდები, იტყოდი, რო

პატარები მიღნაოდა სახლში და მათთვის უნდა ამერჩია.

პლასმასისა კი არ გეგონოსო, – გამყიდველი მეუბნება. – ნამდვილი ბუმბულით არის გაკეთებულიო... ისიც ჩემნაირი დევნილილი გამოდგა, დიდლიაზვის ხეობელი, ძარწემელი – იდგა და მამლებით ვაჭრობდა ეს ცხოვრებადანგრეული, გაპარტახებული კაცი, სახეზე საშინელი ტანჯვა რო ეხატა. ხურვალეთის კოტეჯებში ყოფილა. ერთმანეთს შევტირეთ ჩვენი უბედურება. საოცარი ამბავი ის იყო, რო ერთ მამალს დავადგი თვალი. აი, ჩემს კაცობას ვფიცავარ, თუ რამე ტყუილი გაფურიო, ჩემი მამალი იყო ზედგამოჭრილი, საღვთისმშობლო, გაოცებული ვუყურებდი, ხელით შევეხე და ყვირილი დაიწყო. შევკრთი, ძარწემელს სიცილი აუვარდა.

– ე, რა არის კაცი-მეთქი.

– რა არი და ეგეთი გამოგონება არიო, ხელით რო შეეხები, ყვირის ინყებსო, – უფრო მოუმატა სიცილს ხეობელმა.

– ღმერთო, დიდებულო, რა საოცრებას არ გადაეყრები კაცი ცხოვრებაში. სათამაშო მამლის ყვირის კი არ ვგულისხმობ, მსგავსებას ვგულისხმობ. არ ვიცი, არ ვიცი... – ჩაილაპარაკა გუჯამ. – ზუსტად ისეთი, აჰა, ჰკითხე თუ გინდა.

მერაბომ თავი დამიქნია.

– ზუსტად ისეთი იყო, ზუსტად.

– სათამაშო მამალსლა ვაყვილებდით ხოლმე, – ჩაეცინა ზალიკოს. – აბა, ეს ცხოვრებაა, კაცი რო სათამაშო მამალს დააყვილებს...

– ესენი სხვას რას მიჯერებენ, ეგ რო დაეჯერებინათ, – გააგრძელა გუჯამ, – დაიკარგა მამალი ერთ დღესაც, ჩაიყლაპა. ვეძებეთ, ვეძებეთ, ვერაფერი. ამათ დაასკვნეს – მეზობლის

ბიჭმა მოიპარაო. შავი გუროს ბიჭი შემოდოდა ხოლმე, ვანიკო, ცუღლუტი ბავშვი კია, მაგრამ, რაც არ გაუკეთებია, როგორ უნდა დააბრალო? აესენი ვერ დავაჯერე.

გავედი ერთ დილითაც, კაცო, გავედი... ბაღჩისკენ გავიარე. დევნილობაში ხეივანი გავმართე ბაღჩაში – უფრო სწრაფად გარბის დრო. ატმები ჩავყარეთ, გარგლები, ბლები, ერთიორი ქლიავიც გაფურიეთ... მაგის გული თითქოს არავის არ გვექონდა, მაგრამ უქმად ყოფნას, რალაცა ხომ უნდა გვეკეთებინა. უცბად გაიზარდნენ, უცბად დაიჯომნენ. ბაღჩა შეივსო, დაიჩრდილა, რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციამ გვარჩუქა მილები და გვერდით ხეივანი გავმართე. ხეივანი იქა გვექონდა თუ გვექონდა, ტონა ოთხასი ინურებოდა სუფთა წვენი. წყალს ვინ მიაკარებდა? აქაც გავმართეთ, ჩინური და თავკვერი გაფუშვი. ვაზის გაზრდას კიდე, ხო იცი, რა უნდა?! ღვთის თვალი და პატრონის სურვილი. ნამოვიდა და ნამოვიდა, უცბად გადავიდა, გადაფარა... პატივში ჩავსვი, მეზობლისგან ვზიდე, გაგიჟდა ვაზი, აი, რქა, – ცერი თითი მაჩვენა გუჯამ. – ეხლა გაგასინჯებ ჩემი ხეივნის ღვინოს.

– მოკლედ, გავედი და რასა ვხედავ – ჩემი სათამაშო მამალი ხეივანზე ზის.



არ ვიცი, ჯერ მეგონა, მეჩვენება-მეთქი. ხელი ავუქნიე, აქმა მეთქი. ჯერ ყური არ შეიბერტყა, მერე გოროხი ვესროლე – ფრთაში მოხვდა, დაიკურკურა და გვერდით გადახტა.

დიდება შენდა, ღმერთო!

მამლის გაცოცხლება?! თვალები მოვიფშვნიტე, ლოყაზე ხელი მივიტყაპუნე, დაგერხა გუჯა-მეთქი, მაგრამ, ბოლოს მივხვდი, რომ მოჩვენება არ იყო, თუმცა მაინც ვერ ავხსენი ეს ყველაფერი. სათამაშო მამალი როგორ უნდა გაცოცხლდებოდა, მაგრამ, რო ვხედავდი?! შემოვვარდი შიგნითა... მერაბო შინ არ იყო, ზალიკო და მელანო გავიყვანე ბაღში. დაინახეს, მაგრამ მაინც არ დაიჯერეს.

– გაჭირვება და უბედურება კაცს ისეთ რამეს მოაჩვენებს, – ჩაილაპარაკა ზალიკომ.

– ხო დაგანახე, – გაუნყრა გუჯა.

– დანახვით არ დამინახავს. თვალებს ნუ აბრიალებ გლახათა, ხმა გავიგე, ხეივნიდან გადაფრინდა და მეზობლის სახლის კუთხეში გაძვრა, მაგრამ, რაც არ დამინახავს...

ეხლა მელანოს მიუბრუნდა გუჯა.

– შენ ხო დაინახე?

– დავინახე, დავინახე, – ჩაილიმა მელანომ და ერთადერთი კბილი გამოაჩინა.

– არ იჯერებენ, ესენი რო არ იჯერებენ, სხვები დამიჯერებენ?! – ხელი ჩაიქნია გუჯამ.

არ დამიჯერებენ და ნუ დამიჯერებენ. მე ხო მჯერა!

## შვილიშვილი

– იმის შვილიშვილი გამოდგა. ღმერთმა აცხონოს ის კაცი, სანამ პირში სული მიდგას, როგორ დამავინყდება. ისეთი კაცი შეიძლება მეორე აღარც დაიბადოს. არ უნდა კვდებოდნენ ეგეთები, არა. ზოგიერთები რო დადიან უქმად, მიწას ამძიმებენ. ყველა თავის სამარეს ამოავსებს... კი, გასაგებია, ყველას თავის

პირდაღრენილი საფლავი უცდის, ვითომც არაფერი, მაგრამ, როგორი ავია მიწა, როგორ იღრინება, გვაჭმევს, გვასმევს და მერე თვითონა გვჭამს. ეგ უხეირო. დგანან და მიწებზე, აი, აი, აი, – თავს აქნევს ვახუტია. – ერთმანეთს როგორ ჭამენ, აემ ჩემი მეზობლებისა არ იყოს, ძმების, ქიტუანთ ნოშრესა და აბესა ვგულისხმობ. ძმა რო ვაზებს დაუჭრის ძმასა... ერთიც მოკვდა და მეორეცა, ჩაიგმანა მაგათი ალაყაფის ჭიშკარი, ჩაიკეტა. აბა, მაგათი შვილები აქეთ ჩამომსვლელეები არ არიან... გაყდიან, მაშ რა ჯანდაბას იზამენ, მომვლელი ვინ არი?! ჩაკეტილ, ჩაგმანულ კარზე საშინელი დასანახი რა არი. სიცოცხლის ადგილი რო სიკვდილს უკავია, მდუმარება ქეიფობს სახლში. მოჩვენებები ჰყავს თანამეინახებებად, დედასა, არადა, როგორ სჭამდნენ, სანტიმეტრებით უზომავდნენ ერთმანეთს მიწასა, სამანის ადგილზე დაჭამეს ერთმანეთი. ანდერძი დაუტოვა აბემა, ნოშრეს სიხლოვეს არ დამმარხოთო, სადმე მეიდნის ბოლოში გამიჭერით საფლავიო, ახალი შემოერთებული როა. გაიზარდა სასაფლაო, გაივსო და ახალი მიწა მიუერთეს, ბუჩქები გაასუფთავეს და იქ დამარხეს აბე, სანყალი. ღმერთმა გაანათლოს ცხონებული ესტატე. მშიერტიტველი ვიყა, ჩემი ცოლი რო წავიყვანე, სიმამრი მოსაკლავად დამდეგდა, სიგრძე-სიგანეში შევცქეროდი ამ ჩემს მაგდანასა და ეს რა გამიკეთეთო, ვის გაჰყვევი, როგორ გამოითხარე თვალეზო. არადა, გვიყვარდა ერთმანეთი, სიყვარულმა ეგრეთი რალაცები არ იცის, ძმაო, სიყვარულმა მდიდარი და უპოვარი არ იცის. შეგვიყვარდა ერთმანეთი, ვდნებოდით ერთმანეთის დანახვაზე, გული მიგვდიოდა, კაცო. რა ვქნა, ეგრეა. ვიცოდი, როგორი ბრაზიანი კაცი იყო, როგორ მიღრენდა მის დანახვაზე, ცივი ოფლი მასხამდა ხოლმე. ერთი ხანობა ვიფიქრე კიდევ – ემის გადაკიდებას... მიღრს-მეთქი?! მაგრამა ჩემმა ძმამ ჩამჩურჩულა: – შე ლაჩარო, შენა, სიმამრის შიშით ფსელი

გაგდის, ხალხმა სიყვარულის გულისთვინ თავი განირა, შენ კიდე გიორგას დანახვაზე ქვეშჩასვრილი დადიხარო.

ლამის კალიასავით გამგლიჯა გიორგამა, მაგრამ რაღას იზამდა?! შეეგუა თანდათან. ხანდახან კი წამოუვლიდა ხოლმე; არაყს რო გადაკრავდა, აეფოფრებოდნენ ხოლმე. ერთი-ორჯერ სახლიდანაც გამომაგდო, ეგ როგორ გაბედე, შე მურიანო, ეგ როგორ მაკადრეო. მერე ისევ მოუღბა გული. არ იყო ბოროტი კაცი, თავისებური ხუმტურები ხო ყველას გვაქ, ისიც ეგრე იყო, წამოჰკრავდა ხოლმე, ხან სულში ჩამისვამდა – ღარიბი კი ხარ, მაგრამ შენს თავს არავის დავაჩავგვრინებო. ხან ჭრიდა, ხან კერავდა.

საწყალს, მოურჩენელი სატკივარი შეეყარა – ყელში გაუჩნდა, წამოიტირებდა ხოლმე, საწყალი. ჩემი სიდედრი (ხან კი ამწარებდა ჩემი სიმამრი), მაგრამ მაგრა უყვარდა თავისი ქმარი, ეკეტებოდა, ისე უყვარდა. აბრაზებდა ხოლმე, ცუდი გინება იცოდა, სამსართულიანებს დაუშენდა ხოლმე საწყალ მელანოს.

საწყობის გამგედ გამიყვანა ცხონებულმა ესტატემ. დამიბარა. პატარა ბიჭი კი ვიყა, მაგრამ მკვირცხლი გონება მქონდა, წამებში ვანგარიშობდი ხოლმე; საბუღალტროც ახალი დამთავრებული მქონდა, უმაღლესში ვაბარებდი, მაგრამ ერთმა ჩვენებურმა ჩათლახმა მიჩივლა. საქმე წამიხდინა – გამომადედეს გამოცდებიდან, მერე ავდექი და ტექნიკუმს მივადექი. მთელი ცხოვრება სანანებლად დამრჩა, უმაღლესი რო ვერ დავამთავრე. არ იყო კაი კაცი, არ იყო, რას ვუშავებდი, რო იჩივლა. იბადებიან ეგეთები, რას იზამ?!

ესტატე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. საწყობში გახვალო?

დავიბენი, სად საწყობში უნდა გამიმვას ან რაზე უნდა გამიმვას-მეთქი. ბრინჯივით დაბნეული ვიყავი, თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი.

– რა დაგემართა, კაცო, რო გეკითხები, პასუხი არ უნდა გამცე? – პაპირ-

ოსს დასწვდა. – საწყობის გამგედ რო დაგაყენო, გახვალო?

ყურებს არ ვუჯერებდი.

– გავალ-მეთქი, – ძლივს ამოვილულულულე.

– მიქეს შენი თავი – ჭკვიანი, პატეოსანი ბიჭიაო. საწყობის გამგე ვასო ფერმაში უნდა გადავიყვანო, თორემ იმ ცანცარა გურამამ დედა უტირა ფერმას. ის თუ არ მოვაშორე იქიდან, საყვედური არ ამცდება რაიკომიდანაო.

ჩემს სიმამრს რო ვუთხარი, არ მიჯერებდა, ცხონებული. რა საწყობი, რის საწყობი, სიცხე ხომ არა გაქო. ვინ დაგაყენებს საწყობის გამგედ, მაგ ადგილს საშენოდ ვინ გახდის, რაღაც მოგეჩვენებოდაო. ვერაფრით დავაჯერე. საწყობში რო მოვიდა და გამგის ოთახში დამინახა გამოჭიმული, ეს ურწმუნო კაცი, მთელი ცხოვრება რო ღმერთი არ გახსენებია, პირჯვარს იწერდა.

წამოვედი და წამოვედი წვიმა-წყალივით, სული მოვითქვი, როგორც იქნა. ქირითა ვცხოვრობდი მიტრას სახლში. ჩემს სიმამრთან ერთი ღამეც არ გამითენებია. ქირით მერჩივნა, მაინც სიმამრი იყო. ზედსიძეობას გაეკარი, კაცო. სხვებისა მეჯავრება, სხვებისა...

სუფრა არ გაშლილა, რო ცხონებული ესტატესათვის შენდობა არ მეთქვას. პურღვინოს დავაყვედრიდი, სული იმ კაცმა მომათქმევინა, ფეხზე დავაყენე ოჯახი?! მაღლიერების გრძნობა თუ დაკარგე კაცმა, აქვე ჯოჯოხეთში ხარ! ურწყავების ბოლოში მიწების განაწილება რო დაიწყო, ტურებივით დაესივნენ ჩვენებურები. ვინ რას დაგაცდიდა?! ეტაკნენ, დაისათითაოეს. ესტატემ მითხრა: – რო დგახარ და შესცქერი ეგრე, სულ საწყობის გამგე კი არ იქნები, წინ გაიხედე, შენი შვილი რო გაიზრდება, დავაჟკაცდება, ბალი არ უნდაო?!

აილო და ორმოცდაათი მეასედი მამიზომა. თვალეები ღამის გადმოსცვივდათ. შური გულის ობია, ხო იცი. დაობებული რო აქვს გული კაცსა, აბა, რა

უნდა უთხრა. ერთი ამბავი ჰქონდათ – ემაგასა რო ორმოცდაათი მესამედი მოუზომე, ჩვენა ათ-ათიც აღარა გვხვდებაო. – რო დაუბრიალა ესტატემ თვალები, გულეში მუცელში ჩაუცვივდათ, – რაც მოგეცით, მაგასაც უკან წაგართმევთო. ერთხელ რო გაბრაზდებოდა, მთელი წელი ჰყოფნიდათ ხოლმე. სიბრაზესაც ფასი უნდა ჰქონდეს და სიცილსაც. უფასო არაფერი ვარგა. წყალი ზედა ჰქონდა ჩემს ნაკვეთსა, ვანკას თავზე საშვები იყო და მერე პლიტებით გადმოდიოდა ჩემკენ. იმ წელს დავაპლანტაყე, გოდე ამოვიყვანე, „პეპესოროკი“ რო ჰყავდა, ცხონებული, იმ ტრაქტორმა შეინირა – არხში გადავარდა ნასვამი და კინნი მოსწყდა. ისეთი გულიანი კაცი იყო... ცალფრთიანით ამოვატრიალე. თეთრი მინა ამოჰყვა, მაგრამ ხილისთვის მაინც კაი ადგილი იყო. იმ წელს კარგა გავტეხე, მერე თოვლმაც ჩამოყარა, დამზრავლდა, კაცი იფლობოდა. დამზრავლებული მინა ნამყენისთვის, იცი რა არის? როგორც დედის რძე უხდება ბაღლსა, აეგრეა. ნავედი გაზაფხულზე სათემოში, ამოვიტანე ნამყენი. ჩვენ გიოს დავარკალინე. ბიჭები მომეხმარნენ და ბალი გამოვიდა, ოო, ავ თვალს არ დაენახვებოდა. ვინც ამ ბაღში ცუდი თვალით გადმოიხედოს, იმის ასე და ისეო, – გადაიკურთხა გიომ, ჩაყრას რო მოვრჩით.

ერთი სიტყვით, ცხონებული ესტატეს



მოზომილ მინაზე, კაი მაგარი ბალი გავმართე. უცბად გაიზარდა; მერვე წელს სხმა დაიწყო. ვაშლიც წამეშველა და სახლის აშენებაც დავინყე. ჩემი სახლის ადგილზე, ჩემი სიმამარის ძმის ვენახი იყო, მერე კოლექტივმა ჩამოართვა. მამაჩემს მისცეს და იქ დავინყე სახლის შენება. რაც აქ წვალე და დაგვა ჩავდეთ...

ომის მერე წავიდა ჩემი საქმე.

ამდენი ხალხი გაანამეს. როგორია, მთელი ცხოვრება რო აკონინებ, ლუკმას იკლებ, რო რაღაცა გააკეთო, შვილებს დაუტოვო, ბოლოს პანჩურს ამოგიჭერენ და გაგაგდებენ ძალივით.

საწყალი ხალხი... სიზმრებილა დარჩათ მარტო, ამ საცოდავებს.

გიჟი უნდა აქო და ერიდოო – ჭკვიანმა კაცმა დაწერა. ალბათ, რუსებზე თუ დაწერა. დავკარგეთ ამოდენა მიწები. მე კი დავბრუნდი ჩემს ჭერქვეშ, მაგრამ ის ხალხი, ის ხალხი რა დღეშია ან ჩემ დაბრუნებას რა ფასი აქვს?! გათენდება, გაიხედავ სარკმლიდან – რუსების გზა გხვდება ეგრევე თვალში (შამბირეთზე რამოდენა გზა გაიყვანეს, აქედან რამხელა ჩანს და ახლოს რამხელა იქნება), მეორე ფანჯრიდან გაიხედავ და – ეკლიანი მავთულები... გავკარი ესეთ ცხოვრებას, მაგრამ მაინც ხო შინა ხარ.

ავიკრიფეთ ომის დროს გუდა-ნაბადი... ძალით ჩამტენეს მანქანაში. გეგონებოდა, ჩემი სიკვდილით ქვეყანა დაიქცეოდა.

აქეთ – მე და იქით ისინი – ჩემები. წაიჭამეს თავპირი. თროკივალით მიმიყვანეს მანქანასთან. ვაგინე, ვლანძღე... მივდიოდით და მომელრიცა კისერი სახლის ცქერით, ბოლოს ვეღარ

შევიკავე თავი და წამსკდა ცრემლი. რა გატირებს, კაცო, – ჩემი ბიჭი მომიბრუნდა და დამშვიდება სცადა ვითომა. – სახლიც იქნება და კარიცა, მთავარია, რო ჩვენ ვიყოთ ცოცხლებიო.

აი, სახლს რო ააშენებ, წვალებითა და დაგვით რო ცხოვრებას აანყო, მერე თქვი ეგ სიტყვები-მეთქი, – შევბღვირე ჩემს ბიჭსა.

საბავშვო ბაღში მიგვიყვანეს და დაგვაბინავეს... გაგიჟებას ვიყა. მართლა რო ვეღარ დავბრუნდეთ, მართლა რო დავკარგოთ ყველაფერი-მეთქი. თავს არ ვიცოცხლებდი, საკუთარ ცხედარს როგორ უნდა უყურო. მკვდარვით ვიყა. უმნეო, დამარცხებული კაცი გინდა იყავ, გინდა არა.

ჩემმა ბედოვლათმა, დათუნიკამ, რომელიღაც ბანკთან დაიჭირა საქმე. მე მაგეებისა არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი კი ვუთხარი, არავინ არაფერს გახეირებს, ჭკუით მოიქეცი, თორემ მერე გვიან იქნება-მეთქი. ვატყობდი, რო არავინ არაფრად მაგდებდა. თუ არაფერი შეგაქვს სახლში, თუ მშოვნელი არ ხარ, ყველას ფეხებზე ჰკიდისხარ. ცოლსაც მაშინ უნდისხარ და შვილსაც, როცა ფული გიჭყავის ჯიბეში. ე, გამოფხეკილი დარდით სავსე კაცი ვის რაში ვჭირდებოდი.

გამოიტანა რაღაც ფული, ვითომ საქმე წამოიწყო. ერთ აფერისტ კაცს გადაეყარა, ატყუა, ატყუა, მერე აითესა და ამ ჩემი გამოშტერებულის ფულიც თან წაიღო.

აითესება-მეთქი, ცხრაჯერ გავაფრთხილე. გაგიგია?! კიდევ კარგი, რო ქალად არ გაჩნდა, თორე მთელი რაიონი მაგაზე დავაჟუკაცდებოდა.

ალალიაო! – დედამისმა.

ალალი კი არა, დებილია.

სიალალესა და სიდებილეს შორის დიდი სხვაობაა, ვერანა! ენდე, მიდი... ვის ენდობი, რას ენდობი!..

იდგა და იშენდა თავში.

კაი დროსია. თავში წაშენა ადვილია, მაგრამ, რას უშველი, რას უშველი?!

იქნებ, გამოჩნდესო.

ისე გამოჩნდეს შენი მტერი და დამანყევარი. აფერისტები ანკესებითა სხედან და ჩემი შვილისნაირებს უცდიან. ერთი სიტყვით, კარგა მაგარი ვალი ამოგვედო.

მერე ვილაცა თავისნაირს უთქვია, ბანკები ვალებს ანერენ მოვალეებსაო, ომი რო იყო, შელავათებს უკეთებენო.

ვინ რა შელავათს გაგიკეთებს?! დაიჯერა... შტერი, შტერი... დაიჯერა და, აგრა, მოგვადგენ კიდეცა. ესტატეს მოზომილ ნაკვეთში გამართულ ბაღს მიყიდიან.

მოიყვანეს ვილაცა, მაღალ-მაღალი, გრძელცხვირა ახალგაზრდა კაცი – სათვალეები ეკეთა.

ბალი ჩემს ბიჭზე ეწერა და ეტაკნენ. არ გინდა გულმა გაგიძლოს?

ლამის სული გამძვრა. ორჯერ მომაბრუნეს.

წავიდნენ... სურათები გადაუღეს ჩემს ბაღს.

რა ვქნა, ძია, მეცოდები, მაგრამ კანონი კანონიაო, – მაღალ-მაღალმა, გრძელცხვირიანმა, წამდაუნუმ რო სათვალეს ისწორებდა სალოკი თითით. ჩამოუცურდებოდა, გაისწორებდა, მე აღმასრულებელი ვარ და ჩემი მოვალეობაა ეს ყველაფერიო – ბალის გაყიდვას გულისხმობდა.

კი არავის ვემუქრები, მაგრამ ჩემს ბაღში რო ვინმე შევიდეს, მამის სულს გეფიცებით, ნაჯახით დაგჩეხავ-მეთქი. გამოსკდომასა მქონდა ყელზე ძარღვები, სისხლი ვეღარ გადიოდა.

– რა ვქნაო, – მხრები აიჩეჩა აღმასრულებელმა. ხან მესურათეს მიაჩერდა, ხან ბანკის წარმომადგენელ, პატარა, გამწვლიკულ გოგოს.

უბედურება კიდევ წინ მელოდა.

– ბატონო ესტატეო! – ბანკის გოგომ მიმართა მაღალ-მაღალ აღმასრულებელს.

მეთქი მერვინება, მომეყურადა-მეთქი.

– ესტატე გქვია -ეთქი?

– კიო, – თავი დამიქნია.

– ოციოდე წლის წინ შენი მოსახელე

თავმჯდომარე გვყავდა ამ სოფელში, აიმი ცხონებული კაცის მოზომილია ეს ადგილი, კაცად იმ სულკურთხეულმა მაქცია-მეთქი.

წარმოგიდგენია, კაცო? ესტატეს შვილიშვილი გამოდგა.

ცრემლები წამომივიდა. ჩავეხუტე, ჩავეკარი.

– რა პაპა გყამდა, შვილო, რო იცოდე, ეგეთი მაღლიანი და სუფთა სულის კაცი, შეიძლება მეორე არ დადიოდეს დედამინაზე-მეთქი.

ვუყურებდი მალალ-მალალსა და მეტირებოდა. იმ კაცმა წამომწია, იმ კაცმა გამმართა წელში, ღმერთო, იმის სული გაანათლე!

შევეცოდე ბატონ ესტატეს, მარა რა გამოვიდა.

– დიდმა ესტატემ მომიზომა მინა და პატარა ესტატე მიყიდის-მეთქი, – შევტირე მოგროვილ მეზობლებს.

– რა ვქნა, პაპა, რა გავაკეთო, კანონი რასაც მავალეებს, იმის იქით ვერ წავალო. – თავს იმართლებდა ბატონი ესტატე.

– გაიყიდება კია? ვინ წამოვა ამ ბალის საყიდლად, ორ მეტროში „საზღვარიო“, – მავთულხლართისკენ იშვერდა თითსა.

– მოვლენ და კარგ მელასაც დაიჭერენ. ვილაცამ ეს ბალი წამართვას და, ჩემი კაცობა შერცხვეს, თუ წელი არ ავართვენიო-მეთქი, – ისევ დავიმუქრე, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევიათ.

– აეგ მიყო ჩემმა ბიჭმა.

## უთქმელი საღვთობა

– ამის... – თან უნდა, რო შეიგინოს, თან თითქო ვერ ბედავს, იტყვი, რო ბაგეს ვერ იმორჩილებს სიმართლისთვის. – ყველანი...

– რა ყველანი?! – ბადრი მიაჩერდა გაკვირვებით.

ქაქანებს, გეგონება მოსდევდნენ და ეს-ეს არის თავი შემოაფარა, მაგრამ სულს მაინც ვერ ითქვამსო. ყელზე

ხტის დედაძარღვი, ხტის და ბრონეულივით ალაპლაპებულ ღაბაბს უთამაშებს. ცდილობს, რო დაიმორჩილოს ნერვები, ამას თავის თავისთვის ცდილობს, თან ეფიქრება: „გულმა არ დაგიბათქუნოს, შე ჩემის გადანგრეულო, ცოტა დაიოკე თავი, დააჭი, მაგრამ გვერდით მდგომების დასანახავად უნდა, რო თავისი გავეშება გამოაჩინოს.

– ამ ხეობაში... ამ ხეობაში, – სალოკი თითი ზედ დააჭყლიტა ნაქელეს-არ-ნაქორნილარ-ნაძეობარ-ნაორმოცალ-ნადლეობარ მაგიდას, ქონისა და ხორცის სუნი რო ბოლომდე ჰქონდა გამჯდარი.

– რა ხეობაში? – ბადრი თავს იშტერებს, თუ მართლა ეუბნება?! სულ გიჟდება ბადრის სიტყვებზე.

– აემ ხეობაში, ჯერ მე ვიყავი და მერე – სხვები. ეხლა რო უბერავენ, ეხლა ყველანი გმირები გახდნენ, როგორ გააიოლეს გმირობა. გმირები, გმირები... თქვენი... ესენი არიან გმირები?

– ვინ ესენი? – ბადრი თვალეზაცემ-ციმებული მისჩერებოდა მალოს და ფიქრობდა: რა დაემართა ამ კაცს, რამ მოუარა?!

– ვინ ესენი და... – ხელი გაიშვირა სუფრიონისკენ.

– მალო არ ვიყო მე, თუ...

– დალიე ერთი-ორი ჭიქა, ხასიათზე მოდი, ქორნილია, კაცო, რა თავ-პირი ჩამოგტირის, – ქებაანთ ნიკომ ჭიქა მიანოდა მალოს.

მალომ ირიბად მოხედა.

– ოქროც არ მინდა თქვენი.

ნიკომ მხრები აიჩეჩა და ისევ დადგა თეთრი ღვინით გაპილთუმებული ჭიქა, თან გულში გაიფიქრა: – „ამ ჩემს კოსტას თუ არ გინდა? დადექი და ეხვეწე ეხლა... მალო, მალო, მალო, მალო... სულ პირველობა გინდოდა, სულ პატივისცემა გინდოდა, სულ ტაშისკვრა გინდოდა, სულ თავკაცობა გინდოდა, ქელესსა, თუ ქორნილში, ნათლობასა თუ სამღვთოებში, სულა... მალო,

მალო, მალო, მალო... მოსწყინდა ხალხს და რა ქნას?!“ – ბადრის თვალი ჩაუკრა ნიკომ.

ბადრი თითქო უთქმელად მიუხვდა ქებაანთ ბიჭის ნაფიქრს, ჩაელიმა.

მალო იდგა და თამადას მოკლედ-დაბმული მოზვერავით უბღვერდა.

– აემნაირების დრო რო მოვიდა, აემნაირებისა. აემ ხეობაში, ჩიტი ვერ გაიფრენდა ჩემ გარეშე, გახსომთ? – თან სუფრას გადახედა.

– გვახსომს, გვახსომს, – არსენამ თავი დაუქნია.

არსენა მალოზე ორი-სამი წლით უმცროსი იყო.

– დაჯე, კაცო, დაჯე, – არსენამ თეფში გასწია. – მოილხინე, ძლივს ქორწილი გველირსა. სულ ქელები, სულ გასვენებები, სულ სიკვდილი... აგვიკლო სიკვდილმა, აგვიკლო... – თითქო სახე მოელუშა არსენას.

თამადას მიკროფონი ეპყრა, სუფრას გასცქეროდა და ენაწყლიანობდა.

მალო იდგა და, რა გაეკეთებინა, არ იცოდა. თითქო წასვლა უნდოდა, მაგრამ იტყოდი, ბრძოლის ველიდან გაქცევას ერიდებო.

– ვიფიქრე, კაცო!

– რა იფიქრე? – ისევ მიაჩერდა ბადრი. ასციალებოდა ბახუსის ვარსკვლავებით თვალები.

– რა ვიფიქრე და ან ეხლა დამლოცავს ან ეხლა დამლოცავს, ან ეხლა გავახსენდება, ან ეხლა-მეთქი, – ველოდებოდი. იმდენი დამსახურება არ მქონდა, რო ერთი სადღეგრძელო მაინც დაეღია ჩემი?

– რა დამსახურება?! – მიამიტურად ჰკითხა ბადრი.

მალომ თვალები დაუბრიალა.

– შენა, მარლენი გაგიგია?

– ვინ არი მარლენი?! – თვალები მოწკურა ბადრი.

– მე ვარ მარლენი! – ასასივით წამოადგა თავზე.

– მერე იყავი!..

– ყველა ერთნაირები როგორ გახ-

დით, ყველა ერთმანეთს როგორ დაემსგავსეთ? რა ვიცი, იტყვი, ერთი კაცის შვილები არიანო. გეგონათ, რო ჩემი დრო წავიდა? ეგრე მარტივად არ მთავრდება არაფერი.

– მარქსი და ლენინი... – ჩაილაპარაკა არსენამ და ჩაეცინა უღვაშებში.

– სმენა იყოს, სმენა!.. ჩემო ძვირფასებო, ჩემო კეთილო ადამიანებო!.. კაცო, ხო გთხოვეთ, სმენა იყოს-მეთქი! – ხმა შეეცვალა თამადას.

– კაი მკაცრია ისე. – თქვა ნიკომ.

– თამადა მკაცრი უნდა იყოს, თორემ... – კაკოც აჰყვა, ქებაანთ ბიჭის მეზობელი. ქორწილის დაწყების წინ, სანამ მახარობელი შემოვარდებოდა ჭყვიტინ-ჭყვიტინითა და ნითელი სამკლაურით, გეგონება ფეხბურთის გუნდის კაპიტანი იყო, კაკოს „სეკაში“ გაეფცქენა მექორწილენი და თან თამადას უსმენდა, თან მოგებულ ფულს უკვე ათჯერ მაინც ითვლიდა გონებაში.

– აბა, ის არის თამადა? – ბადრი. – ვალოს ბიჭის ქორწილში დაბიღუბი რო ჰქონდა, გუზოზე ვამბობ.

– დაბერდა, გამოშტერდა. სიბერემ არც თამადა იცის და არც ტოლიბაში, ბადრიჯან, – ჩაელიმა არსენას. – იცი, რა არის სიბერე? რა მოსაგონი იყო, რა მოსაგონი?!

– დაჯე, ბიჯო, დაჯე, – ისევ მალოს მიუბრუნდა არსენა.

– მალო, მალო, მალო... – ჩაიბუტბუტა არსენამ. – მარქსი და ლენინი, მარლენი... რამ დაარქმევინათ, კაცო. მარტო იმიტომ გაანათლოს მამაჩემის სული ღმერთმა, მარქს-ლენინა რო არ დამარქვა. როგორ გინდა, მთელი ცხოვრება მარქს-ლენინი გერქვას. ეხლა კი მალო გახდა, მაგრამ მაინც რო მარქს-ლენინია. სად არსენა, სად მარლენა... – ქირქილებს.

– ხო იცი, – კაკოს ჩასჩურჩულა არსენამ და მალოზე მიანიშნა. ელოდებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გამოაცხადებდნენ ამ კვახივით გას-

ახეთქს, ამას. თავის სადღეგრძელო ყველა ოჯახს დააწესებინა, იტყვი, რო პრისტავი იყო, თუმცა... აღარ არის ის დრო და ველარ ეგუება, ველარ ელევა.

– მალო, მალო, მალო, მალო... აბა, ვინმეს სუფრა გაეშალა და არ დაეძახა. მარტო დაძახება? სუფრის თავში არ გამოეჭიმა და თამადად არ დაენიშნა! უუ, მერე გენახათ. აბა, ვინმეს სოფლის საქმე გადაეწვიტა მალოს გარეშე, აბა, ვინმეს მიჯნა-სამანზე ნადავებულ-ნაკინკლავებული მეზობლები მალოს გარეშე დაემოშმინებინა. „ნასნავლი“ კაცი იყო და ყველგან უძახდნენ. პარტორგი იყო, არაფორმალების უფროსიც იყო, ყველაფერი იყო მალო, ყველაფერი... – ჩურჩულებს არსენა.

შეეჩვია და, რა ქნას?! შეჩვევა იცის ყველაფერმა. მარქსი და ლენინიც ხომ შეეჩვივნენ მალოს. ერთად დაბინავდნენ მის სახელში. კიდეც კარგი, რო სანყალ მამაჩემს ვინმე არ შეუჩნდა, თორე მეც ხო მალოსავით ვიქნებოდი?! შეიძლება ლესტალი დაერქმია და მალოსავით ლესტო შემრჩენოდა, – ცრემლებით ჩაკუჭკუჭდა არსენა.

– თანამედროვე ქორწილი კი კარგია, მაგრამ მთლად ნუ დავივიწყებთ ტრადიციებს, ძალიან ხმაურია, ხალხო, ერთმანეთს მოვუსმინოთ.

თამადის სიტყვებს მიკროფონის ზმუილი მოჰყვა.

– გაასწორე, ბიჯო, – დამკვრელებთან მოკალათებულ შავტუხა ბიჭს გასძახა. შავტუხა ბიჭიც უცბად მივარდა ერთმანეთზე დალაგებულ შავ ყუთებს, დახლართულ სადენებში შეაძვრინა თითები და მიკროფონმაც შეწყვიტა ზმუილი.

თამადამ დამკვრელებს თვალთა ანიშნა, ჯერ არაფერი დაუკრათო, მიკროფონს სალოკი თითი ნაზად ნაუთათუნა – ისევე აზმუვლდა მიკროფონი, ისევე ნამობტა შავტუხა ბიჭი და ისეთი თვალეზი ჰქონდა, რო თამადის შეგინებას ელოდა. ისევე აფათურა ხელი შავ სადენებში და მიკროფონს აღარ დაუზმუვლია.

თამადამ ის იყო სადღეგრძელოს თქმა დააპირა, ნეფე-დედოფლის ხელისმომკიდე-მეჯვარეები უნდა დაელოცა, რო მაგიდასთან მალო მიიჭრა.

– ხო არა მლოცავ!

თამადა ჯერ თვალეზანაკვერცხლებულ, შუახანს გადაცილებულ უცნობ კაცს მიაშტერდა, მერე გვერდით მსხდომ თანამესუფრეებს გადახედა.

– ვინ არის ეს კაცი?

– მე ვინა ვარ? – კითხვა შეუტრიალა მალომ. – ველარ მცნობთ არა? ხო ველარა მცნობთ!

– რა გინდა, კაცო, შარზე ხო არა ხარ? – თამადამ მიკროფონი გვერდით დადო და ბასრი მზერით შეხედა.

– შარზე კი არა, მე ვიცი, შენ რაც გინდა.

თამადამ ისევე გვერდით მსხდომებს გადახედა, მერე დამკვრელებისკენ გაექცა მზერა, მერე ნეფე-პატარძლის სუფრისკენ.

– რა უნდა ამ კაცს, ვინ არის?

– ვინც ვარ, გაჩვენებ. ხეობაში იკითხე და გეტყვიან, მალო ვინ არი!

– იცნობთ ამ კაცს? – ხმამაღლა, თითქო ვილაცის გასაგონად იკითხა თამადამ, უმიკროფონოდ.

არავის ხმა არ ამოუღია. თითქო მალო პირველად დაენახოთ და თავიანთი თანასოფლელი არ ყოფილიყოს.

– არავინ გიცნობს, – მიაჩერდა დამცინავი თვალეზით თამადა. – რომ არავინ გიცნობს, ესე იგი არ არსებობ და რო არ არსებობ, როგორ დაგლოცო. შენ კი მეძალავეები, დამლოცე, დამლოცეო. არ ვიცი, – მხრები აჩჩერა თამადამ. – რა ვთქვა, კაცი ასე ძალადობდეს საკუთარ სადღეგრძელოზე...

– შეჩვეულია, შეჩვეული, – საიდანდაც არსენას ხმა გაისმა.

– მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, ხო იცი, – მგონი კაკოს ხმა იყო.

– დალოცე ერთი, შენი ჭირიმე, დალოცე მალო, – ეს ვინლა იყო, მგონი, ბადრის ხმას წააგავდა.

– დალოცე მალო, დალოცე... – კიდევ ვილაცამ დაიძახა და ამ ხმას ხარხარი მოჰყვა. ეს ხარხარი თამადასაც გადაედო.

– მალო, მალო... – ბუტბუტებს თამადა და ლამის არის ჩაბჭირდეს.

ირყევა მაგიდა: ნაქორნილარ- ნაქელ-ენხარ-ნადლეობაი-ნაძეობარი...

მალო მაინც ელოდებოდა სადღე-გრძელოს.

## ქებლი

– მე ვინ მკითხა. ვეუბნებოდი, არ არის აქ ამის ადგილი, შენობას ჩამოეფხატება, აქაურობას დააუშნოვებს-მეთქი, მაგრამ... ფეხებზე არ ეკიდა არტემიჩს? იჯდა თავისთვის თბილად და რბილად, ქლიბით ილამაზებდა ფრჩხილებს და ჩემი საუბარი არც ესმოდა. გაახურეს საქმე. ხან ვინ მოვიდოდა, ხან ვინ ან საიდან მოაფიქრდათ იმ კაცის ძეგლის დადგმა. დავბერდი, ძმაო, ცხვარი მახია ფეხზე, ამოდენა ცხოვრება გავიარე და არც კი გამიგია, ვინ იყო. ჩვენი ქვეყანა მაგან გადაარჩინა, ეგ რო არ ყოფილიყო, ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდაო, – გაიძახოდნენ ძეგლის დადგმის წინ. ვაა, არც სკოლაში მისწავლია, არც ტექნიკუმში, დიდი სწავლა-განათლება არ მაქვს, მაგრამ მაგონილი ხომ მაინც მექნებოდა?! თუ ეგეთი მაგარი კაცი იყო, საიდან ამოაძვრინეს, კაცო.

იცი რა დავასკვნი?!

ხანდახან ძეგლებს რო დგამენ, ვითომ გმირებისათვის, სინამდვილეში საკუთარ თავს უდგამენ, საკუთარი თავის გამოსაჩენად უფრო აკეთებენ. მე ძეგლების არა მწამს რა. ძეგლი გულში უნდა დაუდგა კაცსა, გულში უნდა გიყვარდეს, ალალი შესანდობარი ნაუქციო, ტკბილად გაიხსენო. არ მომწონს ეს ძეგლები და რა ვქნა. არც ის ძეგლი მომწონდა შენობაზე მაღალი რო იყო. ბავშვობაში რაღაცნაირად მეშინოდა, ღამე რო გავხედავდი, გული მიღონდებოდა. ყველა ადამიანს

თავისებური შიში აქვს. მე ამ ძეგლის მეშინოდა და, როცა აიღეს, თან გული მწყდებოდა, თან მიხაროდა. მწყდებოდა იმიტომ, რო ვერ წარმომედგინა უამისოდ ქალაქი. ასე მეგონა, რაც ეს ქალაქი გაჩნდა, უფრო სწორად, რაც ცა და ქვეყანა გაჩნდა, სულ იდგა ის ძეგლი, იდგა და გადმოგვეყურებდა, ზოგს დაცინვით, ზოგს სიბრაღულით, ზოგს მუქარით – ყველას თავისებურად დაგვცქეროდა.

ჩამრჩა მისი თვალები და, რო გავიგე, რო აიღეს, თითქოს გამეხარდა, შიში მომეხსნა, გავივლიდი, გამოვივლიდი იმ ადგილს და მაინც იქითკენ გამირბოდა თვალი, შევაცქერდებოდი, ისევ ნაძვები მეჩვენებოდა, ანონილი ნაძვები, ერთიანად რო მოხერხეს ძირში, იტყოდი, რო ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ძეგლს, ნელა ეპარებოდნენ. ჯერ ნაძვები, ნაძვების მოხერხვაზე ვის რა უნდა ეთქვა. ნახევრად ხმელი ხეები აუშნოებდა იქაურობას. ადგნენ და მოხერხეს ძირში. დარჩა ძეგლი ეგრე ტიტვლად. გავიდა რამდენიმე წელი და... თქვენც კი იცით, როგორ ჩამოაბრძანეს ვეება კვარცხლბეკიდან უღვაშა კაცი.

ვერ ვეგუებოდი. სულ მეგონა, რო ისევ იდგა ძეგლი. თვალი გამექცეოდა ხოლმე. ჩამრჩა ის შიში, მაინც ვერ გავთავისუფლდი. რაღაც რო ჩაგრჩება, ჩემი კლასელი იყო, ცხონებული ჭყეტელა. არაყით მოილო ბოლო. ბავშვობაში კუკლიას რო დაინახავდა, იმის ცოდვით ქვა იწვოდა. გარბოდა და მისდევდნენ ბიჭები კუკლიით. იტყოდი, რო გადასანსლავედა. ფეთდებოდა ის უბედური. ყველა ადამიანს, სხვა ყველაფერთან ერთად, შიშიც თავისებური აქვს. მართლა... როგორც მე ჩამრჩა იმ ძეგლის შიში. სხვა ძეგლებსაც რო დავინახავდი, გული მიწუხდებოდა, შობელძალდი.

ერთი სიტყვით, ახირეს – ჯერ ქალაქის ცენტრში უნდა დაედგათო. ითათბირეს, ითათბირეს. იმ სათვალთან კაცს ღიმილიანი უარი უთხრეს, ძალიან დიდი კაცი იყო, ჩვენც გვსმენია, მაგის გაკეთე-

ბული საქმეების შესახებ, ეს ქალაქი რო არსებობს დღესა, იმ კაცის ღვანლიც არისო, მაგრამ აქა, სხვა რაღაცის აშენება იგეგმება და ეგ საქმე არ გამოვაო.

მერე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წინ აპირებდნენ. ჯერ ვითომ დასთანხმდნენ, ადგილიც შეურჩიეს, მერე ისევ გადაიფიქრეს. ამ კაცს ყველა პატივსა ვცემთ, დიდი ამაგი აქვს ჩვენი რაიონის წინაშეო, მაგრამ გოგებაშვილის უპრიანია აქაო...

რო წავიდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის ხალხი – ვინ იყო ის კაცი ან ძეგლს რატომ უდგამენო.

ბოლოს ჩვენ მოგვადგნენ. სასწავლებლის წინ, მარჯვენა მხარეს, ერთი პატარა ძეგლი იდგა, კაციშვილმა არ იცოდა, ვისი ძეგლი იყო. არც წარწერა ჰქონდა, არც არაფერი, ვერც იცნობდი, ვინ იყო. სკინტლით ჰქონდა თავ-პირი მოსისული. გავრეცხეთ, გავასუფთავეთ. ბრონზით გადავღებეთ. რექტორსა ვკითხე, ბოლო-ბოლო ვისი ძეგლია, ამდენი ხანია დგას და კაციშვილმა არ იცის-მეთქი.

– არ ვიციო, – მხრები აჩეჩა. – მე რომ მოვედი, ასე დამხვდა. ვისაც შევეკითხე, ვერავინ გამცა სწორი პასუხი, ზოგი მეუბნებოდა – ახალგაზრდა გიმნაზიელის ძეგლია, ზოგი ამბობდა – ახალგაზრდა სტალინიაო. ერთი პერიოდი ვაპირებდი აღებას, მაგრამ ვერ გავარკვიე, ვის ბალანსზე იყო, შევეშვი მერეო.

– ეს რო ავილოთ და ამის ადგილზე დავდგათ ახალი ძეგლი-მეთქი.

თვალეები დამიბრიალა.

– დაანებე მაგ ძეგლს თავი, ხომ გითხარი, გაურკვეველია, ვის ბალანსზეა. ერთ დღესაც რო მოგვადგნენ და მოგვკითხონ, მერე რა პასუხი გავცეთო.

ბოლო-ბოლო მარცხენა მხარეს გადანყვიტეს იმ უცნობი კაცის ძეგლის აღმართვა.

გული მიგებდა, ვუთხარი, მაგრამ მე ვინ დამიჯერებდა. პატარა კაცის სიტყვას რა ფასი აქვს. სიტყვის ფასს

სკამი ზრდის. არ გააჩერებენ ამ ძეგლს-მეთქი. რას ჰქვია არ გააჩერებენო. აბა, ამ დამშეულ ქალაქში, ბრინჯაოს ქანდაკებას რო წინ დაუდგამ, ქურდბაცაცებს მეტი რა უნდათ-მეთქი. – აქეთ – მე, იქით – ისინი. თან თვალეებს მიბრიალებდნენ.

აესე, დადგეს... ხომ ვეუბნებოდი, არ გააჩერებენ-მეთქი. ქვა მაინცა ყოფილიყო. დიდის ამბით კი გახსნეს იმ სახელოვანი კაცის ძეგლი. ვინ აღარ იყო მოსული. ერთი სიტყვით, დაიდგა ეს ძეგლი და დაადგეს კიდევაც თვალი აქაურმა ქურდბაცაცებმა. ერთი-ორჯერ სცადეს, მივედი დილით, მოღრეცილი იყო ბრინჯაოს თავი, ცერად იყურებოდა.

შევედი უფროსთან, აფუხსენი, ისევ ფრჩხილებს იქლიბავდა.

შემომხედა მწყრალი თვალეებით.

– რას გადამეკიდე, შე შობელძაღლო, მეტი სადარდებელი არა გაქვსო?

მერე გავიგე, მაგის ბიჭს მილიციასთან ჩხუბი მოსვლოდა, შარსა და ხათაბალაში გახვეულიყო.

– მოიპარავენ-მეთქი, – კაბინეტიდან გამოსვლის დროს წავიზმუკუნე.

– ამ ჩემს კოსტას, თუ მოიპარავენ. ვინც დადგა, იმან იდარდოსო. – მომადევნა. ციმციმ მივხურე კარი. რო დაჯახუნებულყო, იფიქრებდა, კარი გაიხათქუნაო და, ხო იცით, რაც ემართებათ ხოლმე პატარა კაცებს. მიტოს შევჩივლე, სამნეოს მიტოს.

– რა ვუყო, კაცო, მე მაბარია ეს რაღაცები და რო მოიპარონ, ყოფას მიტირებენ. მირჩიე რამე-მეთქი.

მიყურა მიტომ, მიყურა და გაეცინა.

– რა უნდა გირჩიო, ჩემი წილი ჭკუაც არა მაქვს და შენ რა უნდა გირჩიო. მოიპარონ და მოიპარონ, მაგის პატრონი დედაც ვატირე, ეხლა ეგ გამიჩინე სადარდებლათაო.

– რო მოიპარავენ და ჩვენზე გადატეხავენ ჯოხსა, მერე დაიკიდე ეგრე-მეთქი.

ხელი ჩაიქნია.

– ერთი კაცი ქვეყნის დარდმა მოკლაო, იცი ეგა თუ არ იცი?

შევხედე და უფრო მომივიდა გული.

– ეგ რა შუაშია-მეთქი.

– კაი, შენ კიდე, კაცო, რა გაატრაქტორე საქმე. შუაში კი არ არის, თავშია, თავში. ვინც მოიტანა, ვინც დადგა, იმან იდარდოს, იმან იჯავროს. ჩვენ რა შუაში ვართ. პაპიროსის ფულად არა მყოფნის ხელფასი. ლამის არის საპირფარეშოც მე დამასუფთავებინონ... დაიკიდე, კაცო, – ამოაძვრინა გულის ჯიბიდან უფილტრო ოთხმოცი.

– მონევ? – მომაჩერდა ღიმილიანი მზერით.

გამოვართვი და საყარაულო ოთახი მყრალი სუნით ავაბორიალეთ.

მანანალებმა დაადგეს თვალი ძეგლს. უარეს აქეთ-იქით. ის მანანალები ერთი ლოთი დევნილის შვილები იყვნენ. სამი ძმანი, სკოლის მოსწავლეები. ეგრე დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, ხან მათხოვრობდნენ, ხან ქურდობდნენ. შევატყე, რო თვალი დაადგეს. ადვილი მოსაპარი იყო, რა უნდოდა ბრინჯაოს თავის მოძრობას.

დაუყარაულდი. მიტოს რო ვუთხარი, ყური არ მათხოვა.

– შენა, მაგ ძეგლის დარდი გადაგიყოლებსო, – სიცილი დამაყარა.

ვიცოდი, რო იმ ღამეს უნდა მოეპარათ. თვალი არ მომიხუჭია. ერთი-ორი წრე შემოვუარე ფანრით სასწავლებლის შენობას, უმთვარო ღამე იყო, თვალწინ არაფერი ჩანდა. მივიარე, მოვიარე, არაფერი... შევედი საყარაულოში. მიტო ისე ხვრინავდა, ისე ხვრინავდა, კუალდა რო ჩაგერტყა, ვერ გააღვიძებდი.

მივწევი ტახტზე. სულ არ მევალებოდა ეს ყარაულობა, მაგრამ, რა მექნა?! ჩემს ჭირად დადგეს იმ ცხონებული კაცის ძეგლი.

დაეყენებინათ, თავისთვის იყო. ვითომ დავინყებას გამოსტაცეს. როდის იყო, ძეგლები დროს ამარცხებდნენ?!

ვიფიქრე, რომც გამაგდოს უფროსმა

სამსახურიდან, უნდა მივიდე და ვუთხრა – ან ვინმეს დაავალოს ამ ძეგლის დარაჯობა, ან აქედან სულ წავალ-მეთქი.

შუალამისას შემომესმა ხმა. ცოტა ხანს მივუყურადე. ჩურჩული გავიგონე. მივხვდი ისინი იყვნენ, ის შობელძაღვლები, დევნილი ბავშვები. ფეხაკრეფით გამოვედი, ფანარი ავანთე. ძეგლს ეჯავგურებოდნენ. შუქს მოჰკრეს თვალი თუ არა, იპლიტეს. გავეკიდე, გავეკიდე და კაი გაკიდება მომივიდა, ქვის ფილას წამოვკარი ფეხი და ეს ამოტენა კაცი თავ-პირით გავხობდი. ვინ იყო ჩემი პატრონი, კბილების პროთეზი ძლივს ვიპოვე, ხელისგულები და მუხლისთავები დაყვლეფილები მქონდა, ტუჩებიდან სისხლი მდიოდა, ვიდექი და ფანრით დავეძებდი კბილებს. იქვე დაეყარათ ურო და ცარიელი ტომარა. ძეგლი კინკრინოთი იყო გადმოღრეცილი.

გათენდა და გავედი უფროსთან. კაი ხანი ველოდე, დავტორღიალობდი მისალებში. მდივანმა თაკომ – მგონი, პრეფექტურაში გამოიძახეს და დაავიანდებო. მაინც ველოდებოდი.

– „ბედისწერაა, ალბათ“, – ვფიქრობდი ჩემთვის. – „საიდან აიკვიატეს ამ ძეგლის დადგმა ან თუ დადგეს, ქვის ძეგლი მაინც დაედგათ, ქვას ვინ მოიპარავდა-მეთქი“.

შუადღით მოვიდა უფროსი.

მდივანს შესვლამდე უთხრა: – მალე უნდა გავიდე, სამინისტროში დამიძახეს და დღევანდელი შეხვედრები ახალი კვირისათვის გადადეო. – ამ თავპირდანგრეულს რო შემომხედა, თავი გააქნია. რა ვიცი, რა იფიქრა ან თავი რატომ გააქნია, ალბათ, ეგონა, სადმე დავლია და თავ-პირი დაინგრიასო.

შევიდა და შევყე. მერიდებოდა, მაგრამ ისე ვიყავი გამწარებული, რო არ მეთქვა გული გამისკდებოდა.

ერთი ხანობა წყნარად მისმენდა. ვიფიქრე, შევეცოდე და, ალბათ, დარაჯებს დაავალებს, რო ძეგლს ყურადღება მიექციონ ან აქედან სხვაგან გადაიტანენ-მეთქი.

წამომიხტა. გული ერთ ადგილას გამეპარა. თვალები ლამის გადმოსცვივდა. მისი მოსვლის პირველივე დღიდან ვიცნობდი და ესეთი გაბრაზებული არ მახსოვს. კარგა მაგრად შემამკო. ეტყობოდა, პრეფექტურიდან გაბრაზებული მოვიდა და ჩემზე იყარა ჯავრი.

– რით ვერ გაიგე, ეგ ძეგლი ჩემს ბალანსზე არ არის და მე მაგის შენახვა და მოვლა-პატრონობა არ მევალება. პრეფექტურის ბალანსზე არსებული ვილაცის ძეგლზე მე რატომ უნდა ვინერვიულოო.

გამოვიზუზე კაბინეტიდან. ბოლოს, ეტყობა, შევეცოდე. კართან მომადახა:

– გადადი და პრეფექტურასი აუხსენი ეგ ამბავი, იქნებ თვითონ მიხედონო. პრეფექტურა მაგათ და...

ვისთან მივსულიყა. ისევ ვთხოვე მიტოს.

– კაცო, მე რაც არ მევალება, რატომ უნდა გავაკეთო, ეგ ძეგლი მე არ მეხება, ვისაც ეკუთვნის იმან უყარაულოსო.

წავკინკლავდით. ამდენი ხანია ერთად ვმუშაობთ და თუ ესეთი გაჰკირა კაცი იყო, არ ვიცოდდი.

აფუვლიდი და ჩაფუვლიდი ძეგლს. აფუვლიდი და ჩაფუვლიდი. შემომცქეროდა ბრინჯაოსსახიანი კაცი. თითქოს თვალებით მელაპარაკებოდა. ერთი შენლა დარჩი, ვისაც ჩემზე გული შესტკივდება, სად მიიფანტ-მოიფანტნენ, სად წავიდნენ. ლაპარაკი მაინც შემეძლოს ან სიარული, რომ ამათ ვაჩვენო, ერთი ვინ ვიყავი...

მეცოდებოდა ეს კაცი. ვიცოდდი რო ამ ძეგლს არავინ გააჩერებდა. მარმარილოთი მოპირკეთებულ კვარცხლბეკს ამ გამოჩენილი კაცის თავს მოაძრობდნენ და მერე გაუყენებდნენ თურქეთის გზას. მაგნიტი რო შემოეტარებინა ვინმეს, ლითონისას ვერაფერს იპოვიდა, თურქეთში მიდიოდა და მიდიოდა.

ერთი სიტყვით, სანამ პრეფექტურაში კეთილმონყობის განყოფილების უფროსს შევხვდებოდი, ისევ მე მომიწია ამ ძეგლის ყარაულობა. ერთ ღამესაც

წამილო ძილმა. თითქოს მიტომ გადმომდო. წამომეპარა სიზმარი. წამილო და მერე როგორ. სიზმარში ვნახე, აი, ჩემს სამ შვილს გეფიცები, თუ რაიმეს ვიგონებდე. მე ეგეთი რამეებისა მაინც ადამაინც არა მწამს. დილა-სალამოს პარტიაზე გვაფიცებდნენ, ბელადაზე გვამღერებდნენ, რა სიზმარი, რის სიზმარი, მაგრამ გაოგნებული ვიყავი, კაცო, ვითომ ვილაც მანჯღრევდა მძინარეს, ვერ მალვიძებდა. ადექი, კაცო, ადექი, უნდა დაგემშვიდობო, შენს გარეშე როგორ წავიდეო – მანჯღრევდა, ბოლო-ბოლო თვალები გამოვახილე, ვაკვირდები ამ უცხო კაცს, რომელი ხარ-მეთქი, კარგად ვერც ვიყავი გამორკვეული, ძილი მანვა თვალებზე.

დავაკვირდი, დავაკვირდი და... ღმერთო დიდებულო, შენი სახელის ჭირიმე! ის იყო კაცო, ძეგლი იყო, ვითომ გაცოცხლებულიყო და, როგორც ძეგლიდან მიყურებდა, ისეთი სახით მომჩერებოდა მოლუშული, სევდიანი, უიმედო თვალებით.

ვერ ვიჯერებდი.

– მე ვარ, მე ვარო, მადლობის სათქმელად მოვედიო.

ვაკვირდებოდი. ის იყო, წამდვილად ის იყო.

– უნდა წავიდე აქედან, ველარ გავჩერდებიო. მინდა, რო მადლობა გადაგიხადოო.

– სად მიდიხარ-მეთქი.

– საიდანაც მოვედი, იქ მივდივარ, იქ უფრო მყუდროდ ვგრძნობდი თავს. იქ უფრო მიცნობს ხალხი. ვატყობ, რო უადგილოდ ვარ. იქ მირჩენია...

გარეთ ელოდებოდნენ. გასძახა: – ეხლავე გამოვალო.

თვალი გამექცა სარკმლისაკენ, მაგრამ ღამე ჩამომფარებოდა, ვერაფერი დავინახე.

ერთი სიტყვით, დამემშვიდობა და წავიდა.

იმის წასვლა და ჩემი გამოლვიძება ერთი იყო. წამოვხტი, ფანარს დავწვდი.

მიტოს ოთახში შევიხედე და ერთი გულიანად გადავუკურთხე. ოთახი ზანზარებდა, ისე ხვრინავდა. რო ეხმარათ, ვერ გაიგებდა.

– შენი პატრონის დედა მ...ნ, შენი, გასაგებები ხარ აქედან, ყარაული შენ-ნაირი უნდა დავიტრაბახოთ-მეთქი.

ერთი ფეხი წაგკარი და მივუჯახუნე კარი. გავედი ეზოში, ფანარი ავანთე. გავაშუქე და... – ჩქარა გავიქცეთო და მოფრთხენენ. ისევ გავეკიდე, მაგრამ დიდ მანძილზე აღარ გავყე, გინება კი მივაყოლე. ცოტა ახალგაზრდა რო ვყოფილიყავი, მე ვიცოდი, მაგრამ... აღარ მომყვებოდა მუხლი. რო აგეტორლილება სიბერე, ხომ იცი. გავანათე... სადღაა ძეგლი?! გადავირიე, ნერწყვი უარესად გამიშრა. ფეხები ამიკანკალდა. მივდივარ და ველარ მივდივარ. ძლივს გადავდგი ნაბიჯები. ცარიელი კვარცხლბეკია, ცარიელი. ხო არ მეჩვენება-მეთქი.

მივანათე, მივანათე, არ არი... ბოლმამ ლამის გული გამომიხეთქა. ცრემლები მომანვა.

– მიტოო! მიტოო! – ვლრიალებდი. – გამომხედე, შე შობელძაღლო.

ვერ გავაგონე მიტოს.

თვითონვე გამოელვინა და გამოიზლაქნა ეგრე, კუთხეში მიაფსა და მიყურებდა დაელმებული თვალებით.

ეზოს კუთხეში გამზადებული დარჩენოდან ბრინჯაოს თავი – მეშოკში ჩაედოთ და წაღება ველარ მოესწროთ.

ჯერ ვერ მივხვდი. გავხსენი მეშოკი და სევდიანი თვალებით რო ამომხედა, მერეღა გამახსენდა სიზმარი.

– აი, თურმე რატომ მემშვიდობებოდა-მეთქი – ჩავილაპარაკე.

მიტო ეგრე დებილივით მიყურებდა, ვერაფერს ვერ ხვდებოდა...



ძლივს დავიჭირე პრეფექტურის კეთილმონყობის სამსახურის უფროსი. ხან მე მიყურებდა, ხან მეშოკისკენ გაურბოდა თვალი.

– აი, ეს არის რო გეუბნებოდით, – გავხსენი და ბრინჯაოს თავი გამოვანჩინე.

მომეჩვენა, რო მარტო მე მიყურებდა ბრინჯაოდ ქცეული კაცი, თავის ჩვეული სევდიანი მზერით.

ფეხზე წამოდგა, ახლოს მოვიდა და ქანდაკებას თუ ბიუსტს დააკვირდა. იდგა, იდგა, ხმას არ იღებდა, მერე ვიღაც ქალს დაუძახა, საბუთები მოატანინა, იქექებოდა. ეს ქალიც ეხმარებოდა. შუახნის ქალი იყო, ძეგლს აშტერდებოდა, მეც მიყურებდა, ღიმილს ძლივს იკავებდა.

პრეფექტურა მაგათა და...

– არაო, არ არის ჩვენს ბალანსზე ეს ძეგლი და ჩვენ ვერ ჩავიბარებთო.

– რას ქვია ვერ ჩავიბარებთ-მეთქი.

– აეგრე, ვერ ჩავიბარებთო.

– კაცო, რითი ვერ გაიგეთ, იპარავენ ამ ძეგლს. ორჯერ უკვე გადავარჩინე და თუ მაინცადამაინც ის გინდათ, რომ წაიღონ და თურქეთში გააპრადალონ, მითხარით და ბარემ ეგრევე გადავცემ ქურდბაცაცებს-მეთქი.

– ეგ ჩემი საქმე არ არისო, – მხრები აჩეჩა და ქერა უღვაშები მიისწორა-მოისწორა.

– აჰა, საბუთები, თუ არ გჯერა შენი თვალთ ნახე, არ არის პრეფექტურის ბალანსზე და მე რა უფლებით ჩავიბაროო.

ის ქალი იდგა კუთხეში და უკვე ველარ იკავებდა სიცილს.

– რამდენიმე ძეგლი კი გვაქვს ბალანსზე აყვანილი. აჰა, წაიკითხე, – თითი ჩამოაყოლა სარეგისტრაციო ყურნალს, – ეს ძეგლი არსად არ ჩანს, – თქვა და მერე იმ ქალს შეხედა („მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო“).

იმ ქალმაც ღიმილი დამალა და თავი დაუქნია.

აღარაფერი მითქვამს, ავითრიე მეშოკი და წამოვედი.



სასწავლებლის გაყიდვა და ჩემი გამოპანღურება ერთი იყო. ყველაფერი იყიდებოდა და ვიცოდი, რო არც ამ შენო-

ბას გაუშვებდნენ ხელიდან. მამაჩემის სიმღერა მახსენდებოდა, აკვიატებული ჰქონდა ცხონებულს – „ყველაფერი იყიდება, შეყვარებულ გულის გარდაო“. იყიდებოდა ყველაფერი, პრეფექტურაც გაუქმდა, ის კაცი კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად რო მუშაობდა, ქუჩაში შემხვდა. შევატყვე, რო გვერდის აქცევა უნდოდა, მაგრამ ვერსად წამივიდა. პირისპირ შევხვდით, მომესალმა.

– რა ქენით იმ ძეგლზეო. – ველარაფერი ანამა.

კაი გადაკურთხების ხასიათზე დავდექი, მაგრამ ნერვები დავიოკე.

– რა ვქნა, არ იყო ჩვენს ბალანსზე და რა მექნაო, – ისევ იმართლა თავი.

– ნადი შენი-მეთქი... – ჩავიბურტყუნე გამწყრალი მღვდელივით და მოვცილდი იქაურობას.

ახლები მოვიდნენ. უცხოები, აქაურები არ იყვნენ. მშვიერი მგლებივით იყურებოდნენ.

– ჩვენო, ძალიან ვაფასებთ თქვენს დამსახურებასო. ვიცით, როგორი ოფლითა და შრომით მოიტანეთ აქამდე ეს დაწესებულება, მაგრამო...

ჯერ სიგელები დაგვირიგეს, მადლობის სიგელები. დაჰყურებდა მიტო და ცქმუტავდა ბალღივით.

– დავბედრი კაცი და მადლობა არავის გადაუხდია ჯერაო, – უხაროდა.

რა იცოდა იმ შტერმა კაცმა, იმ მადლობას რა მოჰყვებოდა.

დაგვიბარეს მერე და... – კარგად იყავითო. ძალიან კი გვიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ხელმძღვანელობას სხვანაირი ხედვა აქვსო. – შეგვრჩა ეს მადლობის სიგელები ხელში.

– ვერ გავიგე რა ხდებოაო, – მიტომ.

სხვა თანამშრომლებიც იყვნენ ცხვრებივით.

– რა ვერ გაიგეთ, სამსახურიდან გაგიშვეს, აკრიფეთ გუდა-ნაბადი და აახვიეთ-მეთქი.

ბევრი იცეს თავში, ხან ხვენწა იყო, ხან მუქარა, მაგრამ...

– თქვენი მადლობაცა და თქვენი დედაცაო, – მიტოს თან ენანებოდა სიგელი, შევატყვე რო ენანებოდა, გადახია და თვალეში მიაყარა ახალგაზრდა ბიჭს, თანამშრომლების გასაშვებად რო გამოგზავნეს და ენას რო უკიდებდა.

– ამ ლიყიანების გასაყრელები რო გავხდითო, – იგინებოდა მიტო.

სხვებიც იგინებოდნენ. ის ბიჭი იდგა და ილიმებოდა. ეკიდა...

ბოლო მივედი და ძეგლზე ვუთხარი. მეშოკით მედგა ჩემს ოთახში, მოვუყევი ყველაფერი.

– ეს ძეგლი ვის დავუტოვო-მეთქი.

მისმინა, მისმინა.

– მივალ და უფროსობას დაველაპარაკებო.

კარგა ხანი მალოდინა. ბოლოს გამოჩნდა. ისეთი შენუხებული სახე ჰქონდა, იტყოდი, მე კი არა, იმას უშვებდნენ სამსახურიდან. მივხვდი, რო კნოპკაზე ჰქონდა სახე. დააჭერდი – გაილიმებდა, დააჭერდი – მოიღუშებოდა.

მოღუშული ჩამოუყვა კიბეს.

– უარი მითხრესო. რაკი ამ სასწავლებლის ბალანსზე არ არისო, თანაც ახალ უფროსს სხვა გეგმები აქვს და ძეგლი იმ ადგილზე ველარ დაბრუნდებაო, – უფრო შეუნუხდა სახე, აფერისტულად მოებრიცა.

მოვიკიდე ბრინჯაოს თავი და წამოვედი...

აესე გახდა ეს კაცი ჩემი სახლის ბინადარი. თავიდან ხო ვთქვი, ბავშვობაში ძეგლებისა მეშინოდა-მეთქი. ეს შიში დიდობაშიც გამომყვა, მაგრამ, მივხვდი, რომ ამ კაცმა, რომელიც ჩემი სამოცკვადრატიანი ბინის ერთ-ერთ კუთხეში მომცრო ხის მაგიდაზე დავდგი, ეს შიში დამაძლევინა.

თავიდან ცოტა მიჭირდა, მაგრამ მერე შევეჩვიე, შეჩვევა იცის ყველაფერმა.

ბედისწერამ ჩემს სახლში „მოიყვანა“ ეს კაცი.

ამჟამად ჩემს ბალანსზეა...

გია კობახიძე



●  
მზე შემოდგომის აპირებს მოსვლას,  
სევდიან ვარდის ფურცლად დაფენას,  
ჯადოსნურ ფუნჯის ინებებს მოსმას,  
ბრონეულისფრად ფერავს საფერავს,  
დაღლილი ხელით აწვება კარებს,  
სანამ ნოემბრის ქარი დაბერავს,  
ივლისში მხრებზე კოცნიდა ქალებს –  
ასე უეცრად რამ დააბერა!..

●  
შარშანაც ჩამოიარა,  
წელსაც კანკალით ელიან.  
ფერი წასვლია იანვარს,  
თოვს, უთოვლობა ძნელია,  
მარტო ახალი კი არა –  
ახალთახალი წელია!

●  
სჭირდება მიწას ცრემლიც და ნამიც,  
ედება ხავსი ისევ ხესავე,  
ხმაური წვიმის არ წყდება წამით,  
წლები დახეულ დროშებს კემსავენ  
და რეკავს ღამით განკითხვის ჟამი,  
როგორც სადგურის ზარი მესამე...

●  
**ი. ბროდსკის მოტივზე**

რიჟრაჟი იყო არც კი,  
ვხედავდი სიზმარს ციდან,  
უკან იხევდა მარცხი,

თოვლი ნაკვალევს შლიდა.  
ცხოვრება წასული მარცხნივ  
უხვევდა მარჯვნივ მშვიდად...



არა ეჭვით, არა გესლით,  
არა შურით, არა ეკლით,  
არა ხელით, არა ცრემლით,  
არა თიხით, არა ნეკნით.  
კაცი არის მიწის სახე!  
ქალი – ზეცის ანარეკლი!..



მსუბუქი ხარ, როგორც ლურჯი ფერი,  
ლალი, როგორც სანაპიროს ქარი,  
უამრავის, მიღმა ავი მზერის,  
მოჩანს გულის სიფრიფანა კარი.

არის რალაც, რაც არ ითქმის ენით,  
სხვა არავის და არაფრის დარი,  
ამიტომაც მირჩევნია შენი  
სილამაზე – უჩვეულო, წყნარი...



კახური მიწის ლაზათი – გამოჩნდა ნაფარეული,  
თითქოს დიდი ხნის ნანატრი  
უხადი ქვევრი ახადეს.  
ღრუბლებს ისეთი ფერი აქვთ, ისეა ცა არეული,  
ჰგავს უცებ გადარეული  
ცალთვალა  
დევის ნახატებს!..  
ცა კია ჩვენზე გამწყრალი, მაგრამ სტუმრებად წვეულებს  
ერთი სული გვაქვს, მასპინძელს სანამ  
ხელგაშლილს ვნახავდეთ.  
კახური მიწის ლაზათი – გამოჩნდა ნაფარეული...

\*\*\*

### **ფშაველის ნატვრა**

გამჩენო, შენი ქირიმე,  
სადაც შენი ცა იალებს,  
მეც იქ მიმიღე, დამლოცე,  
შენს სიტბოს შამაზიარე,  
ჩამამაშორე ნალველი,

კაცის გულს რაც ატიალებს,  
ჩემ დედ-მამასთან მამყოფე,  
წარსულში შამატრიალე.  
სხვა არ მქონია სავალი,  
ყველა გზით შენკენ ვიარე,  
შენ გამამილე კარები,  
შენ მიმიხედე იარებს,  
მერე ისევე დამბადე,  
სხვა სულად დამაფრთიანე,  
ოქროსფერ ღვინოდ მაქციე,  
ქვევრებში მახეტიალე.  
იქნება კიდევ ვვარგივარ,  
იქნებ არ დავაგვიანე.



მზემ ჩემს ქალაქს გაუღიმა,  
სალამოა, დღე დაეძებს წერტილს,  
სოლოლაკი, ერთი ღერი „პრიმა“,  
გოგოს ეშხით რალა გინდა მეტი,  
ხელის გულზე მიდევს თბილი წვიმა,  
სუფთა, როგორც სიყვარულს წვეთი...



გიორგი შერვაშიძე

## ტექნიკა ი ნაუკა

### ღაბრუნება

ისე მდუმარედ მივუყვებოდით ნაცნობსა და მივიწყებულ შუკას, თითქოს ფირალები ვყოფილიყავით, რომელთაც ისეთი უხეირო საქმისათვის მოეკიდათ ხელი, რომ ფეხები უკან რჩებოდათ. უფრო კი ძველ მეგობართან შეხვედრას ჰგავდა ჩვენი ეს სვლა. დავიწყებულ მეგობართან, რომელიც მხოლოდ შავ-თეთრ ფოტოზედა არსებობს. რომელთანაც ბევრი გაკავშირებდა და ახლა იმდენი ხანია, აღარ გინახავს, რომ გერიდება კიდევ მისი სრულად გახსენება. არადა, თითქოს გარშემო ბევრი არაფერი შეცვლილიყო. იგივე მზე და იგივე მინა, თუმცა გული ისე გამეტებით ძგერდა, რომ სუნთქვა ჭირდა. ყორეს ისევ ხავსი ედო, შუკას – ლაფი და ვეებერთელა კაკლები კი არემარეს კვლავ თალხი ჩრდილით მოსავდნენ. ხმებიც ისმოდა. ისევ იმ ადამიანების ხმები, ვინც განუყოფელი ნაწილი იყო ამ ერთობისა და ჩვენი მეხსიერებისა. გარკვევით ვერაფერს ვხედავდით და ყურსაც ვერავის ვუგდებდით. მხოლოდ დაბნეული ღიმილითა და ძუნწი მისაღმებით შემოვიფარგლებოდით. თითქოს გული და გონება გაჰყოფნენ ერთმა-

ნეთს. გონება აქ იყო, ამ ნაცნობსა და ამავედროულად უცნობ ადამიანებთან. აი, გული კი იქით, საგულესაკენ მიიწევდა. მიიჩქაროდა. აბა, როგორი ამბავი იყო, როცა თხუთმეტი წელი აღარ გვენახა ბებიასეული სახლი და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, პირველად უნდა დაგვეხედა. ისიც არ ვიცოდით ზუსტად, იდგა კი?!

შევბით ამოვისუნთქე, როდესაც შუკა გაიღია და სახლისაკენ შევუხვიე. ზეცისაკენ აღვმართე მზერა და გული სიხარულისაგან გადამიქანდა. იმ ჩვენს დალოცვილ წინაპრებს ისეთ მაღალ ბორცვზე აუშენებიათ ეს ფიცრული, რომ მართლაც ცაში გამოკიდებულს ჰგავდა. ნერვიულობა უსაზღვრო იმედმა შეცვალა. ნამდვილად ისევ ისე იდგა, როგორც ადრე. ცოტათი მოწყენილი და დამორცხვებული. თითქოს საყვედურით იმზირებოდა ბექობიდან და თან სალამს გვითვლიდა. იმავე გახუნებული სახურავითა და ცისფრად შეღებილი ხის კედლებით. ცისფერით, რომელიც ჩემთვის ისეთივე დამახასიათებელი იყო, როგორც ყინწვისის ლურჯი. მორღვეულ ღობეს მოურიდებლად გადავაღაჯე და აღმართს ავუყევი. გასაოცარი იყო, მაგრამ სურნელიც იგივე

იდგა. ოდნავ მომწარო და მშობლიური. ალბათ, ესეც აქაური მიკროკლიმატის ამბავი იყო, თორემ, დიყა და ანწლი განა სხვაგან არ იზრდებოდა?! ქვედა ეზო მხიარულმა ჟივილ-ხივილმა მოიცვა. ბავშვები შეესივნენ იქაურობას და დედაჩემისგან ათასჯერ მონაცოლის ცხადში დაგემოვნება დაიწყეს. იმათ ხომ მარტო გადმოცემით იცოდნენ აქაურობის შესახებ და ახლა ხორცშესხმულის გათავისებას იწყებდნენ. აუარება კითხვები დაგვაყარეს და ისმოდა ყოველი მხრიდან – ბებო, ეს ის კაკლის ხეა? მამა, საქანელა ამ ტოტზე ეკიდა? აბა, ის პატარა დოქები და ცული სად არის? – ჩვენ კი არეულად ვპასუხობდით, რადგან გონებით სულ სხვაგან, მოგონებებში ვიმყოფებოდით და ერთდროულად განვჭვრეტდით წარსულსა და აწმყოს. მალე უფროსებსაც გადაგვედო ბავშვების ხალისი და ისე მსწრაფლ ავირბინეთ აღმართი, რომ უმალ უკან მოვიტოვეთ უსიამო განცდა გაუცხოებისა.

თვალეები გაფაციცებით დარბოდნენ და ალერსით ევლებოდნენ ეზო-კარის თითოეულ კუთხე-კუნჭულს. მზერას მოგონებები უფრო სძალავდა, ვიდრე რეალობა. თითქოს, იქაურობაც გველოდა. ძალიან დიდხანს გველოდა. მიძინებული იყო და ახლა იღვიძებდა. თვალებს იფშვნიტდა და მტკივან ადგილებს გვანახებდა. აი, იარები და კორძები კი მრავლად აღმოაჩნდა. სახლი მუხის ხისაგან ნაშენი ორი ოთახისაგან შედგებოდა. ერთი ოთახი მიწაზე იდგა და შედარებით ყოჩაღად გამოიყურებოდა. აი, მეორე ოთახი კი შავ დღეში გახლდათ, რადგან დაღმართზე გადმოკიდებულიყო და მორყეულ ბოძებს ეყრდნობოდა. ფიცრულს შესასვლელი გვერდიდან ჰქონდა, სადაც სწორი მოედანი და ერთიც საუკუნოვანი კაკალი იყო. მერე კი ისევ აღმართი გრძელდებოდა და, ვგონებ, მამისონის უღელტეხილამდე აღარც არსად ივაკებდა. ეზო

ჭინჭარს დაეპყრო და კაკლის ხეები კი გაბერნებულიყვნენ. ფიცრულის ბალავერში მაჩვს დაედო ბინა და ფუძის ანგელოზი საერთოდაც შინ არ დაგვხვდა. სახლი დაძრულიყო. ნასვამი კაცივით კისერი დაეგრძელებინა და სიმაღლიდან გადაჰყურებდა კარ-მიდამოს არეული მზერით. რკინის ბოძებს ველარ გაეძლოთ თოვლის სიძიმისათვის და გულშელონებულებივით გვერდზე გადახრილიყვნენ. ხის აივანს კოჭი ჩასტყდომოდა და დაბლა ჩავარდნილიყო. მოკლედ, სახლი შველას ითხოვდა და ჩვენც სულზე მიფუსწართ, რადგან დამდეგ ზამთარს იქაურობა ნამდვილად ველარ გაუძლებდა.

## დასაწყისი

– ან უნდა გავაკეთოთ, ან უნდა დაეთმოთ. – მე.

– არა, ასე ვერ დავტოვებ. – დედაჩემი.

– მაშინ გავამაგროთ მაინც? – ჩემი ძმა.

და დავიწყეთ აღმშენებლობა. საქმის მოთავენი და, შესაბამისად, ხარჯის გამწვენიც მე, ჩემი ძმა და დედაჩემი ვიყავით. ვერ გავიმეტეთ ბებიასეული სახლი წასაქცევად და ვერ მივატოვეთ ნაცნობ-უცნობი წინაპრების ხსოვნა. ხელოსანი მოვიკითხეთ და იქვე არ აღმოჩნდა? ეს კი, იმ მიდამოებში, ისეთივე საოცრების ტოლფასი იყო, აი, მაგალითად, რობინზონ კრუზო იმავე საღამოს რომ ეპოვნათ. მუშამაც აზომა, დათვალა და საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვაც წარმოგვიდგინა. აღარც ჩვენ დაგვიხვეია უკან. თან ისე ტკბილად, მარტივად და ლაღად გვიხსნიდა ყველაფერს ეს ჩვენი იმერელი მშველელი, რომ უარის თქმა და ეჭვის შეტანა მის სიტყვებში, ერთ კვირაში ყველაფერს დაგიმთავრებთო, ცოტა უხერხულიც კი იყო. რაღას ვიზამდით?! ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ აეწყო და განგე-

ბისტვის ზურგის შექცევა არ გამოვიდოდა. გავიჭირვით, ვისაც როგორ შეგვეძლო და ხუთ დღეში მთლიანად მოვამთავრეთ მშენებლობის სამზადისი. სახლამდე ავიტანეთ მასალა, ეზოში შევიყვანეთ წყალი და ელექტროენერგიის მრიცხველიც დავადგმევინეთ. ეს საქმე კი ადვილი ნამდვილად არ გახლდათ. ამ სიტყვების ქეშმარიტებას ადვილად დაადასტურებს ყოველი, ვისაც რემონტი უკეთებია და თან სრულიად მიტოვებულ-მივიწყებულ მხარეში. ჯერ ერთი, რომ რემონტი არასდროს არის ის თანხა და ენერჯია, რომელიც გათვლილი გაქვს და მეორე კიდეც, იმ მხარეში, სადაც სოფელი ზამთარში კვდება, დათვს უფრო ადვილად იპოვნი, ვიდრე ერთ ღერ არმატურას.

მადა ჭამაში მოდისო და ჩვენი სახლის გასამაგრებელი სამუშაოებიც სულ მალე ფართომასშტაბიან მშენებლობაში გადაიზარდა. პროექტი შეიცვალა და ვადებიც დაგრძელდა. ფიცრულს სამზარეულო და სველი წერტილი შეემატა, ჩვენს ხარჯს კი მუშების კვება და სანჯავი. ყოჩალი ხელოსანიც უკან არაფერზე იხევდა და ისევ დაბეჯითებით გვარწმუნებდა, ერთ კვირაში ყველაფერს დაგიმთავრებთო. ყველა საქმეზე აუღელვებლად აწერდა ხელს და განუწყვეტილად გვიმეორებდა, აქანე ბალავერს ჩავასხამ, იქანე კედელს ამოვუშენებ და იქინე კი აბანოს დაგიდგამთო. გვაქეზებდა და ენაწყლიანობდა, ასეთი კოხტა ადგილი და სამოსახლო აქაურობაში არც ერთი არ არის და ნაღდი კურორტიაო. მარჯვედ იქნევდა ნიჩაბსა და ქაფჩას და თან საქმიან განკარგულებებსაც აძლევდა თავის ნათესავ-დამხმარეებს – მიდი, მამა, გეიქეცი და სკამი გემეიტანე, ხომ ხედავ, სტუმარი მოგვივიდა და შენ კიდეც, ძია, ჩეირბინე და ერთი, ცივი წყაროს წყალი ამეიტანე, ნამგზავრები არიან ეს ადამიანები. – კი, ვხვდებოდი, რომ ეს განსაკუთრებული ფაციფუცი და ვითომ

გახლებული მუშაობა სულ ჩვენს დასანახად იყო მოწყობილი, მაგრამ სხვას იქ მაინც ვერავის ვიპოვნიდით და თან ცუდი კაცი ნამდვილად არ ჩანდა ჩვენი ეს „ყველაფერშიკი“. ამიტომაც, ფრიად კმაყოფილნი მორჩილად ვუქნევდით თავს ყველაფერზე და ყოველ ჯერზე ახალ საქმეს ვუმატებდით. ჩვენ სხვაგან, სხვა სოფელში, მეგობრის სახლში ვიყავით დაბინავებულნი და ასე დისტანციურად დროდადრო თავზე დადგომითა და ფერებ-ფერებით ვაქცევდით ყურადღებას ხელოსნებს. ამდენ მისვლა-მოსვლასა და ნაღმა-უკუღმა სიარულში კი მთელი ის მხარე გავიცანინი. თავიდან და თან სულ სხვა კუთხიდან გავიცანინი. და იქაურობაც კიდეც უფრო ძლიერ შემეყვარდა.

ბავშვობაში ჩვენი სოფელი ბევრად უფრო დიდი მეჩვენებოდა, ვიდრე იყო და ახლა კი პირიქით, საქმეში გართულს მთელი იქაური მხარე მეპატარავებოდა. აღარც დღე მყოფნიდა და აღარც სივრცე. ისე, სივრცის უკმარისობამ სხვა, დამატებითი პრობლემებიც შეგვიქმნა. სახლამდე დიდი მანქანა ვერ მიდიოდა და ამიტომაც, ორმაგად ვწვალობდით. სამშენებლო მასალა ჯერ ერთ გაშლილ მდელომდე მიგვექონდა და იქ ვცლიდით. მერე კი სხვა, პატარა „ვილისად“ წოდებულ მანქანაზე ვაწყობდით და ასე აგვექონდა სახლამდე. ამას ისიც ემატებოდა, რომ სატვირთოს მძღოლი, რომელიც ერთხელ მაინც ამოიტანდა მასალას, მეორედ იქ არაფრისდიდებით არ ამოდიოდა. ერთხმად გაიძახოდნენ შეჩვენებულებივით, შობელძალდი ვიყო, სიტყვა რომ არ მქონოდა მოცემული, აქამდისინ ნაღდად არ ამოვიდოდიო. დიდი მანქანების მძღოლებს არც „ვილისის“ პატრონები ჩამოუვარდებოდნენ და სახლამდე მისასვლელ ნახევარკილომეტრიან მონაკვეთში იმდენ გასამრჯელოს ითხოვდნენ, რამდენსაც ტაქსი თბილისიდან გორამდე. არც გაემტყუნებოდათ. ჩვენ სოფელში ისეთი

ვინრო გზა იყო, რომ ორი მანქანა კი არადა, ორი ადამიანიც ვერ აუქცევდა ერთმანეთს მხარს და სახლთან მისასვლელ აღმართზე კიდევ ხარებიტაც აღარავინ ადიოდა. შესაბამისად, ორმაგდებოდა ხარჯიცა და ენერჯიც. სწორედ მაშინ დამებადა აზრი, რომ ეს ჩვენი წინაპრები ან ვიღაცას გაურბოდნენ და ანკი იძულებით გადასახლეს იქ, თორემ ასეთ მიუსვლელში რატომ უნდა მონდომებოდათ დასახლება, ჩემამდე ვერ დადიოდა. ვითომ, მარტო სილამაზით მონუსხვის ამბავი იყო? ალბათ. აკი, ჩვენც მოგვხიბლა და თან ისე, რომ მევახშის ვალი დავიდეთ იმ სახლის გასაკეთებლად, რომელშიც წელიწადში ათ დღეზე მეტი არავინ იყო გამჩერებელი.

## მხარე

ტყე მოინევსო, ჩიოდნენ იქაურები და მართლებიც იყვნენ. სადაც ადრე მდელი მეგულებოდა, ახლა გაუვალი შამბნარი იყო. სადაც უნინ გზა გადიოდა, ახლა უღრანი დამხვდა. გამიხარდასავით, რადგან გლობალური დათბობისა და ტყეების მასობრივი გაჩეხვის ფონზე აქ, პირიქით, მცენარეული საფარი იმარჯვებდა და სჯაბნიდა ადამიანს. თუმცა არც ეს სიხარული იყო შვების მომგვრელი, რადგან მიტოვებულ სახლზე ცუდი სანახავი, ალბათ, საკუთარი უძღურების ხილვა გახლდათ. სწორედ უპატრონობისა და სიდუხჭირის ბრალი უნდა ყოფილიყო, აქ რომ ამდენი ჩახლენილი და გავერანებული სახლი იდგა. ტყე კი არ მოინევდა, ადამიანი იხევდა უკან. ყოველი მეორე შენობა დანგრევისათვის იყო განწირული და შველას ითხოვდა. და, განა შეიძლება და აქაურობის დავინყება და მიგდება? ეს ხომ ის მხარე იყო, სადაც პირველყოფილ ბუნებას ისეთი სიმძლავრით შეიგრძნობდი, რომ გონება გენმინდებოდა და შენც ამ მთლიანის ნაწილი ხდე-

ბოდი. ამ მთებზე შეფენილი ტყეების, ლურჯად მორბენალი მდინარეებისა და ქულა-ქულა დაკიდებული ღრუბლების, ზღვისებრ კამკამა ცისა და კანითაც კი შესაგრძნობი ჟანგბადისა. სიმშვიდისა და წონასწორობისა, რომელიც საქონელზე შებმული ზარის გაბმულ ნკრიალსაც კი მოჰქონდა. აქ იყო განწყობა. განუმეორებელი განწყობა ბუნებასთან ერთიანობისა, შემოქმედთან განუყოფლობისა და კაცთაგან მიტოვებისა. დიას, აქაურობა მიტოვებული გახლდათ. იცლებოდა ნელ-ნელა, ნაბი-ნაბიჯ. თითქოს თავისთვის იყო. თავისთავად. ადამიანის გარეშე. თავადვე ტკბებოდა თავისივე სიკოხტავითა და სილამაზით. შემდეგ კი მდუმარედ იკარგებოდა მთის უსაზღვრო მასივებში. და ალბათ, ისიც ელოდა. ელოდა მომსვლელს, ჩამომსვლელს, პატრონს, ადამიანს. გულში ჩასაკრავად და შეუდარებელი სურნელით დასათრობად. რადგან აქ იყო ყველაფერი. აქ იყო ცაზე გამობმული და მთაზე მიხატული ეკლესიები, თავისი განუმეორებელი ჩუქურთმითა და მარტივი ფერწერით. აქ იყვნენ დინჯი კაცები და კაპასი ქალები, თავისი დამახასიათებელი კილოკავითა და ცეკვათამაშით. მართალია, ცოტანი, მაგრამ განსაკუთრებულნი. ალალ-მართლები და გულისხმიერნი. მოსიყვარულენი. აქ იყო ბავშვობა – ჩემი. ჩემი ძმის. დედაჩემის. იმის დედის. აქ ცხოვრობდნენ წინაპრები და აქ იყო მათი საფლავები.

ისე, სახლისა არ იყოს, სასაფლაოსაც სჭირდებოდა თურმე ყურადღება და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც დედაჩემის ბებიის საფლავი ვეღარ ვიპოვეთ. აღარც წარწერა იყო და აღარც მესერი. ძველი, მინიძვრის დროს დანგრეული ეკლესიის შესასვლელთან იყო, იცრემლებოდა დედა და ახლა კი იქ მხოლოდ დიდი ქვის გროვა დავგხვდა. განგებასა თუ მარჯვე ხელს ისე მოეწყო, რომ ჩამოშლილი საყდრის ლოდები შეეგროვებინა და ზედ საფლავზედ

დაეხვავებინა. გულზე ლოდო, სწორედ ამაზე იყო ნათქვამი. გვეგონა, სახლის აღდგენით ერთგვარ ვალს ვიხდიდით ბების ხსოვნის წინაშე, მაგრამ აი, უცნობი წინაპრები კი ერთობ უყურადღებოდ გვრჩებოდნენ. და უეცრად გამახსენდა ერთი საოცარი სიტყვა – გაისად. და უმალ გადავწყვიტეთ, რომ ამ საქმისთვის გაისად მიგვეხედა. აბა, ესეც სახლი ხომ არ იყო, რომ ნაქცეულიყო?! თან ფაცა-მაც ეგრე გვითხრა, ჯერ სახლს მიხედეთ და მერე საფლავებსო. ფაცა კიდევ ის ქალი იყო, რომელსაც ოთხმოცდახუთი წლისათვისაც გადაებიჯებინა და იმდენი ენახა ამქვეყნად, რომ მისი ტყუილიც დაიჯერებოდა. მიუხედავად თავისი ასაკისა, იქაურობის გამგებელ-მოურავი და ბატონ-პატრონი გახლდათ. ყველას ნათესავი და ამბის გამტან-გამომტანი. ჭინკებ-ალეების კარგი მცოდნე და დაუჯერებელი ამბების მთხრობელი. ნაძრახი ადგილების აღმომჩენი და ფრინველ-ცხოველთა ხმების საუცხოო მიმბაძველი. მთელი ბავშვობა სისხლს მიშრობდა და გასაქანს არ მადღევდა. ხან წყაროსთან ჩამისაფრდებოდა და ხანაც კი ტყის პირზედ. მერე მორთავდა ხოლმე დათვივით ბლავილსა და მგელივით ყმუილს. მეც თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სახლისკენ და ვინ მოთვლის, შიშისაგან რეტ-დასხმულს გზად რამდენი კოკა, ნაჯახი და მაისური დამიკარგავს.

ახლაც კი მომისინჯა კბილი და პირველსავე ნახვაზე კუდიანებზე ჩამომიგდო საუბარი. – შენ კი არ გემახსოვრება რუსუდანა, ანიკოს დედა, მაგრამ იმაზეც ამბობდნენ კუდიანი არისო. ანიკოსაც ხომ ჰქონდა კუდი?! პატარა. თან დაბადებიდან. მერე მოუჭრიათ. დედაჩემი მიყვებოდა, თალიკოსთან იყო სტუმრად მისული რუსუდანაო. ის კიდევ, თურმე, ამ დროს დახვეულებს აცხობდა თონეში და ხელები ჰქონია ფქვილით დასვრილი. თავზე წამოდგომია და საქმე მაქვს შენთანო. თალიკომ, აივანზე დაბრძანდი და ახლა-

ვე მოგხედავო. გაუნმენდია ხელები და გასულა, რომ სტუმრისათვის სუფრა გაეშალა და ის კიდევ აღარსად ყოფილა. შებრუნებულა ისევ თონეში და ამ დროს კარებზე ფხაჭუნი გაუგია. კარი გაღებულა და შიგ შავი კატა შესულა. თალიკოს არ შეშინებია და ნაკვერჩხალი წაუსვია დრუნჩხე. კატა ადამიანით ატირებულა და გაქცეულა. მეორე დღეს კიდევ თალიკო მისულა სტუმრად რუსუდანასთან და ის კი ტურდამწვარი არ დახვედრია სახლში? აბა? მაქცია ყოფილა. მერე კიდევ სევასტის დაუჭერია ეგ რუსუდანა ღელეში. თავსხმა წვიმაში კარზე კაკუნი გაუგია. გამოუღია კარი და ვილაც შავებში ჩაცმული არ დახვედრია?! სულ მთლად სველი. გაქცევა უცდია, მაგრამ სევასტის დაუჭერია და წისქვილში შეუთრევია. აუღია ნაჯახი და მითხარი, ახლა რა გინდა, თორემ გაგათავებ ადგილზეო. მერე კი უთქვამს იმას, არ მომკლა, რუსუდანა ვარო. დადიოდა თურმე ასე და აშინებდა ხალხს ქალებში და მისთანებში. არ შემოძლია სხვანაირადო. მერე უთხოვია სევასტისთვის, გამიშვი და აგრე აღარასოდეს მოვიქცევიო. გაუშვია იმასაც და იმის მერე... – აღარ ცხრებოდა ფაცა. ჰყვებოდა ცისას და დედამინისას. სხვებიც თავს უკრავდნენ დასტურის ნიშნად და ცბიერად იღიმოდნენ. დიდად მახალისებდა მისი ეს შემართება და, ამავდროულად, სევდასაც მგვრიდა. იჯდა წყაროსთან კაკლის ძირში სამი მოხუცი და ჩიფჩიფებდა წარსულზე. რაღაცით მზეზე გამოფენილი ჭრელი მუთაქები მომაგონეს. თბილი, ტკბილი და სურნელოვანი. წარსულით სავსე მუთაქები. სწორედ ისინი იყვნენ ნაღდი აქაურები. უკანასკნელნი. ბები-აჩემის თაობისანი. ისინი ტოვებდნენ სოფელს სულ ბოლონი, გემის კაპიტნებივით. მათით მთავრდებოდა სოფელი და დგებოდა ზამთარი. და, ალბათ, ზუსტად არც ერთმა იცოდა, დადგებოდა კი მომდევნო გაზაფხული?

## მოგონება

იქ ძროხას, რომელსაც ხბო არ ჰყავდა მოგებული, უშობელას ეძახდნენ. ჰოდა, სწორედ ეგეთი უშობელა ჰყავდათ ჩვენს მეზობლებს, სახელად ლამაზისეული. ისე უვლიდნენ და იმხელა იმედებს ამყარებდნენ ამ ლამაზისეულზე, რომ, ვგონებ, ჩუმ-ჩუმად კაკაოსაც ასმევდნენ და ოცნებებში კი მარჩენალს ეძახდნენ. ამ პროცესში ჩემი მეგობრებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი, მათი ბებია-ბაბუისი არ იყოს, და ზამთრობით, მონატრებულზე, ლამაზისეულს წერილებსაც კი სწერდნენ ქალაქიდან. სწორედ მისთვის უნდოდათ და ემეტებოდათ ყველაფერი საუკეთესო. საკვებიცა და ქვამარილიც. ბაგაცა და სადგომიც. დედოფალივით უვლიდნენ და ანებივრებდნენ. ბანდნენ და ვარცხნიდნენ. ეფერებოდნენ და უმღეროდნენ. მოკლედ, ზედ ჰყვებოდნენ და დიდი მონდომებით ელოდნენ, როდის მოიწიფებოდა მაკეობისთვის. ისე მოხდა, რომ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას, ანუ ლამაზისეულის დაქალებას მეც შევესწარი და ერთ წვიმიან დღესაც შემომძახა ჩემმა მეგობარმა, არის და ასრულდა ოცნებაო. ატყდა ლამაზისეული და ისეთ დღეშია, ანგრევს სადგომსო. მოცდა კი აღარ გამოდიოდა, რადგან ოჯახს ძალიან ესაჭიროებოდა მენველი ძროხა და ხბოს მოგების გარეშე კიდევ არც რძე იქნებოდა და არც ყველი. რაღას ვიზამდით, მიუხედავად თავსხმა წვიმისა, დავირაზმეთ და გავწიეთ ფერმისაკენ სასურველ სასიძოსთან შესახვედრად. წინ მაღალ ფეხებზე შემდგარი მუდამ მშვიდი და ახლა უსაზღვროდ აფორიაქებული ლამაზისეული მიგვიძლოდა და უკან კი ჩვენ, გულშემატკივარნი მივყვებოდით. თითქოს მისი მღელვარება ჩვენზედაც გადმოსულიყო და ისეთი გულანთებულნი ვიყავით, რომ ლამის ხელში აგვეტაცა ეს ჩვენი პატარძალი და ასე ატატებუ-

ლი მიგვეგვარა ნეფესთვის. ერთი ეგ იყო, რომ „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი“, არ გვიმღერია, თორემ სხვა რამ მეცადინეობა არ დაგვიკლია, რათა ერთობ რომანტიკულად წარმართულიყო მათი პირველი პაემანი.

თუმცა, მიუხედავად ჩვენი დიდი ნადილისა, მოვლენები სულაც არ განვითარდა ისე, როგორც ამას ველოდით. ბუნა ადგილზე არ დაგვხვდა. გასტროლებზე აღმოჩნდა ნასული. მეზობელ სოფელში ჰყოლიათ წაყვანილი, რათა, ლამაზისეულისა არ იყოს, სხვა მრავალი ქალწულისათვისაც დაეცხრო სიყვარულის ჟინი. ჩაგვივარდა კოვზი ნაცარში და მოელრიცათ სახეები ძროხის პატრონებს. უსაზღვრო იყო მწუხარება და, ალბათ, ცრემლიც დაიღვრებოდა, ფერმის პატრონს რომ გამოსავალი არ ეპოვნა. თურმე, იქ მეორე, სათადარიგო ბუნაც ჰყოლიათ. ასევე საჯიმე და გადასარევი პიროვნება. მართალია, უფრო პატარა და გამოუცდელი, მაგრამ ერთობ მონადინებული და ძალ-ღონით აღსავსე ახალგაზრდა. „აგაშენებს გამჩენი“, თითქმის ერთხმად შევძახეთ და გავინაბეთ მოლოდინში. სადგომის კარი ფართოდ გაიღო და ჩვენი ფალავანიც გამოჩნდა. ჩქარი ნაბიჯით მოგვიახლოვდა და ყოველგვარი მისალმებარევერანსების გარეშე, ეგრევე საქმეზე გადავიდა. ნამდვილად კარგი ყმანვილი ჩანდა, მონდომებული, მაგრამ აი, ერთი ის იყო, რომ ტანად პატარა და მოკლეფეხებიანი გახლდათ, რაც საკმაოდ დიდ უხერხულობას ქმნიდა. არა, განა იერში დაენუნებოდა რამე და ან კი გვარიშვილობაში?! უბრალოდ, ვერ წვდებოდა პარტნიორს და დამწყები მოფარიკავესავით უმისამართოდ იქნევდა თავის სარცხვინელს. კი, დააცხრა ლამაზისეულს ქორივით, მაგრამ, კატისა არ იყოს, ისიც ვერ შესწვდა ძეხვს. სიმაღლე არ ეყო. მართალია, მედგრად ირჯებოდა და ციბრუტივით ტრიალებდა ჩვენი ბიჭი, მაგრამ სულ ტყუილად.

გასკდა გული მაგის საცოდაობის ცქერით. ჩვენ, ბავშვები, პირდაფრენილნი მივჩერებოდით ამ საუცხოო სანახაობას და უფროსებს კი, ეტყობა, მობეზრდათ და გადანწყვიტეს, ჩარეულიყვნენ. შეშველებოდნენ უმცროს ბუღას და არ გაეწილებინათ პატარძალი. დაქანებული ადგილი იპოვეს და დაბლა ლამაზისეული დააყენეს, ხოლო აღმართში კი სასიძო. ახლა ზემოდან შემოუარა ტანმოკლე ფაშამ, მაგრამ ვერც ასე გააწყობა რამე. იდგა ლამაზისეული ჩვეული სინდინჯით და ელოდა მენწყილის დანაპირებ ალერსს. სამნუხაროდ, პირუტყვის არ ჰქონდა ჩვევად თანამეცხედრესთან სარეცლის გაზიარება და ასე ფეხზე დგომით კი ეგენი სიმაღლეში ვერ გათანაბრდებოდნენ. მხარიც უჯიკეს ნირნამხდარ ფალავანს და აგურებზეც შეაყენეს. ისე გამეტებით აწვებოდნენ, თითქოს „ჩამქრალი“ ავტომობილი ყოფილიყოს და დაქოქვას უპირებდნენ. აბა, მიდი და აბა, შენი ჭირიმეო, მაგრამ ვერა. დარჩა ლამაზისეული ისევ უშობელად და ჩვენ კიდევ საცვლებამდე სველები. ტყუილი აღმოჩნდა ყველა მცდელობა და პირველი გასვლითი მატჩიც ყაიმით დასრულდა. შესაბამისად, ქორწილმაც შემდეგ ატეხვამდე გადაინია და მის მერე აღარც მე მსმენია რამე ლამაზისეულზე. სამაგიეროდ,

არასოდეს დამავინყდება ჩვენი მაღალფეხება პატარძლის ნაწყენი მზერა, თავჩაქინდრული, დარცხვნილი ბუღის პატრონი და ჩვენი დამწუხრებული მეზობლები, რომელთაც, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევდათ მჭადის ჭამა რძისა და ყველის გარეშე.

## ეპილოგი

სულ ბოლოს კი, მშენებლობის დასასრულს, სახლს რომ ვალაგებდით, ერთი დიდი სკივრი ვიპოვეთ. ზედ დედაჩემისა და დეიდაჩემის სახელები ეწერა. შემდეგ კი გაკრული ხელით მიწერილი იყო: – ხვალ კარგი დღე მაქვს. ჩემი შვილიშვილები ჩამოდიან. 20 ივლისი, 1960 წელი. ყუთი სავსე იყო ძველი ფოტოებითა და ჟურნალ-გაზეთებით. ყველაფერს მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა, გარდა ერთი ფერადკანიანი ჟურნალისა, რომელსაც რუსულად, დიდი ასოებით ეწერა „ტეხნიკა ი ნაუკა“. უნებურად ღიმილი მომგვარა ამ სათაურმა, რადგან ერთი ძველი, აქაური ანეკდოტი გამახსენდა, სადაც რაჭველს ეკითხებოდნენ, „ტეხნიკა ი ნაუკა“ რა არისო და იმან კიდევ, ტეხნიკა ტექნიკაა და ნაუკა კიდევ – პატარა ნავიაო.



ლარისა ტუფნაყო

ლარისა ტუფნაყო დაიბადა 1984 წელს ადიღეში. არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ეროვნებით ჩერქეზი (ადიღელი).

2002 წელს დაამთავრა ადიღეს რესპუბლიკის შოვგენოვსკის რაიონის აულ ჯეროკაის საშუალო სკოლა.

2007 წელს დაამთავრა ადიღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობით „ჩერქეზული ენა და ლიტერატურა“.

2007 წლიდან დღემდე მუშაობს „რადიო თავისუფლების“ ჩრდილოეთ კავკასიის რედაქციის კორესპონდენტად.

2011 წელს გამოსცა ლიტერატურული კრებული (პოეზია, პროზა).

2012 წლის თებერვლიდან ცხოვრობს საქართველოში.

## СИАДЫГАБЗЭ ФЭСЭГЪЭХЫ

Узырием үриджагъоу  
Сыд псэукIа үилэшъуцтыр?  
Узфимытым үриджакIоу  
Тауцтэу лъэпкъыр зэбгъэшечта?  
Узильфыгъэм уимышIэжьмэ  
Сыдэу гъашIэр ипхышъуцта?  
УхэткIухьэу, үкIодыжьмэ  
УкъашIэжьэу үхъужьыцта?

## ქმლვნება ჩერქეზულ ენას

თუკი გახდები უცხო, გული ცუდს მეუბნება,  
როგორ იცოცხლებ? მომავალი შენი მაშინებს...  
თუკი გვაუნეყებ იმას, რისიც არ გაქვს უფლება,  
ტანჯულ ხალხს, მითხარ, რანაირად შეაკავშირებ?..  
თუკი არ ესმის შენი, მისთვის როგორ იქნები  
მზე დედა ენა... არსებობას შეძლებ ისევე?..  
თუკი გაქრები ანდა სხვებში აითქვიფები,  
საკითხავია, გახსენებას თუ გაღირსებენ?..

## ПСЫЧІЭ УЗХЭР

Псыбгэрмаклэухэщэтыкы.  
Чыгуцынэргучіэх.  
Жымыгыотэу іофэфыкы.  
Псэчэнаггэхэрпсэхалэх.  
Ліаггэмгупсэфыгыотыжэрэп.  
Шьхьарытыггэхэрпсэхалэх.  
Гьэбжэуфашлэри іуахыжэрэп.  
Сыдфэкеонашэузэжаггэр?  
Фитзіаггэмзыкііжэаггэр?  
Тарихь іахьэучыпелъаплэр  
Сыхьатмафэзыкеіжэуггэжэаггэр?

## ტკივილები ფსკერზე

ოდნავ სუნთქავს ზედაპირი  
წყლის და ხდება მაშინვე...  
რომ ეცვლება ხმა და ნირი,  
სველი მინა აშინებს...  
სადღაც ფსკერზე წყურვილისგან  
მარად გატანჯულები  
შენატრიან ნათელ ცისკარს  
მგლოვიარე სულები...  
რადგან ველარ შეაგროვეს  
მათ სიკეთის ხორბალი...  
რას ელოდით?.. ბრუნავს დროის  
სისხლიანი ბორბალი...  
დაუფარავს წმინდა მინა  
ისტორიის შავ ღრუბელს...  
რა ეშმაკი დამავინწყებს,  
რაც სასტიკად დაღუპეთ...

## АДЫГЭМ СЫД ИНЕУЩЫР?

Адыгэлъэпкъым  
Сыдинеущыр?  
Сыдфэдэнэпкъым  
Ыпэузэкыщтыр?  
Непэтлэпызрэм  
Тефайасэ?  
Неущыхээрэм  
Гуреггэкыасэ.  
Уахэтэмыкьорэ  
Хабзэрбэдэд.  
Ятэрэыкьорэ

Бжэрзэдагт.  
Нахыжъымичыпнэ  
Фэшъуашэурамыт.  
Унэмкызыихьэкнэ  
Нахыкнэмшхьащыт.  
Шшошэлъэгъупхъэр –  
Ижърэсаугъэт.  
Непэджнапхъэр  
Щизэу – кьэгъот!  
Ныбжыкнэжабзэр  
Гьогухьонабз,  
Тыдэхъужьра,  
АдыгэХабз!  
Адыгэльэпкыым  
Сыдинеущыр?  
Сыдфэдэнэпкыым  
Ыпэузэкнэщтыр?

## რა ელოდება ადიღეს?

საით გვიძევს გზები ბოლოს,  
ხალხო, ხომ არ ვტყუვდებით?  
ვის ნაპირზე უნდა ვპოვოთ  
მყუდრო ნავსაყუდელი...  
ის, რაც ხდება, განა ვარგა,  
მერმისს ვუმზერ კანკალით...  
და საუნჯე, რასაც ვკარგავთ,  
არის გულმოსაკლავი...  
დრო აფუჭებს, ათამამებს  
გოგოა თუ ვაჟკაცი...  
ეურჩება შვილი მამას,  
სიტყვის თქმასაც არ აცლის...  
იკავებენ უმცროსები  
უფროსების ადგილებს...  
გაუცხოვდი შენი ნებით,  
ცრემლიც ბევრჯერ მაღინე!  
დაივიწყე ძველთაძველი  
ეროვნული სამოსი...  
ადათ-წესებს ვეღარ ვშველით,  
ჟამი გვიდგას გამოცდის...  
წაიბილწა შენი ენაც,  
ხმას თუ აღარ გაიღებ...  
სხვებისაგან გადარჩენას  
ნუღარ ელი, ადიღევ!  
საით გვიძევს გზები ბოლოს,  
ხალხო, ხომ არ ვტყუვდებით?

ვის ნაპირზე უნდა ვპოვოთ  
მყუდრო ნავსაყუდელი...

## СИЧЫГУ ЗЭЖУ АШЫГЬ

Сичыгүзэжюашыгь  
Гьунапкьэхэрзэфакьузыгь  
Икьушъхьэхэрагьэкощыгьэх,  
Щыхьугьэхэрагьэклэжыгьэх.  
Сильэпкьызыщыпсэугьэм  
Игьугьуйджыщашыжьрэп.  
Шьыпкьэгьэдахэупсэхыгьэм  
Сылъэхьузэпыт – згьотыжьрэп.  
Нэмык! лъэубэкьухэрджыщадзых  
Тятэжмэапсээдзыгьэм,  
Фэшъхьафхэбзаклэхэрщыдзых  
Гьэрыгьэш|а|б|з|э|т|э|у|б|з|э.

## ჩემს სამშობლოს რაც დამართეს...

უკვე საზღვრებში ვერ ვპოულობ მე ჩემს სამშობლოს,  
რაც მას დამართეს, სხვის მიწა-წყალს ღმერთმა ამოროს...  
დაძრეს მთებიც კი, შემოგვიჩნდა რადგან ართვალი,  
საუბედუროდ, აიზილა ტყუილ-მართალი...  
ვინ იტყვის, ჩემს ხალხს ოდითგანვე სად უცხოვრია,  
ვინ იცის, დღემდე საეჭვოდაც დუმს ისტორია...  
რადგან სიმართლე დაგვიმალეს, ასე მგონია,  
დავეძებ ყველგან, გულგატეხილს ვერ მიპოვია...  
მიწას, დღეს სხვა რომ დააბიჯებს, შეწირულები  
ალარ ტოვებენ წინაპართა მკვიდრი სულები...  
უნინ წეს-ადათს ვაღმერთებდით თავმონონებით,  
ტკბილენოვანი ჩვენ ვართ ახლა, როგორც მონები...

## ШЪУУЦУ!

Сыдпаедэшшоцаяшьунапшлэхэр?  
Шлэныгьэхэмшъкьабгынэ,  
Бынц|э|п|э|ры|ш|э|укьы|ш|ь|об|г|э|х|  
Зэхэшхьырэбальэпкьымыжабзэ?  
Кьушъхьэтхымшьутес  
Кьышъуцэхьу  
Гьунапкьэхэрзэхэшгогьахьэх  
Шьууцүзэ!  
Щыжьугьэт!  
Зэпыжьугьэушъуизэхэтх!

Щэмакьэнтхьаklusмэхэр  
Ефызых. Зыхьуштыгьэхэрзэхагьэзых.  
Кьозэуышынбжьэпкыгьэхэр.  
Зэчlаlубагьэу уахьтэм щэкlo  
Чемы изыеахьэ.  
Хьэм кьупшъхьэ ратэу lахыжьырэм фэдэу жэхахьэх.  
Цlыкы, кьарыунчъ, тлээгьурэп.  
Льабжъэнкly хьун, кьэтхьорэп.  
Шыкаly мэгупшысэх  
Шъхьапэм фэдэхэр.  
Фэдэ кьодыех, хэшхыкыгьэх.  
Тэтыехэри ахэм ахэтых.  
Тхыбыloу жэм фэчырэх.  
Кьумалых, лыхэтхьых,  
Шъхьафашlэх.  
Псэ тхьапша дунаим  
Зэхашьушlэрэр?

## შეჩერდით!

ნარბებს ნევთ მალლა, გაკვირვება, ნეტავ, რას ნიშნავს?  
რას ნიშნავს ანდა რისი არის მაინც სამხილი?..  
დანყევლილი ხართ ბოროტების მთესველი ჯიში,  
რადგან არ გესმით თქვენი ხალხის ხმა და ძახილი...  
თქვენ გეჩვენებათ, თითქოს სადღაც მთის თხემზე  
სხედხართ,  
საიდან არ ჩანს სალოცავი ჩვენი, მეჩეთი...  
საზღვრებს იერთებთ, მოკეთისას ატარებთ ნიღაბს,  
კმარა, შეჩერდით!  
მოეშვით! ნულარ გვემტერებით, ნუ გვაუძღურებთ,  
თქვენგან განწირულთ, აღარ ვიცი, რა გვეშველება...  
ჩვენს ყურთასმენას ახშობს უკვე ტყვიის ზუზუნი  
და რაც ინგრევა, ვერ დავარქმევ იმას შენებას...  
დაფრინავს წყევლა, როგორც თვალწინ ფიქრის კრაზანა,  
ხაკისფრად ბზინავს დედამიწის ვრცელი ნაწილი...  
ჩვენ ძაღლებივით ძვალს გვიყრით და ისე საზარლად  
გვაბიჯებთ გულზე... სულს გვიკორტნის თითქოს არწივი...  
თქვენმა კლანჭებმა დაგვისერა მთელი სხეული,  
თუმც უღონონი მაინც ვცოცხლობთ და თავს ვერევი...  
ისინი, ალბათ, აზროვნებენ თავისებურად,  
ვინც ფიქრობს, რომ ხართ ერთადერთი ბედისმწერლები...  
ბევრია ჩვენშიც მოღალატე, მონა, გამცემი,  
თქმულა, სამარე გაასწორებს მხოლოდ კუზიანს...  
ჩვენ ვართ სამშობლოს გულმხურვალე ჯარისკაცები,  
ერთიანობას, კარგად იცით, რაც შეუძლია!

## РОГАВА ГЕОРГИЙ ФЭГЭХЬЫГЪ

Лъэпкъыпситумгъэшлэжьэоянэхэр  
Зэпэблагъэу, зэкыгъухэуздакӀх.  
Чылэтыгъэхэмэгущохэуахэхэр.  
АгукӀадыгэхэмпэблэгъэхьурцэх.

Ятарихъалэты, агъэлъапӀэ,  
ХьакӀэукъафакӀорэр \_ якъош.  
Яшлушлагъэ, яцыфыгъэнапэ  
ЗэрэдунайлъапӀэуфагъэшъуаш.

ХьурцэлъэпкъымкыыхэкӀыгъэнэфыр,  
Уиакъыли, уицыфыгъэзафи,  
Адыгэхэмабзэуяныдэльфыр  
Хэбгъэклагъяхишъэ, зэбгъэзафи.

Адыгабзэмитхэн-хэбзэшапхъэхэр,  
АкъылымүешӀужьрэоакъылкӀэ  
ЗэгъэкӀугъэу, зэкӀэлъыкеотхыпхъэу  
ТхылъэукъыпкӀэнагъ. ИпашцкӀеэ!

Адыгэм лүшыгъэуыугъоигъэргъашӀэм  
ОуилъэпкъыкыпӀуилъхъэгъэбзыпхъэмӀэ,  
Зэгомычышъунфэдэхэучэтэным,  
ЛъэпкъитӀурзэппхыгъэо лӀфтхъабзэкӀэ.

ЛъэпкъыпэпчыянахълъапӀэуилэрыбзэ.  
АщыкӀэрэгъуазэщыӀэныгъэм,  
БзэмкӀэапэуянэрӀоыцӀэ,  
ТегуцыӀэащкӀишӀулъэгъуныгъэм.

ДунайинымзэрэщыщыркъшӀэыбзэкӀэ,  
Ощхы лашӀрзыхеушъэбзэмкӀэ,  
ТыгъэминэбзыйзыхещэбзэмкӀэ.  
ИакъылзыхашӀэкъелӀобзэмкӀэ.

Ныдэльфыбзэркызыхъугъэмдежьэ  
Цыфым, ардыкӀыгъоушыӀэныгъэр  
Шъооу лүпэм лүлъэуегъэкӀотэжъы.  
Лъэпкъышъхъафитныгъэ \_ бзэшэн-хабзэр!

Сэусшлагъэп, услъэгъунслъэкӀыгъэп,  
Уахътэукъытфэхыгъэмархэтыгъэп.  
АусидыгъокиублагъкъысшӀошы.  
АдыгабзэмкӀэтэтэгущыӀэ, сэшӀэ.

Адыгэмүфэдэуиукытэ,  
Уинамысуилэгъмэкъашлэжы.  
Цыфымыпэуитэууготыгъэп,  
Пэрытэуишыгыизэфэныгъэ.

Адыгэмуащыщумыадыгэми.  
Хьурцэмичыгыинэуплэтыгъэ.  
Адыгэгүмүалыиэсышшугъэпстэуми,  
Ныдэльфыбзэр \_ лъэпкыируухьумагъэ

## გიორგი რობაქას

სიამაყე, ერთგულება გვასაზრდოებს მარად,  
განგებამაც შეაერთა ჩვენი ხალხის გზები...  
ცხოვრობს მშვიდად, ოდითგანვე, ერთად მთად და ბარად,  
ქართველები, გულთან ახლოს, მარდი ჩერქეზები.

აღმერთებენ ისტორიას, მიაგებენ პატივს.  
სტუმარს როცა კარს უღებენ, ძმად სახავენ იმნამს...  
და სიკეთის იღუმალი ხიბლით, ანდამატიტ,  
ათბობენ და აოცებენ ცოდვილ დედამინას.

თქვენი ჭკუით და გონებით განგვიმტკიცეთ რწმენა,  
შუბლნათელი ქართველი ხართ და ღირსება გმვენით...  
ჩერქეზების ისტორია, მისი ძველი ენაც  
შენივით, შეგვაყვარეთ სიამაყე ჩვენი...

დედა ენის მართლწერა და სხვაც ამაზე მეტი  
თქვენი ცოდნით აწონეთ და ჩაიხედეთ შიგნით...  
მერე ისე ჩაუღრმავდით, მართლაც ორნამენტით  
მორთეთ, შეუფასებელი არის თქვენი წიგნი...

წვეთწვეთობით ნაგროვები ადიღეთა სიბრძნე,  
დაუნყვილეთ ქართველების ადათსა და ჩვევას...  
ჩვენი ხალხის ურღვევ კავშირს და ერთობას ისევ  
განამტკიცებს თქვენი შრომა, ღვთის უსაზღვრო ნება...

ენა ხალხთა საუნჯეა, გვაახლოებს ღმერთთან,  
ამ ცხოვრების გზამკვლევი და ჩვენი გადარჩენა...  
რაც პირველად გვათქმევინებს უკვდავ სიტყვას – დედა,  
სიყვარულზეც გვასაუბრებს მშობლიური ენა...

ენით ვიგებთ, ამ სამყაროს კუთვნილება რომ ვართ  
და ვსაზრდოობთ სურნელოვან წვიმის არომატით...  
ვგრძნობთ მზის ფერად გაბრწყინებას და სხივების

კრთომას,  
რასაც გავაცნობიერებთ, ვამბობთ ენის მადლით...

გზას მიჰყვება მშობლიური ენა ჩვენთან ერთად,  
როცა ქვეყნად ვიბადებით და ვდგამთ პირველ ნაბიჯს;  
ხალხის თავისუფლებასაც მის ენაში ვხედავ,  
რჩება მუდამ ჩვენს ბაგეზე, როგორც ტკბილი თაფლი...

არ გიცნობდით, ვერ შევძელი ერთხელ თქვენი ნახვაც,  
ვერ დავგეგმეთ, ალბათ, ჩვენი უდროობის გამო...  
მაგრამ გვერდით მეგულებით, მუდამ ჩემთანა ხართ,  
ადილეურ ენაზედაც ვლაპარაკობთ ამოდ...

ჩერქეზებმა თავმდაბლობის დაგიფასეს მადლი,  
თქვენს ღირსებას არ ივინყებს, ვინც გიცნობდათ ყველა...  
ვინმეს წინ კი არ უსწრებდით, მუდამ გვერდით ჰყავდით,  
მაგრამ თქვენმა სიდიადემ წინ კი დაგაყენათ...

თქვენც ჩერქეზთა ნაწილი ხართ, თუმც ქართული გენით  
გვიერთგულეთ, ასახელეთ საქართველოს მიწაც...  
დღეს ჩვენგანის სათითაოდ გულს შეახეთ ხელი,  
დედა ენის გადარჩენამ ხალხიც განამტკიცა!

*თარგმნა ელგუჯა მარლიამ*

## ვალერი ბრიუსოვი



ვალერი ბრიუსოვი (1873-1924) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, ლიტერატურისმცოდნე და ისტორიკოსი, რუსული სიმბოლიზმის აღიარებული ლიდერი.

მკითხველი შეიძლება დააბნიოს ამ ჩამონათვალმა, ვინაიდან მის ცნობიერებაში ვალერი ბრიუსოვი უპირატესად პოეტია. ბრიუსოვის პოეზიის ძალამ და მასშტაბურობამ მართლაც დაჩრდილა და უკანა პლანზე გადასწია ამ მრავალმხრივი შემოქმედის ლიტერატურული საქმიანობის დანარჩენი სფეროები, რომელთაც მან არანაკლები დრო და ენერგია მოახმარა. განსაკუთრებით საინტერესო და ფასეულია ვალერი ბრიუსოვის პროზაული მემკვიდრეობა და მისი თარგმანები. ენების შესანიშნავი მცოდნე, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუვლიდა ფრანგ სიმბოლისტ პოეტებს (სიმბოლიზმი ხომ საფრანგეთში დაიბადა მე-19 საუკუნის ბოლოს) და არა მარტო მიმდევარი გახლდათ მათი, არამედ თარგმნიდა კიდევ. წინასიტყვაობაში ბრიუსოვი წერდა, რომ არსებობს მოთხრობათა ორი სახეობა – „ხასიათთა მოთხრობები“, რომელთა მთავარი მიზანდასახულობა გახლავთ ის, რომ „მოქმედ პირებს მიეცეთ საშუალება, რაც შეიძლება სრულად გაუხსნან თავიანთი სული მკითხველებს“ (მაგალითად, ჩეხოვის მოთხრობები) და „გარემოებათა მოთხრობები“, რომლებშიც ავტორის ყურადღება გამახვილებულია „მოვლენის განსაკუთრებულობაზე“, მოქმედი პირები კი „მნიშვნელოვანნი არიან არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც მოცულნი არიან მთავარი „ქმედებით“ (ედგარ პოს მოთხრობები). საკუთარ თხზულებებს ვალერი ბრიუსოვი მხოლოდ და მხოლოდ „გარემოებათა მოთხრობებს“ მიაკუთვნებდა. უნდა ითქვას ისიც, რომ რუსულ ლიტერატურაში ბრიუსოვმა „გარემოებათა მოთხრობების“ ტრადიცია ვერ მონახა და მზერა ევროპულ ნოველისტიკას მიაპყრო.

რა იმემკვიდრა სიმბოლიზმისაგან ბრიუსოვის პროზამ? უპირველეს ყოვლისა, ესაა ადამიანის დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ფრანგი მწერალი და ხელოვნების კრიტიკოსი, სიმბოლისტებთან დაახლოებული რემი დე გურმონი წერდა: „ადამიანთან, მოაზროვნე სუბიექტთან მიმართებაში, სამყარო, ყველაფერი, რაც „მეს“ მიღმაა, არსებობს მხოლოდ იმ იდეის სახით, რასაც ადამიანი შეიქმნის მასზე (სამყაროზე)“.

ბრიუსოვი-პროზაიკოსის წარმოსახვისათვის უცხო ვერ იქნებოდა ინდივიდუალიზმი და სუბიექტივიზმი, სპირიტუალიზმი, წარმოსახვითი და სიმბოლური

სამყარო, ორსამყაროობა, რთული ურთიერთქმედების სისტემა ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის. მის მიერ შექმნილი ზოგიერთი „მწვავე და უჩვეულო გარემოება“ ემსახურება სიმბოლისტურ იდეას – აჩვენოს მკაფიო საზღვრების არარსებობა ფანტაზიასა და რეალობას, ძილსა და ცხადს შორის. იკვლევს რა ადამიანის მარტოობის თემას „საშინელ სამყაროში“, იგი ცდილობს შეიცნოს ყოფიერების ბნელი სიღრმეები, ადამიანური ცნობიერების ქაოტური მორევი.

ჩვენ მიერ თარგმნილ და განსხვავებული სიუჟეტების მქონე ორ ნოველასაც აერთიანებს ილუზიისა და სინამდვილის ურთიერთშელწევის იდეა, რაც ადამიანის შინაგანი სამყაროს ფანტასტიკურ მეტამორფოზებს იწვევს. ნოველაში „ახლა, როცა გავიღვიძე...“ მკითხველი იოლად ამოიცნობს ედგარ პოს, ბრიუსოვის ერთ-ერთი ლიტერატურული კერპის, ზეგავლენასაც. მეორე ნოველა – „სარკეში“ ასახავს ავტორის განსაკუთრებულ ინტერესს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქალის სულის ფსიქოლოგიის თავისებურებების“ მიმართ. სარკის თემა კი, ახლებურად გააზრებული, მის უფრო გვიანდელ შემოქმედებაშიც განმეორდება.

მთარგმნელი

## ახლა, როცა გავიღვიძე...

(ფსიქოპათის ჩანაწერები)

რა თქმა უნდა, ბავშვობიდან უკუღმართს მეძახდნენ. რა თქმა უნდა, მარწმუნებდნენ, რომ ჩემს გრძნობებს არავინ იზიარებდა. ჰოდა, მეც დავეჩვიე ადამიანების მოტყუებას. დავეჩვიე გაცვეთილი სიტყვების წარმოთქმას თანაგრძნობასა და სიყვარულზე, ბედნიერებაზე, რასაც სხვათა შეყვარება გვანიჭებს. მაგრამ სულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით დამნაშავეა. მე ვფიქრობ, რომ ყველა შეგრძნებათა შორის, რასაც სიამოვნებას უწოდებენ, ამ სახელს მხოლოდ ერთი იმსახურებს – შეგრძნება, რაც ადამიანს ეუფლება სხვისი ტანჯვის ჭყრეტისას. ჩემი აზრით, ადამიანს თავის პირველყოფილ მდგომარეობაში მხოლოდ ერთი რამ შეიძლება სწყუროდეს – აწამოს თავისი მსგავსები. ჩვენმა კულტურამ ლაგამი ამოსდო ამ ბუნებრივ მისწრაფებას. მონობის საუკუნეებმა ადამიანი მიიყვანა იმ რწმენამდე, რომ სხვისი ტანჯვა მისთვის სამძიმოა. და ახლა ადამიანები სრულიად გულწრფე-

ლად ტირიან სხვათა გამო და თანაურგრძნობენ მათ. მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟი და გრძნობათა ცდომილებაა.

წყლისა და სპირტისაგან შესაძლებელია ისეთი ნაზავი შევადგინოთ, რომ მასში პროვანსული ზეთი წონასწორობას შეინარჩუნებს ნებისმიერი მდგომარეობისას, არც ამოტივტივდება და არც ჩაიძირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დედამინის მიზიდულობის კანონი შეწყვეტს მასზე ზემოქმედებას. ფიზიკის სახელმძღვანელოებში ნათქვამია, რომ ამ დროს ზეთი მხოლოდ იმ მიდრეკილებას ემორჩილება, რაც მის ნაწილაკებს ახასიათებს და სფერულ ფორმად იკვრება. მსგავსად ამისა, არსებობს წამები, როდესაც ადამიანის სული თავისუფლდება თავისი მიზიდულობის ძალაუფლებისაგან, ყველა იმ ბორკილისაგან, რაც მისთვის დაუდია მემკვიდრეობითობასა და აღზრდას, ყველა გარეგანი მოვლენისაგან, რაც ჩვეულებრივ განაპირობებს ჩვენს ნებას: სასამართლოს შიშისაგან, საზოგადოებრივი აზრის კრძალვისაგან და ა. შ. ამ წამებში ჩვენი სურვილები და ქმედებები ჩვენი არსების მხოლოდ პირველყოფილ, ბუნებრივ მისწრაფებებს ექვემდებარება.

ეს არ არის ჩვეულებრივი ძილის საათები, როცა დღის ცნობიერება, მართალია, დაშრეტილა, მაგრამ ჯერ კიდევ ხელმძღვანელობს ჩვენს მთვლემარე „მეს“; ეს არც სიგიჟისა და გონების დაბნელების საათებია: ამ დროს ჩვეულებრივი გავლენების ადგილს იკავებს სხვა, კიდევ უფრო თვითნებური გავლენები. ეს იმ უცნაური მდგომარეობის ნუთებია, როცა ჩვენი სხეული ძილში განისვენებს, ხოლო აზრმა ეს იცის და ზმანებების სამყაროში მოხეტიალე ჩვენს ლანდს იდუმალად განუცხადებს: შენ თავისუფალი ხარ! რაკი ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ქმედებები იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის, რომ ისინი უხილავი დარჩება მთელი ქვეყნიერებისათვის, ჩვენ ლალად მივეცემით თვითმყოფად, ნებელობის სიღრმეთაგან მომდინარე გულის ნადილთ. და ასეთ წამებში არასოდეს გვიჩნდება სურვილი, სათნო საქმე მოვიმოქმედოთ, ყოველ შემთხვევაში, მე ეს არ დამმართნია. პირიქით, ვიცოდი, რომ იოტისოდენა სასჯელიც არ მემუქრებოდა და ვეშურებოდი, რაიმე ველური, ბოროტი და ცოდვიანი ჩამედინა.

ძილს ყოველთვის მივიჩნევდი და ახლაც მივიჩნევ ჩვენი მღვიძარე ცხოვრების თანასწორად. რა არის ეს ღვიძილი? ჩვენი შთაბეჭდილებები, ჩვენი გრძნობები, ჩვენი სურვილები, მეტი არაფერი. ეს ყველაფერი ძილშიცაა. ძილი ისევე გვივსებს სულს, როგორც ღვიძილი, ისევე გვალეღვებს, ისევე გვახარებს, ისევე გვასევდიანებს. ჩვენ მიერ ძილში ჩადენილი საქციელი სულიერ ცხოვრებაში ისეთსავე კვალს გვიტოვებს, როგორც ცხადში ჩადენილი. ბოლოს და ბოლოს, მთელი განსხვავება ძილსა და ღვიძილს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სიზმარეული ცხოვრება ყოველ ადამიანს საკუთარი, განცალკევებული აქვს, ხოლო ცხადი ყველასათვის ერთი და იგივეა ან ითვლება, რომ ერთნაირია... აქედან გამომდინარეობს, რომ

თითოეული, ცალკეული ადამიანისათვის ძილი მეორე სინამდვილეა. ხოლო, რომელს აირჩევს ამ ორი სინამდვილიდან, ძილსა თუ ღვიძილს, დამოკიდებულია მის პირად მიდრეკილებებზე.

მე ბავშვობიდან ძილი მეტად მომწონდა. ძილში გატარებულ დროს დაკარგულად კი არ ვთვლიდი, არამედ, პირიქით, ის საათები მენანებოდა, რომელთაც ცხადი ცხოვრება ართმევდა ძილს. მაგრამ, რასაკვირველია, ძილში მე ცხოვრებას, ანუ სიზმრებს ვეძიებდი. ჯერ კიდევ ბიჭობაში უსიზმრო ძილს მძიმე დანაკარგად აღვიქვამდი. როცა მოხდებოდა და ახლად გაღვიძებული სიზმარს ვერ გავიხსენებდი, თავს უბედურად ვგრძნობდი. ასეთ დროს, სახლში თუ სკოლაში, მტანჯველად დავძაბავდი ხოლმე მეხსიერებას, სანამ მის მიყრუებულ კუთხეში მივიწყებული სურათების ნამსხვრევს არ ვიპოვნიდი და სანამ ხელახალი ძაღლისხმევის შედეგად უეცრად არ მოვიხელთებდი ამასწინანდელი სიზმარეული ცხოვრების მთელ მკაფიოობას. ხარბად ჩავყურყურებავდებოდი ხოლმე ამ მკვდრეთით აღმდგარ სამყაროში და მის თითოეულ პანანკინტელა წვრილმანს აღვიდგენდი. მეხსიერების ამგვარი აღზრდის წყალობით იმას მივალწიე, რომ სიზმრები აღარასოდეს მავიწყდებოდა. ღამესა და ძილს ისე ველოდებოდი, როგორც ნანინატრ პაემანს.

განსაკუთრებით კომმარები მიყვარდა მათგან მიღებული შთაბეჭდილებების სულისშემძვრელი ძლიერების გამო. მათი ხელოვნურად გამოწვევის უნარი გამოვიმუშავე. ისე ვწვებოდი, რომ თავი სხეულზე დაბლა მომქცეოდა და როგორც კი ჩამეძინებოდა, კომმარიც მომიჭერდა თავის ტკბილად მანამებელ ბრჭყალებს. ენით უთქმელი მომქანცველობა გამომალვიძებდა, სულს ძლივს ვითქვამდი, მაგრამ საკმარისი იყო, სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა, ისევე იქ გადაშვებას ვესწრაფოდი, შავ

ფსკერზე, საშინელებასა და ძრწოლაში. წყვდიადიდან შემზარავი სახეები გამოვიდოდნენ და გარს შემომენწყობოდნენ, მაიმუნის მაგვარი დემონები ერთმანეთს შეებრძოლებოდნენ და უცებ კივილით მე მომვარდებოდნენ, გადამაქცევდნენ, მახრჩობდნენ; საფეთქლებს გუგუნი გაუდიოდა, მტკიოდა და მეშინოდა, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ენით უთქმელი გახლდათ, რომ მე ბედნიერი ვიყავი.

მაგრამ ამაზე მეტად ძილის ისეთი მდგომარეობები მიყვარდა ბავშვობიდანვე, როდესაც იცი, რომ გძინავს. ადრევე ჩავწვდი, რომ ისინი უდიდეს სულიერ თავისუფლებას გვჩუქნიან. მათი ჩემი ნებით გამოწვევა მე არ შემეძლო. ძილში უეცრად თითქოს ელექტრობა დამკრავდა და მყისვე ვხვდებოდი, რომ სამყარო ჩემს განკარგულებაში ექცეოდა. და მე ვინცები სვლას ძილის გზებზე, მის სასახლეებში და ველეებზე, საითაც მომეგუნებებოდა. ნებისყოფის ძალისხმევით შემეძლო, ისეთ გარემოცვაში მეხილა ჩემი თავი, როგორიც მომწონდა, შემეძლო, ჩემს ძილში ყველა შემომეყვანა, ვისზეც ვოცნებობდი. ადრეულ ბავშვობაში ამ ნამებს იმისათვის ვიყენებდი, რომ ადამიანები გამესულელებინა, ნაირგვარი ანცობა ჩამედინა. მაგრამ წლითინლობით სხვა, უფრო სანუკვარ სიამეებზე გადავედი: ქალებს ვაუბატიურებდი, მკვლელობებს ჩავდიოდი და ჯალათად ვიქეცი. და მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ალტაცება და აღფრთოვანება ცარიელი სიტყვები არა ყოფილა.

წლები გადიოდა. შეგირდობისა და ხელქვეითობის დღეები უკან მოვიტოვე. მარტო ვცხოვრობდი, ოჯახი არა მყავდა, სუნთქვის უფლების მოსაპოვებლად ჭაპანწყვეტა არა მჭირდებოდა. იმის საშუალება გამაჩნდა, განუყოფლად მივცემოდი ჩემს ბედნიერებას. დღე-ღამის უმეტეს ნაწილს ძილსა და თვლელაში ვატარებდი. სხვადასხვა

ნარკოტიკულ საშუალებას მოვიხმარდი: არა იმ სიამოვნებათათვის, რასაც სწორედ ისინი გვპირდებიან, არამედ იმისათვის, რომ ძილი გამეხანგრძლივებინა და გამეღრმავებინა. გამოცდილება და ჩვეულება იმის საშუალებას მაძლევდა, რომ უფრო და უფრო ხშირად დავმტკბარიყავი ყველაზე უცილობელი თავისუფლებით, რაზეც კი ადამიანს ოცნება გაუბედავს. ჩემი სიზმრების თანდათან ღამეული შემეცნება ძალითა და მკაფიოობით დღისას დაუახლოვდა და, შეიძლება ითქვას, კიდევ აღემატა. მე ვახერხებდი, რომ მეცხოვრა კიდევ ამ ზმანებებში და გარედანაც მეჭვრიტა ამ ცხოვრებისათვის. თითქოს თვალს ვადევნებდი საკუთარ აჩრდილს, რომელიც ძილში ამა თუ იმ საქციელს ჩადიოდა, ვხელმძღვანელობდი მას და იმავდროულად მთელი მგზნებარებით განვიცდიდი მის თითოეულ შეგრძნებას.

ჩემი სიზმრებისათვის ყველაზე შესაფერი გარემო შევექმენი. ეს იყო ვრცელი დარბაზი სადღაც ღრმა მიწისქვეშეთში. იქაურობას ორი უზარმაზარი ლუმლის წითელი შუქი ანათებდა. კედლები რკინისა ჩანდა. იატაკი – ქვის. ყველა ის მოწყობილობა ელაგა, რაც, ჩვეულებრივ, ნამებისათვის გამოიყენება: სანამებელი ძელი, მარგილი, ლურსმნებიანი სკამები, კუნთების გამოსაგლეჯი და ნაწლავების გამოსაყრელი იარაღები, დანები, მაშები, მათრახები, ხერხები, გავარვარებული მორები და ფოცხები. როდესაც იღბალი თავისუფლებას მომანიჭებდა, თითქმის ყოველთვის ჩემს საიდუმლო თავმესაფარს მივაშურებდი წამსვე. ნების გაძლიერებული დაძაბვით ამ მიწისქვეშა პალატაში იმათ შევიყვანდი, ვინც მიწოდდა, ზოგჯერ ჩემთვის ნაცნობ პირებს, უფრო ხშირად კი – წარმოსახვით შობილებს, უმეტესად ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ფხმძიმე ქალებს, ბავშვებს. ამ ადამიანებით ისე ვერთობოდი, როგორც ამქვეყნად მოვ-

ლენილი ყველაზე მძლავრი დესპოტი.

დროთა განმავლობაში მსხვერპლთა საყვარელი ტიპები გამიჩნდა. ყველა მათგანს სახელით ვცნობდი. ერთნი სხეულის სილამაზით მხიბლავდნენ, მეორენი – საშინელ წამებათა ატანისას გამოჩენილი სიმამაცით, ჩემი ხრიკების არად ჩაგდებით, მესამენი, პირიქით – თავიანთი სისუსტით, უნებისყოფობით, კვნესითა და ამოო ხვენწა-მუდარით. ზოგჯერ, არცთუ იშვიათად, უკვე მოკვდინებულეებს ვაცოცხლებდი, რათა კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავი მათი მოწამებრივი სიკვდილით. თავდაპირველად მარტო მე ვიყავი ჯალათიცა და მაყურებელიც. მერე მახინჯი ჯუჯების ხროვა გავიჩინე თანაშემწეებად. მათი რიცხვი ჩემი სურვილის მიხედვით იზრდებოდა. ისინი მანოდებდნენ სანამებელ იარაღებს, ხითხითითა და მანჭვა-გრეხით ასრულებდნენ ჩემს მითითებებს. მათთან ერთად ვზეიმობდი სისხლისა და ცეცხლის, ყვირილისა და წყევლა-კრულვის ორგიებს.

ალბათ, ასეთიც დავრჩებოდი, შეშლილი, მარტოსული და ბედნიერი. მაგრამ ჩემმა მცირერიცხოვანმა მეგობრებმა გადანყვიტეს, რომ ავად ვიყავი, რომ სიგიჟის ზღვარზე ვიმყოფებოდი და ჩემი ხსნა მოინადინეს. ძალას მატანდნენ, რომ გარეთ გავსულიყავი, თეატრში მევლო, საზოგადოებაში მეტრიალა. ვეჭვობ, რომ მათ განზრახ სცადეს, რაც შეიძლება მიმზიდველად წარმოედგინათ ჩემთვის ის ქალიშვილი, რომელიც შემდგომში ჩემი მეუღლე გახდა. თუმცა ძნელად საპოვნელია ადამიანი, რომელიც მას თავყვანისცემის ღირსად არ ჩათვლიდა. ყველა ქალური და ადამიანური ხიბლი იყრიდა თავს იმ არსებაში, რომელიც მე შევიყვარე, რომელსაც ასე ხშირად ვუხმობდი ჩემად და რომლის დატირებასაც სიცოცხლის მთელ დარჩენილ დღეებს მოვანდომებ. მას კი ჩემი თავი გააცნეს, როგორც მოწამე, როგორც უბედური, რომელსაც შველა სჭირდება. მას ჯერ ცნობისნადი-

ლი გაუჩნდა, რაც თანდათან გადაიზარდა სრულ, თავდავინყებულ ვნებაში.

დიდი ხნის განმავლობაში ქორწინებაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. როგორი მძლავრიც უნდა ყოფილიყო გრძნობა, რომელმაც პირველად დაიმონა ჩემი სული, თავზარსა მცემდა ის აზრი, რომ დავკარგავდი მარტოობას, რომელიც სიზმრებით თავისუფლად ტკბობის საშუალებას მაძლევდა. მაგრამ თავს მოხვეულმა ნორმალურმა ცხოვრების წესმა ნელ-ნელა შემეცნება დამიბინდა. გულწრფელად დავიჯერე, რომ ჩემი სული შეიძლება გარდაისახოს, რომ მას შეუძლია, უარი თქვას ჩემეულ სიმართლეზე, რასაც სხვა ადამიანები არ სცნობენ. ქორწინების დღეს მეგობრები ისე მილოცავდნენ, თითქოს სამარიდან მზის სინათლეზე გამომეღწიოს. საქორწინო მოგზაურობის შემდეგ მეუღლესთან ერთად ახალ, ნათელ და მხიარულ სახლში დავბინავდი. თავი დავაჯერე, რომ მსოფლიო მოვლენები და ქალაქის ახალი ამბები მაინტერესებდა; გაზეთებს ვკითხულობდი და ნაცნობებთან ურთიერთობას არ გავუბრუნებდი. ხელახლა ვისწავლე, რომ დღისით მეფხიზლა. ღამით, ორი სატრფოს მომქანცველი ალერსის შემდეგ, როგორც წესი, მკვდარი, ერთფეროვანი ძილით მეძინებოდა, სივრცეებისა და სახეების გარეშე. ხანმოკლე დაბრმავების ჟამს მზად ვიყავი, მეხარა ჩემი გამოჯანსაღებით, შეშლილობიდან ყოველდღიურობაში გარდასვლით.

მაგრამ, რასაკვირველია, არასოდეს, ო, არასოდეს! მთლად არ მომკვდარა ჩემში სხვა აღტაცებათა ნდომი. ის მხოლოდ მიჩქმალა მეტისმეტად ხელშესახებმა სინამდვილემ. თაფლობის თვის დღეებშიც კი გულის სიღრმეში უფრო დამაბრმავებელი, უფრო სულის შემძვრელი შთაბეჭდილებების ხარბი წყურვილი მკლავდა. ყოველი ახალი კვირის დადგომასთან ერთად ეს წყურვილი მეტი დაჟინებით მანვალებდა. მის გვერდიგვერდ კიდევ

ერთმა დაჟინებულმა სურვილმა იჩინა თავი, რომელსაც თავდაპირველად საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდი: სურვილი იმისა, რომ ის, ჩემი საყვარელი ცოლი, მიმეყვანა ჩემს ღამეულ ნადიმზე და მისი სახე დამენახა, მისივე სხეულის ტანჯვით რომ იღმიჭებოდა. მე ვიბრძოდი, დიდხანს ვიბრძოდი, რათა სიფხიზლე შემენარჩუნებინა. ჩემს თავს ყველა გონივრული საბუთით ვარწმუნებდი, მაგრამ თვითონ არა მჯეროდა მათი. ამაოდ ვცდილობდი, თავი შემექცია, მარტო არ დავრჩენილიყავი – ცდუნება ჩემში ბინადრობდა და მას ვერსად გავექცეოდი.

და ბოლოს მე დავთმე. მოვიმიზეზე, ვითომ დიდი შრომა წამოვიწყე რელიგიის ისტორიიდან. ბიბლიოთეკაში განიერი ტახტები დავდგი და ღამლამობით შიგ ვიკეტებოდი. ცოტა მოგვიანებით იქ მთელი დღეების გატარებაც დავიწყე. ცოლისგან ჩემს საიდუმლოს გულდაგულ ვმაღავდი; შიშით ვკანკალებდი, რომ არ მიმხვდარიყო იმას, რასაც ესოდენი თავგამოდებით ვინახავდი. ჩემთვის ცოლი ისეთივე ძვირფასი იყო, როგორც უწინ. მისი ალერსი იმაზე არანაკლებ მატკობდა, ვიდრე ჩვენი თანაცხოვრების პირველ დღეებში. მაგრამ მე უფრო ძალუმი ავხორცობა მიტაცებდა. ცოლისთვის ჩემი საქციელის ახსნა არ შემეძლო. ის მერჩია, ეფიქრა, რომ გადავიყვარე და მასთან ურთიერთობას თავს ვარიდებდი. იგი მართლაც ასე ფიქრობდა, იტანჯებოდა და უძღურდებოდა. ვხედავდი, როგორ ფერმკრთალდებოდა და ჭკნებოდა, როგორ ეზიდებოდა დარდი სამარისაკენ. მაგრამ, თუ ხანდახან გულისთქმა ამიყოლიებდა და ჩვეული სასიყვარულო სიტყვებით მივმართავდი, მხოლოდ რამდენიმე წამით გამოცოცხლდებოდა: მას არ შეეძლო, ჩემი ერწმუნა, ვინაიდან ჩემი ქმედებები, როგორც ჩანდა, მეტისმეტად ეწინააღმდეგებოდა ჩემს სიტყვებს.

მართალია, ძილში უწინდებურად ღამის მთელ დღე-ღამეებს ვატარებდი და კიდევ უფრო განუყოფლად მივეცე-

მოდი სიზმრებს, ვიდრე ქორწინებამდე – მე რატომღაც დავკარგე ადრინდელი უნარი, სრული თავისუფლებისათვის მიმეღწია. კვირაობით ვინექი ტახტებზე და მხოლოდ იმისათვის ვიღვიძებდი, რომ ცოტა მოვმაგრებულიყავი ღვინითა თუ ბულიონით, რომ ძილის წამლის ახალი დოზა დამეღია, მაგრამ ნანატრი წამი არა და არ დგებოდა. მე განვიცდიდი კოშმარის ტკბილ წამებას, მის დიდებულებასა და დაუნდობლობას, მე შემეძლო, გამეხსენებინა და მწკრივ-მწკრივად ამესხა მრავალფეროვანი სიზმრები, ზოგი თანამიმდევრული და სწორედ ამ ზეიმური თანამიმდევრობით შიშის მომგვრელი, ზოგიც უცნაურად დაუკავშირებელი, თვალწარმტაცი და ბრწყინვალე თავისი გიჟური შეთანადებით – მაგრამ ჩემს ცნობიერებას კვლავ ნისლის საბურველი ეფარა. მე ხელთ აღარ მეპყრა სიზმრის განკარგვის ძალაუფლება, მე უნდა მეყურადებინა და მეჭვრიტა იმისათვის, რაც გარედან, ვილაცისაგან მეძლეოდა.

ჩემთვის ნაცნობ ყველა ხერხსა და საშუალებას მივმართავდი: ხელოვნურად ვირღვევდი სისხლის მიმოქცევას, საკუთარ თავს ვაჰიპნოზირებდი, ვიღებდი მორფსაც, ჰაშიშსაც და ყველა სხვა დამაძინებელ საწამლავს, მაგრამ ისინი მხოლოდ მათთვის ნიშნეული ჯადოთი მიმასპინძლდებოდნენ. ინდური ყაყაჩოს დემონით გამონვეული ალგზნების შემდეგ დგებოდა ტკბილი მომქანცველობა, მთვლემარე ნავის უძალო ლივლივი თვალუნვდენელ ოკეანეზე, რომლის ტალღებიც ახალ-ახალ ხილვებს ბადებდა – მაგრამ ეს ხატებანი ჩემს შელოცვებს არ ემორჩილებოდნენ. თვალის გახელისას გაცოფებით ვიხსენებდი ჩემს თვალწინ ჩავლილი სურათების უსასრულო მონაცვლეობას; სურათები მაცდურებიც იყვნენ და წარმტაცებიც, მაგრამ ისინი არც ჩემი ხუმტურით იყვნენ ნაკარნახევი და არც ჩემი ნებით უჩინარდებოდნენ. მრისხანებისა და სურვილისაგან ქანცი

მინყდებოდა, მაგრამ ვერას ვანყობდი.

მაგონდება, ექვს თვეზე მეტი იყო გასული იმ დროიდან, სიზმრებით თრობა რომ განვაახლე, ვიდრე იმ დღემდე, როცა ჩემი ყველაზე სანუკვარი ბედნიერება დამიბრუნდა. ძილში უცებ შევიგრძენი კარგად ნაცნობი ელექტრობის დაკვრა და უცებვე მივხვდი, რომ თავისუფალი ვარ, რომ მძინავს, მაგრამ სიზმრის განკარგვის ძალაუფლება ჩემს ხელთაა, რომ შემიძლია, ყველაფერი გავაკეთო, რასაც მოვისურვებ და ეს ყველაფერი მხოლოდ სიზმრად დარჩება! ერთ უთქმელი ალტაცების ტალღა ჩამეღვარა სულში. ძველ ცდუნებას ველარ შევენიანაღმდეგე: პირველი ბიძგი, რაც გამიჩნდა, ცოლის სასწრაფოდ მოძებნა იყო. მაგრამ ჩემი მიწისქვეშა პალატა აღარ ვინდომე. ვარჩიე, იმ გარემოში აღმოვჩენილიყავი, რომელსაც ჩემი ცოლი მიჩვეოდა და რომელიც თვითონვე მოეწყო. ეს გაცილებით უფრო დახვეწილი სიამოვნება გახლდათ. და მაშინვე ჩემი მეორე, სიზმარეული ცნობიერებით, საკუთარი თავი ბიბლიოთეკის კარს მიღმა მდგარი დავინახე.

„წავიდეთ, – ვუთხარი ჩემს აჩრდილს, – წავიდეთ, მას ახლა სძინავს, და თან ის წვრილი ხანჯალი წამოიღე, სპილოს ძვლით რომ აქვს ვადა მოვარაყებული“.

დავმორჩილდი და ნაცნობი გზებით გავემართე ჩაბნელებულ ოთახებში. მეჩვენებოდა, რომ კი არ დავდივარ, ფეხებს კი არ ვადგამ, არამედ დავფრინავ, როგორც ეს ძილში ხდება ხოლმე. სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ქალაქის სახურავებს გავხედე და გავიფიქრე: „ეს ყველაფერი ჩემ ხელთაა“. უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ზეცა ვარსკვლავებს გაეჩახჩახებინა. სავარძლების ქვემოდან ჩემმა ჯუჯებმა გამოჰყვეს თავები და უმაღ ვანიშნე, გამქრალიყვნენ. უხმაუროდ გამოვადე საძინებლის კარი. კანდელის შუქი საკმარისად ანათებდა ოთახს. მივუახლოვდი საწოლს, რომელზეც ცოლს ეძინა. როგორღაც უძღურად იწვა, პატარა

და გამხდარი; საწოლიდან გადმოეკიდა თმა, ღამისთვის ორ ნაწნავად რომ დაენწა. სასთუმალთან ცხვირსახოცი ეგდო: დანოლისას უტირია, უტირია იმის გამო, რომ კიდევ არ მივედი მასთან. ერთგვარმა კაეშანმა მომიწურა გული. იმ წუთს მზად ვიყავი, თანაგრძნობაც მერწმუნა. სურვილმა დამიარა, ცოლის საწოლთან მუხლი მომეყარა და მისი გათოშილი ფეხები დამეკოცნა. მაგრამ მაშინვე შევახსენე თავს, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა.

ფრიად უცნაურმა გრძნობამ ამანრიალა. როგორც იქნა, შემეძლო, ჩემი იდუმალი ოცნებისთვის ხორცი შემესხა, ამ ქალისთვის ყველაფერი მექნა, რასაც მოვისურვებდი. და ეს ყველაფერი მხოლოდ მე მეცოდინებოდა. ცხადში კი შემეძლო, ხვევნა-ალერსის მთელი ალტაცება დამეფრქვია მისთვის, მენუგეშებინა, მყვარებოდა და თავს შემოვვლებოდი... ცოლის სხეულზე დავიხარე და ხელი ისე მძლავრად წაფუჭირე ყელში, რომ დაყვირებაც ვერ მოახერხა. მაშინვე გაიღვიძა, თვალები გაახილა და ერთიანად აფართხალდა ჩემს ხელქვეშ. მაგრამ მე თითქოს საწოლს მივალურსმენე და ისიც იგრინებოდა, ცდილობდა, ხელი ეკრა ჩემთვის, ღამობდა, რაღაც ეთქვა და გაგიჟებული თვალებით შემომყურებდა. რამდენიმე წამი ამ თვალების ლურჯ სიღრმეს ჩაფრებოდი ერთ უთქმელი მღელვარებით შეპყრობილი, მერე უცებ ამ ქალს ფერდში ხანჯალი ჩავცხე საბნის ქვეშ.

ვხედავდი, როგორ გააძაგძაგა, დაიჭიმა; დაყვირება ისევ არ შეეძლო, მაგრამ ტკივილისა და სასონარკვეთის ცრემლებმა თვალები ამოუვსო და ლოყებზე დაუგორდა. ხელზე კი, რომლითაც ხანჯალი მეჭირა, ბლანტი და მოთბო სისხლი დამეღვარა. ნელა ვურტყამდი, საბანი მოვგლიჯე და ვჩხვლეტდი მწოლიარეს, შიშველს, რომელიც ესწრაფოდა, თავი დაეფარა, ამდგარიყო, გახობებულიყო. ო, რაოდენ

სიტკბოსა და რაოდენ საშინელებას მგვრიდა სხეულის მკვრივი ბორცვების სამართებით დასერა, ამ ლამაზი, ნაზი, საყვარელი სხეულის მთლიანად გახვევა იარათა და სისხლის მენამულ ლენტებში! ბოლოს ცოლს თავში ხელი წავავლე და ხანჯალი ყელში გავუყარე, საძილე არტერიის უკან, მთელი ძალები დავძაბე და ყელი გამოვფატრე. სისხლი ათუხთუხდა, ვინაიდან მომაკვდავი ცდილობდა, ესუთქა; ხელებმა გაურკვევლად მოინადინეს, რაიმეს მოსჭიდებოდნენ თუ რაიმე გადაეგდოთ. ქალმა მერელა შეწყვიტა მოძრაობა.

და ამ დროს ისეთმა შემადრწუნებელმა სასონარკვეთამ მომიცვა სული, რომ მაშინვე გაშმაგებით ვცადე, გამომეღვიძა, მაგრამ ვერ შევძელი. მთელი ნებისყოფა მოვიხმე, ველოდი, რომ სადაცაა საძინებლის კედლები ჩამოიშლება, გაიფანტება და დადნება, რომ სადაცაა ჩემს ტახტზე ამოვყოფ თავს, ბიბლიოთეკაში. მაგრამ კოშმარი არ ილეოდა. ჩემი ცოლის ალისფერი, დამახინჯებული სხეული ჩემ წინ, სანოლზე ესვენა, სისხლით დამლბალი. კართან კი უკვე ჩოჩქოლებდნენ ადამიანები, ბრძოლის ხმაურს რომ შეეყარა, ხელში სანთლები ეკავათ და საშინელებისგან სახეები დამანჭვოდათ. არაფერს ამბობდნენ, მაგრამ თვალს არ მაშორებდნენ და მე მათ ვხედავდი.

და მაშინ უეცრად მე მივხვდი, რომ, ამჯერად რაც მოხდა, სიზმარი არა ყოფილა.

## სარკეში

(ფსიქიატრის არქივიდან)

სარკეები ადრეული ყრმობის ასაკიდან შევიყვარე. პატარა რომ ვიყავი, ვტიროდი და ვცახცახებდი, როცა მათ გამჭვირვალე, მართალ სიღრმეში ვიხედებოდი. ჩემი საყვარელი თამაში ბავშვობაში ასეთი იყო – დავდიოდი ოთახებში ანდა ბაღში, წინ სარკე მეჭირა, ვიყურებოდი მის უფსკრულში, ყოველ

ნაბიჯს უფსკრულის კიდეს ვადგამდი და საშინელებისა და თავბრუსხვევისაგან სული მეხუთებოდა. ჯერ გოგონა ვიყავი, რომ უკვე ჩემს ოთახს სარკეებით ვრთავდი, დიდებითა და პატარებით, სანდოებითა და ცოტა მატყუარებით, მკაფიოებითა და ოდნავ ბუნდოვნებით. დავეჩვიე მთელი საათების, მთელი დღეების გატარებას ურთიერთგადაძვეთ სამყაროებში, რომლებიც ერთიმეორეში იჭრებოდნენ, ირხეოდნენ, ქრებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ. ჩემს ერთადერთ ვნებად ის იქცა, რომ საკუთარ სხეულს მივანდობდი ამ უხმო შორეთს, ამ პერსპექტივებს, საიდანაც არა ექო არ ხმიანობდა, ამ განცალკევებულ ქვეყნიერებებს, რომლებიც ჩვენსას გადასჭრიდნენ და მასთან ერთად არსებობდნენ ერთსა და იმავე დროსა და ერთსა და იმავე ადგილას ცნობიერებისდა წინააღმდეგ. ეს ამობრუნებული სინამდვილე, ჩვენგან მინის გლუვი ზედაპირით გაყოფილი და რატომღაც შეხებისათვის მიუწვდომელი, თავისკენ მიხმობდა, მიზიდავდა, როგორც მორევი, როგორც საიდუმლო.

თავისკენ მიხმობდა ლანდიც, რომელიც ყოველთვის ნამოიჭრებოდა ჩემ წინაშე სარკესთან მიახლოებისას და უცნაურად აორმაგებდა ჩემს არსებას. ვცდილობდი ამომეცნო, თუ რით განსხვავდებოდა ჩემგან ის, მეორე ქალი, როგორ ხდებოდა, რომ ჩემი მარჯვენა ხელი მისი მარცხენა იყო და რომ ამ ხელის ყველა თითი ადგილს იცვლიდა, თუმცა სწორედ ერთ მათგანს ჩემი საქორწინო ბეჭედი ეკეთა. აზრები მებინდებოდა, როდესაც ვცდილობდი, ჩავწვდომოდი და ამომეხსნა ეს გამოცანა. ამ სამყაროში, სადაც ყველაფერს შეიძლება, ხელი შეახო, სადაც ხმები ჟღერს, ვცხოვრობდი მე, ნამდვილი; ხოლო იმ, არეკლილ სამყაროში, რომელსაც მხოლოდ შეგიძლია, უჭვრიტო, იყო ის, მოჩვენებითი. იგი თითქმის ჩემნაირი იყო, მაგრამ მე სულაც არ ვიყავი; ჩემს

ყველა მოძრაობას იმეორებდა, მაგრამ ამ მოძრაობათაგან ერთიც არ ემთხვეოდა იმას, რასაც მე ვაკეთებდი. იმან, მეორემ, რაღაც ისეთი იცოდა, რასაც მე ვერ ამოვხსნიდი, ჩემი გონებისათვის სამუდამოდ დაფარული საიდუმლო დაეუნჯებინა.

ისიც შევამჩნიე, რომ თითოეულ სარკეს თავისი ცალკე, განსაკუთრებული სამყარო აქვს. დადგით ერთ ადგილას მიყოლებით ორი სარკე – და ორი განსხვავებული ქვეყნიერება დაიბადება თქვენ წინაშე. სხვადასხვა სარკიდან სხვადასხვა ლანდი მიდგებოდა თვალწინ, ყველა მე მგავდა, მაგრამ ერთნაირები არასოდეს იყვნენ. პატარა ხელის სარკეში ნათელთვალეობა, გულუბრყვილო გოგონა ცხოვრობდა, რომელიც ჩემ ადრეულ ახალგაზრდობას მაგონებდა. ბუდუარის მრგვალ სარკეში მიყურებელიყო ქალი, რომელსაც ალერსის ნაირ-ნაირი სიტკბო ეგემა, ურცხვი, თავისუფალი, ლამაზი, თამამი. კარადის ოთხკუთხა სარკიანი კარიდან კი წამოიმართებოდა მკაცრი, მბრძანებლური, ცივი ფიგურა დაუნდობელი მზერით. მე კიდევ მყავდა სხვა ორეულები – ტრიუმფში, მოოქრულ დასაკეც ტრიპტიქში, მუხის ჩარჩოიან კედლის სარკეში, პატარა, ყელზე სატარებელ სარკეში და სხვა მრავალგან; ჩემთან ხომ ბევრი სარკე ინახებოდა. მათში მიმალულ ყველა არსებას ვაძლევდი ხოლმე საბაბსა და საშუალებას, თავი გამოევიწყინათ. მათი სამყაროს უცნაური პირობების მიხედვით, ვალდებულნი იყვნენ, იმის სახე მიეღოთ, ვინც მინის წინ დაუდგებოდათ, მაგრამ ამ ნასესხებ გარეგნობაშიც ინარჩუნებდნენ თავიანთ პიროვნულ თვისებებს.

სარკეების სამყაროთა შორის ზოგი მიყვარდა, ზოგიც მეჯავრებოდა. ზოგიერთში საათობით მიყვარდა შესვლა და მის დამატყვევებელ სივრცეებში ჩაკარგვა. სხვებს გაუფრბოდი. ორეულებიდან გულის სიღრმეში არც ერთი

მეყვარებია. ვიცოდი, რომ ყველა მემტერებოდა თუნდაც იმის გამო, რომ იძულებულნი იყვნენ, ჩემი, მათთვის საძულველი, ხატებით შემოსილიყვნენ. მაგრამ ზოგი სარკისმიერი ქალი მებრალებოდა, სიძულვილსაც ვპატიობდი და თითქმის მეგობრულად ვეკიდებოდი. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც აბუჩად ვიგდებდი, რომელთა უძლური მრისხანების დაცინვაც მსიამოვნებდა, რომელთაც ჩემი დამოუკიდებლობით ვალიზიანებდი და თავსმოხვეული ძალაუფლებით ვანამებდი. სამაგიეროდ, ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც მეშინოდა, რომლებიც მეტისმეტად ძლიერი იყვნენ და ბედავდნენ, თავად დაეცინათ და ებრძანებინათ ჩემთვის. ვეშურებოდი, გავთავისუფლებულიყავი იმ სარკეებისაგან, სადაც ეს ქალები ცხოვრობდნენ, არ ვიყურებოდი მათში, ვმალავდი, სხვებს ვაძლევდი, ვამსხვრევდი კიდევ. მაგრამ თითოეული დამსხვრეული სარკის გამო თავს ვერ ვიკავებდი და საათობით ვქვითინებდი, ვაცნობიერებდი, რომ ამით ცალკეულ ქვეყნიერებას ვანადგურებდი. და დაღუპული სამყაროს მაცყვედრებელი სახეები დამუნათებით შემომცქეროდნენ ნამსხვრევებიდან.

სარკე, რომელიც ჩემთვის საბედისწერო შეიქმნა, შემოდგომით ვიყიდე რომელიღაც აუქციონზე. ეს იყო დიდი, ხრახნებზე მოქანავე ტრიუმო. მან გამოსახულების არაჩვეულებრივი მკაფიოობით გამაოცა. მისი მოჩვენებითი სინამდვილე მინის ოდნავი დახრისგანაც იცვლებოდა, მაგრამ უკიდურესობამდე თვითმყოფადი და ცოცხალი იყო. როდესაც აუქციონზე ამ ტრიუმოს ვათვალიერებდი, ქალი, რომელიც მასში მე ამსახავდა, რალაცნაირი ქედმაღლური გამონვევით მიყურებდა თვალებში. არ მინდოდა, მისთვის დამეთმო, მეჩვენებინა, რომ შემამინა – ვიყიდე ტრიუმო და ვუბრძანე, ჩემს ბუდუარში დაეღვათ. ოთახში მარტო რომ დავრჩი, მა-

შინვე ახალ სარკეს მივადექი და ჩემს მეტოქეს თვალი თვალში გაუყარე. მანაც იგივე გააკეთა და, პირისპირ მდგარნი, ერთმანეთს მზერით ვხვრეტდით, როგორც ორი გველი. მის გუგებში მე ავისახებოდი, ჩემსაში კი ის. ამ დაჟინებული მზერისაგან გული გამიჩერდა და თავბრუ დამეხვა. მაგრამ ნებისყოფა დავძაბე და, როგორც იქნა, უცხო თვალეებს თვალი მოვწყვიტე, სარკეს ისე ვკარი ფეხი, რომ აქანავდა და საცოდავად შეარხია ჩემი მეტოქის ლანდი. ოთახიდან გამოვედი.

სწორედ ამ საათიდან დაიწყო ჩვენი ომი. იმ საღამოს, როცა პირველად შევხვდით, მეტი ვეღარ გავბედე, ახალ ტრიუმოს მივახლოებოდი, ქმართან ერთად თეატრში წავედი, გადაჭარბებულად ვიციზნოდი და თავს ვიმხიარულებდი. მეორე დღეს, სექტემბრის ნათელ შუქზე, თამამად შევედი ბუდუარში მარტო და საგანგებოდ დავჯექი სარკის წინ. იმავე წამს მანაც, მეორემაც, შემოალო კარი, ჩემკენ გამოემართა, ოთახი გადაკვეთა და ჩემ წინ ჩამოჯდა. ჩვენი თვალეები ერთმანეთს შეხვდა. მის თვალეებში ჩემი ზიზლი ამოვიკითხე, მან კი ჩემს თვალეებში თავისი ზიზლი დაინახა. დაიწყო ჩვენი მეორე შერკინება, თვალთა შერკინება, მოუშორებელ, მბრძანებელ, მუქარიან, მომნუსხავ მზერათა შერკინება. თითოეული ჩვენგანი ცდილობდა, ხელთ ეგდო მეტოქის ნება, მისი წინააღმდეგობა მოედრიკა და იძულებით დაემორჩილებინა თავისი სურვილებსათვის. საშინელი სანახავი იქნებოდა გარედან ეს ორი ქალი, ერთმანეთის პირისპირ გაუნძრევლად მსხდომი და მზერის მაგიური გავლენით შებორკილი, ლამის გული რომ წასვლოდათ ფსიქიკური დაძაბულობისაგან... უცებ დამიძახეს. ჯადო გაქრა. ავდექი და ოთახიდან გავედი.

ამის შემდეგ დღე არ გასულა, შერკინება არ განახლებულიყო. მივხვდი, რომ ეს ავანტიურისტი ქალი განგებ

შემოიჭრა ჩემს სახლში, რათა მე დაველუპე და ჩვენს სამყაროში ჩემი ადგილი დაეკავებინა. მაგრამ ძალა არა მყოფნიდა, ბრძოლაზე უარი მეთქვა. ამ მეტოქეობას თან ახლდა ერთგვარი ფარული აღმაფრენა. თავად დამარცხების შესაძლებლობაში იმალებოდა ერთგვარი ტკბილი ცდუნება. ზოგჯერ თავს ვაიძულებდი, ტრიუმოს მთელი დღეების განმავლობაში არ გავკარებოდი, ვსაქმიანობდი, ვერთობოდი, მაგრამ გულის სიღრმიდან არასოდეს მმორდებოდა მეტოქის ხსოვნა, მეტოქისა, რომელიც მოთმინებითა და თავდაჯერებით ელოდა ჩემს დაბრუნებას. მე ვბრუნდებოდი და ისიც წამოიმართებოდა ჩემ თვალწინ, უწინდებურზე უფრო მოზეიმე, გამარჯვებული მზერით გამმსჭვალავდა და ერთ ადგილს მიმაჯაჭვებდა სარკის წინ. გული მიჩერდებოდა, უძლური მრისხანება მეუფლებოდა, ვგრძობდი, რომ ეს მზერა მიმორჩილებდა...

ასე გადიოდა დღეები, კვირები; ჩვენი ბრძოლა გრძელდებოდა; სასწორი კი სულ უფრო მკვეთრად იხრებოდა ჩემი მეტოქის მხარეს. და ერთხელ უეცრად მივხვდი, რომ ჩემი ნება მისას დაექვემდებარა, რომ ის უკვე ჩემზე ძლიერია. თავზარი დამეცა. პირველად რაც თავში მომივიდა, ის იყო, სახლიდან გავიქცევი, სხვა ქალაქს გავემგზავრები-მეთქი, მაგრამ მაშინვე დავინახე ამ აზრის უსარგებლობა: მტრის ნების მიმზიდველ ძალას თავს ვერ დავაღწევდი და მაინც დავბრუნდებოდი აქ, ამ ოთახში, ჩემს სარკესთან. მეორედ ის ვიფიქრე, სარკეს დავამტვრევ, ჩემს მეტოქეს გავაცამტვერებ-მეთქი; მაგრამ მტრის უხეში ძალადობით დამარცხება მისი უპირატესობის აღიარებას უდრიდა: ეს კი დამამცირებელი იქნებოდა. ვარჩიე, დავრჩენილიყავი და, მარცხის საშიშროების მიუხედავად, წამოწყებული ომი ბოლომდე მიმეყვანა.

ცოტა ხანში ეჭვიც აღარ დამრჩა, რომ მეტოქემ დამჯაბნა. ყოველ შეს-

ვედრაზე მეტი და მეტი ძალაუფლება იკრიბებოდა მის მზერაში. თანდათან ის შესაძლებლობაც წამერთვა, რომ დღე ისე გამეტარებინა, სარკესთან ერთხელაც არ მივსულიყავი. ის მიბრძანებდა, რომ ყოველდღიურად რამდენიმე საათი ვმდგარიყავი მის წინ. ის ჩემს ნებას ისე მართავდა, როგორც მაგნეტიზირი მართავს სომნამბულის ნებას. ის განაგებდა ჩემს ცხოვრებას, როგორც ქალბატონი მონა ქალისას. მე კი მის მოთხოვნებს ვასრულებდი, მისი მდუმარე ბრძანებების ავტომატად გადავიქეცი. ვიცოდი, რომ გააზრებულად, ფრთხილად, მაგრამ გარდაუვლად მივყავდი აღსასრულისკენ და აღარც ვენიანალმდეგებოდი. ჩემთვის ნათელი გახდა მისი საიდუმლო გეგმა: უნდოდა, სარკის სამყაროში მე შევეთრიე, თვითონ კი გარეთ, ჩვენს სამყაროში გადმოსულიყო, მაგრამ ძალა არა მყოფნიდა, მისთვის ხელი შემეშალა. ჩემს ქმარსა და ახლობლებს, რომლებიც ხედავდნენ, როგორ ვატარებდი მთელ საათებს, მთელ დღეებსა და ღამეებს სარკის წინ, ეგონათ, რომ შევიშალე და მკურნალობა დამიპირეს. მე კი ვერ ვბედავდი, სიმართლე გამეჩხილა მათთვის, აკრძალული მქონდა, მეამბო ის საზარელი სიმართლე, ის საშინელება, რისკენაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივემართებოდი.

აღსასრულის დღე დეკემბერში დადგა, დღესასწაულებამდე. ყველაფერი ცხადად, ყველაფერი დაწვრილებით, ყველაფერი მკაფიოდ მახსოვს, მესხიერებას არაფერი არევე-დარევიან. როგორც მჩვეოდა, ადრე, ზამთრის ბინდის დადგომისთანავე შევედი ჩემს ბუდუარში. სარკის წინ რბილი, უზურგო სავარძელი დავდგი, ჩავჯექი და მის განკარგულებაში გადავედი. იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდა ჩემს დაძახილზე, თავადაც სავარძელი დადგა, დაჯდა და შემომაცქერდა. ბნელმა წინათგრძნობამ სული ამინრიალა, მაგრამ არ ძალმიძდა, თავი დამეხარა, ვალდებული ვიყავი, მეტოქის უტიფარი მზე-

რა ჩემში შემომეშვა. საათები გადიოდა, ჩრდილები დაგრძელდნენ. არც ერთ ჩვენგანს შუქი არ აუნთია. მინა სუსტად ბრწყინავდა სიბნელეში. გამოსახულებებს ძლივსლა გაარჩევდი, მაგრამ თავდაჯერებული თვალები ძველებური ძალით იცქირებოდნენ. აღარც გაბოროტებას ვგრძნობდი და აღარც შიშს, როგორც სხვა დღეებში, მხოლოდ გაუქარვებელმა სევდამ მომიცვა და კიდევ მწარე შეგნებამ, რომ მე სხვის ძალაუფლებას დავემონე. დრო მიცურავდა და მასთან ერთად მეც მივცურავდი უსასრულობაში, უძღურებისა და უნებისყოფობის შავ სივრცეებში.

უეცრად ის, მეორე, არეკლილი, სავარძლიდან წამოდგა. შეურაცხყოფისაგან მთლად ამაკანკალა. მაგრამ რალაც დაუძღვეველმა, გარედან თავს მოხვეულმა ძალამ მაიძულა, მეც ავმდგარიყავი. სარკის ქალმა ნაბიჯი წინ წამოდგა. მეც იგივე გავაკეთე. სარკის ქალმა ხელები გამოიწვინა. მეც იგივე გავაკეთე. მომნუსხავი და მბრძანებელი თვალებით მაშტერდებოდა და წინ მოიწვდა, მეც მის შესახვედრად მივეშურებოდი. და აი, რა იყო საოცარი: ჩემი მდგომარეობის მთელი საშინელების მიუხედავად, მეტოქისადმი მთელი ჩემი სიძულვილის მიუხედავად, სადღაც სულის სიღრმეში მითრთოდა შემადრწუნებელი ნუგეში, მიჩუმათებული სიხარული, რომ, როგორც იქნა, შევალწევდი იმ საიდუმლოებით მოცულ სამყაროში, რომელსაც ბავშვობიდან შევეყურებდი და რომელიც აქამდე მიუღწეველი რჩებოდა ჩემთვის. იყო წამები, როდესაც უკვე აღარ ვიცოდი, ვინ ვის იზიდავდა: ის მე, თუ მე მას, მას სწყუროდა ჩემი ადგილი, თუ მე ჩავიფიქრე მთელი ეს ომი, რათა იგი ჩამენაცვლებინა.

მაგრამ, როდესაც წინ მიმავალმა მინის ზედაპირთან ჩემი ხელები მის ხელებს შევახე, ზიზღისაგან მთლად გავშემდი. მან კი მბრძანებლურად ჩამავლო ხელი და უკვე ძალით გამითრია თავისკენ. ჩემი

ხელები სარკეში ისე ჩაეფლო, გეგონებოდა, ცეცხლოვან-ყინულოვან წყალში ჩამეყოს. მინის სიცივემ აუტანელი ტკივილით შემოაღწია ჩემს სხეულში, თითქოს ჩემი არსების ყველა ატომი სხვაგვარად შეუკავშირდა ერთმანეთს. კიდევ ერთი წამი და, ჩემს მეტოქეს სახით შევხეხე, ზედ თვალწინ მის თვალებს ვხედავდი, საზარელი კოცნით ვერწყმოდით. ყველაფერი დანთქა მოწამებრივმა ტანჯვამ, რასაც ვერაფერს შევადრი – და ამ გულყრიდან გამორკვეულმა ჩემ წინ დავინახე ბუდუარი, რომელსაც უკვე სარკიდან შევყურებდი. ჩემი მეტოქე წინ მედგა და ხარხარებდა. მე კი – ო, სისასტიკე! – წამებისა და დამცირებისაგან მკვდრად ქცეულს, მეც უნდა მეცინა, მოზეიმე და ბედნიერი ხითხითით უნდა მემეორებინა მისი მანჭვა-გრება. ჩემი მდგომარეობის გააზრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ უეცრად მეტოქემ ზურგი მაქცია, კარისაკენ წავიდა, თვალთაგან მომშორდა და გაშეშებული ჩამტოვა არყოფნაში.

აქედან დაიწყო ჩემი, როგორც ანარეკლის, ცხოვრება. უცნაური, ნახევრად შეუგნებელი, თუმცა იდუმალად საამო ცხოვრება. ამ სარკეში ჩვენ ბევრნი ვიყავით, ბნელი სულები, მთვლემარე ცნობიერებანი. ჩვენ არ ძალგვიძდა, ერთიმეორეს გამოვლაპარაკებოდით, მაგრამ სიხლოვეს ვგრძნობდით და ერთმანეთი გვიყვარდა. ჩვენ ვერაფერს ვხედავდით, ბუნდოვნად ჩაგვესმოდა, და ჩვენი ყოფა ჰგავდა გასავათებას, რასაც სუნთქვის შეუძლებლობა იწვევს. როდესაც სარკესთან ადამიანთა სამყაროს რომელიმე არსება მოვიდოდა, მის გარეგნობას მსწრაფლ მოვირგებდით და მხოლოდ მაშინ შეგვეძლო, ქვეყანა დაგვენახა, ხმები გაგვეჩია, გაშლილი მკერდით ამოგვესუნთქა. მე ვფიქრობ, ასეთი უნდა იყოს მიცვალებულთა ცხოვრება – საკუთარი „მე“ გაურკვეველი შეცნობა, წარსულის ბუნდოვანი მოგონება და მტანჯველი წყურვილი, რომ თუნდ ერთი წამით

კვლავ ხორცი შეისხას, დაინახოს, გაიგონოს, თქვას... და ყოველი ჩვენგანი მალავდა და ესათუებოდა ნანინატროცნებას – თავი დაეხსნა, ახალი სხეული ეპოვნა, წონასწორობისა და შეურყევლობის სამყაროში შეებიჯებინა.

პირველ დღეებში თავს ძალზე უბედურად ვგრძნობდი ჩემს ახალ მდგომარეობაში. ჯერ არაფერი ვიცოდი, არაფერი მეხერხებოდა. მორჩილად და გაუაზრებლად მივიღებდი ხოლმე ჩემი მეტოქის ხატებას, როდესაც ის სარკეს მოუახლოვდებოდა და ჩემს დაცინვას შეუდგებოდა. არადა, ასე ძალზე ხშირად იქცეოდა. უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, ჩემ წინაშე ეკეკლუცა თავისი ცხოველმყოფელობით, თავისი რეალურობით. დაჯდებოდა და მეც დამსვამდა, დგებოდა და ილხენდა, როცა დაინახავდა, რომ მეც ავდექი, ხელებს იქნევდა, ცეკვავდა, მაიძულებდა, გამეორმაგებინა მისი მოძრაობები და ხარხარებდა, ხარხარებდა, რათა მეც მენახარა. პირში მახლიდა სალანძღავ სიტყვებს, მე კი არ ძალმიძდა, პასუხი გამეცა. მუშტს მიღერებდა და აბუჩად იგდებდა ჩემს სავალდებულო განმეორებით ყესტს. ზურგს მომაქცევდა და მე ვკარგავდი მხედველობას, ვკარგავდი ნაკვთებს, ვასიგრძეგანებდი ჩემთვის მოგებულ სანახევრო არსებობის მთელ სირცხვილს... მერე, უეცრად, ერთი დარტყმით სარკეს ღერძზე შემოატრიალებდა და სრულ არყოფნაში გამტყორცნიდა.

თუმცა ნელ-ნელა შეურაცხყოფამ და დამცირებამ ცნობიერება გამომიფხიზლა. მესმოდა, რომ ახლა ჩემი მეტოქე ცხოვრობდა ჩემი ცხოვრებით, ჩემს სამოსს ატარებდა, ჩემი ქმრის ცოლად ითვლებოდა, საზოგადოებაში ჩემს ადგილს იკავებდა. და, როცა ეს გავიაზრე, სიძულვილის გრძნობა და შურისძიების წყურვილი ორი ცეცხლოვანი ყვავილის დარად აღმოცენდა ჩემს სულში. თავს მწარედ ვკრულავდი იმის გამო,

რომ სისუსტისა თუ დანაშაულებრივი ცნობისმოყვარეობის გამო ნება მიეცე, დავემარცხებინე. მნამდა, რომ ეს ავანტიურისტი ვერასოდეს შეძლებდა გამარჯვებას, თვითონ რომ არ შემეწყო ხელი მისი ხრიკებისათვის. და აი, როგორც კი მეტ-ნაკლებად ავითვისე ახალი ყოფის პირობები, გადავწყვიტე, ისევე შევბრძოლებოდი მას, როგორც ის შემებრძოლა. თუკი მან, ჩრდილმა, შეძლო და ნამდვილი ქალის ადგილი დაიკავა, ნუთუ მე, ადამიანი, მხოლოდ დროებით ჩრდილად ქცეული, ვერ უნდა აღმოვჩნდე ლანდზე ძლიერი?

ძალიან შორიდან შემოვუარე. ჯერ თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ჩემი მეტოქის დაცინვა სულ უფრო და უფრო დაუძლეველ ნამებას მგვრიდა. განგებ ვანიჭებდი გამარჯვების მთელ სიტკობებს. მასში ჯალათის იდუმალ ინსტინქტებს ვაქეზებდი და სულთმობრძავ მსხვერპლს ვთამაშობდი. იგი წამოეგო ამ სატყუარას. იგი ჩაება ჩემთან ასეთ თამაშში. უთავბოლოდ ფლანგავდა თავის გამოსახულებას და ახალ საწამებლებს იგონებდა. ათას ემ-მაკობას მიმართავდა, რათა კიდევ და კიდევ დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ მე მხოლოდ ანარეკლი ვიყავი, რომ საკუთარი ცხოვრება არ გამაჩნდა. ხან როიალზე დაუკრავდა და ჩემი სამყაროს მღუმარებით მანვალედა. ხან სარკის წინ ჩემს საყვარელ ლიქიორებს წრუპავდა და მაიძულებდა, მხოლოდლა თავი მომეჩვენებინა, რომ მეც ვსვამ. ხანაც ჩემთვის საძულველი ადამიანები შემოჰყავდა ბუდუარში, ჩემ თვალწინ თავის სხეულს აკოცნიებდა და აფიქრებინებდა, რომ მე მკოცნიდნენ. მერე კი, მარტო როცა ვრჩებოდით, ნიშნის მოგებითა და ზეიმით ხარხარებდა. მაგრამ ამ ხარხარს უკვე აღარ შეეძლო ჩემი მოწყვლა – მახვილის წვერს ნუგბარი ეცხო: ჩემი შურისძიების მოლოდინი!

მეტოქე შეუმჩნევლად დავაჩვიე, რომ შეურაცხყოფის საათებში ჩემთვის თვა-

ლებში ეყურებინა, ნელ-ნელა მის მზერას ვეუფლებოდი. მალე უკვე შემეძლო, რომ ჩემი ნების მიხედვით მისთვის ქუთუთოები ამენევიებინა და დამენევიებინა, სახის ესა თუ ის მოძრაობა გამეკეთებინა. ახლა უკვე მე ვზეიმობდი, თუმცა ჩემს გრძნობას ტანჯვის საბურველქვეშ ვმაღავდი. სულიერი ძალა თანდათან იზრდებოდა ჩემში და მე ვბედავდი, ჩემი მტრისათვის მებრძანებინა: დღეს შენ ამასა და ამას გააკეთებ, დღეს შენ აქა და აქ წახვალ, ხვალ ამა და ამ დროს ჩემთან მოხვალ. ის კი ასრულებდა! მის სულს ჩემს ნდომათა ბადეებში ვხლართავდი, მტკიცე ძაფს ვწნავდი, რომლითაც მის ნებისყოფას ვბოჭავდი, წარმატებას წარმატებაზე ვაღწევდი და ჩუმად ვხარობდი. როცა ერთხელ, ხარხარისას, უეცრად ჩემს ბაგეებზე მოზეიმე ჩაცინება შენიშნა, რომლის დაფარვაც ვერ მოვახერხე, უკვე გვიანი იყო. მაშინ იგი გაცოფებული გავარდა ოთახიდან, მე არყოფნის ძილში ჩავიძირე, მაგრამ ვიცოდი, რომ ის დაბრუნდებოდა, ვიცოდი, რომ დამემორჩილებოდა! ჩემი უნებისყოფო უსუსურობის თავზე გამარჯვების აღტაცება დარიალებდა, რომელიც ცისარტყელასფერებიანი მარაოს მსგავსად იჭრებოდა მოჩვენებითი სიკვდილის წყვდიადში.

ის დაბრუნდა! ის ჩემთან მოვიდა მრისხანე და დამფრთხალი, მიყვიროდა, მემუქრებოდა. მე კი ვმბრძანებლობდი. მასაც სხვა გზა არა ჰქონდა, უნდა დამყოლოდა. დაიწყო კატათავობანას თამაში. ნებისმიერ დროს შემეძლო, ის კვლავ სარკის სიღრმეში შემერთყოცნა, ხოლო მე ისევ მყლერ და მყარ სინამდვილეში შემებიჯებინა. იცოდა, რომ ეს ჩემს ნებაზე ეკიდა და ამის შეგნება ორმაგად აწამებდა. მაგრამ მე არ ვჩქარობდი. ზოგჯერ არყოფნაში ნებივრობა სიამოვნებას მგვრიდა. სიამოვნებას მგვრიდა შესაძლებლობით ტკობაც. და ბოლოს (უცნაურია, არა?) ჩემში უეცრად გაიღვიძა სიბრალულმა ჩემი მეტოქის, მტრის, ჯალათის მი-

მართ. მასში ხომ ჩემი ნაწილიც იყო და ამიტომ შიშით მავსებდა ფიქრი იმაზე, რომ იგი ცხოვრების სიცხადიდან უნდა ამომეგლიჯა და აჩრდილად გადამექცია. ვყოყმანობდი და ვერა ვბედავდი, ყოველდღიურად სამერმისოდ ვწევდი ვადას, თავადაც არ ვუნყოფდი, რა მინდოდა და რა მზარავდა.

და აი, გაზაფხულის ერთ ნათელ დღეს ბუდუარში ვილაც კაცები შემოვიდნენ, რომელთაც ფიცრები და ნაჯახები ეჭირათ ხელში. ჩემში სიცოცხლე არა ფეთქავდა, ნეტარ უძრაობაში ჩაფლული ვინეჯი და ვერას ვხედავდი, მაგრამ მივხვდი, რომ ისინი ოთახში იყვნენ. კაცები აფუსფუსდნენ სარკესთან – ჩემს ქვეყნიერებასთან. მასში ჩემთან ერთად მობინადრე სულები ერთიმეორის მიყოლებით ცოცხლდებოდნენ და მოჩვენებით ხორცს ისხამდნენ ანარეკლების ფორმით. საშინელმა მოუსვენრობამ შეარყია ჩემი მთვლემარე სული. შიშის ზარის წინათგრძნობამ, გარდაუვალი დალუპვის წინათგრძნობამ ნებისყოფის მთელი ძალა მომაკრებინა. რა ძალისხმევა დამჭირდა, რომ სანახევრო არსებობის მოთენთილობას შევჭიდებოდი! ასე ებრძვიან ხანდახან ცოცხალი ადამიანები კომმარს, როცა მისი მახრჩობელა ხუნდებიდან გამოსხნასა და სინამდვილეში დაბრუნებას ლამობენ.

შთაგონების ძალებს თავი მოვუყარე ძახილში, რომლითაც მას, ჩემს მეტოქეს მოვუხმე: „მოდი ჩემთან!“ ჩემი ნახევრად მთვლემარე ნებისყოფის სრული დაძაბვით ვცდილობდი ჰიპნოზირებას, მაგნეტიზირებას. დრო ცოტა მქონდა. სარკეს უკვე აქანავებდნენ. უკვე აპირებდნენ, აეფიცრათ, კუბოდ ექციათ და წაელოთ: ვინ უწყის, სად. და აი, თითქოს სასიკვდილოდ ვეკვეთე, ისევ და ისევ დავუძახე: „მოდი!..“ უეცრად ვიგრძენი, რომ სულს ვიდგამდი. მან, ჩემმა მტერმა, კარი შემოაღო და გაფითრებული, ცოცხალმკვდარი გამოემშურა ჩემკენ ჩემს დაძახილზე. ფეხებით ისე აფრინდებოდა იატაკს, გეგონებოდათ, სიკვდილმისჯილია

და უკანასკნელ ნაბიჯებს დგამსო. მისი თვალები ჩემს თვალებში მოვიმწყვდიე, მზერა მის მზერას გადავანანი და ამის მერე უკვე ვიცოდი, რომ გამარჯვება მე დამრჩა.

მაშინვე ვაიძულე, ოთახიდან ის კაცები დაეთხოვა. მან ისე შეასრულა ჩემი ბრძანება, არც უცდია, წინაღმდეგობა. ჩვენ ისევ ორნი ვიყავით. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. არაფრით შემედლო, მისთვის ვერაგობა მეპატიებინა. თავის დროზე, როცა მის ადგილზე ვიყავი, მე სხვაგვარად ვიქცეოდი. ახლა კი შეუბრალებლად ვუბრძანე, ჩემ შესახვედრად წამოსულიყო. ტუჩები ტანჯვის კვნესამ გაუპო, თვალები ისე გაუფართოვდა, თითქოს მოჩვენება შემოეფეთათო, მაგრამ მოდიოდა. ბორძიკობდა, ეცემოდა, მაგრამ მოდიოდა. მეც წავედი მისკენ, ნიშნის მოგებისაგან ტუჩები მეღრიცებოდა, სიხარულისაგან თვალებს ვაჭყეტდი, მათრობელა აღტაცებისაგან ფეხები მერეოდა. კვლავ შეეხნენ ერთიმეორეს ჩვენი ხელები, კვლავ დაახლოვდნენ ჩვენი ტუჩები, და ჩვენ ერთმანეთში გადავეშვით გარდასახვის გამოუთქმელი ტკივილით აღმოდებულები. ერთი წამიც და, მე უკვე სარკის წინ ვიდექი, მკერდი ჰაერით ამევსო, გამარჯვებულმა ხმამალა ვიყვირე და იქვე დავვარდი, ქანცგამოლეული, ტრიუმოს წინ.

ოთახში ქმარი და შინაურები შემოცვივდნენ. ძლივს შევძელი, ამომეთქვა, რომ ჩემი ამასწინდელი განკარგულება შეესრულებინათ, რომ სახლიდან შორს და სამუდამოდ გაეტანათ ეს სარკე. ჭკვიანურად მოვიფიქრე, ხომ მართალია? ხომ შეეძლო მას, მეორეს, ესარგებლა ჩემი სისუსტით, რაც ცხოვრებაში დაბრუნების პირველ წუთებში დამეუფლა და თავგანწირული შემოტევით ეცადა, გამარჯვება ხელიდან გამოეგლიჯა. სარკის სახლიდან მოშორებით მე დიდი ხნით, განუსაზღვრელი ხნით უზრუნველყოფდი საკუთარ სიმშვი-

დეს, ხოლო მეტოქე ნამდვილად იმსახურებდა ასეთ სასჯელს თავისი ვერაგობისათვის. მე ის გავგმირე თავისივე იარაღით, მახვილით, რომელიც თვითონვე აღმართა ჩემს თავზე.

განკარგულება რომ გავეცი, გული წამივიდა. ლოგინში დამანვინეს. ექიმს დაუძახეს. განცდილმა და გადატანილმა ნერვიული ციებ-ცხელება შემყარა. ახლობლებს უკვე დიდი ხანია ავადმყოფი, არანორმალური ვეგონე. სიხარულის პირველმა აღტყინებამ სიფრთხილე დამაკარგვინა და მათ ყველაფერი ვუამბე, რაც გადამხდა. ჩემმა ნაამბობმა მხოლოდ დაადასტურა მათი ეჭვები. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წამიყვანეს და ახლაც იქ ვიმყოფები. მთელი ჩემი არსება, თანახმა ვარ, ჯერ კიდევ ღრმადაა შერყეული. მაგრამ აღარ მინდა, აქ დავრჩე. ერთი სული მაქვს, ცხოვრების სიხარულს დავუბრუნდე, დავუბრუნდე ყველა იმ ურიცხვ სიამეს, რაზეც ხელი მიუწვდება ცოცხალ ადამიანს. ძალიან დიდი ხანი მაკლდა ისინი.

გარდა ამისა – არც ვიცი, ვთქვა თუ არა? – ერთი საქმე დამრჩა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა შევასრულო. მე არ უნდა ვეჭვობდე, რომ მე ვარ. და მაინც, როცა ვინცეფ ფიქრს მასზე, ჩემს სარკეში გამომწყვდეულზე, მაშინ-

ვე უცნაური ჭოჭმანი მიპყრობს: რა იქნება, თუ ნამდვილი მე იქაა? მაშინ გამოდის, რომ მე თვითონ, მე, რომელიც ამას ვფიქრობ, მე, რომელიც ამას ვწერ, მე – ჩრდილი ვარ, მე – მოჩვენება ვარ, მე – ანარეკლი ვარ. ჩემში უბრალოდ გადმოსახლდნენ იმ სხვა, ნამდვილი მეს მოგონებები, აზრები და გრძნობები. სინამდვილეში კი მე სარკის სიღრმეში, არყოფნაში ვარ გადაგდებული, ვენამები, სული მხდება, კვდები. მე ვიცი, თითქმის ვიცი, რომ ეს სიმართლე არაა. მაგრამ, ეჭვის ბოლო ღრუბლებიც რომ გაიფანტოს, საჭიროა, ხელახლა, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ვნახო ის სარკე. კიდევ ერთხელ უნდა ჩავიხედო მასში და დავრწმუნდე, რომ იქ იმყოფება ჩემი მტერი, თვითმარქვია, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემს როლს თამაშობდა. ამას დავინახავ და სულიდან მთელი შფოთი მომცილდება, მე კვლავ უდარდელი, უღრუბლო და ბედნიერი ვიქნები. სად არის ეს სარკე, სად შეიძლება, ვიპოვო? მე უნდა, მე კიდევ ერთხელ უნდა ჩავიხედო მის სიღრმეში!..

*რუსულიდან თარგმნა  
ნინო ციმაკურიძემ*



ტიან ჰე

ტიან ჰე 1960 წელს დაიბადა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში. პირველი ლექსები გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოაქვეყნა და მაშინვე მიიპყრო ლიტერატორთა ყურადღება. დღესდღეობით ის მრავალი პრესტიჟული პრემიის ლაურეატი და დაფასებული ავტორია. მისი შემოქმედება თარგმნილია ევროპულ და აზიურ ენებზე. ტიან ჰე პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა – უძღვება ლიტერატურული წრის კურსებს. ტიან ჰეს პოეზია ერთგვარი ანტიურბანისტული თემატიკით გამოირჩევა. ეს არ არის მონოლოგიური ლირიკა, პროგრამულად თხრობითი ლექსები მკითხველს, ძირითადად, რიგით, არაფრით გამორჩეულ ადამიანებს და მათ ბედს აცნობს, ნიუ-ანსირების უძველესი ჩინური ტექნიკით კი მიიღწევა განზოგადება, რომლის ხიბლი ჯარჯი ფხოველის მიერ თარგმნილი კლასიკური ჩინური პოეზიის მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი. აქ წარმოდგენილი რამდენიმე ლექსი პირდაპირი დიალოგია ძველ ჩინელ პოეტებთან, მათ ფერწერულ ესთეტიკასთან. ასეთ ლექსებში ემბლემურად ეწერება ესა თუ ის კლასიკური მეტაფორა, აღწერის სტილი თუ ლანდშაფტის გამოსახვის ტექნიკა.

## მოხუცი მწყემსი და ცხვრების ზარა

მისი სიტყვის მორჩილია ამ მთის ბალახი:  
შოლტს რომ აღმართავს მოხუცი მწყემსი,  
ცხვრების ტანში ბალახი ყვავის  
და ბენვად და ხორცად იქცევა.  
თავად ისეთი გაჩხინკულია, ხოლო ცხვრები –  
ისე ფუმფულა!

ხარობს ბალახი და იმავეს სჩადიან ცხვრებიც.  
მთის ფერდობებზე ჭარბად არის ბალახი ცხვრისთვის.  
ბალახი მოდის გაზაფხულზე და ილევა შემოდგომაზე.  
შარშანდელი ბალახი უკვე შეჭამეს ცხვრებმა,  
გაზაფხულის მოსვლასთან ერთად ცხვრებიც მოდიან.  
გასულ წელს ყველა ცხვარი დაკლეს,  
ხოლო ამ წელს მოხუცმა მწყემსმა უფრო მეტი  
ცხვარი მოდენა.

მოხუცი მწყემსი ყოველდღიურად ერეკება ფარას  
ქედისკენ,  
რათა ცხვრებმა ნოყიერი ბალახი ძოვონ.  
მოკუნტრუშე ცხვრებს იგი მთისკენ მიერეკება;  
ხშირად ბორძიკობს შვერილ ქვებზე,  
ზოგჯერ ფეხი უცდება და ხავსზე ეცემა.  
ცხვრები ბადებენ, კრავები კი რძეს ესწრაფვიან.  
მოხუც მწყემსს ხელში ბატკანი ჰყავს ატატებული,  
ჩამავალი მზით განათებულ  
დედა ცხვრებს მისდევს.

## კალატოზი

კალატოზი გუან სიანი  
ოცდაათი წელი კვეთდა ქვებზე მისთვის უცხო სახელებს.  
მერე სიბერე შეეპარა, თვალმა უმტყუნა; ერთი წელია,  
უსათვალოდ ველარ მუშაობს.  
სათვალის მიღმა რა არის და – გალეული მისი ცხოვრება.  
გარდაცვლილთადმი პატივისცემის გამოსახატად  
მუდამ ხელს იბანს, ვიდრე შრომას შეუდგებოდეს.  
ვიდრე ქვების წინ მუხლს მოიყრის და თავს დახრის,  
სურნელოვან ჩხირებს ახრჩოლებს.  
ისუროს სამჯერ ისე მოიქნევს, მიცვალებულებს რომ  
გააგონოს.  
იმავეს სჩადის, კუბოში რომ ლურსმნებს აჭედებს.  
ასევე, ვეის დინასტიის დაფებზე ნაჭდევ ქიროგრაფიას  
მიმართავს მუდამ,  
სიძლიერის და ნებისყოფის გამომხატველ და მკაფიო  
ქიროგრაფიას.  
განსვენებულთა სახელებს და დაბადება-გარდაცვალების  
თარიღებსაც ისე გამოკვეთს,  
თავ-თავიანთი წინაპრების მოძიება ბავშვებმა რომ იოლად  
შეძლონ.  
ის მკაფიოდ კვეთს სქესის აღმნიშვნელ იეროგლიფებს.  
თუ გარდაცვლილმა ქვანახშირის მალაროში დალია სული,  
მძიმედ დააჭდევეს ქვაზე: „ნახშირი“.  
და მერე ქარიც კალატოზზე არანაკლებ განიცდის მის  
ხვედრს.  
და, აბა, ამ დროს ქვამ ტკივილი როგორ არ იგრძნოს?!  
საფლავის ქვები, ის რომ ამზადებს, სულ იოლად  
გამოიცნობა:  
თითოეულ ასეთ ქვაზე დარჩენილა მისი ხელწერა,  
თავად მასსა და სიკვდილს შორის ახალ სისხლს და ახალ  
გენს რომ ქმნის.

## **ვბრუნდები ძინის აღმოსავლეთ დინასტიის ტაო იუანმინის სანახავად**

რაკი ლექსებს ვწერ, გამორჩეულ მოკრძალებას  
განმაცდევინებს ტაო იუანმინი,  
რომელიც, აი, აქედან იყო: ჩაისენიდან, ძიანსიდან,  
სიუნიანიდან.  
და, აი, ასე, დაბრუნება გადავწყვიტე სწორედ ძინის  
აღმოსავლეთ დინასტიაში,  
რათა ვწვეოდი იმას, ვინც ერთ დროს მოხელე იყო  
და ჩამოშორდა ის ამ საქმეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაცემა  
და კორუფცია ვერ აიტანა.  
ჩვენს დროს და ძინის აღმოსავლეთ დინასტიას  
ერთმანეთისგან  
ათას ექვსასი წელი აშორებს, ამიტომაც მომიწია,  
გადამელახა  
პოეზიის ორი სამეფო – ტანის და სუნ ძის.  
და რაკი ერთობ მეჩქარებოდა, ლი ბოს და დუ ფუს არ  
შევხვედრივარ.  
ფეხით ვიარე, გადავლახე მთები, კლდეები,  
ჭაობები, ტყეები და სახიფათო თავთხელები, მდინარეები.  
გავცვითე სამი წყვილი ხამლი, წოდებული იუანის, მინის  
და ცინის დინასტიებად,  
მაგრამ მაინც სვლას განვაგრძობდი.  
აქ კი უკვე მომცრო ნავი წამომეშველა, სახელად  
ცინიუანჩუნი ან რუმენლინი,  
რათა ცუის დინასტიის დიდი არხის დინებით მევლო.  
რამდენიმე დღე გავიდა და იმ ადგილსაც მივალწიე, ციცქნა  
სოფელში  
მოხავხავე ყეფა რომ ისმის.  
ხის ქობნახები უწესრიგოდ მიმოფანტულა, სოფლელები  
ველად იღვნიან.  
გამთენიისას მინდვრებიდან შინ ბრუნდება ხანდაზმული  
მამაკაცი,  
მოხრილ მხარზე თოხგადებული, ერთ სახლს მიჩვენებს,  
ამბობს: „აი, აქ!“.  
ბამბუკის ჭიშკარს ხელი ვკარი, შევალე და დავინახე ტაო  
იუანმინი.  
ათას ექვსასი წლის მოხუცი, იმგვარადვე უბედური და  
მარტოსული.

## **მეცხვარის შოლტი**

მეცხვარის შოლტი არასოდეს არის უსაქმოდ. მთის  
ფერდობისკენ  
მიმართავს ფარას, გზას უჩვენებს, როგორც ალამი,

ცხვარი ცხვარს მისდევს, ყველა ერთად – ამ მაგიურ შოლტს.

როცა მეცხვარე თვალს მილულავს, შოლტი მისი ყურთბალიშია.

ის კრავს როდი ჰგავს, ბლავილით რომ მოუხმობს დედას.  
ცხვარი როცა ძოვს, მწყემსს ეს შოლტი ისე უპყრია,  
თითქოს მეზობლის ქვრივ ქალს იყოს შემოვლებული.  
ახლა შურდულს თლის მისი ვაჟისთვის.

ცხვარს როცა კარგავს,  
შოლტი სხვა ცხვრებს კი არ ხვდება,  
ხეებს მისწვდება. უმთავრესად კი  
მისი შოლტი მალლა-მალლა ყელყელაობს და ცხვრებს  
აშინებს.

როცა მეცხვარე შინ დაბრუნდა,  
თვალი მოჰკრა ხის ტოტებში გამოხლართულ ქვრივის  
თავსაფარს.

მან ის ჩამოხსნა.

შელამებულზე ქვრივის ვაჟთან მივიდა და შურდული  
მისცა.

ისურვა, შოლტიც თან ჰქონოდა, სახლში რომ დარჩა.

## ოჯახის გაყოფა

ოჯახის ე. წ. გაყოფა ცალ-ცალკე ცხოვრებას ნიშნავს,

ორ ან მეტ ნაწილად ოჯახის გაყოფას,

ქონების გაყოფას ორ ან მეტ ნაწილად,

მათ შორის – ღორების, ქათმების და ცხვრების.

ერთადერთი კატა მშობლებს ერგებათ.

მარცვლეულს გოდრებით ყოფენ, მინას – მიუს საზომით,  
სახლს – ძიანის საზომით;

ტომრებს ტიანის საზომით ყოფენ, მაგიდები ჯაოთი  
იზომება, სკამები – ბა-ით;

ჯამები, ქოთნები, ჩხირები, კოვზები,

საცერი, აქანდაზი, წერაქვი, ნამგალი და ურო,

თითოს თითო ერგება, განურჩევლად ასაკისა;

ლამის ქოთანი ყველას თავისი აქვს,

როგორც ბავშვებს, ყველას თავისი.

ოჯახის ნათესავებს არ იყოფენ, მაგრამ მეგობარი ყველას  
თავისი ჰყავს.

მშობელთა ხელჯოხებს არ იყოფენ, ისინი მშობლებს  
სიარულში ეხმარება.

მამამ თქვა: „ვნუხვარ, რომ ფული არ მაქვს შენთვის  
დასატოვებლად.

ჩემთვის მარტო ამას ვიტოვებ: ტკივილს, ხველებას და გოჯა ქოხს“.  
თვალცრემლიანმა დედამ აუჩქარებლად გახსნა პატარა ჩანთა  
და რძლებს ვერცხლის ნყვილ-წყვილი სამაჯური მისცა.  
ორ შვილიშვილს მარტო ის უნდა, რომ პაპა და ბებია  
ძველებურად მათთან ცხოვრობდნენ.

## ფეშლილი ქალი

იგი ჭუჭყიან და დაძონძილ შავ ძველ ტყაპუჭში  
გამოხვეულა.  
ხშირად დევნიან და ქუჩებში ისე სცემენ, როგორც  
ავაზაკს.  
როცა ზურგში ქვა ან ლანჩაავარდნილი ფეხსაცმელი  
მოხვდება ხოლმე,  
ის ღიმილით შემობრუნდება.  
გაღებული მისი პირი შავ კბილებს აჩენს.  
იგი ხშირად იქექება  
სანაგვე კასრში.  
ახლა ხელში პარკი უჭირავს, ბოსტნეულის სუნიანი  
ფოთლებით სავსე.  
პარკიც და ქალის სანიტარული ღვედიც უცებ შორს  
მოისროლა.  
მერე მიაგნო პრეზერვატივს, გაიღიმა და იქვე დააგდო.  
მერე გატეხილ ჯამს მიაგნო და ჯიბეში შეინახა,  
ხოლო მერე ვაშლს მიაგნო, ნახევრად დამპალს. ვაშლი  
შეჭამა.  
ამ დროს ნელ-ნელა იხსნებოდა მისი სარტყელი.  
და უცებ მკერდი გამოუშვლდა,  
მკერდზე კი – ორი ნამდვილი ძუძუ.  
ის შეშლილია.

## მთაში

მთაში ამინდი ზედმინევენით ცვალებადია.  
მზე სულ ცოტა ხნით გამოჩნდება, მერე ღრუბლები  
გროვდებიან ან დიდხანს ჟინჟლლავს.  
შარშან კი მთაში  
მთელი ზამთარი თოვდა და თოვდა,  
გაზაფხულია, ძინძუილინის მთაზე კი თოვლი  
დნობას განაგრძობს.

კვალთა ბილიკი მთებშემორტყმულ  
სოფლამდე მოდის.  
ბილიკის გასწვრივ ვეებერთელა ზეთსახდელი ნისქვილები

და სანყობებია,  
ჭები, სიმინდის ყანები და სამტეხლოები.  
ლოტოსით სავსე ვრცელ ტბებში კი ბაყაყები ყიყინებენ  
გაუთავებლად.  
ხშირად სტუმრობენ ამ ადგილებს  
ვირთხის შხამის გასაყიდად, მატყლის საყიდლად.

ამ ადგილებში  
ხალხი ძველი დროიდან სახლობს.  
ყველგან, სადაც ცაში ადის სამზარეულოს ღუმლიდან  
კვამლი,  
ვიღაც მიწას ამუშავებს, ვიღაც ნადირობს.  
როცა საფლავთა მოვლის დღე დგება, ისინი პატივს  
მიაგებენ  
თავ-თავიანთ წინაპართა საფლავ-სახელებს.  
შემოდგომაზე  
გარეულ ხილს აგროვებენ, ხორბალს თესავენ.

მთაში კი ხალხი  
ისევ ისე უბრალოდ ცხოვრობს,  
როგორც სამოსს ყიდულობს ხოლმე:  
გოჯა-გოჯა, გამოზომილად.

## **ბარეთ ჩიტები ჭიკჭიკებენ**

ისე მივყავართ მწვერვალისკენ საფეხურებს,  
როგორც მიჯრით მიწყობილ კბილებს,  
და ისინი მწუხრს ამოკლებენ.

მარტო ვზივარ სარკმელთან და სკოლის ზარს ვუსმენ,  
გაკვეთილების ბოლოს რომ რეკავს.

სარკმლიდან შორი მთები მოჩანს, იმ შორ ტყეებში  
სიმღერ-სიმღერით პასუხობენ ერთუროს ჩიტები.

ქარში ჩიტები  
ტოტებს და ფოთლებს გადაუფრენენ.

ჩიტები მაღალ ტოტებზე ისხდნენ  
და ისინი მთვარის ამოსვლამ დააფრთხო და ააჟიჟივა.

მთვარე – წყლის ციცხვი – აუღელვებლად,  
დინჯად ხაპავს წმინდა ქარს და ჩიტების ჟიჟივს.

## დროებით დათხოვილი გუზა ქალი ქუჩას გვის

დილაა და მის გამხდარ სხეულს და მის სახეს  
ცივი ქარი სასტიკად უტევს. მკრთალად ანათებს ქუჩის  
მტვერი,  
ნაწილობრივ დაგვილი და ნაწილობრივ უკვე ნასუნთქი.

იგი დროებით დათხოვილი მუშაა და – უღარიბესიც,  
მაგრამ მდიდარს ჰგავს, თითქოს ქუჩას ფლობს;  
ხოლო, რაკი ქუჩა გრძელია,  
ის კი მარტო გვის,  
მზის ჩასვლისას ქუჩას სხეები ეუფლებიან.

### ბეზიარევი

აი, ის მთა, ბებია რომ ავიდა ერთხელ.  
სამოცდაათი წლის იყო მაშინ.  
ყოველ ზაფხულს, ხორბალს როცა მოვინევდით,  
შინ ბებიას მთელი ჩვენი მოსავალი მხრებით მოჰქონდა:  
ყოველდღიურად თორმეტჯერ მაინც ადიოდა ფერდობზე  
და დატვირთული ჩამოდიოდა.  
ერთხელ ფიჩხიც კი შეაგროვა მან მთის კალთებზე.

ხშირად ვსტუმრობდი ბებიას სახლს დედასთან ერთად  
და ხშირად ვჭამდი მოხარშულ კვერცხებს.  
ერთხელ, სალამოს, თავის მძიმე ბედზე გვიამბო.  
დედა როცა გარდაცვლია, სამის ყოფილა.  
მაშინ ის, როგორც საპატარძლო, ჰუანის კლანზე  
გაუყვდიათ.  
თხუთმეტი წლისა როცა გამხდარა,  
მასზე უფროსი მისი ქმარი ტბორში დამხრჩვალა.  
მოგვიანებით ის პაპაჩემს უთხოვია რალაც ოთხ ვერცხლად.  
პაპაჩემი მექალთანე კაცი ყოფილა, გართობის და  
დროსტარების მოყვარული,  
არც საყვარელი ჰკლებია თურმე.  
ბეზიარემს ხშირად სცემდა, როცა თვრებოდა.

ბებია ხშირად იყო ხოლმე დალურჯებული,  
მაგრამ ის თავის უბედურ ხვედრს ჩუმად იტანდა.  
თვალეებზე ცრემლსაც ჩუმად იშრობდა  
და სამუშაოდ გადიოდა ყოველდღიურად.  
საზიდრით ველზე იგი ნაკელს ეზიდებოდა,  
იქიდან კი კარტოფილი მოჰქონდა სოფლად.

ბეზიარემმა ბევრი ტანჯვა გამოიარა.  
ის დრომ და მისმა ქალიშვილმა მთლად გამოფიტეს.

ამ გამოფიტულ ხორცს კი ბოლოს ის თავადვე დაემშვიდობა.  
ცხოვრებამ მაინც ვერ გატეხა და ვერ მოდრიკა.  
მე მას ბებიას ვუნოდებდი მაშინაც, როცა ორმოცის  
გავხდი,  
მის მიმართ ჩემი პატივისცემის გამოსახატად.

ბებიაჩემი ოთხმოცდაორი წლის იყო, როცა უხმაუროდ  
გარდაიცვალა.  
პაპა ორმოცდათერთმეტი წლის მოკვდა და იგი ჩემს  
მახსოვრობას  
სულ არაფრით შემორჩენია. ასე წავიდა ბებიაჩემი.  
ლუმლის მილიდან ამოსულ კვამლს ისევ ვხედავ მე მის  
ზურგსუკან.  
სადაც ბებია განისვენებს, იმ მთის ფერდობზე,  
მე ერთხელ შევხვდი ჩემთვის უცნობ კაცს, რომელიც  
სულმთლად პაპაჩემს ჰგავდა.

## **ბიძია ვუფუს მაღაზია**

სასურსათო მაღაზია, ამავე დროს, მისი სახლია.  
წინა ნაწილი მაღაზიაა,  
უკანა კი – საცხოვრებელი.  
სამოცის არის ბიძია ვუფუ.  
გადანყვიტა, რომ ფულის შოვნა კვლავ შეუძლია.

პროდუქცია, თაროებზე განთავსებული,  
სოფლელთა მოთხოვნილებების შესატყვისია,  
ანუ სოფლელი აქ მოხმარების კონცეფციას უკავშირდება.  
ოთხი თაროა, სადაც სულ ზემოთ პროდუქტები,  
კონსერვები, ქსოვილები,  
ხარისხიანი თამბაქო და ბევრნაირი ლიქიორია.

დახლის მარცხენა მაღალ კუთხეში  
ნახვრეტი ლენტით დაუფარავს ბიძია ვუფუს,  
ხოლო დახლზე ტელეფონის აპარატი დგას.  
დასარეკად ბევრი შემოდის.

მარცხენა ხელში მეტრმზომი აქვს მომარჯვებული,  
მარჯვენაში – რკინის სასწორი.  
მან თქვა: „იცხოვრო – ნიშნავს შენი ბიზნესის ფლობას:  
შეგეძლოს – შენი გაიტანო, დაამტკიცო სასწორით და  
სახაზავით შეძლო გაზომვა;  
პატიოსნება მსოფლიოში საუკეთესო სასწორი და  
სახაზავია“.

## ფრინველი ღილით

ფრინველი დაჩნდა სიბნელიდან,  
მისმა ყელმა აისს უნია,  
ვიდრე ისევ ღამეს არის ჩაფრენილი მისი კლანჭები.

ფრინველის ხმა ძლიერია,  
ცაში იშლება.

ველს გადაუფრენს  
ქედმაღლურად ტყლაშუნა ფრთებით.

თავს დასტრიალებს შემოდგომის ვერან ადგილებს.  
გამრუდებული მისი ჩრდილი მინაზე წვება.

ამ დროს ფრინველი ფრთებს ისუფთავებს,  
მისი სასქესო ორგანო კი მზის წინაშე გაშიშვლებულა.  
აი, ფრინველმა სოფლის ველზე ჩამოისვენა.

*პნკარედი მოამზადა ნუცა ქათამაძემ  
თარგმნა ბექა ბარქაიამ*

ალინა ქადაგიშვილი



ქეთევან მატაბელი – „ვეფხისტყაოსნის“ პარიაციები

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კინწურაშვილი, გასული საუკუნის 80-იანი წლების მხატვართა თაობაზე საუბრისას, სამართლიანად შენიშნავს, რომ მათ სინამდვილესთან გასამკლავებლად არარეალურ სამყაროს მიმართეს. ამის მიზეზი, ამავდროულად, ახალგაზრდების პროტესტიც იყო საბჭოთა ხელოვნებაში ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული რეალიზმის მიმართ. ახლებურმა ვითარებამ მათ საშუალება მისცა, ღიად დაინტერესებულიყვნენ აქამდე ტაბუდებული ფილოსოფიური, რელიგიური, ისტორიული საკითხებითა თუ აკრძალული ლიტერატურით და მათი გააზრებისა და თავისუფალი ინტერპრეტაციისთვის მიემართათ. თანდათანობით, მათი ინტერესების სფეროს გამოკვეთისა და ამოჩემებული თემების განვითარებასთან ერთად, ჩამოყალიბდა ამ თაობის წარმომადგენელთა სრულიად განსხვავებული ხელწერა. თუ ირაკლი ფარჯიანის შთაგონების წყარო ქართული ფრესკა და ხატწერა იყო, ხოლო გია ბუღაძისა – ვაგნერისა და მალერის მუსიკა და შტაინერის ფილოსოფიური მოძღვრება, ქეთევან მატაბელმა „მიმართა გალაკტიონს, ბულგაკოვს, მეტერლინკსა და, რაც მთავარია, რუსთაველს. „მათი ნააზრევის

საშუალებით ის განყენებულ, ამოუცნობ სამყაროებს იკვლევდა, როგორც სამყაროში, ასევე საკუთარ თავში.“

ქეთევან მატაბელის შემოქმედებითი ძიებანი წარმოადგენს მხატვრის მცდელობას, სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალების გამოყენებით გადმოსცეს ესა თუ ის შემოქმედებითი ჩანაფიქრი. იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ ამოცანას ისახავს მოცემულ შემთხვევაში, მხატვარი ამზადებს კოლაჟებს, დეკუპაჟებსა და ასამბლაჟებს, თუმცა, სანამ აქამდე მოვიდოდა, მანაც კლასიკური აკადემიური სკოლა გაიარა. მუშაობდა ფერწერასა და გრაფიკაში.

ქეთევან კინწურაშვილი თავის წერილში „მხატვრული წესრიგი, როგორც სათავე და შედეგი“, მიმოიხილავს მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპს. მას შემდეგ, რაც მხატვარმა საგანგებოდ მიჰყო ხელი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას, სამუშაო პროცესში იქმნებოდა სიმბოლური ნახატები: „ის ხატავდა და თან წარწერებით ავსებდა სივრცეს გამოსახულებებს შორის“. ფერწერის ფაქტურულ ამოცანებზე მუშაობისას ტილოსა და საღებავების ფაქტურას დაჟანგული რკინისა და გამომწვარი ხის ელემენტებს ურევდა: „ძველმა სახარებამ და ლოცვანმა მის

შემოქმედებაში წიგნის (ზოგადად, წიგნის) თემა შემოიტანა. მატაბელის მიერ ხელით შექმნილი წიგნები (მის მიერ ფოლიანტებად წოდებული) არც საკითხავად არის განსაზღვრული და არც დასათვალიერებლად.“ საუკუნეების მანძილზე ქართველების მთავარი წიგნი, სახარების შემდეგ, „ვეფხისტყაოსანი“ იყო. ჩვენს კოლექტიურ ცნობებებში წიგნის ცნება უშუალოდ მას უკავშირდება და თუ-

წერული სერია შექმნა, რომელიც რუსთაველის სამყაროს მისეული კვლევის შედეგების პირველ სინთეზს წარმოადგენს და ხორცს ასხამს მხატვრის მისწრაფებას, ყოველ ნახატში ჰარმონიული ერთიანობით, ინტეგრირულად გამოსცეს პოეტის მსოფლხედვის სხვადასხვა ნახნაგი და არა ნაწარმოების სიუჟეტი, ხოლო ესა თუ ის მნიშვნელოვანი სიუჟეტური დეტალი საყრდენ-



კი პატარძლის ოჯახს საამისო შეძლება გააჩნდა, მომავალ მეუღლესა და დედას მზითვში რუსთაველის უკვდავ ქმნილებას ატანდა.

### უზრეტი „ვეფხისტყაოსანი“

ქეთევან მატაბელი ამ თემას ათწლეულების მანძილზე უტრიალებს. ქართულ რუსთველოლოგიაში არ დარჩენილა რომელიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომი, ნაკითხული რომ არ ჰქონდეს (თუკი ხელი მიუწვდება). პარმენ მარგველაშვილი წერს: „უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მხატვარმა შესანიშნავი ფერ-

ნად გამოიყენოს პოეტის მსოფლხედვის დამასურათებელი თემის მხატვრული მთლიანობისთვის.“

ეს გახლდათ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობის სანყისი ეტაპი, პირველი ინტერპრეტაცია. შემდგომ მას მოჰყვა კოლაჟების სერია, რომელსაც აგრეთვე არ შეიძლება ეწოდოს ილუსტრაციები. ეს უფრო მხატვრის დამოკიდებულებაა რუსთაველის უკვდავი პოემისადმი, იმ სიმბოლოებისა და ასოციაციების ერთობლიობა, რასაც მასში აღძრავს ტექსტის ხანგრძლივი და დეტალური ანალიზი, რომელიც პოემის გარშემო დაწერილ თეორიულ გამოკვლევებსა და „ვეფხისტყაოსნის“ მანამდე არსებულ დასურა-

თებას ეყრდნობა. ქეთევან მატაბელის ნამუშევრების საფუძვლად მამუკა თავაქარაშვილის მე-17 საუკუნის დროინდელი მინიატურებია აღებული და წარმოადგენს კოლაჟის ტექნიკით შესრულებულ დაზგურ ნაწარმოებებს. მათში, მინიატურების გარდა, გამოყენებულია ძველი ხელნაწერების ბორდიურების მოხატუ-

დან, შაგალისა და კლემს ნამუშევრებით დასრულებული“. მხატვარი ასევე იყენებს სხვადასხვა ენების შრიფტებსა და ასოებს, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ პოემის საკაცობრიო მნიშვნელობას.“



ლობისა და სანოტო რვეულების რეპროდუქციებიდან ამოღებული სხვადასხვა დეტალი, აგრეთვე ციტატები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან. „ამ მასალით ავსებს სიბრტყეს მხატვარი და მის ზედაპირზე თანმიმდევრულად „ძერწავს“ რელიეფს, ბოლოს კი ფუნჯით დატანილი ფერადებით ამთლიანებს სურათს.“ (პ. მ.)

ეკლექტიკა, რომლითაც გამოირჩევა ქეთევან მატაბელის ნამუშევრები, ერთდროულად „ვეფხისტყაოსნის“ უნივერსალურობასა და უნიკალურობაზე მიგვანიშნებს. „მხატვრის კოლაჟები მიზანდასახულად აგებულია ან შედგენილია სხვადასხვა დროის, ეპოქის, ქვეყნის ნაწარმოებთა ამონარიდების გამოყენებით, დაწყებული შუა საუკუნეების ქართული, სპარსული, რომანული, იაპონური და სხვა მინიატურები-

## ბამოფენების დღიური

„ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც დიდი ხანია, მსოფლიო აღიარება მოიპოვა, ქართველებისთვის პოემაზეც ბევრად მეტია; ის არის ჩვენი „თანამდევნი, უკვდავი სული“. ის, რაც საგზლად გავყვება, ბავშვობიდან ღრმა სიბერემდე ისე, რომ მისხალიც არ მოაკლდება, პირიქით, სულ უფრო მეტად გვაპურებს და გვზრდის... მასთან პირველი ზიარება, პირველი შეხვედრა, ალბათ, ყველას კარგად გვემახსოვრება. ...პატარა გოგონამ ჯერ კიდევ არ იცის წერა-კითხვა, გოგონა ავადაა; დედას „ვეფხისტყაოსანი“ მიუტანია მის სასთუმალთან და ხმამაღლა და გამოთქმით უკითხავს: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...“ გოგონას ავიწყდება, რომ სიცხე

აქვს და გაცეცებისგან გაფართოებული თვალეზითა და ყურებით უსმენს მანამდე გაუგონარ, არაამქვეყნიურ მუსიკას: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა, /შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“. მიუხედავად იმისა, რომ დედას ქართული გენის მისხალიც არ ურევია და წარმოშობით აშურ ბანიპალის შორეული ქვეყნიდანაა, ქართული მისი მშობლიური ენაა. ვერ ვიტყვი, მესხიერების რომელი სკივრიდან ამოვიღე ეს მოგონება, მაგრამ ის თითქოს არც არასოდეს მომშორებია...

24 აპრილს სტრასბურგში, ევროპის საბჭოს შენობაში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქეთევან მატაბელისა და გია გუგუშვილის ერთობლივი გამოფენა, სახელწოდებით „ფრაგმენტები ისტორიიდან“. გამოფენა გრძელდებოდა საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში.

ქეთევან მატაბელმა წარმოადგინა უმთავრესად კოლაჟებისგან შემდგარი თემატური გამოფენა: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ეშენბახის „პარციფალი“, ხოლო გია გუგუშვილის ფერწერული კომპოზიციები სხვადასხვა თემას ეხებოდა.

„ვეფხისტყაოსანსა“ და „პარციფალს“ შორის პარალელების გავლებით, მხატვარმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან კავშირს ზოგადად, ევროპულ კულტურასა და მსოფლმხედველობასთან. რუსთაველის ნააზრევის, როგორც ნეოპლატონური აზროვნების განვითარების მწვერვალის, ჰუმანიზმის, მეგობრობის, სიყვარულის, თანასწორობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის გამორჩეული მაგალითის მოხმობას ასეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციაში, კულტურულ ფასეულობასთან ერთად, სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია.

საფრანგეთიდან ჩამოსულმა მხატვარმა სულის მოთქმაც ვერ მოას-

წრო... სულ მოკლე ხანში, 8 მაისს, ევროპის დღეების ფარგლებში, თბილისში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში გაიხსნა ჯგუფური გამოფენა „სხივებთან შეხება“, რომლის იდეაც ქეთევან მატაბელს ეკუთვნის. ის გახლავთ ამ პროექტის ავტორი და ერთ-ერთი მონაწილე. ამ გამოფენაში, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს როგორც თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორებმა, ცნობილმა მხატვრებმა და მათმა სტუდენტებმა, ასევე სხვა ხელოვანებმა. ეს ექსპოზიცია სუსტი მხედველობისა და უსინათლო, აგრეთვე უნარშეზღუდული ადამიანების, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის მომზადდა და ისევე, როგორც გასული წლის ზაფხულში, ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში გამართული ჯგუფური გამოფენა „მე ვხედავ თითებით“, „ვეფხისტყაოსნით“ იყო შთაგონებული. ამ გამოფენის შესახებ „ცისკრის“ მკითხველს შარშან ვრცლად ვუამბეთ. ქეთევან მატაბელმა შეიმუშავა სახვით ხელოვნებაში უსინათლო ადამიანების აქტიური ინკლუზიის მეთოდოლოგია, სახელწოდებით – „ვხედავ და ვქმნი თითებით“. მხატვრული ნამუშევრების მომზადებაში, მხატვრებთან ერთად, მონაწილეობდნენ მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეები და მათი მასწავლებლები. „საექსპოზიციო მხატვრული ობიექტები შეიქმნა ხეზე, ქსოვილზე, ბუტაფორიულ მასალებზე, ქაფ-მუყაოზე, პოლივინილქლორიდზე, ქსოვილსა და მყარ მასალაზე. გამოფენილი ნამუშევრები კომპლექსურად შეიგრძნობოდა განათებებით, პერსონაჟების მოძრაობებით, ხმებით, შეხებით, ფიზიკური ჩართულობით, გარკვეული თამაშითა და თეატრალური ეფექტებით.“ შეიძლება ითქვას, რომ „სხივებთან შეხება“ მსგავსი კონცეფციის მატარებელია, ოღონდ

აქ წინა პლანზე მაინც თოჯინები გამოდიან. სხვადასხვა მასალისგან შექმნილი ქაჯები, გველეშაპი, აქლემი და სხვ. ცხადია, ამჯერადაც განათებას კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა.

„სხივებთან შეხება“ 15 მაისს დაიხურა, ხოლო ქეთევან მატაბელი ამ დროს უკვე სამცხე-ჯავახეთში იმყოფებოდა, სადაც „შოთა რუსთაველის დღეების“ ფარგლებში მისი ფოლიანტების გამოფენა მოეწყო. სწორედ 15 მაისს რაბათის ციხის ტერიტორიაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, რეგიონის კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების გადაწერაში მიიღო მონაწილეობა. რაბათის ციხეში დაიწყო და 26 მაისამდე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა სახალხო პროექტმა „გადაწერე „ვეფხისტყაოსანი“, რომლის იდეაც მანანა ბერიკაშვილს ეკუთვნის. ქეთევან მატაბელმა საამისოდ შეადგინა დიდტანიანი წიგნი, რომლის ილუსტრაციები მე-12-18 საუკუნეებით დათარიღებული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან ამოკრებილი საგანძურის საფუძველზე შექმნა. მართალია, წიგნი დაისტამბა, ოღონდ ნაბეჭდი ტექსტის გარეშე და ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, მასში პოემის ერთი სტროფის ჩაწერა, აგრეთვე, სურვილისამებრ, საკუთარი ხელმოწერის დატოვებაც. ათი დღის მანძილზე ეს წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, იქნებოდა ეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი, მთავრობის წევრი თუ რიგითი მოქალაქე. „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერთა შორის იყვნენ გორის პედაგოგები, თბილისის 112-ის დეპარტამენტის თანამშრომლები, ექიმები; ახალციხის, ვარძიის, მცხეთის, ბათუმის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავისა და მარნეულის მოსახლეობა – ერი და ბერი. ქეთევან მატაბელმა 21-ე საუკუნის

ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისთვის“ საგანგებოდ დაამზადა ხელნაკეთი ყდის ჩასადები (მასვე ეკუთვნის გარეკანის დიზაინიც), რომელიც კოლაჟის ტექნიკით არის შესრულებული და ნახევრად ძვირფასი ქვებითა და ლითონის ჩარჩოთი დამშვენდა. მან სანთლის ალზე გამოწვის ტექნიკასაც მიმართა, რათა მე-12 საუკუნის პოემის ყდისთვის სიძველის ელფერი მიენიჭებინა. მხატვარმა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუებში აღნიშნა, რომ მუშაობისას მისი შთაგონების წყარო მზე იყო. მას მიაჩნია, რომ პროექტის მიზანი გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე უბრალოდ მექანიკური გადაწერა. ეს აქცია იძლევა საბაბს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა კიდეც ერთხელ უფრო ღრმად გაიაზროს რუსთაველის დანატოვარი. მე კი დავძენდი, რომ, როდესაც რომელიმე ტექსტს ყურადღებით, გულისხმიერად გადაწერ, ერთგვარად მას საკუთარ ხელწერას აძლევ, მისი გამტარი ხდება.

„გადაწერე ვეფხისტყაოსანი“ საზეიმოდ დასრულდა 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, რუსთაველის თეატრის წინ. საგულისხმოა, რომ ამ წელს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები რუსთაველის სახელს დაუკავშირდა, მისი საიუბილეო წლის გამო. მრავალფეროვან კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებს ერთი საერთო ლაიტმოტივი გასდევდა – „მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ“. რუსთაველის გამზირზე განლაგებული მხატვრული კაფეების სივრცეში წარმოდგენილი იყო ქეთევან მატაბელის გამოფენა – „ვეფხისტყაოსნის“ ვარიაციები“. მოეწყო ინსტალაციები უსინათლო, მცირედმხედველი და შშმ ბავშვებისთვის. გამოფენა პროექტების – „მე ვხედავ თითებით“ და „შეხება სხივებთან“ ფარგლებში გაიმართა. „ვარიაციები“ სწორედ რომ კარგად შერჩეული სიტყვაა.

აღტაცებას იწვევს ქეთი მატაბელის

პიროვნება, მისი სიმტკიცე და ჭკუა, მისი გადამდები სიმშვიდე, უშუალობა და ენერგიულობა...

დასკვნის სახით გამოვიყენებ ქეთევან კინწურაშვილის სიტყვებს, რომლებითაც მან საკუთარი წერილი დაასრულა: „მატაბელის კოლაჟები და ასამბლაჟები, ზოგჯერ, მოტყუებითი „ქალურობის“ მიუხედავად, ავლენს მის გაბედულებასა და „დანაშაულებრივ“ აგრესიას. ის ამტკრევს, ხევს, არღვევს წესრიგს და

აგებს ახალ სამყაროებს, სადაც მხოლოდ მხატვრული (თუ ბავშვური) ინტუიციით მყარდება ურთიერთობები მოვლენებსა და ფაქტებს (ისევე, როგორც ფაქტურებს) შორის, ხოლო მის მიერ მიგნებული მხატვრული წესრიგის სათავეს ისევე იმ ძველი ნივთების აგებულებაში – სტრუქტურაში – შეიძლება მივაგნოთ, რომლებიც მისთვის არა იმდენად ნატურას, რამდენადაც მეხსიერებაში დალექილ განზომილებებს წარმოადგენდა.“

